

# მნათობი



## 12

### პოეზია

- მ. მანუკიძე-მამიანი
- ნ. ჯორჯიანი
- ნ. ტყეშელაშვილი
- მ. ნიკოლოზიძე
- მ. მანუკიძე

### პროზა

- კ. მანუკიძე-მამიანი
- მ. მანუკიძე-მამიანი
- მ. მანუკიძე-მამიანი
- მ. მანუკიძე-მამიანი

### ქრონიკა

- მ. მანუკიძე-მამიანი
- მ. მანუკიძე-მამიანი
- მ. მანუკიძე-მამიანი
- მ. მანუკიძე-მამიანი

ათლეტატიკში ყველა ქვეყანას, მუხრანში



# მნათობი

სრულიად საქართველოს სამხატო მწერ-  
ლებს კავშირის ყოველთვიური სალიტერ-  
ატურით, სახელოვნო და საზოგადოებრივ-  
სამთლიანო ჟურნალი

*886/97*

## 12

წელიწადი მესამე

*1406*



**სარედაქციო კოლეგია:**

ბ. ურულაშვილი, ს. თული, ივ. ვაზაყმაძე, შ. კადიანი,  
დ. ხულიაშვილი, გ. ლ. ტაბიძე, ტ. ტაბიძე, ს. იძორვალი,  
პ. ჩხივავაძე (რედაქტ. მოადგილე), ლევან ასათიანი (პ./მგ.  
მდივანი).

პ./მგ. რედაქტორი: გიორგი ურულაშვილი.

პოლიგრაფტრესტის 1-ლი  
სტამბა

შეტ. № 2233. ტირ. 4000.  
მთავლიტ. № 1294.

ტფილისი, მანაზღის ქ. № 13.

რედაქციის მისამართი: ვ. ნინოშვილის სახელ. მწერალთა სასახლე. ტელ. № 1-65

კანტორის მისამართი: ტფილისი, აღმასკომის ქ. № 7, პერიოდსექტორი

კონსტანტინე გამსახურდია

## მთვარის მობრუნება

რ თ მ ა ნ ი

„აბუისლებისა და ნახევარმთვარა ზღვის კიდის მეორე ნაწილში აბაზგები მოსახლეობენ... აბაზგები ძველითგანვე ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ, ხოლო მუდამ ჰყავდათ ორი თვისტომი მთავარი... ეს ტომები ჩვენს დრომდისაც თავანსა სცემდნენ ჰალებს და ტყვებს. უცნაურ გულბრწყინლობის გამო ხეები ღმერთებად მიაჩნდათ. თავიანთ მთავრებისაგან საშინელი ჩაგვრა გამოუცდიათ მრავალჯის, რაკი ესენი მგზომ ეცხლის მოყვარულნი ყოფილან თურმე“.

პროკოფი კესარიელი

### 1. მარგაშვა

არის ერთი უცნაური სიმღერა აბზაზეთში.

ვაპრადას არა ჰგავს იგი ურუანტელის მომგვრელს, არც ახრიაშეს, დაკოდილს რომ უმღერებენ, მოსალბუნე სინაზით საესეს, ჩონგურის მონოტონურ ტლარუნში არეულს, არც აზარს თარჩიას დროს შესაქაბებელს, დიაცური, ამაზრზენი კივილით რომ გამოუღვებიან წითელ პერანგიან ვაჟს ჩაბალაბით წელგაკრულს, შეჩოხიანი ცხენოსნები.

არც იმას, მარულას დაწყებისას ნაბდით შებურვილ ცხენს რომ ეტყვიან აბზაზეთი ზართთა და დამბაჩების სროლით.

არა, სულ სხვაა ეს ღამეული მგზავრული.

ერგვაშვას უწოდებენ მას.

ერგვაშვას მგრვინავი, ვაჟაკური ხმით მღერიან.

მოგზაურთა, გზამოჭრილთა და წყალში გაკვირებულთა გასაგონად.

მიდის ჩაბალაბით თავგაკრული აბსუა\*, ალერსიანად უტატუნებს ანიგვარას მათრახს თავის ტანმორჩილ ცხენს. ღამით თვალი უჭრის, ქარის არ ეკრ-

\* აბსუა—აბზაზი, აბსნ—აფხაზეთი.

ძალემა, ყინვის არ ეშინია. ნაბადი განზე მოუგდია, თავი ჩაბლახინია აქვს გარული.

ფოცხვერების ჩხავილს არად აგდებს, არც ნაზამთრად მგზავს მგზავტვლებას ბნელ გორმანებზე.

მიდის უშიშარი და შეუპოვარი აბსუა, ომახიანი ხმით მიიმღერის.

დეე, გაიგონოს მისი ხმა მგზავრმა ლამეულმა, სხვის მიწიდან ვადმოსულმა, გზას აცდენილმა და უბინადრომ. კარგმა ვაჟკაცმა კარგ ცხენზე მჯდარმა, გაკენებული ცხენიდან მათრახის ენას რომ გახვრეტს, ხანჯლის პირს ტყვიას რომ შეაქრის და ცხენს იმ სიმაღლეზე გადაახტუნებს, უნგრეთის კავალერიის არც კი ზმანებოდეს.

დღისით, მზისით მტერს და განსაცდელს არ შეეპუება, მაგრამ თუ გზა ვერ გაიფონა და მეგზურიც ვერ იპოვნა, რა უყოს მაშინ კარგმა მამაცმაც ლამეს (და არსად ისეთი ბნელი ღაე არ იცის, როგორც აბხაზეთში, სადაც ბუნებას სუბტროპიული ძილი ეუფლება).

სწორედ ამ სიმღერას მღეროდა აბუუადან ზუგდიდს მიმავალი კაც ზეამბაია თავის ჩერქეზულ ქაეზე იმედიანად მჯდარი. ეამიდან ეამზე დაწინაურებულს, ჩორთვით მიმავალ ვაეს ესიტყვებოდა.

ეს იყო მხოლოდ, კარგად ვერ მიმხედარიყო: არზაყანს აჩქარებდა ცხენი თუ მხედარს ვერ დაეოკებინა ახლად გახედნილი კვიცი.

„ჰეა ვარა, რამდენჯერ მითქვამს: ალვირი მარცხენა ხელით უნდა გეჭიროსო ტახტასთან, როცა გაგეჭირდება ორივენი თანაბრად უნდა ასწიო და მოკლედ დაუჭირო მეტქი“.

არზაყანმა მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადაიტანა ალვირი და მაგრად მოსწია სადავე.

მართალი უთქვამს ბრძენს, ფიქრობდა კაც ზეამბაია, ჩემს ნახედნ კვიცხე უმაწვილი, ან დედაკაცი არ შევსვათო.

„გზა ტალახიანია და იმიტომაც იცნობს ეგების“.

„ვერც, ეგ უსწავლებიათ შენთვის ლეგიონში, გესლაედა მამა. სწორედ ტალახებში და ხნულში უნდა ატარო ახლად ნახედნი ცხენი“.

„ლეგიონში გვასწავლეს: ალვირი ორივე ხელით უნდა გეჭიროსო“.

„კიი მიეცათ მაგათ...“

„თუ შენ ვერ მორევიხარ მაგ ულაყს, გავცვალოთ ცხენები“.

არზაყანი თუმცა კომკავშირელი იყო, მაგრამ მინც აბხაზური ტრადიციებო მთლად არ იყო მასში აღმოფხვრილი, ცხადია, იგი ქაეზე შეჯდომას იუკადროსებდა და იმიტომაც ნიობოდიზა: სჯობს ისევე მე შევეჩვიო, ეგებ ისარულაზე ამ ცხენზე მომიხდეს ჯდომაო, ასე ამბობდა. თანაც ეშინოდა, ვაი თუ მამამ ღამსაჯოს და ქაეზე შემსვასო.

კაც ზეამბაიას ცხენი გულნაწყენად ფრუტუნებდა, წინ მიიწეოდა, ჯავრობდა: თავდაჭერილი მხედარი დაწინაურებული ულაყის გასწრებას რომ ანებებდა. ცხენიც ხომ ხარბია თავის ტოლს თუ ხედავს ალვირმიშვებულსა და წინ მორბენალს.

მთვარე გადმოხედა ახლად აყვავებულ ალუჩებს და ატყებს, ვეცხლის ღიმილი გადაათოვა ველებს და მერე წამოვიდა შავი ზღვის ნასუნთქი ღრუბელი, შემოთარა, შემოველო, ზედ გადაეფოფრა მთვარეს როგორც მთლიანი ფარშავანგი თავის ნამღევს.

აჭარდა კაც ზეამბაიას ცხენიც, გრილი ზღვეური ნახად ეალერსებოდა შეზალბოშებული მოხუცის სახეს. მის გვერდით მიჭკოუნენ ალევების, კანდრების თალბი სილუეტები. მზეს გადაესწრო მთების გადაღმა, გრძელი, თალბი ჩრდილები ზოლებად წვებოდნენ გაშლილ ტაფობზე, მწვერვალების კბილოვანი ნაჩრდილვეი ისე იხატებოდა მინანქრისფერ ცაზე, როგორც ვოლიათური გიშრის ორნამენტები.

ენგურს ველარ გავალთ წვრილ ვახშობამდის, ნაღვლობდა კაც ზეამბაია. გულის სიღრმეში მაინც უხაროდა რაღაც. მართლაც რა სჯობია იმას, თავდაც მხედ იყვე ვაქეკი და მოაწრებელი ვაქეცხენს მოაჯირითებდეს შენს გვერდით მაინც ცალკვად ტუქსავდა არზაყანს სულწასულსა და მოუთმენელ მხედარს. კარგი მხედარი მათრახს უნდა ზოგავდესო, რადგან კარგი ცხენი უმათრახოდაც იცნობსო მხედარს. და არაეინ ისე საცოდავი არ არისო, როგორც მეგრელისეული ცხენი. მეგრელს ცხენი ცოლშვილს ურჩევნიაო, თავის ცხენეჯობის გაპოსაჩენად თუ დასჭირდა, ცხენსაც არ დაზოგავსო.

მაგარამ ლამის ქადაგებას რა ჰქუა აქვს, არზაყანმა დღისით ნათქვამიც არ დაუხსომა მამას.

კოკეავშირში ნუ შეხვალო და მთელ სოფელში პირველი ჩაეწერა, ჩალმაზს—რაიკომის მდივანს ნუ აყვებო და ლამისაა სულში ჩაიძვრინოს ჩალმაზი.

აქვანში დანიშნული ქალი მიატოვა და თამარს გადაეკიდა შარვაშიძის ქალს რა მისი საქვეა თავადის ქალი! სად შარვაშიძე და, სად ზეამბაია!

ტვილისში, ლეგიონში სულ გადაარაჯულეს. ან რა უნდა შევამინოს კაცმა ახლანდელ შლეგ ახალგაზრდებს. უნდა დაიწვას წიგნები და გაზეთები, ბლუზიანი და კეპიანი ხალხი უნდა ამოწყდეს. ასე ფიქრობდა კაც ზეამბაია და ალერსიანად უტლაშუნებდა აჩიკვარას მათრახს თავის ფეხკავში ჰაკს.

კოტა ხანს მდუმარედ მიჰყვებოდენ მამა და შვილი ღრანტებში, ბარდებში გავლებულ თემშარას.

რომელიღაც ნადირმა გაიშილინვა კატაბარდებში.

შებტა, შეკეინტროშდა ულაყი, აცქუტდა, ატოკდა კაცის ცხენიც, განზე გაიწია უჯიათად და როცა მხედრის ნაცადმა ხელმა ლაგამი მტკიცედ ამოსდო ლაშებში, შედრკა, შენელდა და ისევე მორჩილად გადავიდა ლაფშურზე.

არზაყანს წაართვა თავი ულაყმა, იმძლავრა ისევე მხედარმა და სიბნელეში აისვეტა ცხენიც და მხედარიც. ციკინათელესავით გაიწლვეს დაკვესილმა ნაპერწყლებმა ხრეშიან შარაზე. გაბრაზდა მხედარი და მათრახის მოწყვეტილმა ტეცუნმა გააპო დუმილი ლამის. მაგარი ხელით მოულრიჯა კისერი ცხენს მურზაყანმა. შემოატრიალა დატუქსა ისევე და მზარმარჯვნიდან ამოუდგა მამას. მოეკრძალა არზაყანს მამის, არ უნდოდა შეემჩნია მას, რომ ასე სულმოსწრაფებით მიიჩქაროდა არზაყან ზუგდიდისაკენ. რას გააპარებებს ბერიკაცს, ის რაც ზევითაა ორი იმდენი ქვევითაც უნდა იგულისხმოს, უთუოდ მიუხვდება გულისხმას კაბუქს

თუ რად აჩქარებდა მთელი დღე ინგურზე გასვლას. ინგურზე შესაძლოა, ბორანიტ გაესლა მოხერხდეს.

დაფრთხა რომელიღაც ფრინველი ბარდებში, ამაგადა, გაფიცხდა უარესად ცხენი. გახელდა ჭაკიც, აყენენ ურთიერთს ცხენები, გადალახეს მამის სურვილი და ვაჟის ხათრიც. შეზარხოშებული კაცი და სისხლმოკარბებული ვაჟი უსახვროდ მიაჭენებდნენ ცხენებს ამ მრუმე ღამეში, ფლატეების, ხრამების, ბარდების და ლეღების განუქითხავად, კუნძებით, ლოდებით, რიჟის ქვებით მოხერგულ შარახე.

ქარმაგი, დარბაისელი კაც უნებლიედ აყვეა თავაწყვეტილ ვაჟს, სადავე მაგრად ეჭირა ხელში. ახლა კაც ზვამბაიამაც სიამე იგრძნო ანახდევულად, გადაეიწყდა, რომ საცოლვე ვაჟის მამა იყო და მთელს ამბახეთში სახელგანთქმული მხედარი, ერთ წუთში თითქოს გაორდა მოხუცი კაც ზვამბაია და ხედავს იგი აგალგაზრდა კაც ზვამბაიას, რომელსაც ოცი წლის წინად სწორედ ამ ნაჯიხვარზე როგორ გაუქენდა ცხენი, მაშინაც მარულაზე მიდიოდა, მაშინაც ასე ნასვამი იყო და ცხენიც ასე მოულოდნელად დაფრთხა რომელიღაც ნადირის უეცარ შილინგზე.

გასულა სიკაბუჯე, გასულან წლები, მაგრამ მაინც განუზომელი სიხარული დაძრულა კაც ზვამბაიას გულში, რადგან ეს მისივე სისხლია წინ რომ მისწრაფის, ეს მისი ხორცია ცხენები რომ ააღელვა.

მიჰქროდნენ მათ გვერდით კორდები, სერები, ნაკეპი, ნაჩეხი ტყეები. ლასლასით გარბოდნენ სივრცეში ცამდის ალანძული მთები, შავნაბდიანი რაინდებივით ამპარტავანი და ამ სოფლის ქრიაბულს განრიდებულნი.

ისევ შევიდა ჭაბუკი ახარტში, მამა ხმას არ იღებდა ამიტომაც ქუსლი ჰკრა უეცრად ცხენს, აპაპიტ შემოსძახა, ეყენდებზე წამოიწია, მაგარმაგარი აქამა ულაყს.

შემოესმა შეილის ხმა კაც ზვამბაიას, საოცრად მამაკაცური და გამომწყვევი შლეგივით გაელიმა ღამის სიბნელეში, თავადაც მათრახი მოუქნია ცხენს, თავადაც ცერებზე წამოდგა აყენდებზე, ნებანება მიუშვა სადავე ცხენს და დიაკივით ხარბი ჭაკი მიჰყვა კვალდაკვალ გაზულუქებულ ულაყს, თითქოს მხედარი აქ აღარ იყო, თითქოს აქ მხედარს არაფერი ეკითხებოდა.

მიაქროლებს თავის ცხენს კაც ზვამბაია, ჭაკმა წაიგრძელა კისერი და მხედარს უხარია ამ ბნელ ღამეში: ეს მისი სისხლია მას რომ შორს გაუსწრო, ეს მისი ხორცია მას რომ აღარ უცდის.

რომელიღაც პატარა სოფელი გაიარეს, ცხენების თქარუნზე აზვაკდნენ ძაღლები, გადმოლახეს ლობეები და ძხრილები, ამოა ყფით გააყრუეს მძინარე სოფელი, გაივაცეს სოფლის ბოლოს გასულმა მხედრებმა.

აიშვა მამისაგან აგზის დატუქსულმა, მამის ნებას გადასულმა. მთლად მიაწება სადავე თავის საყვარელ ულაყს, ისევე, როგორც ლეგიონში სჩვეოდა ხოლმე და ახლა ზედიზედ გაბედულად აქამა მათრახი ცხენს.

მათრახი მომხვდომო? გაქენდა უარესად, გაფრინდა ცხენი. დაჰკივლა მხედარმა ინგურის ქალების პირისპირ, ინგურის შორეული შუვილით გახარებულმა და ამკნო ქალარა მამას შეჯიბრში გაწვევა.

ისევე წამოდგა ავეანდზე მამა, აბხაზური ცხენოსნობის დიდმა ისტატმა იყინა თითქოს შვილის თავხედობა, გულში გაიღიმა ანაზღეულად და იმედინად მოხსლიტა ჭაკი, თავს გადაეველო უშველებელ ეკლიან ბარდს, რაფა ამ გვარად მოეჭრა შვილისათვის გზა.

ამ, ვის უბედავს ეს ბიჭუნა შეპაექრებას! კვერცხის ნაქუქში ამბობებულა პირყვითელა წიწილი და კრუსს შეჰკამათებია.

არწივს ფრენაში გაჯიბრებია ახლად აღნავებული მართვე.

ენგურამდის კიდე შორსაა და... ენგურამდის ანანებს თავის თავხედობას კაც ზვამბაია ამ ბიჭუკელას.

ჰე გიდი, რა ბნელი დროები გაუთელია კაც ზვამბაიას.

აბეუსს ყაზახების ექმეკუცია ეწვია რეაქციის ხანებში. დატუქსეს, დაძარცვეს აბეუსს ტომი. ვაეკაცები ტყეში გაიხიზნენ ზოგნი—და კვირა დღეს, საქმე და საძარცვი რომ შემოელიათ, ასეულის უფროსს ჯირითის გამართვა მოუნდა. ეკლესიის მოედანზე გაამწყრივა ყაზახრუსები და შეჯიბრში გამოიწვია შინ დარჩენილი აბხაზები გაზულუქებულ, გასუქებულ ორლოვის რისაკებს უნდა შებმოდნენ აბსნის გამხდარი, ხელიკივით ცხენები, მკერდულით ესინჯათ ძალა. თავიანთი ცხენების მკერდების იმედი ჰქონდათ, აბხაზური ჯირითის გაპამუღლება უნდოდათ.

ცხენებს და მხედრებს ეკლესიისაკენ აქნევიან ვახშისტრმა პირი, თავად აღმაცერად წინ დაუდგა ასეულს. გამოვიდნენ კატასავით ტანმორჩილ ცხენებზე შემსხდარი აბხაზები. დაწინაურდა კაც ზვამბაია, ერთ-ორჯერ სხაპი აქნევიან თავის ცირას, შემდეგ უეცრად შემოჰკრა ქუსლი, ეძგერა ორლოვის უშველებელ აჯილღაზე მჯდარ ვახშისტრს და მიწაზე დააგორა ცხენიც და ვახშისტრიც. მთელი ასეული გამოუდგა კაც ზვამბაიას. ენგურამდის მისდიეს, შემდეგ კი კვალი დაეკარგათ ჭაღებში.

შაოფლო ომის დროს დნეპრის სახელდახელო ბონდზე გადიოდა რუსების კავალერია. „ველურ დივიზიას“ უბრძანეს პირველად გასლვა, რადგან ბონდი ძლიერ ყანყალებდა და აურუსები თავს იზოგავდნენ. ვაეკაცი ის იქნება, ვინც ცხენდაცხენ გასცურავს დნეპრს წამოსკდა დივიზიის უფროსს ლიპარტიანს. ამის თქმა მოასწრო ლიპარტიანმა და მის წინ მიმავალმა კაც ზვამბაიამ შემოუქნია ცხენს მათრახი, და გულდაგულ გადაავლო დნეპრში და სამშვიდობოს გავიდა უფნებლად.

ამ გვარისა და სხვა ათას ჭირთამთმენ კაც ზვამბაიას ქართული წითელი კავალერიის უმცროსმეთაური წაეთამამა.

„აპაჰაიტ მარჯა“ შემოსძახა მაშინ თავის ზერდაგს კაც ზვამბაიამ, ავეანდზე წამოდგა ისევე და მთელი ტანით ვადმოწვა ცხენის კისრისაკენ და ქაჯივით მოხსლიტა ჭაკი. გადაავიწყდა მამას თავისი მამობა და ვაჟმა როგორც კი გაიგონა მძაფრი და ომაზიანი ყიჟინა, თავადაც დაჰკივლა აბხაზურად და მამაკურად. ისევე და ისევე აჰამა მათრახი ულაყს.

კაც ზვამბაიას მხერას გაეცალა წინმიმქროლავი მხედრის სილუეტი, ისევე წამოდგა ავეანდზე და გატენდა ფეხკავში ცხენი. აკენესებდა სისინა ქარი ნახამთრალი სიმიდის ღერებს, მუსიკის ღმერთი—არიელი, ამღერებდა თავის ღამეულ სიმღერას, ჩალის ღეროებს შორის გაბმულ უხილავ სიმებზე.

ენგური წინ გადადგომოდა შეჯიბრებულ მამას და შევეს, მებორნის ჩამობნელებულ ქობის წინ შეაყენა არზაყან ზეამბაიამ თავისი უმცირესი ქცენი. მთვარეც გამოსულიყო ღრუბლების ბნელ ჯებირებიდან, რძეში გაველებულ მეგრულ სულგუნეით თეთრი. ბარში მოყარდნილ ხაირიემსავით მობლაოდა ენგური.

ენგური არც მტკვარსა ჰგავს, არც რიონს, არ თუ ალაზანს. ენგური უფრო არავისა ჰგავს გაზაფხულის პირზე ახვირთებულს (აფსუსს, ჯერ რომ არ გვიქცია ქართველ პოეტებს ენგური!)

მთვარე გულგრილად დასცქეროდა ამობოქრებულ ენგურს, მთვარე გულცივი და დარბაისელი, როგორც თავად სიბრძნე და სიჭარბავე. ასეა: მხოლოდ სიჭარბავე ყოველთვის როდია ცავე, ლენო გამონელებოდა კაც ზეამბაიას, ცხენიანად ოფელში ვაღვარულს, მაგრამ აღსდგა მის ძარღვებში ძველბაზაზური ვაქცაკობა. (ასე ამორგვედება ხოლმე თეთრი ენგური სეანეთის ლანქერებისაგან გახელებული)

„ჰეჰ ვარა, რას უყდი თუ იცი?“

შეესიტყვა კაც ზეამბაია მხედრის მდუმარე სილუეტს, ენგურის ფონზე მოლად გაშეებულს.

მოკდა აჯობებსო ამბობდა არზაყან.

ასპირცივით დაგესლა ამ სიტყვებმა კაც ზეამბაია.

შეზე მაგ გველის მართვეს, ჯირითში აჯობა მამას, ახლა ენგურისაგან მოველის გაშველებას, ვინძლო წყალში არ სკამის სირცხელი. და აღსდგა კაც ზეამბაიას გულში მამისა და შვილს შორის ოდითგანვე არსებული მტრობა.

ჰეჰ, ვარა, შენ ხელა რომ ვიყავი, სათაფე მანძილზე წინ მიუშვებდი ენგურში ცხენს, მხარულით გადმოვენთებოდი უკან, ძუაზე ხელს მოვაველებდი და კისერზე აბჯა გადაგდებული მივსდევდი უკან.

„მერმე აპრილში დადრა?“

„სწორედ აპრილში რიკა“.

„აპრილში დაამსხვრიე ის ვახმისტრი დადრა?“

„დიახ აპრილში, აპრილი ბედნიერი თვეა ჩემს ცხოვრებაში“.

არზაყანი ხედავდა მამა როვორ გაჯიქდა; მას აწი ველარაეინ გადაათქმევინებდა ნაზრახს. მოშაქრული სიტყვით დედის სული დააფიცა დადრას, გარდა ამისა დედაც გეთხოვდა თუ შემოგალამდეთ, ენგურში ნუ გახვალთო, ცუდი სიხმარი მაქვსო.

„შენც ხომ არც ღმერთი გრწამს, არც სული და არც სიხმარი?“

„მე არც ღმერთი მწამს, არც სული და არც სიხმარი, მაგრამ დედამ დამაბარა და მეც გაგახსენეთ დადრა“. იმართლა თავი დარცხვენილმა არზაყანმა.

ხუმრობის გუნებაზე დააყენა კაც ზეამბაია კაბუქის შეკრთომამ. ჯერ ძელები არ გამაგრებია და ენგურთან შებმას ერიდება ალბად. და ასეთი კაცისთვის მიუწნევია პოლიტსამმართველონ ყაჩაღების დევნა. რომელი ყაჩაღი არ ჩაისევამს ამ ზღმურტლიანს ჯიბეში?!

ფრთხილად, მაგრამ დაბეჯითებით არწმუნებდა არზაყან მამას, აბხაზებისათვის მოეცადათ და დილას ერთად გავიდოდნენ ბორანით. არც ფონი სჩანდა საღმე, სწორედ ბორანის ქობს მიდგომოდნენ.



„ასე თუ გინდოდა არ გვერჩია სოსელიასას დაგვეცადა, მოუღმენლოდ რომ ატროკდი, ღვინო არ დალიე, საჭმელს პირი არ დააქარე, კარგად ღვინოს არ დაველეო რომ აიჩემე. თარაში მიატოვე დედაშენის განრღვილი. ახლა ხომ დაგჭირდა ის კულაკები, როცა დაიცივით შეგენშინდა“.

„კულაკებთან ღვინოს არ დაველე, მაგრამ მცურავ კულაკსაც გამოვიყენებ თუ ეს საჭირო გახდა“.

„ნუ იცი ბიჭო ასე უჯუჯად თავის მართლება. თქვენ ქაჯი ვერ გამოგტყხავთ, რა გიშავთ შვილო, თხის ქონში გავლებულ ღვედვით მოქნილი ენა მოუციო ღმერთს თქვენთვის და...“

„ენა სწორედ თხის ქონში გავლებული ღვედვით უნდა იყოს მოქნილი. მაგრამ ღმერთს არაფერი მოუციო ჩვენთვის დადრა“.

„ღმერთმა თქვენც შეგარცხვინათ და თქვენი ენაც“.

ხედავდა არზაყან თუ როგორ მოტუჟვდა ვარაუდში. იგი წინასწარ დარწმუნებული იყო, მხის ჩასვლამდის ენგურს გადალახავდნენ. ღვინოც იმიტომ არ დალია, თარაშ ემუხეარიც იქ იყო, შეგნებულად იპარავდა ღვინოს, თარაშ უნდა დანებრო. თარაშს სოსელიასას დაათრობდნენ ალბად, შესაძლოა მესამე დღემდის ესევათ სამეზობლოში. არზაყან ზუგდიდში ჩაასწრებდა თამართან. ქალიც, როგორც ყოველი ნაალაფარი, ხომ მისწრებაზეა.

დოლი მხოლოდ სამი დღის შემდეგ თუ დაიწყება, ამ ორ დღეს შესაძლოა ბევრი რამ მოეტანა არზაყანისათვის და ამ გზით ბოლო მოეღებოდა თამარის მუღმივე ყოყმანს თარაშ ემზვარსა და არზაყანს შორის. დოღშიაც ბევრი რამ გამოიკვლეოდა... თამარი ხომ შარვაშიძის ქალია და მათი გვარი ოდითგანვე ცხენოსნობის მოყვარულია, შარვაშიძის ქალებია სწორედ საუკეთესო შოჯირითენი და მონადირენი მთელს აბზაზეთში.

და არზაყანის თვალწინ გაიელვა თამარის ზღვისფერმა, დარდიანმა თვალებმა. ამ წუთში ნათლად ხედავს არზაყან თამარის სახეს, გაუტკვენლ ნარინჯისავით სათუთს და მოყვითანოს. იმასაც კი ხედავს არზაყან თუ როგორ გაწითლდება მის დანახვაზე.

ეგებ თარაშს რომ პირველი ჩაესწრო, არზაყანზე ადრე ენახა თამარის ოდნავ წამობორცვილი პირი, ეგებ მაშინაც გაწითლებულიყო თამარ შარვაშიძე.

რომელიღაც წყლის ფრინველმა გადასერა ჰაერი, გაურკვეველი ყრანტალი გავრია ენგურის დაუდევარ ხშვილში.

არზაყან გულჯავრიანად გასცქეროდა მთვარის შუქზე ლიბრ ფარჩასავით მოლივლივე ენგურის დენას, ცხენი მოუთმენლად აცქმუტდა, როცა დაინახა, რომ კაც დაქვეითდა და ოდნავ წაუტატანა მათრახი თავის ცხენს როცა ის რატომღაც გაჯიქდა და ბორანის ფარდულში შესვლა არ ინდომა.

უსიტყვოდ ჩამოვიდა არზაყან ცხენიდან და მიჰყვა მამასა და მის ცხენს.

მებორნის ქოხიდან ჭრაქის უსუსური სინათლე მოკიანთობდა. კაც ზეამზაიამ ჩაბალახი გადაიგდო კისერზე და ხმაილლა დაიძახა:

„აფშუმა“.

უშველებელი ჯოგის ძალი გამოეხმაურა ამ ხმას. კაც ზეამზაიამ პატარა სარკმლის რაფაზე დააკაქუნა მათრახის ტარით და ? ხლა უფრო ხმაილლა:

„აბშუმა“.

„რომელი ხარ?“ მოისმა ქობიდან.

„ასას“. უპასუხა კაც ზეამბაიამ.

იატაქზე რალაც დაეცა, გაურკვეველი ბრაგუნი, კრაქუნი და ხენგმა ისმოდა, ცოტახანს შემდეგ ღრიჭინით გაღებულ კარის ჩარჩოებში უშველებელი დევკაცი იდგა თხის კვახნა წამოსხმული. სტუმრები შეიპატიჟა ქობში. უზომოდ პატარა მოჩვენა არზაყანს მამა ამ გაბურძენილი ახმახის პირისპირ. მან ორი-ორდე თავაზიანი, ნარევი მეგრულ-აბხაზური სიტყვა მიუგდო სტუმარს, კრაქი აიღო ხელში, შეანჯღრია, ისევ თავის ალაგას დასდო და შემდეგ ისე ზანტად წამიჩოქა ამ ვებერთელა ვაკეაცმა კერაზე მოკაიფე ცეცხლის პირდაპირ, თითქოს სალიტონიოდ ემზადებოდა. მუგუზლები მირეჯვ-მორეჯვევა და ცალმუხლზე დაჩოქილმა დაუწყო ბერვა. კვამლის და მტუტის ბული დააყენა კერასთან. ვიდრე მეზორნე ცეცხლს უბერავდა, სტუმრებმა ჯარგვალეები მოსძებნეს ხელისთათურით და დაიმუხლეს. როცა მასპინძელმა ცეცხლი გააჩაღა, არზაყანმა თვალი ჰკიდა გრძელწვერა თხას, რომელიც დაწოლილი იცოხნებოდა.

ახლა მებორნეს შეაელო თვალი არზაყანმა. იგი მართლაც ოჩოკონს მიაგავდა ინგურის ქალებში მოხეტიალეს. ათას გზით დაკონკილი, კავალერისტის გახუნებული შარვალი ეცვა, ოდესღაც მუქლურჯი. მუხლებთან გამოჭრილი და კრელი ნაჭრებით დაკერებული. ზემო ტანზე ჯარისკაცის დაბამული უღუბა ეცვა ზორტებით მკერდთან შესაბნევი. ზორტები დაწყვეტოდა და ცერისოდენა, ბანჯგვლიანი თმები გამოუჩნდა ბერიაკის მკერდიდან.

წვერს ნაპარსავე ოდესღაც და ზღარბის ქაცვებსავე მომხბო და მოთეთრო წვერ-ღლეაში წამოსვლოდა უწესრიგოდ. ყურებიდან და ნესტოებიდან შავი თმის ფოჩვები გამოსვლოდა, შუბლი მთლად დაღარული ჰქონოდა საცმოს მალაილი და ჩამობერტყილ ლოყებზედაც ნაოჭები დახვეოდა. დიდრონი შავი თვალეები მშვიდად მოძრაობდნენ ასევე შავი, წურბლების მადგარი უწესრიგო ჩამოფანჩულ წარბების ჩრდილში.

„დადრა მომვიდა“, აბხაზურად წასწურჩულა არზაყანმა მამს. აქ შიმშილი როდი იყო მთავარი. უნდა გამოერკვია: ქობში დასარჩენად შემოვიდა მამა, თუ დასამუხლებლად. ცხენიდან ჩამოსვლისას მოსართავებიც არ მოუშვია. ცხადია მებორნეს გამოჰკითხავდა ენგურზე გასვლის ამბავს. მამამ არ ათხოვა ყური შვილის ნათქვამს. შესაძლო იყო ქობში შემოჭრილ წყლის ხშილმა დაახშო ერთხელ ნათქვამი და არზაყანმა ისევ გაიმეორა: „მშიაო“.

და ეს „მშიაო“ ისეთი დიდი მუდარაა შვილის პირიდან განაგონი, რომ მთელს ქვეყანაზე უსაპტიესი მამაც ვერ აღუდგება წინ ამ ვედრებას. კაც ზეამბაიამ უსიტყვოდ ადგა, ცხენებს მოსართავი მოუშვა, აბგები შემოიტანა, დაცუქქდა მებორნის გვერდით და დინჯად გახსნა აბგები.

მებორნეს ცეცხლი გაეჩაღებინა, იდაყვი მუხლზე დაებჯინა, ცალი ყბა ხელის გულზე დაეყრდნო და მორიდებულად ათვალეირებდა ბეჭებგანიერს ტან-მორჩილს, ელალოზხან მოხტეს და წითელ არმიელის ფარაჯაში გამოწყობილ ვაქს. სანდომიანი ეჩვენა მოხტეს ჰაბუქის სახე, კროლა თვალეები და გრუზა თმა, სამხედრო კვიდან შუბლზე გადმოღვარული ქოჩორი. მოგრძო, ნიკაპისა და ტურ-

პირის ხაზეში თავი ვერ დაემალა ჯერ კიდევ დაუმწიფებელ ვაჟისა. უჩვეულო რიდით იხედებოდა გარშემო იგი, ასევე მორიდებულად შესტყუროდა მოხუც მებორნეს. ეს იყო მხოლოდ თვალებს არიდებდა, პირდაპირ შეხედვას გაურბოდა. უფრო ნაკლებად სათნო სახე ჰქონდა მოხუცს, ნაღველკრალის თუ ნახანჯლარით დადალული იყო მისი მარცხენა დაწვი, კობტად მოსული მტუტის ფერი წვერები ნელნელა შეედებოდა ნიკაპის გარშემო, ხოლო წვერის ბოლო გარეული იხვის ბოლოსაგვით აბზეკოდა ოდნავ. ქარვისფერი თვალები ჰქონდა მოხუცს, მაგრამ გამოცდილი თვალი მაინც შეატყობდა მამაშვილურ ურთიერთობას. ლილეშეხსნილი სამხედრო ფარაჯის ქვეშ თეთრი დარაიას ბლუზა ეცვა, ქართული ახალუხის დარად შავი ლილეებით შებნეული, მარცხენა მკერდზე მიკრული წითელი ქეტონი ცეცხლის ალზე ლაპლაპებდა. დიდხანს შეაჩერა თვალი მებორნემ მასზე, ვერ გაერკვა. რა ნიშანი უნდა ყოფილიყო იგი. არზაყანმა მოხუცის მომწუსხველი მხერა იგარძნოდა შინელი შეიკრა მკერდთან, ცალი ფეხი გამართა და ორივე ხელით ამოიწია ვიწროდ შემოსხეპილი აზიური ჩექმების გრძელი, „გარმონივით“ დაკეცილი ყელი.

კაც ზეამბაიამ აბგები გახსნა, პირაღმა აყირავებული სამფეხა მეგრული ტაბაკი გადმოაბრუნა და ზედ დაადგა რამდენიმე აბხაზური „აკვარ“, თხის ყველი, არყისა და კაქიკის ბოთლები მუზლთან მიიდგა, წელზე გაიხეა ხელი, მათარა მოიხსნა, ხელისგულზე დაიფროთხა და არყით გაავსო, აბხაზურად მიმართა მასპინძელს. მებორნემ თვალი შეავლო კაც ზეამბაიას ჭალარას, მაგრამ ვერ უთხრა უფროსი ხარო და ჩიქორთულა აბხაზურით მიმართა, როგორც სტუმარმა პირელად უნდა გამოსცალოთო.

სანამ მოხუცები აბხაზური ცერემონიების მიხედვით თაეპატიეს იდებდნენ, არზაყანმა ერთი აკვარი გასტეხა შუაში და სათითოოდ დაიჭირა ხელში. მებორნეს უკვე გამოეცალა მათარა, კაცს სთავაზობდა, ცალი ხელის ბანჯგვლიანი ზურგით იწმენდდა არყისაგან დაცრემლილ თვალებს, გარუჯული, დაკორძებული ხელები გამოუწოდა მებორნემ არზაყანს და აკვარის ნაჭერი ჩაბლუჯა მოხარშულ კიბოსაგვით წითელ და დახეთქილ თითებში. არზაყანს არსად არ ენახა ასეთი უზარმაზარი და წითელი ხელები. ველური ვაზის ლერწმებსაგვით დაღვარქნილი ძარღვები მოსჩანდნენ. დამსკდარ, დაკოყრილ თითებს, თითების ნიშატი დაჰკარგოდათ, დახეთქილი კანის არეებში შავად ჩაღვკოდა წვირე, ზედშეხორცებოდა და ეს თითები რომელიღაც მტაცებელის ჭანგებს დამსგავსებოდნენ. მიშვებული, მთლად გაყვითლებული ფრჩხილები ბებერი მამლის დეზემსაგვით ყვითელი იყო და გაკაფებული. მთელ ბედისწერას ამ კაცისას ამ ხელებზე ამოიკითხავდა დაკვირვებული თვალი. მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი წაქრილი ჰქონდა, გულისამრეველ მოსჩანდა მობლაგვული და ჩალისფერი ძვალი.

მოხუცმა მებორნემ ისე მადიანად დაიწყო ჰამა, თითქოს მთელი თვე შშიერი ყოფილიყოს ამ ჭობში დაბმული.

მადიანად ილუკმებოდა მებორნე, აკვარის ნაშუსრევი მიწაზე, ან კაკაზის კალთაზე რომ დაუცვივდებოდა, მოწიწებით იღებდა, კოცნიდა და მერმე პეშვით იყრიდა პირში. ცხენისებური მრგვალი, დალრო-ჩოღრო კბილები ჰქონდა ღრძილების მახლობლად გადაქმული და ჩაშვებული. ღვინოსაც ხარბად სვამდა.

და მარცხენა ხელის გულს წარამარა ისევამდა ნიკაპზე. სახე ქპრისაგან ატრეცო-  
და, სურსულას გადაელეკა ლაწვები და ცხვირი.

მოკვეთილი თითის შეხედვამ მოაგონა არზაყანს სადღესასწაულებსა კნგუ-  
რის რომელიდაც ბორანს ვილაც ყოფილი გენერალი განაგებსო. იგი ტფილისი-  
დან გამოქცეოდა ბოლშევიკებს, ბოლოს მოაგნეს თურმე, შეხედეს: უგნებელი  
მოხუცი გამხდარიყო, მის გენერლობას ყველი გასვლოდა, მებორნედ—კიდევ  
ივარგებდა, ამიტომაც არ დახვრიტეს. არზაყანს უნდოდა ეს ექვი შეემოწმებინა,  
მაგრამ მოხუცებულს მოერიდა და დაღუშდა.

შეამჩნია: ერთი მუგუზალი კერის პირიდან გადმოვარდნას აპირებდა, ის  
რომ გადმოვარდნილიყო, უთუოდ დაარღვევდა საუცხოვოდ განაღებულ კოცონს  
ცეცხლისას, ამიტომაც დასწვდა მუგუზალს და ისევ შეაგდო თავის ადგილას.

რალაც ბუნდოვან ფიქრში გაერთო არზაყან ამ მშვენიერი ცეცხლის და  
უცნაურ მოხუცის შემყურე, პირი აარიდა ბერიკაცის მოტვლეპილ თავს, რო-  
მელზედაც მთლად უსუსური, ბატების მიერ მოკორტნილ კონინდარსავით საცო-  
დავი თმები დარჩენილიყო აქა იქ და არზაყანის ფიქრი გაიპარა იღუშალ..

ცეცხლი უფრო აღვივებს ადამიანის ოცნებას და ამ მოკაშკაშე სტიქიო-  
ნის პირისპირ მჯდომი არზაყან ცხადლივ ხელაკს თამარს, ატმისყვავილისფერ  
აბრეშუმის კაბაში მორთულს. ატმის ყვავილისფერი აბრეშუმი მოსაგდა თამარს  
და თავადაც ატმის ყვავილს დამსგავსებოდა აპრილის ფურცლობაში მოსულს.

ჰეა, ვარა, შესძახა მამამ და შეკრთა ვაჟი, შეეშინდა არ გაეგო მამას მისი  
იღუშალი ზრახვა. ყველაფერს გაანდობს აბზაზი დედმამას, ოღონდ სიყვარუ-  
ლის ზეაშიადს არასდროს, ამიტომაც ხელი წაავლო არზაყანმა მათარას და  
გამოსცალა.

მამამ კიდევ ამოაცოცა მეორე აბგიდან ერთი ბოთლი. მებორნე დანატ-  
რებული სევამდა. ტკბილად საუბრობდენ მოხუცებულნი.

მებორნე უკვე შეზარხოშებულიყო, ცხენის თავსავით წავრძელებულ სახეზე  
მსხვილად ნაკეცი და ლაროვანი ნაოჭები გაღრწავებოდა. მოკიანთე სხივი ჩასდ-  
გომოდა კრიალა თვალეებში და ეს დაგლეჯილ თხის ტყავში გახვეული კაცი  
ისე არხეინად ნებიერობდა უშველებელ კუნძზე, თითქოს ზამბარებიან სავარძელ-  
ში მჯდარიყო. არ იღუშებოდა, არც იქენეულად გამოსცქეროდა მამაშვილს  
წურბლებივით შავსა და ჩამოფხატულ წარბების არედან, გულხშიერად ებასე-  
ბოდა კაც ზვამბაიას, როგორც სადარბაზოდ მოსულ მეგობარს.

მოხუცები ყოველთვის მოსძებნიან ხოლმე საერთო ენას, გაუელვა გულში  
არზაყანს, ახლა მარცხენა ფეხი გამოსწია წინ და ჩექმის ყელი მუხლზე გადაიკეცა.

სად იყო გამძინვარებული, მთელ ქვეყანაზე გაბოროტებული მებორნე?

ბატონკაცური სიცილით ხარხარებდა იგი. ასეთი სიცილი მხოლოდ გალა-  
ლებულ შარვაშიძეებისა, დადიანებისა და ემზვარებისაგან სმენოდა არზაყან ზვამ-  
ბაიას, როცა იგი თხებს აძოვებდა აჩიგვარაში, ხოლო შარვაშიძეები; ემზვარები  
და დადიანები ლოთობდნენ, კარტს თამაშობდნენ და სხაპს ათამაშებდნენ ცხენებს,

რა საოცრად გარდაქმნის ღვინო ადამიანს, გაიფიქრა არზაყანმა და ამა-  
სობაში ღვინით სავსე მათარა შეაჩქრა ხელში მებორნემ. არზაყანმა თავი გააქ-  
ნია, უარის თქმას ლამობდა, თავაზიანობამ დასძლია, გამოართო, ცოცხა მოსვა.

დაცლა არ უნდოდა, მაგრამ მათარა არ დაიდგმება და, მონწესლას ხომ არ მიაწოდებდა უფროსებს, ამიტომაც გამოსცალა ზელმეოროედ.

არზაყანმა მამას გადასცა მათარა, უსიტყვოდ შეხედა მანქანას და გამოერკია: კიდევ თუ ფიქრობდა ამაღამ ენგურზე გასვლას, ცხვირზე შეატყო: ოღნავ შეზარხოშებულყო, ხოლო დათრობისას კაც ზეაშბაიას ცხვირის წვეტი განზე მოექცეოდა ხოლმე.

არზაყანა ბორნის ამბავი გამოჰკითხა მეზორნეს. მთვარე ამოსულია, მაგრამ ამელამ ჭაჯიც ვერ გადავიო ენგურზე, დაამოწმა ბერიკაცმა. კაც ზეაშბაია ადგა, ცხენებს უნდა მივხედოვო, მოიბოდისა, ცოტა ხანში მობრუნდა. მგზავრების ვინაობა და სადაურობა გამოიკითხა მეზორნემ...

მარულახეო!?

ეს რომ გაიგო, ძველი დროის ამბებით დაინტერესდა. არზაყან უამბობდა, რომ მას მარულა არც ისე აინტერესებდა, მაგრამ რაიკომს დაევალებია მისთვის აბხაზეთიდან მიმავალ ცხენოსნებს გასძლოლოდა. ამ წელს საქართველოს მიწსახკომი აწყობდა მარულას. ხელისუფლებას უნდოდა საქართველოს ცხენსაშენის ჯიშინი ცხენები ერვენებინა აბხაზეთისა და ოდიშარებისათვის. რამოდენიმე აბხაზური ჭაკი მოჰყავდათ აბხაზებს, თეჰას ულაყები უნდა გაეყვანათ მათზე, ტფილისიდან გამოეგზავნათ რამდენიმე წმინდა სისხლისა და ნახევარ სისხლიანი ცხენები, ერთი შესანიშნავი ანგლო-არაბი, ერთი წმინდა-სისხლის ინგლისური ჭაკი, სამი თექელი ულაყი, ერთიც გერმანული ულაყი, ყოველი იმპერატორის ვილჰელმის ცხენსაშენიდან. ხელისუფლება ამ საქმეს პროპაგანდის მოსაზრებით აწყობდა, ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გაენებებინათ თავი აბხაზებსა და ოდიშარებს ადამის დროინდელი ცხენოსნებისა და ცხენის მოვლისათვის.

ქეყანა იცვლებოა, უქადაგებდა არზაყან მეზორნეს, მთელი ჩვენი მეურნეობა ახალ საფუძველზე გადაგვეყვასო, ახლა კი დროა ეს დარგიც გადავახლისოთო, რადგან ძველი ჯიშები კვდებიანო, ახალსა და ჯანსაღს გზა უნდა მივცეთო.

მეზორნემ თავი ძირს დახარა ამის გამგონემ, კერიდან გადმოვარდნილ მუგუზალს წიხლი ჰკრა და ასე უთხრა არზაყანს:

•იცი ყმაწვილო, ცხენზე ყოველი კაცი ჯდება, უზანგებს თუ შეაწვდინა ფეხი, თუთუნსაც ბევრი სწევს, ლეინოსაც ბევრი სვამს, ქალსაც ბევრი დასდევს, მაგრამ არაფერი ისე ძნელი გამოსაცნობი არაა, როგორც ცხენი, თუთუნი, ლეინო და ქალი. ცხენის კარაბადინში სწერიოაო, გამიგონია:

„პირველად ზღვიდან რომ ცხენი გამოუყვანია ადამიანს, ექვსი პირობა მოუთხოვია თურმე ამ ცხოველს:

- სნეულს მომიარეთო,
- უნალოდ ნუ მატარებთო,
- ჭუა არ მომჭრათო,
- ყურის წვერი არ გამიხიოთო,
- უწმინდური დედაკაცი არ შემსვათო,
- წმინდა ალაგას დამაბითო“.

•მთელი ჩემი სიცოცხლე ცხენის მოვლის ამბავი მაინტერესებდა.

„თქვენ ალბათ გაგიგონიათ, მე ყოფილი გენერალი ვარ, სპეციალურად ინგლისური შემისწავლია ამისათვის. მე თავად მქონდა ცხენსამართლის სესი ჯიშები მყავდა.“

ხუთმეტი წლის ბიჭი ვიყავი, როცა საქართველოდან წამიყვანეს რუსეთში, კავალერიის სასწავლებელში, შენ ამასწინად შენი ლეგიონი ახსენე, უნდა გითხრა, ბედნიერია შენი თაობა, რომელსაც ჩვენდენი უბედურება არ განუცლია. შენ ალბათ წარმოდგენაც არ გაქვს იმისა, რასაც ჩვენ იუნკრები „კუკანიეს“ ვეძახდით. არც ერთ ენაზე არაა ამ სიტყვის ბადალი. ბალტიის მხრიდან გამოსულ გერმანელ ბარონებს მოგვიჩენდნენ, გამხეცებული ვახშისტრები და კორნეტები გვროზგავდნენ, გვაწამებდნენ, დედას გვაგინებდნენ.

„გავიყვანდნენ მანუში.“

„კერცებზე ნუ ზიხართ თქვენი დედა...“ დაგვხაოდა თავს ერთი წუნკალი გერმანელი კორნეტი, რომელსაც ჩხიკვს ვეძახდით ქართველები. დედის გინებისათვის ბარე ორს დავამტრიე ცხვირპირი. ყოველ კვირას კარცერში ვიჯექი. როცა კი დედის გინებას შევეჩვიე, ქართული ლაპარაკი და ჩვენებური ზრდილობა გადამაფიწყეს, დედას ვაგინებდი და მეც ვითმენდი დედის გინებას. გასაოცრად შემიყვარდა ცხენი, რადგან კავალერიის ყაზარმებსა და მანევებში ყველაზე სიმპატიურ ცხოველად ცხენი მეჩვენა. და გადავწყვიტე: საფუძვლიანად შემესწავლა ამ ცხოველის ვითარება და მოვლის ამბავი.

„მე სისხლი უნდა მელვარა რომანოვების მეფისა და მამულისათვის და როგორც ძალად გაათხოვილი ქალი, საყვარელს რომ გაიჩენს იღუმალ, ისე მეც ცხენი შევიყვარე სამსახურში, ვინაიდან მათი მეფე და მათი მამული, მე ისე შინტერესებდა, როგორც ნივრის ნაქურცვენი.“

„და მართლაც ამ ცხენმა შემომატარა მთელი ნახევარი ხმელეთი. მანჯურიისა და კორეის ველებზე ვებრძოლე იაპონელებს, მერმე ყირგიზეთში გამაგზავნეს, ათი წელი იქ მაროზგვინეს ყირგიზების, ბაშკირების ახალგაზრდები. რადგან ჩვენის წესდებით ისინი უდა გადამეჩვია ყირგიზულად ცხენზე ჯდომას და რუსული კავალერიის წესები შემეთვისებინა მათთვის.“

„იქიდან ტაშკენტში გადამაგდეს, ახლა თარაქმებს და სართებს მიმაყენეს, მათ სპარსულ-ინდური წესები სწევოდათ, თავზე დავაყენე ვახშისტრები და კორნეტები და ისე გავროზგე ისინიც, როგორც მე მროზგავდნენ ხუთმეტი წლის მანძილზე.“

„მერმე ის იყო მსოფლიო ომი ატყდა, ჯერ ნოვოჩერკასკში გადამაგდეს სათადარიგო კავალერიის უფროსად. აქ ყაზალებს, ჩერქეზებს, ყაზი-ყუმიყებს და ლეკებს მივდექი. მათ კავკასიური ცხენზე ჯდომის წესი აქვთ. ისინიც უნდა მომერჯულებინა, მთიულები ფიცხი ხალხია და მრავალ გზისს მომირეჯგვეს კორნეტები, ვახშისტრები, და მეც იძულებული გავხდი მრავალი გამეროზგა და გამეციმბირებინა.“

„აქედან ხელი წამომისვეს და აღმოსავლეთ პრუსიაში მიკრეს თავი. მემულში მე შევედი პირველად და ვილჰელმის საქონლის საჯიშოდან გამორეკილი ძროხები მე დავაკვლევინე, ჯალადანობებს, ბესელიებს, მანებს, მალაზონიებს, მაქაცარიებს, წიკლაურებს, ნემსაძეებს და ევანიებს ვაქამე. სამსონოვის დალუ-



პვის შემდეგ მე მოვიგერიე გერმანელების გადმოსვლა რუსეთის საზღვარზე, პრუსიის კავალერიის ესკადრონები ისე შეეშუსრე, ამზის წამდებარე მარჯამიშვია. როცა ლეოვთან ძალიან გაუქირდა რუსეთს, იქიდან მომხსნენ და საშინელი არტილერიის კანონადის ქვეშ პირველი დივიზია შევიყვანე ლეოვში. პერემიშლის სანახებში ვიბრძოლე.

კარპატების მისავალეებთან, მინსკის ქაობებთან სამჯერ შევეტაკე ავსტრიის კავალერიას. სწორედ იმ წელიწადს როცა რუსეთის კავალერიის ინსპექტორად დამინიშნეს, უნგრეთის ცისფერი ულანების სამი ესკადრონი გავანადგურე. მერმე ის იყო რუსეთის იმპერიას აბორტი გაუკეთეს ბოლშევიკებმა ვაცხონე მაგათი მამა, დაუმატა მებრონემ.

„ჩენ ბოლშევიკებს ცხონება არ გვწამს“. დასძინა არზაყანმა.

„ცხონება არც მე მწამს, მე წაწყყენდა მწამს მხოლოდ. ესაა ორივე ამ მიწაზე ხდება, ყოველი ადამიანი ამ ქვეყანაზე წაწყდება საკუთარი ცხოვრების წყალობით. მთელი ჩენი ახალგაზრდობა და ვაქეაცობა რომანოვების რუსეთს შევალე და მერმე როცა იგი დალბა, ამ გაზრწნილმა ლეშმა ისე ამომარწყია თავის პირიდან, როგორც იონა—ზღვის ვეშაპმა.

სიბერეში თვით მოლალატესაც სამშობლო მოენატრება და მეც უკვე წელში გატეხილმა, ბიეკებისა და ომებისაგან განადგურებულმა, რემატიზმებისაგან დასნეულებულმა, საქართველოს მოვაშურე, ჯარის კაცის დახეულ ფარაჯაში გადაცმული. ნოვოჩერკასკში დენიკინმა დამიჭირა და როგორც შავგვარემანს ბოლშევიკობა შემწამა. მერმე ის იყო ნოვოჩერკასკი ბოლშევიკებმა აიღეს და გენერალ დენიკინის კორპუსები ფარასავით წინ გაიგდეს. მე არ გავამხილე ვინც ვიყავი, როგორც მოხუცი შემიბრალეს და გამომიშვეს. საქართველოში რომ ჩამოვედი, მენშევიკებმა დამჭირეს, როგორც „დენიკინელი“. ოცდა ერთ წელს თავდებით განმანთავისუფლეს.

მენშევიკებმა სამწელიწადშიაც ვერ ისწავლეს ვერც საქართველოს ისტორია და ვერც გეოგრაფია. მათ არ იცოდნენ რომ, სწორედ ცხენოსანი ჯარი იფარავდა საქართველოს. ტფილისთან მომდგარი ტრამალები ბუნებრივი გაზრძელუბაა კასპიისა და აზერბაიჯანის სტეპებისა, ამ სტეპებით შემოდოდა მონგოლების, არაბების და სელჯუკების კავალერია და ჩენი შეფეებიც კავალერიითვე ებრძოდნენ მათ. დავით აღმაშენებლის 60.000 ცხენოსანმა დიდგორიდან ერზერუმამდის მისდია სელჯუკიანებს. მე სპეციალურად შემისწავლია ძველი ქართული ცხენის კარაბადინები. აქ გადმოცემულია ძველთა ჰინდოთა და არაბთა სიბრძნე. ამას ვერ მიჰხვდნენ ისინი და როცა ბოლშევიკების კავალერიამ ბეზობდალი გადმოლბა, მე და რამდენიმე გენერალს მოგვანდვეს კავალერიის შედგენა, მე თავიდანვე ვიცოდი სისულელე იყო: სამ თვეში კავალერიის შედგენა, მაგრამ სხვა გზა არ იყო, რადგან შლეგს სისულელეში თუ დასტური არ მიეცი, მტრად მოიკიდებ უთუოდ. დავეთანხმე.

მე ვიცოდი, რომ ძველ საქართველოში კავკასიური უნაგირი ჰქონდათ, ამიტომ კავკასიური უნაგირი მოვთხოვე, რადგან ინგლისური უნაგირი ევროპის ველებისა და ზეგანებისათვისაა განზომილი. გარდა ამისა, ევროპაში კავალერია მუდამ ხიდებზე გადის, ან წყალქვეშ ტონელებში. იქაური მდინარეების გრუნ-

ტი ქვიშიანია, ბოლო ჩვენი მდინარეები შეტყვილად აღპიურ წარმოშეგებისა და ცხენს ოღროზოღროზე უბდება გადასვლა. მე მინახავს ხევსურული დოლი ისეთ დაღმართებზე, რომ შვევარიც კი ცხვირს დაიმტყრევს. ამას იტანს შოლოდ ჩვენებური უნაგირი...

კაც ზვამბაიამ ისევ გაავსო მათარა და გაუწოდა, მებორნემ ისევ გამოსცალა არაყი და ისე მოაღუნა სახე, თითქოს ქეძაფი აყნოსვინესო.

„სად იყო ჩვენებური უნაგირი! ძველი რუსული უნაგირები შემოგვაჩინეს. მერმე ის იყო თავზე დაგვემზო ეს ოპერეტული რესპუბლიკა. ჩვენ სურამში გავგვზავნეს. თავადაც მცეცინებოდა, ერთი ვაგონი უნაგირი რომ ჩავიტანეთ სურამში, სურამელი ურიები დაგვესიენ, ასე ეგონათ გასაყიდი საქონელი ჩამოიტანესო.“

როგორც ხედავ ცხენის სიყვარულმა ამდენი მატარა ამ ქვეყნად. ასე ყოფილა: აღამიანს არასოდეს ის არ შერჩება ხელში, რაც უყვარს. მე ცხენი მიყვარდა განუზომელად და ეს თხა შემჩა ხელში.

არზაყანმა და კაცმა თვალი შეაღლეს კუთხეში მწოლარე თეთრწვერა თხას, რომელიც ისე აკანტურებდა თავს, თითქოს კვერს უკრავდა მებორნის ნათქვამს...

ვილაც მეჯოგემ დამიტოვა იგი სამი წლის წინად, განაგრძო მებრონემ, მკვლად მობილი ეგონა, ისეთი საცოდავი იყო, თვალს ვერ ახელდა, მერე ვუქიმე, გამოოვკეთე, გავზარდე, ახლა ვაძრებ ენგურის ქალებში, და მასაზრდოვებს ამ სიბერეში\*.

მამაშვილი გაოცებული შესცქეროდა მოხუც მებორნეს. კაც ზვამბაიამ მარულაზე გადაიტან საუბარი.

„ძველად მარულა უკედ გვექონდა მოწყობილი. წამოვიდოდნენ აბხაზეთიდან შარვაშიძეები, ემხვარები, ყოველ თავადს თავისი ამალა, თავისი ბიძაშვილები ახლდა. ზვამბაიები ემხვარს ვახლდით“. ეუბნებოდა კაც ზვამბაიამ მებორნეს. არზაყანს გულზე შემოეწითო ამ სიტყვების გამგონეს.

„მარულაზე მიმავალ თავადს ძიძაშვილი უჯდა უკან. განაგრძნო კაცმა.“

როგორ? შეეკითხა მებორნე.

„კი არ უჯდა, კაცმა რომ სთქვას, ძიძაშვილი ცხენის გავაზე იდგა და ორივე ხელებით გაზრდილის მხრებს ეყრდნობოდა. და ეს ხდებოდა მაშინ, როცა დოღის მოედანს უახლოვდებოდით. მაგრამ მოვიდნენ ისინი და ყველაფერი დაგვინგრიეს“. (კაც ზვამბაია არასოდეს ახსენებდა ბოლშევიკებს. თუ შვილს მიმართავდა „თქვენო“ ეტყოდა, თუ სხვას, მაშინ „ისინი“-ს იტყოდა).

შემდეგ ამისა, კაც ზვამბაიამ უამბო მებორნეს, ძველი დროის ნადიმობის, მარულას, ცხენჯობის და ნადირობის ამბები. მებორნეც თვალგაბრწყინებული თავს უქნედა, ღვინომ გადაავიწყა მებორნეს, არზაყანის მკერდზე შენიშნული წითელი ჟეტონი.

აილო ისევ მათარა კაც ზვამბაიამ, გაავსო და მებორნეს მიაწოდა. გამოსცალა მოხუცმა და მოზარდულ კიბოსავეთ წითელი ხელი ჩამოსხვა გაპუტულ ნიკაპზე.

„რა დრო იქნება ნეტავ?—ჩაილაპარაკა არზაყანმა.“



„ჯერ აღრეა“—ამბობდა კაც ზვამბაია...

ეროვნული

მებორნემ აბგებს გადახედა, ერთი მათგანი მიწაზე დაწეული ძარს დაგდებუიყო. ლენო კიდევ გვერდითა. გაიფიქრა მებორნემ.  
„ახლა შუალამე იქნება“.

კაცს გაეცინა. არზაყანმა ვერ გაიგო მიზეზი.

მებორნემ ჯერ მამას გადახედა, მერმე შეიღს. ვერ მიმხვდარიყო რად ეჩქარებოდა ბერიკაცს ასე. ზრდილობისათვის კიდევ შეიპატიეთა. ურჩევდა დილამდის მოეცადათ. დილას ეცდებოდა როგორმე გაღმა გაეყვანა ბორანი. „თუმცა“—ამბობდა იგი,—„მავთული დაშვებულია და ძალიან საეჭვოა ამ კვირაში ბორნის გაყვანა შესაძლებელი გახდესო“. კაც ზვამბაიამ კიდევ ერთხელ გაავსო მათარა, დაილოცა, მებორნესაც დააღეგინა, შემდე მათარა წელზე გაიკეთა, აბგებს ხელი დაავლო და აბხაზურად გამოემშვიდობა მასპინძელს.

არზაყანი უხმოდ მიჰყვა, მიხედა აწი ვერაფერი მუდარა ვერ შეაჩერებდა მამას.

მთვარე მოწმენდილ ასპარეზზე გამოსულიყო. აქატივით თეთრი ღრუბლები ლაქვარდს მოსდებოდნენ, კაც ზვამბაიამ ვარსკვლავებს შეავლო თვალი, შემდეგ რუხის ციხისაკენ გაიხედა, რუხის ციხე თავჩაჩქნიან რაინდივით შემდგარიყო მახლობელ გორაკზე, ჯანყი გადასკლოდა მთას. და მომავალ მარულას კარგი დარი უწინასწარმეტყველა.

„გლებების ვახშობა იქნება, მეტი არა“, ამბობდა კაც და ისევ რუხის ციხისაკენ იყურებოდა.

ვიღრემდის კაც ზვამბაია ცხენებს მოსართავებს უჭკრდა. მებორნემ რუხის ციხეზე ჩამოაგდო სიტყვა:

„შარშან აქ ვილაც ცხენონებმა გამოიარეს, ისინიც მარულაზე მიდიოდნენ. ერთი ამბავი დაავდეს ამ ციხის გამო ნათქვამი. რუხის ციხესთან ომი ყოფილა ოდესლაც. გაღმა ქართველები მდგარან, გამოღმა აბხაზები და თათრები. დიდხანს უტრიალეს თურმე ქართველებმა რუხის ციხეს. მერძე ფალანჯულ ბრძოლაზე გადასულან. ქართველებს ვინმე ჩოლოყაშვილი გამოუშვიათ, აბხაზებს ვილაც ემზვარი. ჩოლოყაშვილი ჰალარა კაცი ყოფილა, ემზვარი უწვერული ჰაბუკი. და სწორედ აქ, სადაც ჩვენი ბორანია, შეხედენ ერთმანეთს თორმე ჩოლოყაშვილი და ემზვარი.“

„ემზვარი ეყვთა პირველი და ხმლის ამოღება მოასწრო.“

„რას უცდი ჰაბუკო? — შესძახა ჩოლოყაშვილმა.“

„უფროსისაგან პირველ მოქნევას ველიო“.

გადახვევიენ ერთმანეთს ორივენი, იმდლიდან დამეგობრებულან.

„ძველ დროში“, ჩააგდო სიტყვა კაც ზვამბაიამ, მტრებს შორისაც მეტი თავაზი იყო“.

„ჰე, ძველ დროში ქართველი და აბხაზი აზნაურები ბრძოლდნენ ერთმანეთს, დღეს ქართველ და აბხაზ გლებებს რა აქვთ გასაყოფი? მებორნემ მტრებს შორისაც მეტი თავაზი იყო“.

საქართველოს  
საბარლამენტოს  
საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
საგარეო ურთიერთობების  
საგარეო ურთიერთობების

სადავეში ხელი წაავლო, წინა ფეხები სწორად დაადგმევინა, მარჯვენა ხელის ოთხი თითი შეუყო წინა ბაყვებში.

„ცხენი ჯიშინი სჩანს, დღე რომ იყოს მეტს გეტყობი.“  
 „არ ვიცი სადაურია, პოლიტიურის რწმუნებულად ვიყავი, ჩინარის მთებში ყუბანიდან გადმოსულ ყაჩაღებს წაეაწყდით, მათი მეთაური შეპომაკედა ამ ცხენის პატრონი“. არზაყანმა ცალი ფეხი აეყანდმო შედგა. ცხენი შეტორტმანდა, მებორნემ მოუარა, უზანგს მისწვდა, ითაკილა აბაზმა, მებორნე არ მოეწვლა. მოხუცმა მარცხნიდან მარჯვნივ შემოატრიალა მხედარი, მოიხსნა კისრიდან დახეული ჩაბალახი და გაუწოდა.

„რად მიხდა ჩაბალახი?“  
 „დამაჯერე, პაპად გერგები. ენგურმა თვალის ქცევა იცის, თუ თვალი აგიჭრულდეს, სახეზე ჩამოივარე“.

„მეოცე ჩაბალახი ვინ გაპოიტანოს?“  
 „აქითობას ხომ აქვე გამოივლით, თუ არა და შენი ქირი წაულია“.  
 ულაყი ცქმუტავდა, წყალში შესვლას აღარ აპირებდა ვიდრე მთრახვი არ მოხვდა. დაიფრუტუნა ცხენმა, რალაც საოცარი, კამეჩის ყროყინისებური ხმა გაშოსცდა და შეაპო ტალღები. ცოტახანს ესმოდა მხედარს როგორ სცემდა ფლოქვებს მდინარის ბსკერზე დახერგილ ღორღზე, შემდებ კი ცურვაზე გადავიდა ულაყი და მიასწრო წინ მიმავალ ქაქს.

მეწინავე ცხენს უკვე გავაზე გადადიოდა.  
 ულეველ სიმალიდან გადმოსცქეროდა მთვარე გრილით მიმავალ ენგურს და ტალღების უსრულო ლივლივში ცეკვავდნენ ახლად ამოღებულ აბრეშუმსავით ხახხასა სხივები. მეორე ნაპირი საესებით არ სჩანდა და ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს მთელი გადაღმა მხარე მთვარისაგან გაპრიალებულ ენგურს დაეპყრო.

მუხლამდის მისწვდა არზაყანს, აზიურ ჩექმებში ჩაუვიდა წყალი, მამამ ოდნავ ირიბულად აიღო გეზი, ასე ეგონა არზაყანს, ისევ გადმოღმა გამოდისო. ჯერ მშვიდად მისცურავდნენ ცხენები, მაგრამ ერთბაშად წამოვიდნენ ნდგანდგარით შედგარი, შეათანა ტალღები, ვერცხლის რაშებსავით მოგლავდნენ ისინი ზათქითა და ქმუილით. ულაყმაც მარჯვისაყენ გაუხვია, ტალღა მუხლს ზევით სცემდა არზაყანს და ცხენის ტახტაზე მოექრა წყალი.

ქაც ზეამბაიამ მიუშვა ქაჯი, მხედარს წელამდის მისვლოდა წყალი.  
 ნება-ნება მისდევდა ენგურის სწრაფდენას არზაყანის ცხენი, სრილით ლივლივით მიჰქონდა ენგურს შავი ჯირკვები და ნამორები და ამ ატოკებულ სელაში სიხარული იგრძნო არზაყანმა უეცარი, ცეკვავდა ტალღებში თეთრი მთვარე და თეთრი ტალღებისა და მოთეთრო ზეცის არეულ ფონზე ელავდნენ თამარის ზღვისფერი თვალები.

მოესმა ყიფინი არზაყანს, წინ გაიხედა და მამა ბლარსად იყო, განზე გაიხედა და ყველგან ენგური იყო, ენგურს დაეპყრო გაღმა და გამოღმა მხარეც.  
 „პაპაპაიტ მარჯა“. დაიყოყნა არზაყანმა. გაიხედა მარჯვისაყენ, გახმაურებოდა მამის, წყალმა წაიღო ეკების და უნდა მიშველებოდა, გამაპრუებელი ქმუილი ესმოდა და ტალღები ცეკვით მისრილებდნენ უსრულო სარკისებრ გალაკულ სივრცეში.



კაც ზვამბაიას ცხენს ცურვის გეზი არ შეუცვლია. მამა ზედავედა-არზაყან ამ გეზს გადაადინა ენგურმა, უძახოდა ყოყინით, აცნობდა ქვემოთ სხივებზე აიფარეო, მაგრამ არვის ესმოდა მისი ყოყინა.

ცხადი იყო: გამოუცვლელი ულავი და ასევე ხავი მხედარი სწრაფად შეიქცეის ტალღებმა და გაიტაცეს. არაფერია, ფქრობდა კაც ზვამბაია, უნდოდა ენაბა როგორ გაუმკლავდებოდა მისივე სისხლი ბობოქარ ენგურს. ჭკუას ისწავლის, გამოადგება, მე რომ მაგის ხნის ვიყავი, მარტო გადაიკურავს ენგური.

კაც ზვამბაია უკვე ნაპირს უახლოვდებოდა და უცებ დაჰკარგა შვილის ლანდიც, შემოენთო გულზე კაც ზვამბაიას მამის წუხილი, შემოაბრუნა ცხენი და შეუტია ენგურს ნაცადმა ვაჟაკმა. ჩაბალაბი სახეზე ჩამოიფხატა და მიჰყვა წყლის მდინარეებას.

ახლა უჩინდნ მოუბრა მოხუც მხედარს ვერაგვა ენგურმა და მედგარი ტალღები ეკეთენენ კაც ზვამბაიას, მაგრამ სადავე მაგრად ეჭირა მხედარს და უჯიათად მიაკურებდა შვილის საძებნელად ცხენს.

შეიტყო მხედარმა რომ ცხენდაცხენ სულა არ ივარგებდა რადგან ტალღები უკვე მასრებზე სცემდა, გადაადგო ნაბადი წყალში. სადავე ტაბატაზე მიაკრა და გაღეშვა ენგურში.

გაიტაცა ცხენი ერთბაშად წყალმა, მაგრამ მხარული ვაჰკრა კაც ზვამბაიამ, ძუაში წაივლო ცხენს ხელი და ცურვით მიჰყენენ ორივენი წყალს. ცხენი ჭმინავდა, მხოლოდ თავკისერი მოუჩანდა წყლიდან.

და აბა ზედავეს კაც ზვამბაია დასავლეთისაკენ მიმკურავ არზაყანის ზემო ტანს. არზაყანის ცხენი არსად სჩანდა და ისეთი შთაბეჭდილება იყო: თითქოს წყლის ზედაპირზე ჩოჩვით მიდიოდა არზაყანი. მაშინ დასცა ყოყინა მამამ, უნდოდა შეეკრთო ეს აბობოქრებული, გათავხედებული ენგური. შვილი გაემნევებინ ვაჟაკი. მოესმა არზაყანს მამის ყოყინა, მკლავებში მოემატა ძალა და ცხენს კისერზე შემოჰკრა მათრახი, რადგან მხოლოდ თავკისერი მოუჩანდა ულავს. და ლანდის უსწრაფესად ხელი წაივლო ავეანდში ულავს და მხარმარცხნივ აქცევინა პირი.

თენდებოდა როცა მამა და შვილმა ნაპირს მიღწიეს. კმაყოფილი იღიმებოდა კაც ზვამბაია, გათამამებულ შვილს წყალში მაინც რომ აჯობა.

ტოროლებს აქონდათ ცაში ამ ტყის, ამ მზის სავახაფხული ჰინი, წრიპინებდა ფალაგებში გულწითელა სიხარულით სავსე სიმღერას გახაფხულიას, შემოსილიყო მოყვითანო მწვანით საუკუნოზე უბუცესი ზუხა, გახაფხულს მოეტანა მისთვის ახალი მშენება, ახალი სამოსი.

გადმოსულიყო მზე პირგაესილი და მოხასხასე, მეწამულ ოქროს აფრქვევდა ქალებსა და ველებზე.

და წინა ღამით კლდეებთან ნაბრძოლი ენგური მიტლამუნებდა, მიგელავდა და დაქანცულ მამაშვილს მუხის ძირას ფეხმორთხმულს, ისე მოესმოდა ენგურის მგრგვინავი ხმა, როგორც მილლიონების პირით ნამღერი ენგეაშვა.

## II შუკალების პატრონი

ეროვნული  
ნიმუშირთიქა

ოდითგანვე ასეთი წესი იყო შარვაშიძეების ოჯახში, როცა ბაბუა ტარიელ ნასადილევს თვალს მიკლულავდა, დიდსა და მცირეს პირი უნდა აეკრა.

ნახუცარი აბხაზეთში არ დააყენეს, ანაფორა არ გაიხადა, ახალ წესებს ვერ შეეგუა, ენა არ გააჩერა, ყოველ ქადაგებაში ბოლშევიკებს ლანძლავდა. ვის არ ადარებდა მათ, „სადუქველებს“, „კათაკმეველებს“, „მეგვიპტელებს“ და კიდევ ვილაცივებს.

„სახითა ტარტაროში, შუჟლითა ბარბაროსი“ დაარქვა ჩალმახს, რაიკომის მდივანს. მერმე წამოუსვენს ხელი და გადაასახლეს ბაბუა ტარიელი.

ბაბუა ტარიელმაც ქრისტიანობისათვის გვემულ წმინდა მამებს მიაკუთვნა თავი, თავის მცირერიცხოვან მრევლს გამოეთხოვა და შვილის ოჯახში გადმოსახლდა ზუგდიდში.

ხერხის შარვაშიძე გინეკოლოგიის პრაქტიკას ეწეოდა დაბაში. როცა ექიმი ტფილისს წავიდოდა, ან ავადმყოფების მოსვლა მოსალოდნელი არ იყო, ბაბუა ტარიელ კაბინეტის კარებს მაგრად ჩაჭკეტავდა და ხმაილა კითხულობდა სახარებას ან დავითნს, ალაგ ალაგ „მეგვიპტელების“, „მტრების“, „კათაკმეველების“ ადგილას „ბოლშევიკებს“ ჩაურთავდა და როცა ქადაგებით, ლაღადებითა და წყევლით გულს მოიხახვავდა, ტყავ გადაკრულ შავ დივანზე წამოწვებრდა, იმავე ადგილზე, სადაც რამოდენიმე საათის წინად სააბოროტოდ გამზადებულ ქალებს სინჯავდა ვაჟი მისი ხერხის.

ბაბუა ტარიელ შავ დივანზე ისვენებს.

მაგრად დაგმანულია ხის დარაბები. სჩანს ნედლი ხისაგან გაუყუთებით ოდესღაც ისინი. ფიცარსა და ფიცარს შორის გამონაქონი ჩალისფერი სხივები ცალყბად ეთამაშებიან თეთრად შეღებილ გინეკოლოგიურ მაგიდას, ლითონის კარადას, რომლის თაროებზე გამწკრივებულია თათო ბავშვისათვის თავის გასაქყლეტი მეტალიური კრანოო კლასტ. ნიკელის სამენაო მარწუხები, უშველებელი ქანგები, ავტომატიური სარკეები, კატეტრები და კიურეტები; მომკრთალო სხივი ადგება მოპირდაპირე კედელზე გაწკაპულ მოკროვილ ჩარჩოებში ჩასმულ სურათებს ექიმის ხერხის შარვაშიძის წინაპრებისას. ამ ღარიბულ განათებაშიც ეტყობა ამ სურათებს, მათი პატრონები არც ისე გულმოდგინედ უვლიან მათ. ობობის ქსელით დაბლანდულია ჩარჩოების კუთხეები. ნწერებს წაუბილწავთ ოქროცურვილი ძვირეები და სურათების მოთეთრო ფონი.

არც თუ დიდი ხელოვნებითაა ეს გმირები განსახიერებული. მხარმარცხნით პირველი, პაპის მამაა ტარიელ შარვაშიძისა მურხაყან, ყურთმაჯიან ქართულ ქულაჯაში გამოწყობილი. იგი ოჯახური გადმოცემის მიხედვით აბხაზეთის მთავარს თავის ღვიძლ ძმას განდგომია, მერმე აქართში — საქართველოში გაქცეულა, ვახტანგ მე-6 გაყოლია და სადღაც, რომელიღაც ომში მოუკლავთ პრუსიელებს, თუ თათრებს. მისი სახე საქმაოდ ბუნდოვანად გამოხატულია წამალგამოხუნებულ, გაშავებულ სურათზე.

მის გვერდით მაღალ ფაფახიან გოლიათს ქართულ ლეკურზე დაუდევს მარჯვენა. მას აშვარად ეტყობა: ეს კაცი ღვიძლი შვილია იმ თაობისა, რომელიც თი-



თო ცხვარს ა რ იკმარებდა საუზმედ. იგი იმერეთის მეფის სოლომონ მეორის მეჯინბეთ უზუცესი ყოფილა, და მასაც მამის მისის დარად უკუბრუნებოდა უპოვნია სამარხი. რუხში სახელი გაუთქვამს და ტრაპიზონში გამყოლია მეფეს.

ო რი დანარჩენი საქაოდ ვახუშტულ სურათზე გამოხატული, მხარმარცხნით, პირველი ტარიელ შერვაშიძის პაპაა: ხარზამან, რუსის გენერლის ჩინებით შემკული. თუმცა იგი წერაქითხვანე მწყურალი ყოფილა. მაჰაჯირების დროის რენეგატს, ცალი თვალი რუსეთისაკენ ეჭირა, ცალითაც ხონთქარს ფაშიყვბოდა. კრუხის უჯანალსავით გამოპეტული აქვს ორპავი ნიკაპი, მის მკერდზე ორდენების მთელი კანკელია გაკეთებული.

ამპირის სტილის სავარძელში ზის, სწორყუიან პრუსიულ ხმალზე დაუბჯენია ხელი, მას ყარსის აღებაში წილი დაუდევს, თუმცა გულში „აურუსებიც“ ეზიზღებოდა და მათი ჩინებიც, აბხაზური ჩოხა ქვეყანას ერჩია, მაგრამ ჩოხას ორდენები არ უდგებოდა, ბოლოს მაინც ორდენები არჩია აბხაზურ ჩოხას, ოცი წელი შამილს ებრძოლა, გუნიბზე აყოლია ბარიატინსკის, მრავალი აჯანყება ჩააქრობნია რუსებს და მერმე აბხაზური აკვარ გახირებია ჰამის დროს და დამხრწალა. ხოლო მეორე გრძელწვერიანი მოხუცი ტარიელ შერვაშიძის მამა — სახელგანთქმული მხედარი და მონადირე. მანუჩარ თვალის გუვიდან ამოღებულევით მიაგავს თავის შვილს, მასავით ახოვანია. მრისხანედ წარბშეყრილი, ფრიად ბანჯკვლიანი წვეროსანი. მან თავი ისახელა შინაურ ფრონტზე. გლეხებს უღვაშებს აგლეჯდა და ყველაზე რაციონალურ გამასწორებელ ზომად ხმარობდა დანაშაფე ყმის შიშველ მკერდზე ცხელი ლომის დაგებას, ნემდეგ ამ ლომზე ძაღლებს მიაშვებინებდა.

ტარიელ დიდის პატივით ახსენებდა თავის მამას და რატომღაც ამტკიცებდა ნამდვილი წმინდათა სწორი იყო ამ წმინდანს არა ერთი და ორი ადამიანი გაუსტუმრებია საიჭიოს საესებით უმიზეზოდ და ამ ჩინოსანთა და უჩინოთა გალღერეას ასრულებდა ტარიელ შარვაშიძის მეუღლე ჯახანა.

უცნობ მხატვარს გასაოცარი ფერთა სიუხვით შეუმკვია მისი ეთეროვანი სუული და ლიმონის ფერი სახე უფაქიზეს სინატიფეს ამკლავნებს.

პირის ფერი აბრეშუმის ყამჩები უშვენებს პატარა და ჯიშთან თავს. მანდილი ახურავს ბლონდზე გაკეთებული, მოკეთრო ფონზე გასაოცარის ოსტატობით ოქრო მკედით გამოსახულია მუხის შტოები, ყვითელი მწიფობის ფერისა, ხოლო რკობის ჯამებს სოსანისა ვადაჭკრავს ოღნავ, შარვალიტის მტევნები ჰკიდია პატარა ყურებზე.

როგორც სახე, ისე მთელი სხეული უმტკიცებს მხატვრის იშვიათ მოდელს, რომ ეს შევენება წრეს გადასული რასის რაფინირებას ადასტურებს მხოლოდ.

და დიდის გულმოდგინებით შეუსრულებია მხატვარს ჯახანას გულის პირი შინდის ფერი აბრეშუმისა, დიდის ოსტატობით გადმოცემულია აწ გადასული ქართული ოქრომკედლის შედევი. ოქრომკედლის მარყუჟა ბურთულები, კვიმბრის ფოთლების მინაგვარი როზეტები და კაუები.

ყურთმაჯების ძვირმდე ცისფერი აბრეშუმით ნაქარგი კაურებიც კი გამოჰკრთიან. უფრო დიდის ოსტატობით განსახიერებელია მაღათინით ნაქარგი ფარჩის კაბა. წითელ ლაღებიანი ჯვარი ჰკიდია ყელზე მასსიური ოქროსი

რულად. კაბა კრინოლინის მინაგვარია, ხოლო შინდისფერი ბავშვების ქათიბი-  
კიდევთან მოოქროვილი ფაფინებით შეუქვია ოსტატს. მინჯიმონიქა

და ყოფილი დეკანოზი ამ მისაღებ ოთახში ისვენებს არა წინაპართა-  
თვისთა პატივსაცემად, არამედ იმიტომ რომ იგი მთელს ქვეყანას თავის სუ-  
ლიერ მყუდროებას ანაცვალებს.

გაწოლილია ბაბუა ტარიელ შავ დივანზე და ნებიერად სთვლემს.

ამ ოთახამდის იშვიათად თუ მიადწევს მსახურებისა და შინაურების ფე-  
ხის ხმა და კარების უზიავო რაჯკუნი. თუკა ღრმა სიბერეში გადასული  
„ქრისტიანობის ქადაგი“ თევზობას და ნადირობას ეწევა, მაგრამ მუდამ ქარ-  
მკვალების ეშინია და „კარი, კარი, კარი“ გასძახის დიდსა და პატარას.

გასჭინთავს ბაბუა ტარიელ წითელ ფოსტლებში ჩადგმულ, მორგვივით-  
მრგვალ ფეხებს, ფოსტლის ლანჩები ბუხრის საფუძველის კირმემოცლილ იგუ-  
რებს ებჯინება და დივანზე გადაწოლილი დიდხანს მონოსხულსავეით უყურებს  
ფოსტლების მოკაუჭებულ წვეტებს.

მუცელზე უწყვია ბაბუა ტარიელს თავისი ბანჯველიანი, მსხვილი ხელები,  
ხშირი და შავი თმა უწესრიგოდ მოსაეს განიერსა და ძარღვიან ხელის ზურგს,  
რომელსაც უმწიფარი თუთუნისებური შავი ტალები ატყვია ხშირ-ხშირად, კა-  
კლის ოდენა ბურთულები ამობურცულან თითების სახსრებთან, ძველი პერგა-  
მენტვივით ყვითელა კანი ალაგ ალაგ უზომოდ შემკვნარია და უსიცოცხლო.  
თავად თითების ზურგით ზედ შუა სახსრამდის თმითა შემოსილი და ყოველ  
სახსარს თითისას ბეჭდებივი უ შემოხვევია ნაოქების ხშირი რკალები.

შესცქერის უსახზნოდ ბაბუა ტარიელ თავის წითელ ფოსტლების ბერძნულ-  
კატარლსავეით კვირტმოკაუჭებულ წვეტებს... ეკლებს თვალი ერთი და იგივე  
საგნის გამუდმებული მზერით, ზანტად აყოლებს თვალს ნახშირით დაჩაპნილ  
ბუხრის ფასადს.

ორი მოკენწლავე მამალი გამოუხატავს მასზედ კალატოზის უწვრთნელ  
ხელს, და რაღაც საოცარი, ალევგორიული ცხოველების სურათები დაუჯღაბნიათ  
ნახშირით, მოცლილ მსახურებს თუ ბაღლებს.

ასწია თავი ბაბუა ტარიელმა. უფრო ნებიერად გაიშხვართა სავარძელში,  
გასწყურტა ახალობის ღილი ფაფუკმა ღიპმა და მზერა გადაიტანა მკერეტელმა  
ბუხრის თაროზე შელაგებულ ფერაი კინკილებსა და შუშის ვაზებზე. უღაზა-  
თოდ მოოქროვილია ამ კინკილების ხელსაყიდები და საპირე, კინკილების შო-  
რის საესე, მომწვანო წყლის ვაზა სდგას. წურბლებს ინახავს ყოველ შემოდგო-  
მას ტარიელ ამ ვაზაში ზედმეტი სისხლის გასაღებად. ამ წურბლებში ზოგი  
მძიმესა ჰგავს ბლაგვი კალმით დაჯღაბნილს, ზოგიც მარყუჯს ფომფედ გამოს-  
კვნილს. მომწვანო შუქის არილი ლიკლიცებს მახლოვდელ კედელზე და შეზარ-  
ხოშებულ მობუცის მზერა ბაღღურად ერთობა იმ საოცარი სხივისნობის გათა-  
შაშებით. ფეხები მოაცილა ბაბუა ტარიელმა ბუხრის საფუძველს და ფეხი ფეხ-  
ზე შემოიდგა.

ახლა უფრო მძიმედ ჩაეშვა მისი სხეული ზამბარებმოშვებულ შავს დი-  
ვანში.



თვალი მილულა ნებიერად და მისი გრძელი, მწითური წამწამები ველარ იკავებდნენ შურუიან შუქის ლიცლის ხედ წამწამების რიგებში. ნელნელა იშრიტება მისი უქმად ყოფნისაგან უზომოდ მოქანცული გონება, იგი უკვე არაფერს აკვირდება, არც თუ საფუძველი დარჩენია რამე, უშველებელი, ძველებური კედლის საათის მონოტონური ტაკატუკი კიდევ აკავშირებს მას დუმილში ჩაფლობილ გარესამყაროს სიცხადესთან. საკმარისია სულ ერთი წუთით შესდგეს ამ საათის პენდელის მოძრაობა და ბაბუა ტარიელი; თვალში დაივსება მორიალე სხივი და თავისებური გმირული ძილით დაეძინება კიდევაც მაგრამ ნასამხრალი მზე დასავლეთისაკენ მიეშურება და გარემოში გახმიანდა შაჟი ზღვის ქალიკონით სულმოთქმული ცხოვრება.

ჩალის ზვინებთან დაყუნიკულა ბროლია აყვება. დაიყუეს ზანტად, შესდგება; კიდევ დაიყუეს სიზმარს აყოლილსავით, ერთი, ორი, მერმე ზედიზედ სამჯერ და დადუმიდება, დადუმიდება და ისევ გაიშვართება სიჩუმე კარ-მიდამოში. სადღაც ქათამმა დაიკაჟანა. კიდევ ცოტა ხანს ყუჩობდა გარემო და, მერმე სულ ახლოს მოესმა ბაბუა ტარიელს თავის ქალიშვილის თამარის წკრილა ხმა „ლუკაია, უნაგირი ჯერ არ მოხადო ცხენს“.

ხერისპი სოფლიდან დაბრუნებულა. მაკამ მშვიდობით თუ მოილოგინა ნეტავი? შესაძლოა მარულაზე მოსული აბხაზები იყვენ. კაც ზემბაია თუ ჩამოჰყვა კარგი იქნება, ფიქრობს ბაბუა ტარიელი, მაგრამ ეზარება თვალის გახელა. ახლა გარკვეულად გაიგონა მან თუ როგორ დაჰკრა ჭვავზე ფეხი ალვისხეებზე მიბმულმა ცხენმა.

„კიდევ არ დაუქედია მაგ შეჩვენებულს ცხენი“? იელვა ბაბუა ტარიელის თავში ახალმა აზრმა.

როგორც კიბოები გამოვლენ ხოლმე თავიანთ დარანიდან ბნელ ღამეში ნოთეს შუქით წაქეზებულნი, ისე გამოვიდნენ მისი მთელმხარე გონების უფსკრულიდან ახალი ფიქრები.

„ლუკაია უდღეურია, გამოჩერჩეტდა ბებერი, მისოვის სულ ერთია დიქედლილი ცხენი თუ დაუკადავი“. სადღაც შეპეცნების სიღრმეში ბრაზი წაეკიდა, მაგრამ წამსვე ძილმა დააშოშმინა იგი.

ძილფხიზლობს ბაბუა ტარიელი და გაურკვევლად ესმის ხან და ხან თუ როგორ დაატარებს ცხენს ალვების ხეივანში ლუკაია, ცხენი ალაგალაგ ჭვას წაეფორბილება, ეს კი გარკვევით მოესმის ბაბუა ტარიელს.

მახლობელ ოთახში მოსამსახურე ქალმა გაიშლინგა, რაღაცას წაებლანდა. ცოტა ხანს ხმა გაიკმინდა, მერმე ფეხაკრეფით გავიდა.

ვიღაცას საინი გაუარდა ზელადან სასადილონი. ქალის ხმა მოისმა ბრაზ-მორეული, თავის რძლის კაროლინას ხმა იცნო ბაბუა ტარიელმა, ალბათ პატარა თათიას უყვირის კაროლინა, ან თავის ქმარს უწყურება გვიან დაბრუნებისათვის. ასე ივარაუდა ბაბუა ტარიელმა.

მტრისას, მტრისას ასეთი აშარი რძალი,—ხმამალალი ფიქრი ღინღამოზს მოხუცის თავში.

წაკორტიდან თხის ხეელა მოისმის, რომელიღაც მამლაყინწამ სავსებით ამოდ სცადა თავისა ხრინწიანი ხმა.

მუშტებად შეკრული ხელები მკერდზე დაუკრეფია ბაბუა ტარიელს, თითქმის ნიკაპთან მიუტანია.

ზედ შეჭვენია ცხვირის თავის ოდენა მუშტებს თეთრ და გრძელ კრდეებთან შეყვითლებული წვერი.

ძალი იფინება ბაბუა ტარიელის ლაყლაყა ლოყებზე, თვალის გუგების ძარღვებზე ფარფალებს ძილი.

ცხვირის ზემოდ წარბებს შორის ამოსულ გაშავებულ ბეჭებზე ფრთების ფარფატით დაჯდა რომელიღაც მწერი, შეინძრა, შეირბა წარბები და მომდევნო შუბლის ძარღვები, არ მოეშვა მთვლემარეს აბეზარი. გააქნია თავი ბაბუა ტარიელმა, ზანტად აღიმართინენ მისი გრძელი, მწითური წამწამები და სიცარიელეს მიაშტრა ნახუცარმა გაწითლებული თვალები.

ისევ დაეშვენ წამწამები და მაგრად მოხუჭულ თვალებს წამოესიენ კიდევებთან ათასგზის დაკეცილი ნაოქები. გაურკვეველი რიალი შემოესმა ბაბუა ტარიელს, ნახევრად ჩამობნელებუ არეში. ვერ გარკვეულა მძინარე: სადმე ეყენებს აელარუნებენ თუ ლოცვებისთვის რეკავს მნათე შარვაშიძეების საგვარეულო ეკლესიაში?

„რაო? ბოლშევიკები ხომ არ წასულან ნეტავი? გაუბნა ძილმა ბაბუა ტარიელს ხელები, დამღურებულ ძმებსავით დასცილდნენ ისინი ერთი მეორეს, ნელა, ნელა გადმოზოზდნენ ხელები ბაბუა ტარიელის კიდევანიერი მკერდიდან ზორბა და ფაფუკ ფაშეებზე და მიცვალებულის ხელებსავით გადმოეკიდნენ სავარძლიდან. გადაეკრა ოდნავ შესამჩნევი ღიმი ბაბუა ტარიელის დაქანცულ, ოფლიან სახეს.

„ოჰო, პო ო ო...“ წამოსცდა მის წითელ პირს.

ოდნავ შეტოკდა ზემო ტუჩი. ეს თავის განსვენებულ მეუღლეს ჯახანას გამოეღაპარა ბაბუა ტარიელი.

უთენია ადგა ახლად ჯვარ დაწერილი მღვდელი ტარიელ, ლუკაიამ ცხენი და მეძებრები გამოიყვანა. მიმინოების ეყენების ქლარუნი მოესმის. აბგაში საუბრე ჩაიღო და სანადიროდ მიემართება ახლად ნაკურთხი მღვდელი. გადმომდგარა ჯახანა ოდის აივანზე. ზაფრანის ფერი ყანაოზის პერანგი აცვია ჯახანას. წვრილი მარგალიტების ღილებით შეკრული და ძუძუები მწიფე ბროწეულებს მიუგავს მიტომაჯ.

„ნუ მიხვალ ბატონო სანადიროდ ამ დილას“, ეუბნება ჯახანა (ბატონს ეძახდა იგი თავის ქმარს სიცხადეშიაჯ, რადგან აბხაზური წესისამებრ ქმრის სახელი არასოდეს უხსენებია).

„რატომ ამბობ ამას მუთარე?“ ეუბნება ბაბუა ტარიელ ხათუნას თავის ძვირფას ფერცხალს.

„ცუდი სიზმარი მქონდა წუხელის“.

„რას მომცემ რომ დაებრუნდე?“ ეკითხება მომლიმარე ქმარი მზეთუნახავ ცოლს.

„ჩემს ნაწნავებს გიჩვენებ“.

მიუგდო ლუკაიას ცხენი ტარიელმა. შეუძღვა ცოლი ტარიელს შერკაშიძეს საწოლ ოთახში, შეიხსნა თეთრი ლეჩქით შეკრული თავი. გაიხსნა შეიღვეცად



თავზე წამოკრავნილი ნაწნავები, თეძომდის მისწვდა. გაიხარეს სეტყვარში ბაბუა ტარიელის დაქკნარმა გულმა და ის იყო ნეტარების ღიმილი. შეუტოვებო ხემო ტუჩი. არ დასცალდა ბაბუა ტარიელს ზედნიერი ზმანებით დატკობა. პიანინოს ხმა მოესმა საიდლანაც. თავდაპირველად შორიდან მოისმოდა ჯივი. სულ მცირე ხანში უფრო და უფრო გაძლიერდნენ ბგერები. წვრილი ზარების, თუ მიმინოს ეყვნების ელარუნის მინავარი.

შეტოკდა ბაბუა ტარიელის ძილით გაღეშილი სხეული, მთელემარემ ზე-შემარი. თავი. ხელები გულმკერდს ამოაყოლა, თითები ერთი მეორეზე გადააქ-დო, ამასობაში დასავლეთისაკენ გადახრილი მზე მომეტებულის ცხუნვარებით შემოსწოლოდა დარაბებს, მთელს დარაბაში მოციაცე სხივების ლარები გაება, ოდნავ თვალსაჩინო მტვრის ნამცეცები ცეკვავდნენ ზოლიან სხივების ლიცილის აყოლონი.

სპილენძის მღზარდევით ლაპლაპებს მოხუცის გასხივოსნებული თავი. ოქ-როსფრად კიანთობს მის სახეზე ქერა წარბების ძირები და თეთრი წვევრების მომიჯნე პაწია ჩალის ფერი ბუსუსებით სირმასავით ვარვარებენ. იმძლავრა მუ-სიკის ტალღამ. „ვინ უკრავს ნეტავი?“ გაიფქრა ბაბუა ტარიელმა.

იმძლავრა ნასამხრალმა მზემ. ნიავს გაულია ოდნავ დარაბა ფანჯრისა. ზეიმით იჭრება მთელს ოთახში მზე და მთელემარე ბაბუა ტარიელმა ველარ გაუძლო მომეტებულ ციაცს. აივსო მისი თვალი უხვი სინათლით, გაიზმორა, ზეღმართა ბანჯგვლიანი მკლავები, და ყრუდ აქრაქუნდა შავი დივანი. და ტა-რიელის თვალის უკეზე მოფარფატე ძილმა უნებლიედ დაუთმო დარაბაში მო-ზეიმიე მზეს.

აილო საწოლთან მიყუდებული ყვარჯენი ბაბუა ტარიელმა, მაგრად შე-მოქკრა სამჯერ საწოლის ძგიდეს, შეკავებული ჭრილივით გაილო კარი და შე-მოვიდა ფეხაკრფით თამარ. ატმის ყვავილის ფერი ჩითის კაბა ეცვა თამარს და თავად მზეს ჰგავდა ატმების ბაღში გამოსულს.

„ვინ უკრავდა?“ ეკითხება ტარიელ.

„თარაშ ემზვარი, ჩამოვიდა ესეცაა, ვერ დავუშალე სტუმარს“

„ცხენით ჩამოვიდა?“

„არა, ოჩემჩირის მატარებელს ჩამოჰყოლია“.

ნახუცარი დადუმდა.

„ხომ არაფერი გინდათ მამიკო?“

„არაფერი, წადი“, უპასუხა ბაბუა ტარიელმა და კარებისაკენ მიმავალ შვილს გააყოლა თვალი. თეძობამდის სწვდებოდა ნაწნავები თამარს.

ჯახანა მოაგონდა ბაბუა ტარიელს. ზედგამოჭრილი ჯახანას თმებია გაი-ფქრა ბაბუა ტარიელმა. კედლისაკენ მიბრუნდა და თვალები მილულა ისევ. ამ წუთში მის თვალწინ იდგა სწორედ თამარის ხნის ჯახანა, ასევე ტანკენარი, მასაც თეძომდის სწვდებოდა გამოხურენებულ სპილენძის ფერი ნაწნავები. სახი-თაც ძლიერ ჰგავდა თავის დედას თამარ. გაბრაზდებოდა უთუოდ ბაბუა ტა-რიელ მაგრამ ჯახანა წარმოუდგა თვალწინ ამ ქვეყნად მეორედ მოსული და ამიტომაც აპატი თამარს, რომ მისმა სტუმარმა ძილი დაუფრთხო.

## III. კოლხადის ბულბულა

ეროვნული

„წამწამთა მისთა შვილდებმაჲნი“  
აბხაზთაგან უსწავლიათო\*.

თამარი სავარძელში იჯდა თავის ოთახის ფანჯარასთან, ბაღში აყვავებულ ხეებს გასცქეროდა, ალუჩა გამოსულიყო გასათხოვარ ქალწულივით თეთრი სამოსლით შემკული. ატმები ჰყვოდნენ ბაღში, ვაშლების ყვავილის თეთრი, სულ თეთრი მტვერი და ფურცლის ნაშუსრევი ცვივოდა ახლად მოსულ მოლიბრო მოლზე. მარად მწვანე ჭაის ბუჩქებს მთელი ქვარტალი დაეკირათ, ნარინჯის ბაღნარი ბიბინებდა მწვანედ. და მაგონლიას ფოთლებიც ისე კრიალებდნენ როგორც სტერლინგის ლაქი.

თარაში ემხვარ პიანინოს უჯდა, გრიგის სუიტას უკრავდა. თითები განუკითხავად დასრიალებდნენ ნაჩვევ კლავიშებზე, მაგრამ თარაში ემხვარის ფქვირი მიჰქროდა შორს, გერმანელების ნისლიან ქვეყანაში, სადაც აპრილში ვაშლის ხეები არა ჰყვავიან, ხოლო ატმები და ალუჩები ორანჟერეებში თუ გასძლებენ, გარშემო ჯერ კიდევ თოვლია მოლიბრო.

იღგა თანარი და გასცქროდა მთას გაღმა მიმავალ აპრილის მხეს.

გაჰქროდა სხივი მიწაზე გამოსულ მწვანეს, ფითრდებოდა ბაღში გამოსულ ყვავილთა სითეთრე, მოლისა და ფურცლების სიმწვანე და ზედ ფანჯრის პირდაპირ გამწკრივებულ სკაში უნიათო პუტუნით ბრუნდებოდნენ ფუტკრები ველბის, ბოსტნების და წალკოტების ყვავილთაგან მონაგარი მტვერით.

და ისეთი მყუდროება სუფევდა ბაღში, რომ ამ დაღალული ფუტკრების ბზუილიც კი ესმოდა თამარს, როცა თარაში ემხვარი დაკვრას შეწყვეტდა და თავის წინ გადაშლალ ნოტებს ფურცვლას დაუწყებდა.

ნელა, სულ ნელა მიიბარებოდა ნზე დასავლეთისაკენ. ჩდილები იზრდებოდნენ უფრო და უფრო, მოთალხო ფერი წვებოდა ატმების ალუჩების იასპ-ს ფერ ფოთლებზე, უფრო და უფრო მუქდებოდნენ ხეების წვეროკინები, ბაღის გადაღმა მდგარი აკაციები მუქი სამოსით ირთებოდნენ, მხოლოდ ტოტებს შორის გამოკრთოდა გამოხურებული ოქროსფერი ტალები, მახლობელი მუხნარი გაშავდა, მოიღუშა იღუმალი ოცნებით გავსილი და ბაღის აკაციების მუხნარის გადაღმა გო-აკზე შემდგარი ციხის ნანგრევები ძოწნარევი ოქროთი მოოქვილიყო და სწორედ იმ წუთში, როცა თარაში ემხვარი მაშაკაციურის ძლიერებით უკრავდა ბეთოვენის სონატა აპასიონატას, ბულბულმა დაიწყო აპრილის საღამოს ნოქტურნი. ეს ხმა ყოველ ზაფხულს სმენია თამარს ამ ბაღიდან, მაგრამ არასდროს ყურადღება არ მიუქცევია მისთვის. ახლა სავარძლიდან წამოდგა, მეორე ფანჯარაც გააღო, ორივე იდაყვი დააყრდნო ფანჯარის რაფაზე და სმენა მიაპყრო.

ვიდრემდის თამარი ფანჯარასთან მივიდოდა თარაშმა თვალი შეავლო მას თითქოს პირველად ხედავდა ამ ქალს. მისი მშვილდივით გადრეკილ, აშპარტავან წარბებს, გრძელსა და შავ წამწამებს, მის სათნო სახეზე აღბეჭდილიყო ქართული მადონების თავშეკავებული ქალობა, ცხვირის წესტოებში სამხრული გრძნობიერება მელავნდებოდა, ხოლო ზურგისა და ზემოტანის ხაზებში სტილდასრულებუ-



ლი რასის რაფინირება ცხადდებოდა. მას ოდნავ მოკლე წელი ჰქონდა, ხოლო თეძოების ფორმა ამოწმებდა ჯერ უნაყოფო ქალწულის უფროსი ქვეყნის.

მან ისე გაიარა პიანინოდან ფანჯარამდის, თითქოს რომელიმე რიტუალურ ცერემონიის შესასრულებლად მიემართებოდა, მუსიკის ზედგაუღწეას და გაზაფხულის აღტყინებას მიაწერა თარაშმა ეს ყოველივე, რაღაც იღუმალ, რაღაც შორეულ, განუსაზღვრელად ნაზ მელოდიას მღეროდა ბუღბუღი.

უთუოდ ბუღბუღი იყო ალბად ამ ქვეყნად მგოსანთა და მუსიკოსთა შორის პირველი. ასე ფიქრობდა თამარ შარვაშიძე.

თქვენთაგანს რომელს გაუგონია კოლხიდის ბუღბუღების ამბავი?

საკვირველია, არც დაკვირვებულ ძველ ბერძენ ავტორებს, არც ბიზანტიის მისტიკოსებს ძველ კოლხიდაში ნამყოფთ, კოლხიდის ბუღბუღები არ შეუმჩნევიათ. სპარსები უმღეროდნენ ბუღბუღებს და ქართველი პოეტები, მაგრამ როგორც სპარსეთში, ისე საქართველოს სხვა კუთხეებში, ბუღბუღის ხმა პოეტების ლექსებიდან ესმოდათ მხოლოდ. ოდიში, ყოველ ეზოში, ყოველ ბაღნაში რამოდენიმე ბუღბუღი უსტვენს. ყოველ გლეხს რამდენიმე ბუღბუღი ჰყავს თავის კარმიდამოში.

და ახლაც თამარის ფანჯრის წინ სულ ახლოს, რომელიღაც დაბალ ბუჩქოვან ხესთან აცნესდა ერთი, სულ ცოტა ხანში მეორე გამოეხმაურა მას, ცოტა ხანს ისინი პაექრობდნენ კიდევაც. ვეღარ მოითმინა თამარმა ეს ამბავი, თა'ამ ემზებარს დაუძახა, მანაც დაკვრა მიატოვა, ორივენი ფანჯრის რაფაზე დადაყრდნობილი ყურს უგდებდნენ თუ როგორ აპყვა ერთ წვეილს მესამე.

საოცარი ის იყო, ის ერთი ფანჯრის მახლობლად მჯდარი, ხან მეორეს ეპაექრებოდა კაკლის ხის არეში მოსტვენალს, ხანაც იმ მესამეს, რომელიც აკაციების მახლობლად სულ მარტო უსტვენდა, როგორც ბნელში მომღერალი მარტოსული

ეს შეამჩნიეს თამარმა და თარაშმა.

„არავინ ისე მგრძნობიერად არ მღერის, როგორც მარტოსული“,

„რადგან სიმღერაო, ამბობდა თარაში, მარტოობაში იზადებოდა ქვეყნად და თამარ შარვაშიძე გაოცდა: მუდამ მზიარულმა, თვალსჩინოდ დარდიმანდმა სპორტსმენმა თარაშ ემზებარმა, თამარს უამბო რომ იგი ძალიან დიდ მარტოობას განიცდიდა თავის ქვეყანაში. ეს ამბავი, ამბობდა თარაშ, მართლაც ძლიერ წააგავსო რომანებში ნაფხრობს, მაგრამ ეს სავსებით არ სცვლიდა თურმე მის მწუხარებას, განსაკუთრებით აუტანელი ყოფილა თურმე მისთვის არა დილა, არა შუადღე, არა ღამე, არამედ ის დრო შეღამებისა, როცა არც დღეა, არც საღამო, როცა ნელნელა ფითრდება ცა, ხეების და მთების კონტურებიც ნახშირით გაეღებულ ხაზებსავით მოიხატებიან ცის ფონზე, იმ დროს, როცა ჩრდილი და შუქი ერთი მეორეს მძაფრად გაეთიშებიან, როცა არც ჩრდილშია მკვრივი სითალხე, ხოლო სინათლე გამჭვირვალებას ჰკარგავს ნელინელ.“

„შენ ისეთი ლაბარაკი იცი, ეუბნებოდა თამარ, უთუოდ პოეტი უნდა ყოფილიყავი“. ეს „შენ“ ბავშობიდანვე ესმოდა თარაშს თამარის პირიდან, რადგან ისინი ერთ სკოლაში იზრდებოდნენ თარაშის უცხოეთში წასვლამდის. მაგრამ არასოდეს ასე ტკბილა არა ყოფილა ეს „შენ“.

თარაშ ემხვარი გამოუტყდა თამარს, რომ მას პოეტებმა შექმნილმა შეჭურვებმა, პოეტები ყველაზე უბედური ხალხიაო ამ ქვეყნად, ისინი კარტის მოთამაშეებს მაგონებენო, თამაში თვითმიზნად გადაქცეული აქვთო, ლოთებს გვანანო, ისინი სიტყვის ლოთები არიანო.

მეც სიტყვის სიყვარულმა, ჩემი, პატარა, განადგურებული ხალხის სიყვარულმა გადამრია, ფილოლოგიც ამიტომ გავხდიო. ყოველ სიტყვის ფესვს უფსკრულამდის მივსდევო, ბოლოს ხელში არაფერი მრჩებაო.

ტარიელ საღამოს ფსალმენს კითხულობდა, მდუმარედ ისხდნენ თამრი და თარაში, ბაღში დაეაწყებულ ბნელს გასცქეროდნენ. ესმოდათ თუ როგორ სცვიოდა გაშავებულ მოლზე ატმის ყვავილის ნაქერცვენა, ხოლო ბაბუა ტარიელ მეზობელ ოთახში ჰკითხულობდა:

„ვითარცა სახედ სურიან ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ეგრე სურინ სულსა ჩემსა შენდამი, სწყურინ სულსა ჩემსა ღვთისა მიმართ ძლიერისა და ცხოველისა, ოდესმე მოვიდე და ვეჩვენო პირსა შენსა. იქნეს ცრემლნი ჩემნი პურად ჩემდა დღე და ღამე“...

გაგრძელება შემდეგ ნუმერში



შალვა დადიანი

# ფერიცვალება

სერიიდან „ღღინღღინა“

ახალი არხებით

ძღვნათ ინჟინერ ვლ. ჯიქიას...

შენც, ქუთაისო,  
წარსულში თუ გარემო შენი  
იყო ჭკეული  
ფეოდალურ „სალხინო ბაღად“, —  
დღეს მშენებლობის და ქარბნების  
უბნები ჭშუენის,  
რიონისი რომ  
თავს გადგია  
ანთებულ თაღად!

გ. ქუჩიშვილი.

არხია პირველი

ძველ სასწაულზე არ ვლაპარაკობ ფერისცვალებით.

ეს ახალი სასწაულია ადამიანის გონების გამარჯვებით და მისივე შრომით-  
მოვლენილი.

იგი იწყება ქუთაისის განაპირას ქომა და მწვანე ყვავილას შუა. —

რა კარგი სახელია „მწვანე-ყვავილა! ერთ დროს ვოცნებობდი მხატვრულ-  
ჟურნალისთვის დამერქმია. —

იწყება აქ და თავდება რიონის რკინის გზის სადგურთან.

ამ სასწაულის გარეგნული სახე ესეთია, ოფიციალ სიტყვებში მოცემული:  
რთული და გრძელი დერივაცია... 15 კილომეტრზე გადაჭიმული.

4 კილომეტრიანი გვირაბი... შემდეგ ვახსნილი არხი სალორიის ტაფობზე,  
დაბოლოს საწნეთო აუზი...

აქედან წყალი ოთხი მილით... საგენერატორო სადგური... იქ კიდევ ოთხი-  
აგრევატი... ტურბინები...

მთელი პიდრო-სადგურის სიმძლავრე უდრის 20,000 ცხენის ძალას...

ხსრენის საკუქნაოში დაეცვათ ეს მშრალი ცნობები. **დავბრუნდეთ უკან და გავეცნოთ...**  
ინდიკოს.

ეროვნული  
გინეზიონიქა

## 1

— ეს შენ, ეს შენ, ეს შენ!

და იბნეოდა გარშემოსხდულებში სულ სხვადასხვა საქონელი.

მაგრამ აგერ ერთმა თითქო შეუქჩნევლად ხელი გადაუწვდინა დაგროვილ ხარა-ხურას.

— აჰ, მაგას რას ჩადიხარ, ეი ტინგიც! ნუ გადააცოცე.

— შენ მანდ ჩუმად იყავ, მე შენ ავასქესებ!

— ვის აასქესებ, ვის?

ორი ახალგაზდა ნაკეთი აიქოჩრა და ჯიუტ ერკემალივით ერთი მეორეს თითქო რქები შიბაჯინა.

ვინც საქონელს არიგებდა შეწერდა, თითქოს ელოდებოდა წამოქოჩრი-ლებში გარტყმას აბა რომელი დაასწრებსო.

ეგრეც მოხდებოდა, მაგრამ მიღმა მჯდომი ინდიკო ჩაერია:

ეი, რა ამბავია! რომელმა გადააცოცე? მართალი მითხარი.

— რა მართალი... კუზიანმა გადააცოცა არ იცი? — გამოეხმაურა პირველი შემტევი. — ტყუილა კი არაა ნათქვამი: კუზიანს საფლავი გაასწორებსო!

— აი საფლავში ჩაგდე შენ ადრე და მალე, კაი კაცი შენ არ იყო!

— დაიცა, კუზიანო! აგერ წაიღე, აგერ სამაგიერო... რა არის, ტრუსიკია? და ინდიკომ პირველ განაწყენებულს თავის წილიდან გადაუგდო... პირ-სახოცი.

განაწყენებული დამშვიდდა და კუზიანმაც ცბიერათ ჩაილიმა.

კმაყოფილი არ იყო გადამთვლელი:

— რა არის ხალხო, თუ არ მაკლით და ასე გადამიცოცეთ, თანაბრად ვერ დაგირიგებთ და აყალ-მაყალი მოგივით... შენც კი ხარ, ინდიკო, ერთი ახირ-ბული! გარყვენი ხალხი. შენ წილიდან რომ ურიგებ ვითომ რაო! ყველაზე მეტი შენ არ გერგება?

— ჰო, მაგის მონაგარია, მაგისი!

— მაგან გვიშოვა, მაგან!

ახორხოცდა ხალხი.

ცხრანი იყვნენ. სულ ახალგაზდები.

ერთ პაწია ოთახში შეხურხულიყვნენ და წინ სხვადასხვა გვარი საქონელი ეწყობო. ორი კარგა მოზრდილი ჩემოდანი გვერდზე იყო პირლია მიგდებული თითქო მათ თავიანთი დანიშნულება შეუსრულებიათ, მოუტანიათ, რაც მოსა-ტანი იყო, განტვირთულან და ეხლა მოშლილიყებული ისვენებენო.

გადამთვლელი დაგროვილ საქონელს ამხანაგებში ანაწილებდა. მის მეტს უფლება არ ჰქონდა საქონელს შეხებოდა, მაგრამ ზოგი ამხანაგთაგანი თავს ვერ იკავებდა და კუზიანივით რასმე გადააცოცებდა ხოლმე.

ამაზე მოდიოდათ აურხაური.



და შეიძლება განგებაც იტყოდნენ ასე: ყველამ იცოდა ინდიკოს „აზნაურული“ ხასიათი, როგორც თვითონ იტყოდნენ ხოლმე. იცოდნენ ბუნებრივად გულს არავის დასწყვეტდა და, თუ ვისმე რამე დააკლდებოდა, თავის წილიდან რასმე მაინც გაუზიარებდა.

გადამთვლელი განაგრძობდა ბუზღუნს:

— მაინც, კაცო, რა ჰგონიათ ამ ობრის შეილება. ეპოს სკლადი კი არა მაქვს აქ! ეს რაც ღმერთმა მოგვცა ის არის...

— ღმერთმა კი არა ინდიკომ მოგვცა, ინდიკომ.

— ვეხაცვალე მაგის მარჯვენას!

— ინდიკო დაუმცდარია!

— აბა ამას კი არა ჰგავს, ამ კუზიანს.

— ოო, რომ იცოდე ეგ კუზიანი რა მუდოა...

და თავში კარგა მაგრა ჩაართვა მთქმელმა კუზიანს

ყველას გაეცინა და „მუდო“ საც არ გააჭვირებია.

— მუდო კი არა ფულუ... ჩვენში ფულეს უძახით.

— ფულუ იყოს და რაც გინდა იყოს, აგერ ერთი თვეა არაფერი მოუტანია.

— გაკრიცხავთ, გაკრიცხავთ, კუზიანო!

მიესიენ ამხანაგები.

კუზიანმა მზრებში თავი ჩასწია, თითქო კვლავ ჩართყმევას მოერიდაო და დარცხვენით ჩაილაპარაკა:

— რა ვქნა, მუცელა მქონდა... ხომ გითხარიო... მომკლა კაცი.

— მუცელა კი არა — არ ეშვებოდა თავში ჩამრტყელი — ფიცა — რა მუცელაც გქონდა... ის სამასი მანეთი რომ გაიტაცე და სოფელში მაშიდასთან წადა... დასასვენებლათ...

— ოჰ, მამიჯაც ყავს?

— მაშ როგორა გგონია!

— კურორტზე ყოფილხარ, კურორტზე. ბიჭებო, კურტებზეა მართლა ახლა საქმე.

— წადი, შენი.. კურორტი თვარა ინდიკო თუ კურორტზე არ წასულა ცოცხალი მოგება გვიჩვენა ამ რკინის გზებზე.

როცხა იქნება ის რკინის გზაა, რომ მაგას ფეხს მოატეხიებს... — თითქო თავისოვის ჩაილაპარაკა კუზიანმა და თვალი შეაფლვა ერთ ჩოფურა ბიქს.

ჩოფურას ჩაეცინა. ინდიკომ კი გულიანად გაიცინა და სიცილში წარმოსთქვა:

— კატას თევზი ძალიან უყვარს, მაგრამ ფეხის დასველება ეზარებაო. კაცო, ხომ გიამბოვთ, მაგას ის ვერ დაევიწყნა, რომ გაქანებულ მატარებელზე გადახტომა არ მოინებია. დაეიმტკრევიო! კაცო! უყვე აურ ზაური ატყდა ვაგონში. გაიგეს, რომ პასაჟირებს ბარგი დაეკარგა, ჩვენ ვდგავართ ვაგონის კიბესთან, ეს ჩემ წინ დგას და გადახტომას არ კადრულობს. ბარგი კი ორთავეს ჭელში გვიჭირავს... იცოცხლე. უთაქე და მივამბრძანე ხრამისკენ...

— უი, შენ დაგწყველა ღმერთმა... არ მეგონა თუ გადავრჩებოდი.

— აბა, შე-ჯიბლობო სადგურამდი რომ ვაგონში გვეყურებოდა, ხომ კურდღლებივით დაგვიპერდენ ორივეს.

კუზიანმა რაღაც თავის მართლება დაიწყო, მაგრამ ბეერს აღარ უგდია ყური, რადგან უმრავლესობის ყურადღება პარტიუმერიის და სხვადასხვა საო-ჯახო ხელსაწყოთა ნივთებზე მიიპყრო.

კუზიანის თავში ჩამრტყმელმა გადამთვლელს ბეწუნა დაუწყო:

— ჭლავებუხ! გენაცვალე, გლავებუხ, ეგ სამართებელი მე მომეცი.

— გლავებუხს ნუ მეძახი, ცინგლიანო, რამდენჯერ დაგიტოვებ.

— ჰოო, რატომ გწყინს ახლა, რატომ? გლავებუხი გინება ხომ არ არის...

მერე შენც კარგა გახასიათებს... ჩვენი გადამთვლელი, ჩვენი მთავარი მოანგა-რიშე შენ არა ხარ მუდამ?..

— აბა მე რომ კუზიანს მეძახიან, სად მაქ კუზი?

— კუზი იმიტომ რომ სულ მიწაში იხედები, მობღუნებული ხარ...

— აჰ, გლავებუხი კარგია... მე ეს ტრაწას სახელი ვერ მოვიშორებ, თორემ...

— ჰო, ტრაწა, ტრაწა!

კვლავ ახრიალდა ყველა.

და დაუწყეს ერთი-მეორეს ზედ-მეტ სახელების ძახილი.

უცნაური გასაგონი იყო: აქ იყვნენ „პრაფესორებიც“ და მეტად უმართე-ბულო სახელ-წოდებისანიც. ზოგისთვის მწვევეც იყო ეს „შერქმეული“, მაგრამ ამხანაგურ დისციპლინით ითმენდა.

„გლავებუხმა“ სამართებელი აიღო და უნდოდა მიეცა თავში ჩამრტყმელი-სათვის, მაგრამ შეჩერდა და შეეკითხა:

— რად გინდა, ბიჭო, სამართებელი? ქოსა ხარ, წვერის გაპარსვა არ გჭირდება. ჰოო, მივხვდი... — და აჩვენა ჯიბეს როგორა სჭრიან — მაგრამ იმას, ბიჭო, ფილიატი უნდა, ფილიატი...

— ოჰ, ახლა შენ მასწაველი! იცოცხლე ფილეტი კარგია...

— ფილეტი კი არა ფილიატი... რა გაუნათლებელი კაცი ხარ ფილეტი ბიჭო, ჩასაცმელია. — და ხელი გაიწოდა სამართებლისაკენ.

— ჰო, კარგი ეხლა, მომეცი...

სწორედ ამ დროს კარები გაიღო და ოთახში შემოვიდა ერთი კარგა ჩას-კენილი რუსის გოგო.

რუსული აქცენტით ღიმილით წარმოსთქვა ქართული „გამარჯობა“.

— ვალმა სჯობდა? — მიაყოლა ერთმა ენა ტარტარამ — თუ იქ სჯობდა, აქ რათ მოდიოდი? — და თვალი ჩაუკრა გვერდით მჯდომს, თითქო ხელავ რა კარ-გა ვიოხუნჯვთ, მაგრამ მისთვის ყური არ უგდიათ.

შეიქნა საერთო ხორბოცი:

უუ, ოა!

— დუნია!

— დუშკა!

— დუნიაშა



— რა ჩატუნტრუეებულია. ე ოჯახ-ქორი, მიდაზე მუგეყენსუაქეს... — ჩაულაპარაკა კუზინანმა ჩოფურას.

ჩოფურამ გააფრთხილა: „განუმდი, ახლა უკვე ინდიკო ეპატრონება და... ლმერთი არ ვაგიწყურესო“.

დუნნიამ ინდიკოს ჯარის კაცივით მოახსენა:— გარეთ სიეჭუო არა მოჩანს-რა, არაეინ არ გვითვალთვალებსო და შემდეგ შინაურულათ გვერდით მო-უჯდა.

ინდიკომ თავის საწილაოდან ქალის ერთი მშვენიერი აბრეშუმის კაბა გადმოიღო და დუნნიას გადასცა:

— აბა, დუნია, გამოკობტაედი და ქვეყანას თვალი დაუყენე. ბაზარში რომ გაივლი, მილიციონერები სულ თვალეზ-დაბრეცილები უნდა გიყურებდეს! დუნნიას მიწკურულ თვალეზში ხარბი სიხარული გააწყვიტა, მაგრამ ჩაც-მაზე უარი სთქვა: „არ შემეფერება, დღიური მუშა ვარ, შემამჩნევენო“.

„მამ ბაზარში გაპყიდეო“ ურჩიეს, მაგრამ ესეც იუარა, რადგან იქაც შეიძლება ეჭვი აიღონო. თან კაბას იქით-აქეთ სინჯაედა და ეტყობოდა, რომ დიდის ალერსით ეპყობოდა.

ინდიკომ რალაც ჩასჩურჩულა. დუნნიას მეტი სიხარული გადაეფინა და დიდის მოკრძალებით კაბა ლამაზათ დააქცია.

2

ქუთაისის კათოლიკეთა უბანში, რიონის პირად, ერთ მომცრო აივანზე გადმოშჯდარა ატატო და ვასცქერის მის საყვარელ არქიელის გორას.

სამსახურიდან რომ დაბრუნდები ცოტა რასმე წაისაუზმეებს. განსაკუთრე-ბით ზაფხულობით, გამოდის ამ აივანზე, ზოგჯერ წიგნით ხელში. მხოლოდ ზმორად წიგნი კალთაში უქმნადა ძვეს და ატატო კი შეჩერებია ამ მშვენიან გორას, ადამიანის ხელით შეკბეჩილ კლდეს, იქა-აქ წამოყუდებულს ულაზათო სახლებს, ისმენს რიონის მზოოგაე ტალღების რიტმიულ ბგერას და ზოგჯერ თვალი ელუპება ჭომისაკენ ფართეთ გაპობილ სივრცეში.

ეხლაც ზაფხულია და ისიც ჩვეულებრივის პოზით გადაყრდნობია აივანის მოაჯიოს, არქიელის გორისაკენ იცქირება, მაგრამ შეატყობთ, რომ ამ ჟამად ის ამ გორას ვერც კი ზედაეს, მისი მზედველობა სადღაც შინაგნობაში ჩატრია-ლებულა. და არც თუ მაინცდამაინც ერთ წერტილზეა მიშტერებული, რადგან ხშირ ხშირ სახლისაკენ იბრუნებს ფაეს, თითქო მიაყურაო, თითქო ვილასაც ელოდებაო. მოუსვენრობა აწყურია სახეზე.

მაგრამ აგერ ფეხ-აყრეფით მოეპარა შინიდან გამოსული ახალგაზდა, შოლ-ტივით გოგო და უკანიდან თვალეზზე ხელი მიათარა.

ატატოს სახეზე ლმობიერება გამოეხატა, მაგრამ მაინც ოდნაევი ღიმილით წარმოსთქვა:

— გიცანი. ცუცა ხარ, ცუცა!

ცუცაც სიხარულით შეფთქრიალდა და იქვე ატატოს მუხლებთან ჩაი-ჩოქა:



ეს „სხვა რაზე“ ცუცამაც იცოდა, მაგრამ სწორედ ეჭვსავე უნდა რომ ეს საზრუნო დაევიწყებინა, თითქმის ყოველთვის, როდესაც მისი გამწარდვის ქაფი-ქრებულს და დაუბნებულს ნახავდა, მუდამ განზე გაუღებოდა ფიქრის ბილიც, ეგებ ის „სხვა რაზე“ დროებით მაინც დაევიწყებინა. ეხლაც იმიტომ ჩამოუვლო თავის თავზე ლაპარაკი.

ბატომაც იცოდა ცუცას ესეთი „ეშმაკობა“ და ისიც თითქო ადვილად წამოეგებოდა ამ ანკესზე. ეხლაც ეგრე მოხდა. ბატო შეეკითხა:

— სხვა, აბა მომიყევი, რა ამბებია შენს მუღდის ქარხანაში?

ცუცას ერთხელ კადევ გაეხარდა, რომ ბატო ამ სალაპარაკოზე შეაყენა და გულის ტკივილით მოუყვა:

— ეჰ, ჩვენთან ისევ ისეა, როგორც იყო. არ არის კარგი ამბები! ქარხანაში უღისციბლინობა, ცუდი მუშაობა, ფრენია ხალხი, კაქკაქები... კაქკაქები ხომ იცი როგორ ხტიან... ხან იქ, ხან აქ. ერთ ილაგას ვერ ჩერდებიან... ჰო და... ქარხნის დირექციაც შეუფერებელი, კომუჯრედი სუსტი... არც სოცშეჯიბრი, არც დამკვრელები...

— შერე და შენ რას უყურებ?

— მე?.. ეხლა ადგილკომის წევრი ვარ და სწორედ დღეს კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიაში ამირჩიეს... ჰო და... დაეცებ, დეიდა, გაგიხაროიან, დაეცებ...

ბატო დაიღიჯა. მაინც სიყვარულით გადახედა ცუცას და შეაწყვეტინა:

— ყველაფრით კარგი გოგო ხარ, ცუცა, მაგრამ ეს „დაეცებ“ რალა უბედურებაა! ვინ გასწავლა რატომ შეითვისე? ქალიშვილ ქალს როგორ გეკადრება: „დაეცებ“!

ცუცამ გულიანად გადაიხარხარა და შემდეგ, ბატოს არ შეუმჩნევია ისე, ენა გამოჰყო.

იცოდა, ეს რომ ბატოს დაენახა, მართლა გაჯავრდებოდა, მაგრამ ამ უამად ამან ჩაუარა და ესე შეედავა:

— ქალიშვილი ვითომ რა არის? ეე, ეგ ღომ ძველებური ამბავია, დეიდა! მე რა, ძველებურ კნიაფებსავით შენ ხომ არ მზოდინდი! აი, საიდუმლოთ ყველაფერი რომ იცოდნენ და გარეგნულად კი აბრამის ბატკნები იყვნენ...

აქ ცუცამ ტუჩები მოიპრანჭა, თვალები სრულიად გაიღმანკოვა, როგორღაც წელში გადაიწლანა და თითქო განახებულის, მიკნავებულის ხმით წარმოსთქვა:

— რას ბრძანებთ, ბავშვები ზღვის კენეკებიდან არა ჩნდება?! მამამ მითხრა — ზღვის ფსკერიდან ამფატიტანე მარგალიტოო...

— ჰა, ჰა, შე საძაგელო! შენ რომ კნიაფენები არ გინახავს... თუმცა კარგი აქტრისა კი გამოხვიდოდი.

ცუცამ ისევ თავისი სახე მიიღო და ბატოს ისევ მოეხვია:

— ოჰ, დეიდა, რა ცუდი ჰქენი, რომ ჩვენს წარმოდგენას არ დაესწარ პროფ-კლებში...

— არ შემეძლო, შეილო, მაშინ ინდიკო...

ინდიკოს ხსენებაზე ცუცას შუბლს რალაც შეემა ღრუბელმა, გადაურბინა და სწორედ ამის წასაშლელად თავისი ამბავი მზიარულად გამსჯელად...

— უხდა გენახა რა მოწონება დაემსახურე... ტაშის, როგორც იქნება არა, ძალიან დააშავე, დეიდა, ძალიან, მერე, ნეტა, თეატრი არ გვევარებოდეს! ერთ დროს აკი სცენის მოყვარე ყოფილხარ ქუთაისში, რამდენჯერ გითქვამს აკაკი წერეთლის რეისორობით გამოვდიოდით, კირილე ლორთქიფანიძე მისუფლიორებდა, ვესტაფი მშველდიძე რეცენზიებს გვიწერდით...

— ეჰ, კარგი დრო იყო, ჩემო ცუცა! კარგი იმისათვის, რომ ყველას გვეჯეროდა ამ წარმოდგენებით დიდ საქმეს ვაკეთებდით...

და დაიწყო.

ცუცასაც ეს უნდოდა. უყვარდა, როდესაც ატატო უამბობდა ძველ ამბებს, მის მიერ განცდილს და ნახულს: ქუთაისის ინტელიგენციის ცხოვრება, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები, ბანკობია, კენჭის ყრა, შეხლა-შემოხლა, დუღილი, იმერული აპილბილება, თავგანწირვა, ლალატი, ყველა ეს წინანდელი ამბები, რომლებიც ესე ცოცხლებოდნენ ატატოს პირში და რომლებიც ასე წვრილმან ჩხირკედელაობათ იყო ცუცასთვის მისაჩნვეი, ამითი მსუყდებოდა ცუცას საგზალი წარსულის ვაგებისა, მაგრამ ყველას ერჩია, როდესაც ატატო შორეულ სიყმაწვილეს გაიხსენებდა—საზღვარ-გარეთ ყოფნას, სადაც ორიოდე ქართველი სტუდენტი და მათ შორის ატატოც სხვა ქვეყნის მოსწავლე ახალგაზრდობასთან ეწაფებოდა ბაბუეის წიგნს და პერკენის ამაფეთქებელ წერილებს.

ესლაც ეს უნდოდა რომ ატატო გადაეყვანა ენევეაში. აქ უფრო ბევრ ხანს იყო ატატო ნაცხოვრები. აქ მას ამხანაგობა გაუწყვია ნიკო ნიკოლაძისა, გიორგი წერეთლისა და სხვებისათვის, რომლებიც მაშინ აგრეთვე საზღვარ გარეთ იყვნენ და თავისებურათ რევოლიუციონერებოდნენ. ცუცამ იცოდა, რომ ეს ამბები სულ ჩამოაშორებდა ატატოს იმ ინდიკოს ხსენებას, რომელიც წებან მოაგონა. მისი ამოკანაც ეს იყო.

ინდიკო ცუცას არ უყვარდა, თუმცა ბავშობითვე მასთან იყო შეზრდილი. ინდიკო ატატოს შეილისშვილი იყო, ცუცა კი ობლათ დარჩენილი გლეხის შვილი, თავის დროზე ქვრივ ატატოს მიერ შევრდომილი და აღზრდილი.

ინდიკოც და ცუცაც თითქმის ტოლები იყვნენ და ერთად იზრდებოდნენ. ბავშობაში უერთმანეთოდ ვერც კი ძლებდნენ: ერთად თამაშობდნენ, ერთად სწავლობდნენ პირველ ხანად ატატოს ხელმძღვანელობით, მაგრამ მას შემდეგ, რაც სასწავლებლით ერთი მეორეს დაშორდნენ, მათ შორის რალაც უფსკრული გახდა.

ცუცა მეტად გულ-მოდგინე მოწაფე შეიქნა, ზუსტი, ბეჯითი. მისი ჩანთა, რვეულები, წიგნები და გაკვეთილები მუდამ ზედმიწევნით ჰქონდა დამზადებული, შენახული და მოვლილი. ინდიკოს კი ვაშკარანი ბშირად ეკარგებოდა, რვეულები მოთხუპნილი და დაფლეთილი ჰქონდა, სახელმძღვანელოები მიგლეჯ-მოგლეჯილი, გაკვეთილები ხომ სულ მივიწყებული და სრულიად მოუშაადებელი. ეს განსაკუთრებით მას შემდეგ რაც უფრო მაღალ კლასებში მოთაესდა. მხოლოდ ორი რამ შეელოდა მის სასწავლებელში დარჩენას. ეს იყო მათემატიკა და მხაზელობა. ამებში სიოცარი ნიჭი ჰქონდა და მათემატიკის მასწავლებელს

ბუქსირით გაჰყავდა ინდიკო. მხოლოდ შინაც 14-15 წლის ვაჟი აურთხეული რამ არსება გახდა: მოუთმენელი, თავ-ქეიფა, ჯიუტი და მოჩაუბარე. ცუცას ხომ ინდიკოს ცემა-ტყევისაგან მთელი სხეული დალურჯებული ჰქონდა და იყო მუდამ მათ ოჯახში ერთი გამუდმებული ვასამართლება მოშივიან-მოპასუხისა.

ჩიოდა ცრემლები პატარა ცუცასი, რომლის მთავარი მოსარჩლე ატატო იყო. ბრალმდებლის სკამზე კი იჯდა ნამდვილი დამნაშავე მოჩიტული ინდიკო. ინდიკოს დედ-მამა ადრე გადაეღო. დედა კარგათ არც კი ახსოვდა. მამას შეესწრო მხოლოდ და ამის გამო, შედარებით, უჭურადლებით იზრდებოდა.

ატატო მეტად მოუცლელი იყო. კარგი მასწავლებლის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. და ზევრგან ჰქონდა გაკეთილები. ამის დაუმატეთ საზოგადოებრივი მუშაობა იმ დროინდელ ორგანიზაციებში: დრამატული კომიტეტი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, გამომცემელთა საზოგადოება, მოწინავე ქალთა ჯგუფი და სხვა. საღამოებიც კი მოუცლელი ჰქონდა და სად შეეძლო თვალყური მიედევნებინა თავ-აშვებული ყრმისათვის. ეს ყრვაც უფრო თავის ტოლამზანაგებში დაბეტილობდა ვითომდა სამეცადინოთ, მაგრამ, როგორც შემდეგ გამოიჩვენა, სხვა რამეებსა სწავლობდა და ითვისებდა.

16 წლის ინდიკომ ლენინის სმაც დაიწყო და ხშირად მთვრალიც შემოპარულა სახლში. ლენინის სმამ და ძმა-ბიჭებმა ეტყობა თავის წილი სახარჯოც მოსთხოვეს ინდიკოს, რადგან ერთხელ ატატოს მამაპაპული აღმასის გულსაკიდი ჯვარი დაეკარგა.

ქვრდში ერთი ცოდვა ჰქნა და დამკარგავმა ათასიო. ესე მოუვიდა ატატოსაც: ინდიკოზე აბა როგორ წარმოიდგენდა, ამიტომ ხან მოსამსახურე გოგოს მივიარდა, ხან მეზობლებს და ამით გამოიწვია დიდი აურ-ზაური. თვითონ ცუცაზეც კი ერთი წუთით ექვი შეუვიდა, პოლიციაშიაც მოინდომა განცხადება, მაგრამ შემთხვევით გამოიჩვენა ინდიკოს დანაშაული და... ატატო მიეცა სასოწარკვეთილებას.

ცუცას არ უყვარდა ინდიკო, და არც უყვარდა, როდესაც მას ატატო გაიხსენებდა, რადგან იცოდა, რომ ბებია გატანჯული იყო ინდიკოს საქციელით, გრძობდა, რომ ბებია ინდიკოს ვერაფრით ვერ გამოასწორებდა, მით უფრო მას შემდეგ, რაც ერთი უკვანო საქციელის გამო სასწავლებლიდან გამოაგდეს და შემდეგში ვერაფრით ვერ დაითანხმეს, რომ როგორმე, სადმე სწავლა განეგრძო.

მან ავარობა არჩია და მთელი ქალაქიც მას, ატატოს გულის მოსაკლავად ავარა ბიჭად სთვლიდა.

ატატო კი იტანჯებოდა ესეთი შვილიშვილის ყოლით, მაგრამ გულიდან მაინც ვერ ამოერეცხა და ეს იყო მუდამ მისი დამლონებელი, მისი გულის გამწვრილებელი.

ეს იცოდა ცუცამ და ცდილობდა, როგორმე ატატო ამ ფიქრისაგან განეტვირთა.

თვითონ არ უყვარდა ინდიკო, მაგრამ ატატოს ინდიკოსადმი დამოკიდებულებას მაინც პატივის ცემით ეპყრობოდა.

თვითონ კარგა ხანია ინდიკოს ხმას არა სცემს და ამის უშლავეს ატატოს. უშლავეს, რადგან არ უნდა ატატო კიდევ მეტათ ააღელვოს, თორემ ინდიკოს ცუცას მხრივ ხმის გაუცემლობის კია არა, მეტის ღირსიც არაა. რამდენიმე დღეა მთვრალი მიუვარდა ლოგინში და გაუპატიურება დაუპირა. ფუი! ეხლაც რომ გაახსენდება ინდიკოს ამღვრეული თვალები, ჩამწვარი ღვინის სენი, გაშლენაგებული ბაგე-პირით. ერეოლა მოდის ტანში.

ძლივს გადაურჩა. არ დაუზოგნია კაწერა, კბენა, ცემა, მხოლოდ არ დაუყვირნია, არ უკივლია, რომ ატატოსთვის ცეცხლზე ხავთი არ დაესხა.

და გაუმხელელი ზიზლი ინდიკოსადმი ეხლაც გულში აქვს დაგროვილი, ეხლაც როდესაც აივანზე იმავ ინდიკოს ბეგბიას, მის გამზრდელ ატატოს, პირ-მოკუმული ვენევის საუცხოვო ამბებს უსმენს.

## 3

— ოჰ, თეიმურაზ! კარგია გავხსენებეივარ, მობრძანდი, აბა, ცუცა, სკამი.

თეიმურაზი უკვე ხანში შესული კაცია, წითლური, მსუქანი, მაგრამ ჰარმავი და ცოცხალი. ესეც ძველი პედაგოგია, ატატოს ძველი ნაამბანაგარი. იშვიათად მაგრამ მაინც მოდის ხოლმე ატატოსთან, მოუტანს ახალ ამბებს. ძალიან უყვარს ახალი ამბების დაგროვება, ჰორებსაც არ აკლებს ხელს და ისე ჩაქურკლული საღამოობით ხან ერთ მეგობართან შეივლის ჩაიზე და ხან მეორესთან. ეხლა ატატო გავხსენებია.

— რას შერება შენი კომუნისტკა? ა, ცუცა! ატრიალებთ ქვეყანას, არა?

რაბრაბებს თეიმურაზი. კარგათ არც კი იცის ცუცა პარტიულია თუ არა მაგრამ ასე უჩივნიან ოქვას. თვალებს წყურავს და სიამოვნებით აჩერდება ცუცას მკერდზე გულ-მკერდს.

ცუცა ხმას არა სცემს, არც ეს კაცი მოსწონს მაინცდამაინც. ამნენეს, რომ მსუნავ კატასავით იცის თვალის შევლება. კაცს თმები გასცვენია, გაქალარავებულა, კპილები ჩამტვრევიდა და კიდევ საგაზაფხულო გუნებაზეა.

არა, ცუცას ესეთები არ უყვარს.

ჩუმად მოაქვს სკამი, დაუდგამს და თვითონ რალასიც ღიღინით ოთახში შედის.

თეიმურაზი საფუძვლიანად ჯდება სკამზე, ხელს მოაჯირის ხარხხას გადაადებს და მიმართავს ატატოს:

— დღეს რად არ იყავი, ქალო კომაში?

კომაში რა შინდოდა?

— როგორ თუ რა! კომამი დღეს დიდი ამბავი იყო. რიონპესს აშენებენ.

— რიონპესს? ჰო, ცუცა მეუბნებოდა, გაზეთებშიაც ვკითხულობდი, უნდა აშენდესო.

— აშენდესო კი არა, დაიწყეს კიდევ. დიდი ამბავი იყო. ცა და ქვეყნის ხალხი. მუშები, გლეხები, მთელი პერსონალი ინჟინერებისა, მთავრობის წარმომადგენლები თბილისიდანაც იყვნენ.

კარგი ამბავია!

— დღეს ჩაუყარეს საძირკველი ჯებირს, საგუბარს...



— იყო რეჟებიც, რა თქმა უნდა.

— რასაკვირველია. არა ძალიან ტრამბა ხალხი კიაც ვერ ვხედავთ, ისე ვიზამთო! სურამის უღელტეხილზე ელდენით გაუშვებთ მკვანძებს და გაარსებთ ფერო შენადნობთა ქარხანას ზესტაფონში, ლიტოპონისას ქუთაისში, აბრეშუმის და მაულის ხომ გვაქვს, კიდევ სხვა ქარხნებიც ამუშავდება, ყველა ამათ შივეცემთ ელექტროენერჯიას, კოლმეურნეობებსაც შივაწოდებთ სახნავათ, სათესათ, ქირანახულის მოსაწევათ, ქუთაისს ხომ...

— ჰო და რა გგონია, ჩემო თეიმურაზ! გააკეთებენ. განა არ აკეთებენ? ზაპესი ხომ ვაკეთდა!

— იიპ, ერთი შენც. გამოუსწორებელი ქალი ხარ, ატატო!—თავიდან მაგათი შხარე გეჭირა... რა სიკეთე მოგიტანეს?... სამსახურიდან დაგითხოვეს, შენს საყვარელ სპეციალობას მოგაცილეს, სადღაც ბიბლიოთეკაში მიგავდეს, პენსიას დაგპირდნენ, ისიც არ მოგცეს... ეს ერთი რალაც პატარა სახლი და ეზო შეგჩა... მშვენიერი კია მართლა აქედან ეს რიონი, ეს არქიელის მთა. ეს ჭომისკენ დაქვეშული ქალის პერსპექტივა... მუდამ მეზარბებოდა, ძალიან კარგ ალაგას ცხოვრობ... მაგრამ ჯერ დაიცადე ამასაც მალე წავართმევენ...

— საქმე პიროვნებაში არ არის, თეიმურაზ! თუმცა ბედს ვერ დავემდურები... პატრესა მცემენ, მივაჩნივართ...

თეიმურაზმა უნდობლად ჩაიქორჭილა:

— ჰში... ჰში...

— რას იცინი! საქმე საერთოა. ახალგაზრდობაში შენც ამას არ ქადაგებდი? კეთებით აკეთებენ, ეს უჩვეელია.

უკვე შეუვალათ დაადანტურა ატატომ.

თეიმურაზმა ამაზე არაფერი სთქვა, მხოლოდ თავისი განაგრძო:

— ჰო, იმას ვამბობდი: ქუთაისს ხომ ვენეციით ვაქცევთო. ქუთაისში ქუჩების მაგივრად არხები იქნება გაყვანილი და შიგ გონდოლები ისრიალებენ... ოპ, რად არა ვართ ახალგაზრდა მე და შენ, ატატო... მთვარის შექმნე... უკაცრავეთ!.. ელექტრო ლამპების შექმნე გონდოლით...

— შენ გიტარით ხელში... ჰა, ჰა!—ხუმრობით აჰყვა ატატოც—კიი დროსია შენ ნუ მომიკვდე!

თეიმურაზი კი შაინც რახრახებდა:

— ბალახვანისკენ, იქ სალორიას ტყეში ჩამოვხტებით. გონდოლას ნაპირს მივაბამთ...

ეს რახრახი შეესმა ცუცასაც და... გააძვივრდა:

— რად არიან ეს მამაკაცები ესეთი ცინიკები!.. დეიდაც რომ აჰყვა! მაგრამ დეიდას გულუბრყვილობით მოდის. ვენეციის შედარებამ თუ გაიტაცა, თორემ აგერ სამოცდაათი წლის ქალი იქნება და თითქო ამ ქვეყნად არც ეცხოვროს...

კიდევ მოისმა თეიმურაზის რახრახი, კიდევ უფრო მოშილიფებულყო საუბარში.

ცუცამ „შაფი თვალით“ გაჰხედა ამ ჩასუქებულსა და წითურ კაცს.

— ეფუ, მაქარო!.. ბრინჯეაიტ!—გაისმა ოთახში ხრინწიანი ხმა.

ცუცა გველნაკბენივით წამოვარდა და შურთხივით მეორე ოთახში შეფთქილდა. გარეთ, აივანზეც ყურები აცქვითეს.

ეკვი არაა, რომ მთერალი ინდიკო მოვიდა.

— თუ ხათრი გაქვს ახლა არაფერი უთხრა.

დაარიგა თეიმურაზმა ატატო.

ატატო კი სულ ერთიან ჩაიფერულა: დატუქვისის სურვილი, შეულევნელობა, სინდისზე შეგდება, უძლურება, სულ ყველა ერთად შეეჭიდა ატატოს და... ჩაიფერულა.

ინდიკო ტორტმანით აივნის კარებს მოადგა. თეიმურაზის დანახვებზე უხეიროთ გაიღმიჭა და წამოაყრანტალა:

— ოო, ბებერ აოშიყა გაუშარჯოს! რაო, კიდევ ვერ დაიყოლიე ბებია ჩემი? ჰა,ჰა!—ფართოთ გაიცინა.

ატატო აერყოლდა, რალაც საშინელის თქმა დააპირა, მაგრამ სხვა ვერაფერი მოახერხა:

— რას ჩერჩეტობ, ბიჭო! ღვინო დაგიღვევია და ჰქუაც შიგ ჩაგიყოლებია!

— შენ ნუ, ბებერო, შენ ნუ!.. მე შენ აო გაწყეხიხებ, მაგრამ ეს ბებერი რაზე დაძვობება ჩვენსა!..—თაჩ იმეოული ჩაუღიღიხა:—„ეს ხუცესი, თუ ღმერთი გწამს, ჩვენსა ნუ დაიარება, არცა მინდა მისი ლოცვა, არცა მისი ზიარება!“

მოაჯირის ხარიხაზე ჩამოჯდა, მაგრამ ისე უხერხულათ, რომ ატატომ უნებლიეთ მიაკვილა:

— უჰ, რა არი, ინდიკო! ქრისტიანულათ დაჯექი, კაცო სკამზე..

— რა, გეშინია არ გადავვარდე? ჰა. ჰა!—მწორედ ჩაიციხა—სულ ერთი არ არის, ჩემი სიცოცხლე გინდ იყოს და გინდ არა!

— რატომ, ბიჭო, ძეოე, რატომ?—გულ-დათუთქული წარმოსთქვა ატატომ.

— რატომ და...

გადმოხტა ხარიხიდან.

— ავარა ვარ, ბებერო, ავარა! „ქუჩა-ქუჩა დავდივარ, ღამე შინ არ შევდივარ“...

წაიმღერა და შევიდა ოთახში.

— ის სად ბრძანდება, ის?—დაუწყო ძებნა—შემოდგომის კნეინა... უყარება ცუცა.. ცუცა! გოგო არ გესმის? მოდი აქ, ფეხი გამახადე... რას იპრანკები ვითომ, გოგო! ჩემი გოგო ხარ, მოსამსახურე! შენ გგონია ბებია ჩემმა რომ ვაგ-ხარჯა და აღმდინი გამოგიყვანა დიდი ვინმე ბრძანდები?!

აქ წამოვიდა ეპიტეტები. სიტყვებმა უფრო შეახურეს, მეტი გინების ეშხზე მოვიდა, მაგრამ სხვა რომ ვერაფერი მოახერხა ასე დაათვა:

— მაშინემის ნატრიკვალი ხარ, ნუ თუ არ იცი. მაშინემის...

ამ სიმწვაევით უნდოდა თითქო დამფრთხალი ხადირი ბუნაგიდან გამოეგდო, თან ისე ყვიროდა, რომ მისი ნათქვამი აივანზეც გაიგონეს, ვერ დაჰფარა რიონის შხუილმა და გულ-ვახეთქილი ატატო ოთახში შევარდა.

— აბა მაგას რას ჩმახავ, შე უბედურო? არც კი გრცხვენია... მართლა ლოთი და გაფუჭებული!

თეიმურაზიც შეშოვიდა. იმან სხვა გვარ შემოუარა. უნდოდა, როგორმე, ხელმობასა და ლაზლანდარობაში ჩაეტარებია ეს მძიმე სცენა და ინდიკო, როგორმე, ტახტზე მიეჭინებინა. ცოტაოდნათ მოახერხა კიდევ ერთხელ ჩამოსვა და ინდიკომ ყინთვა დაიწყო.

მაგრამ ამ დროს გააღმასებული, ქუდ-დახურული თავის ოთახიდან გამოვიდა ცუცა და ქუჩაში გავარდა.

ინდიკომ დაინახა ცუცა. კიდევ უარესები შიდაყოლა. ამიტომ ტირილი მოართო. ნელეს ხმით წუწუნებდა:

— რა ცოდვა შეკითხა... ამისთვის გამოვზარდე ეს ყმაწვილები... ასე უნდა ექცეოდნენ ერთი მეორეს? მეგონა საბურეში გამაზარებენ... აჰა, იმ ერთს ვერ დაუემდღურებით...

— ჰო, მე გუაგარ, მე... მახინჯი და გათახსირებული... ვიცი ბები, მარა... რალაც მოადგა ენაზე, არსთქვა.

— შენ არ გაწყენინებ.

თეიმურაზმა ანიშნა ატატოს და იმასაც ხმა აღარ ამოუღია, რადგან ინდიკო უკვე ტახტზე წამოწოლილიყო და საძილრად ემზადებოდა.

ორი საათის შემდეგ ნახევრად გამოძინებულს ინდიკოს ატატო ტახტზე უჯდა და ესეთი დედა-შვილური ბასი ჰქონდათ: ინდიკო თითქო დაცინვით ეკითხებოდა:

— მაშ შენ გინდა, რომ ის ახალი რალაც რიონჰესია იქ შევიდე სამსახურში, არა?

— ჰო, შეილო, კაი საქმეა, შენც გამოიცდები...

— მერე იქ რა უნდა გავაკეთო? ინჟინრად მე არავინ მიმიღებს, საქმის უფროსათ არ დამნიშნავენ, შავ მუშათ კი არ ვივარგებ.

— რატომ მაინცდამაინც ინჟინრათ, მაინცდამაინც შავმუშათ? შუათანა სამსახური იქაც მოიძებნება. მე პატივს მცევენ, ადვილს ვიშოვნით.

— შენ? ჰო... კარგი ბები, არ გაწყენინებ... შენ თუ მეტყევი. ზევალ სამსახურში:

— როგორ არ ვეტყევი! სულ ამას არ ჩაგჩინებ. სამსახურში შედი-მეთქი, რაიმე ხელობა შეისწავლე. ეხლანდელ დროში უსაქმურობა სირცხვილის გარდა დანაშაულია შვილო! ქვეყანა შენდება, ყველა მუშაობს...

— აა, მაგას ვეტყევი, ბები შენ მაინც ნუ მელაპარაკები მაგას ქვეყანა შენდება კი არა, საქართველო დაილუპა, ბები... შენ ახლა რაო? კომუნისტობა დამიწყე?

— კომუნისტობა რა შუაშია? ან ვინ ჩავაგონა, რომ საქართველო დაილუპა... აი რა ხალხში ტრიალებ... ჰო და მაგას ეხლა დავეთხოვით.

ატატოს შეეშინდა: ძლივს დავითანხმე სამსახურში შესვლაზე და ეხლა რომ ამას პოლიტიკური საუბარი ვაუბა, ან ქადაგება დაუწყო, საქმე სულ წახდებოდა და ისევ ხეყნას მიმართა:

— შენ ხომ სიტყვა მომეცი-სამსახურში შევალო.

— მოგეცი.

— რამდენი ხანია ეგ სიტყვა მომეცი და ჯერ არ შეგისრულებია.



- ეხლა შევესარულებ.
- მაშ შეხვალ რიონჰესში?
- შევალ.
- ნამდვილათ?
- ნამდვილათ.
- აბა დაიფიცე.
- შენ თავს ვფიცავ ბები.— შეატყო, რომ ატატო ამან არ დააკმაყოფი-  
ლა, გაუმატა:— მაში ჩემის სახელსა ვფიცავ!
- ოო, ძალიან კარგი.— ამოისუნთქა ატატომ. მას ჯერ კიდევ ჯეროდა,  
რომ ინდიკოს მაშის სახელი ეფიცებოდა.— მაშ მე ხვალვე წავალ, სამართველოში,  
რომ ადგილი გოშოვნო.
- ხეაალ?
- რა იყო?
- ხვალ არა, ბები. აი დავბრუნდები და მაშინ.
- როგორ? მიდიხარ სადმე?
- რასაკვირველია. ამაღამ. აი ეხლავე.
- მაჯის საათზე დაიხედა:
- ოო, დამავციანდება თუ არ ვიჩქარე.
- წამოდგა.
- რა უბედურობაა! სად დადიხარ, ბიჭო, რა ამისთანა საქმე გაგინდა..  
უთუოთ ისევ საქეიფოთ
- არა, საქეიფოთ არა... პირიქით დიდ-საქმეზე, მაგრამ შენ რა! თუ  
კაცი სამსახურში არ არის, ისე სხვა საქმე არ გწამს...
- ატატო რატომღაც დაღონდა.
- მერე და როდის მოჩნები ამ საქმებს.
- მალე, მალე და... რომ მოვჩნები... მაშინ შევალ რიონჰესში... შევ-მუ-  
შათ... ჰმ... ჰმ...
- ატატოს გული კიდევ უფრო შეუფიწროვდა. გააფიქრა: «ეს არაფერ სამ-  
სახურში არ შეიძლება მიყოლივს, მატყუებს?»
- მაინც უთხრა:
- ბიჭიკო! ხომ არ მატყუებ?..
- ამ დროს ინდიკო მეორე ოთახში პირს იბანდა, რაღაც წაილულლულა, მა-  
გრამ ატატომ ვერაფერი ვერ გაიგო.
- პირისხოცვით შემოვიდა ინდიკო ოთახში, ერთი სარკეში ჩაიხედა, ქუდი  
დაიხურა და კარებისკენ გასწია, მაგრამ უეცრად შედგა:
- მართლა, ბები, ფულები ხომ არ გკირდება?
- ამას სწორედ არ მოელოდა ატატო. ამდენი ხანია ინდიკო „ავარობს“ და  
ოჯახმა მიტან ერთი კაპეიკი არ იცის, პირიქით... მაგრამ ეს ამბები არ უნდა  
გაიხსენოს ეხლა ატატომ.
- საქეიფი წაუხდა:
- ფულები?.. ფულები?..
- ჰო, ეხლა მაქვს.. გკირდება უთუოდ...



და ჯიბეზე ხელი წაისვა, მაგრამ ატატომ შეაჩერა. მას ვერ წარმოედგინა როგორ უნდა გამოერთმია ფული მისი გაზრდილისათვის, ~~ჩემი~~ აქამდე მუდამ თვითონ იქით აძლევდა. მერმე ისიც უმუშევარი, უმწვერი კაცი, თავმომწონე, უუფლოთ აბა როგორ დასტოვოს. არ გამოართვა.

მაშინ ინდიკომ მოინდომა, რომ ცოტა სახარჯო ცუცასთვის დაეტოვებინა.

— მართალია, რაღასაც მიბღვერის, მაგრამ რაც უნდა იყოს ძმა ვარ მისი...

კრუომდა ინდიკო, რადგანაც გულში და საქციელით სხვას ამტკიცებდა.

— ძმათ ვერგები და მიიღოს ჩემი წელილი.

ატატო კი ვაახარა ინდიკოს ესეთმა განცხადებამ: რა კარგი ბიკია. რა კარგი გული აქვსო ესეც კი გაიფიქრა, მაგრამ ფული არც ცუცასთვის აიღო: ეწყინება, შემამგუნებსო.

ეს კი ინდიკოს ეწყინა:

— შემამგუნებს-რა, ნაქურდალი კი არა მაქვს!

თამამად წამოსთქვა, ფულეები ისევე ჯიბეში ჩაიბრუნა და კარები გაიჯახუნა „ნაქურდალი?“ თავისთვის გაიმეორა ატატომ და პირველად ჩაუფიქრდა ამ სტყვას.

4

ინდიკომ ღუნიას ოთახში შეიარა.

ეს ის ოთახი იყო. საცა ჟუანასკნელად ინდიკოს დასი ნადავლს იყოფდა.

ღუნია მზიარული, სამგზავროთ ჩაცმული დახვდა. მომკრო ჩემოდნაზე მიუთითა:

— შენი ნაჩუქარი კაბაც აქ მაქვს. შენ კარგა მირჩიე, თბილისში ამას უჯრო კარგა გავასაღებ.

ინდიკომ მხოლოთ თანხმობით გაუღიმა და „გლავებუხი“ იკითხა მაგრამ პასუხის მიღება ვერც კი მოასწრო, რომ გლავებუხმა კარები შემოაღო.

ესეთი იყო ამ ჯგუფის დისციპლინა: თავის დროზე, თავის ალაგას. იმ საქმეების საკეთებლად, რომელსაც ინდიკო და მისი ამხანაგები აწარმოებდენ, მათემატიკური სიზუსტე იყო საჭირო.

ისე, როგორც გვილიბრისტოკაში.

ინდიკო ხომ მათემატიკოსი იყო.

მიტომაც გადიოდნენ „ბეწვის ხიღზე.“ ჯერ აქამომდე არც ინდიკო და არც მისი ამხანაგები არ „ჩავარდნილან“, არც მოქმედების დროს და არც შემდეგ.

ღუნიას ოთახი მართალია საექვოთ იყო მიმჩნეული მილიციისაგან, მაგრამ ეს გვეი სულ სხვი ნიადაგზე იყო აღმოცენებული და... ინდიკოს ამხანაგების „საქმესთან“ საერთო არა ჰქონდა რა.

ღუნია კიდევ დღიური მუშა იყო. სხვადასხვა ოჯახებში დადიოდა და ემსახურებოდა. ღამ-ღამობით კი ვის რა დავა ჰქონდა თუ ვისთან ცხოვრობდა ღუნია.

ერთჯერაც ხრიანკლისა დს ლოთობის ხმა არ გამოსულა მისი ოთახიდან ეზოში მისი ხმაურობით არავინ არ შეუწუხებია.

ლამე დაუდის ვიღაც სტუმრები, ისიც იშვიათად, ამ ბოლოებში უფრო ერთი დადის და ვის რა ესაქმება.

მაინც ფრთხილობენ ინდიკოს გუნდისანი და მთავარი „შტაბკვარტირა“ ერთ ალაგას არა აქვთ.

მათი ორგანიზაცია მოძრავია და თავს იქ იფარებენ, საცა უფრო ხელსაყრელია.

ამ ეამად კი ეტყობა დუნეისთან აქვთ ისევე პაემანი დანიშნული.

ნელი-ნელ მოდიან ამხანაგები. მოგროვდა უველა.

ინდიკო სარდალივით იძლევა რალაც განკარგულებას.

დაიშალნენ.

ქალაქში დიდი მყუდროებაა. ქუთაისს სძინაძეს უკვე.

ჯვარედინ ქუჩის ერთ კუთხეში კედლებს რალაც ლანდები გაჰკვრია.

მოშორებით სინათლეში დგას დუნია, მომცრო ჩემოდანი ხელთ უკავია და ერთ ქუჩას ზევრავს. აგერ ჩაკეკებით რალაცას მიატყვრდა და თითქო „თვალებით ამოიყვანა“ დავგიანებული მგზავრი.

სქელი კაცია, მობაჯბაჯებს, რალასაც ბურტყუნებს. ეტყობა „კარგ გუნებაზეა.“

დუნეის ეციენება. იცის ერთი წუთის შემდეგ ამ დავგიანებულ მგზავრს როგორ შეეცვლება გუნება.

ლანდებს რალაც ანიშნა.

თვალების დახამხამების უმაღ სამი ნაქვითი აეყუდა ბაჯბაჯა მგზავრის წინაშე:

ხელები მალა!

ოევოლვერი მიადეს გულთან.

მგზავრი წახდა. რალასაც ლულულულებს:

— მე... მე...

— ჩქარა! ნუ გვაბრკოლებ, პაქალუსტა!

შეუუერთხეს კიდევ.

გადმოლაგდა მგზავრის ჯიბიდან რალაც წიგნაკები, ქალღებები ქალღებებში შეკარგული ხუთმეტრიოდე, მანეთი და... ჩინებული ოქროს საათი.

— რას მერჩით, არ გრცხვენინათ... — გაბედა გაცარცულმა — მე ხომ მასწავლებელი ვარ... რა გამაჩნია, ეს არის ჩემი ავლადიდება...  
ნერწყვის ყლაპვით ლაპარაკობს.

დუნია კი ხითხითებს მოშორებით.

უსიამოთ ჩაესმება ეს ხითხითი გაცარცულის ყურს.

უნდა მისკენ მიიხედოს, მაგრამ უეცრად შეაბრუნებენ.

— ბიჭოს, ეს რა კარგი პიჯაკი აცვია!..

ქსოვილს იქით-აქვით დაუწყეს სინჯვა.

ხდიან.

დუნია კი იცინის.

იცნო ეს კაცი დუნეიმ. ერთხელ რომ ემსახურებოდა იმ ოჯახში უნახავს; მსუნავი კაცია, მოხელთებულზე დუნეისთვისაც შეუვლია ხელი. მასპინძლებს კი სულ პატიოსნებაზე და ხნეობაზე ელაპარაკება.



ებლა აცინებს ამ „გაბლენძილის“ საცოდავი მდგომარეობაში.  
პიჯაკიც წაიღეს. თითქო განთავისუფლდა მგზავრს. თანაქინდროლმა  
წადგა რამოდენამე ნაბიჯი, მაგრამ შეუძახეს და კვლავ შეაჩერეს.

- არც შალვარს უშავს რამე...
- ფეხსაცმელი როგორ დაგვაფიწყდა...
- არა, ფეხსაცმელი არ უფარგა.
- შალვარი ჩაიხადე!

სულ აიგდეს.

დუნია კი იცინის და ეს სიცილია, რომ „გულს უხეტქავს“ ხაფანგში მომ-  
წყვდეულ დაგვიანებულ მგზავრს.

უკვე ის არ ენადღელება, რომ „დღედიშობილა“ რჩება. იმ... როსკიპს რა  
აცინებს! თან იხდის შალვარს და თან დუნიას მისჩერებია...

საოცარი! იცნო. იცნო დუნია. აჰა! მე შენ გიჩვენებ სეირს.

გულში გაიფიქრა, პირით კი არაფერი თქვა და... თავი მოისაწყლა.

ამ დროს თავს წაადგათ ინდიკო.

— რას ჩადიხართ!.. უჰ, თქვე-ლაწირაკებო!..

და რეკოლვერი ამოიღო.

გამცარცველები, თითქო პაწია ჩიტებს ალაღმა ჩამოუფრინაო, გაიფან-  
ტნენ, მხოლოდ ერთი, რომელსაც განაცარცვეი თანა ქონდა, ინდიკომ არ გამო-  
უშვა და ომახიანად უბრძანა:

— დაუბრუნეთ ეხლავე, რაც წავირთმევეით! როგორ ვერ იცნობთ ჩვენს  
პატივცემულ მასწავლებელს... ბიძია თეიმურაზ, ნუ გეშინიათ... ჩაიცივით,  
ჩაიცივით!

— უჰ, შენ აგაშენოს... ინდიკო, საიდან გაჩნდი?

ირგვლივ მიმოიხედა თეიმურაზმა, აღარაინ არ იყო. მოხითხითე დუნიაც  
სადღაც გამქრალიყო.

და დაიწყო წუწუნის:

— რა საშინელი დრო დაგვიდგა! კაცს კარში არ გამოვსვლება... განსა-  
კუთრებით ქუთაისში... ვის გაუგონია ესეთი ამბები! მოვდიოდი ჩემთვის. ვბრუნ-  
დებოდი შინ.

— ცოტა გადაკრული ყოფილხარ, ბიძია!

— ჰე, ჰე! — თითქო დარცხვინით ჩაიციხა თეიმურაზმა — თქვენგან რომ  
წამოვედი, ჩემი კბილის ხალხი შეზხედა... შეველით და...

— ჰო, გვიან არ უნდა ბრუნდებოდე სახლში, ბიძია!

თეიმურაზმა აღმაცერად შეხედა:

— შენ მარიგებ ჭკუას?... სახლში რომ ისეთი ჰთვრალი დაგტოვე... აქ  
საიდან გაჩნდი?

ინდიკოს არ გაკირვებია მორიგი ტყუილის თქმა. ცოტაზე კიდევ გაჰყვა  
თეიმურაზს და ხუმრობა-ღიმილით გამოეთხოვა.

თეიმურაზი თავის სახლთან იხლო იყო, მაგრამ შინ არ შევიდა. გაიფიქრა: —  
მოდო, მილიციას მაინც ვაცნობებ, რაც შემეშთხვა. მე კიდევ კარგი ინდიკომ  
გადამარჩინა, მაგრამ სხვები რომ ვერ გადაურჩებიან. ის ქალე ხომ ვიცანი,  
ესეც საკმარისია.



დაუდასტურა თავის თავს და მილიციისაქენ გასწია.

რამოდენიმე წუთის შემდეგ ერთ ორსართულიან სახლს უკან დასრულდა. ოდა: ტანისამოსი, ფეხსაცმელი თეთრეული.

ლანდებს გაჰქონდა მონაგარი და ერთი ნაქვითიც გაღებულ ფანჯრიდან პრტყელ და გასიბულ კედელზე ისე ჩამოდიოდა, როგორც აკრობატი.

იმავე დროს დუნიას ოთახში ბუჯურებდა მილიცია.

დუნია კი სახლში არ იყო, რადგანაც...

კარგა ხანია მას და ინდიკოს თბილისისაქენ რბილათ შიამენებდა ნაშუალამევის მატარებელი.

## 5

„ნაქურდალი“? კვლავ ამაზე ფიქრობდა მარტო დარჩენილი ატატო.

„მაშ საიდანა აქვს ინდიკოს ფულები? ანდა მართლა, საიდანა და რითი ცხოვრობს ინდიკო? რატომ ამას აქამდე კარგა არ ჩაფიქრებია? მე რომ ვაძლევ? ის კბილის საჩიჩქნათ არ ეყოფა! რომ იცვამს? აკი ზოგჯერ ცალ-ყბათ ამიხსნის — ვიღასაც რაღაც დაუწერე, ამას და ამას აქ გავეგზავნე, იმან ესა და ეს გამაყიდუნა, ამაში ზოგჯერ ფულს მაძლევენ, ზოგჯერ სახალათეს და სხვ. გასამრჯელოთაო“.

„რად არ ჩავეკირვებივარ ამ ამბავს, რად?“

„მაშ ამდენი ჭეიფი, ამდენი ლოთობა საიდგან! ყოველთვის მუქთად ვინ აჭეიფებს, სულ ყოველთვის დაპატიებულნი აბა როგორ არი!“

თანდათან მოერღვა „პაქიუს თავი“ და... ატატოსთვის სრულად განათდა ინდიკოს შთელი ჩაბნელებული გზა-კვალი.

„ხელ-მრუდობით ცხოვრობს ის საძაგელი!“

კიდევ ვერ ელეოდა ატატო გულშიაც გასალანძლით.

„ან რა მაკვირებს! ინდიკოს ბავშობაში, ესლა რომ ვიხსენებ, რამდენჯერ რამდენჯერ დამკარგვია ფული, ნივთი... არასოდეს ექვი არ შექსელია. მხოლოდ ერთხელ... აღმასის ჯვარი რომ დაიკარგა... ისიც შემთხვევით გამოიჩრქვა... ჰო და მაშ ეხლა რად უნდა მიკვირდეს, რომ ინდიკო ხელ-მრუდია, რომ უსაქმურმა კაბუქმა ეს საქმე ხელობათაც კი გაიხადა“.

ტინის სწევდა ეს მოსაზრება. აქედან: დამნაშაობა, ჯიბგრობა და ყოველგვარი სივადგაზე, რომელიც კაცს სისხლის სამართლის კარებამდე მიგიყვანს.


„რა გამოვზარდე, ვინ გამოვზარდე, ვინ?“

„ხელი ვერ მივაყოლე, თვალი ვერ მივაღვენე, აბა საიდგან? მოუცლელი კიყავ. დედ-მამა აღრე გადაელო“...

დაუწყო თავის თავს მართლებდა, მაგრამ იქვე ფიქრი უელავდა:

„არა ვარ მართალი, ამდენი ვიცი, ამდენი მინახავს. რამდენი ბავშვი გამიზრდია. პედაგოგი ვარ არსებითად. საკუთარი შეილიც გამიზრდია, ერთად-ერთი ქალი ჩემი, ცქრილა ქეთო, ინდიკოს დედა“.

ცრემლები მოადგა თვალებს. ცრემლის ბანდულში გამოიხატა მწყაზარი და ცოცხალი სახე ქალისა.



აი, აგერა დგას, ელაპარაკება. გარეგანი სილამაზე შინაგან უშინკობასთან შეზავებული.

„საუცხოვო რამ იყო, საუცხოვო. ეხლა უნდა იყოს ცრუცხლი, სასამტკობოს ღირსეული შვილი გახდეს“.

ძალიან ჰგავდა დედას ქეთო, ძალიან: მასავით უკვიანი, ნიჭიერი, ცოცხალი. ასე ფიქრობს ატატო.

აი ეხლა, რომ ატატო ახალგაზრდა იყოს, განა ასე ჩამორჩებოდა საერთო ფერხულს? თორინავე რიგებში იდგომებოდა.

„ცუცა?“

„ოო, ცუცაც შეტად მშვენიერი გოგოა“

„მართლა! სად წავიდა ცუცა? გაჯავრებული იყო. მაგრამ გონიერია, ცუცს არას ჩაიდნს. აზნაგებში მოიქარეებს გახაწუნებას“.

ფიქოი ისევ ინდიკოს და მის დედამას უბრუნდება.

დედას ვერ მოესწრო ინდიკო, თორემ დედა კი აღზრდიდა შვილს. ამის ეჭვი ატატოს არ ეპარება.

„ჩვენ კი... მე და ინდიკოს მამამ... პატარა ობოლს ნებიერობა დავუწყეთ. მამამ ხომ მაინც მთელი სინაზე სატრფო მეუღლის სიყვარულისა ობოლ შვილზე გადმოიტანა. სუსტი ხასიათის კაცი იყო საცოდავი და... სუსტი აგებულობისაც. მგლოვიარემ და დასვედიანებულმა ღვინის სმას მიჰყო ხელი. ამან მოუსწრაფა კიდეც სიცოცხლე.“

„აი საიდან მოსდევს ინდიკოს ლოთობა. შემკვიდრებას აქვს უთუოდ შნიშენლობა. კიდეც კაოგი, რომ სხაფრივ ჯანსაღია ინდიკო“.

„მოლოდ ჩვენ გავაფუჭეთ, ჩვენ. არავითარ მის ამოყინებას არ ვეწინააღმდეგებოდი. მთელს ოჯახში ბატონი და მბრძანებელი ეს გალაღებული ბავშვი იყო“.

„შემდეგ რომ მამა მოუკვდა, რომ სწავლა დაიწყო, რომ წამოიჩინა, რომ აღარ გაუგონეთ, ხშირად დავტუქსეთ კიდეც, ბავშვს ზნე აეშალა, თავ-ნება გახდა და გულ-ჩახურული“.

„ჰმ... რა დაგვიანებულია ეს დიაგნოზი!“

„მამ ვერ ვყოფილვარ კარგი პედაგოგი...“

ფუსფუსებენ ფიქრები, ერთი მეორეს აბტებიან.

„ჰო, მაგრამ პიოველი შვილი თუ კარგათ გამოვზარდე? თითოთ საჩვენებელი გოგონა რომ იყო?“

„უთუოდ შემოქმედს არ შეუძლიან ყოველთვის კარგი ნაყოფი გამოიღოს.“

„მატყარი მაგალითად, ხელოვანი მუდამ მალალ-ღირსების ნაწარმოებს ვერ შექმნის“...

გულში უხეიროთ გაეცინა.

კარები გაიღო და ცუცა შემოვიდა.

სახეზე ეწერა, რომ მას რაღაც მტკიცე გადაწყვეტილება მიეღო.

ატატოს გამოხუმრება უნდოდა, მაგრამ შეატყო, რომ საქმე სახუმროდ აღარ იყო.

ცუცა კუშტათ ჩამოჯდა ტახტზე.

არც მოიშლილთა და არც საშინაოდ განეწყო.

მძიმე სიჩუმე გაბატონდა.

ატატოს გულს კიდევ ახალი ლოდი დააწვა.

ისევ ცუტყამ ამოიღო ხმა. მტკიცე იყო მისი სიტყვები, მაგრამ ბგერას მაინც ეტყობოდა, რომ გამზრდელ ატატოს იბრალებდა:

— დეიდა, თუ ასე ვაგრძელებ, ამ სახლში მე აღარ დამედგომება... არა, მაკალე, დეიდა! ამხანაგებთან ვიყავე ესლა. ყოველივე კარგათ ეცქრონ-დაეწონეთ და ისინიც დაშეთანხმენ, რომ მე ამ სახლს ვავშორდე. მართალია შენ მეხანები, მაგრამ... შენ მოგინახულებ ხოლმე, მარტოს არ დაგტოვებ... ნუ, ნუ, დეიდა! გულს ნუ ამიჩუყებ, მაგითი არა გამოვა-რა! ყოველ საგანს, ყოველ მდგომარეობას თავისი სახელი უნდა ვუწოდოთ. ჩემი და ინდიკოს ერთ ჭერ-ჭვეშ ყოფნა კი შეუძლებელია... ნუ, ნუ-მეთქი!..

მაგრამ მოსკდა ნიაღვარი ატატოს შევიწროებულ გულს და მისი დამშვიდება არც ისე ადვილი შეიქნა.

ატატო დიდათ უბედურათ გრძნობდა თავს: მისი ჭირნახულობა ესე წყალში გადაცვენილი, სიბერე ესე დაობლებული... სიცივე, სიცივე, საშინელი...

მოახერხა და თავს განზე გაუდგა. არ დაიზოგა.

მაგრამ აღარც ცუტყამ დაზოგა და უკანასკნელი სამსალაც დააღვეინა. უამბო ინდიკო ლოგინში როგორ მიუხტა.

აქ კი სრულიად ვახვედა ატატო. მხოლოდ გონება ისევ აუფორიაჟდა და ბოლოს გადაჭრით განაცხადა:

— ინდიკოს სახლში აღარ შემოვუშვებ. წავიდეს და იავაროს. შენ ჩემთან დარჩები.

დარწმუნებული იყო, რომ ამ განაჩენით საბოლოოთ მოიწყვიტა გულიდან შევილი შეილი.

## 6

ქუთაისის მილიცია ფეხზე დადგა: მეტად უტიფარი მცარცველობა იყო ჩადენილი სამ სხეიდასხვა ალაგას, ერთს და იმავე ღამეს.

სწორედ იმ ღამეს, როდესაც თეიმურაზი ინდიკომ გადაარჩინა.

მართალია მეტად სასწრაფო ზომები იყო მიღებული, მაგრამ მცარცველების გზა-კვალს ვერ მიაგნეს.

დუნიას ოთახის განხრეკამ დადებითი შედეგი არ მოიტანა. ოთახი გამოცარიელებული იყო. დუნიას იმ ღამით წასვლას კი მცარცველობასთან საერთო აბა რა უნდა ჰქონოდა.

ერთად ერთი თეიმურაზი იყო, რომ დუნიას ხელს ადებდა, მაგრამ თეიმურაზის მილიციას ნაკლებ სჯეროდა, რადგანაც თვით თეიმურაზი ნალვინევი ყოფილა, ქალი, რომელიც შეიძლება მიემგზავსა დუნიას, მოშორებით მდგარა მისგან და, ქუთაისის არც თუ ისე განათებულ ქუჩებში, მოშორებით მდგარ ნაქეთის ნამდვილი შეცნობა, ისიც შეზარხოშებულზე, დიდი დასაჯერი არ იყო. ამას გარდა თუნდა დუნიაც ყოფილიყო ის შორით მდგომი ქალი, რითი მტკი-



ცდება, რომ დუნია მცარცველთა ამბანაგია? თეიმურაზის ეჭვი? რომ იცინოდა და ხითხითებდა? ეს არ იყო მტკიცე საბუთი ბრალდებისათვის.

ინდიკოზე ხომ თვითონ ამოწმებდა თეიმურაზი — მან მიშველაო, მაგრამ სწორედ ეს უფრო აეჭმებდა მილიციას, არც ისე იყვნენ მაინცდამაინც კარგი აზრის „აეარა ინდიკოზე“ და აკი მთელს რესპუბლიკაში მილიციის მმართველობას მიმართვა გაეგზავნა, რომ ინდიკოსთვის თვალ-უფრი ედევნებინათ.

უეცრად... ქალაქში ხმა დაირბა:

სვირში, სვირში... სვირის ბაზარზე!

ეს ერთი ხანია იქაურ ბაზრობაზე ჩამოდიან ვილაც საეკო პირები და ჩამოაქვთ გასასყიდათ სხვადასხვა გვარი ტანისამოსი, ფეხსაცმელი, თეთრეული და სხვა საოჯახო რამეები. ადგილობრივები დიდათ ეტანებიან და კარგ ფულსაც იძლევიანო.

ამ ხმამ მილიციაში იბოვა რეზონანსი. რეზონანსმა ჩვენი ნაცნობი კუზინი გამოძებნა.

კუზინმა კი მოხსნა პირი და... სულ ერთიან ჩამომწყრივდა ყველა ამბანაგები ინდიკოს მეთაურობით.

ინდიკო თბილისიდან იყო ჩამოყვანილი, მხოლოდ დუნია კი აღარ ახლდა თან. რადგანაც გამორკვეულიყო, რომ დუნია რომელიღაც დისპანსერიდან გამოქცეული როსკიპი ყოფილიყო და ისევე თავის დაწესებულებისათვის დაებრუნებინათ.

ინდიკო არაფერში არ გამოტყდა, არც მეთაურობა იკისრა, არც ამბანაგობა და გუშინდელი გულითადი შეგობრები სახითაც კი ვერ იცნო. პირისპირ წაყენებამაც ვერ უშველა. გამობრძედილ მსახიობივით იქცეოდა. მიმმოხობა გამოიჩინა. იმიტომ უფრო მაგრათ მიება გამსახლის კედლებს:

სამაგიეროთ სისხლის სამართალში მიცემულთა სხვა დამნაშავეების სული და გული შეიქნა.

სხვადასხვა გვარი გასართობები, რომელსაც არც ხელსაწყო უნდა და არც განსაკუთრებული ალაგი, სულ მისგან გამოდიოდა. ეს იყო ზეპირი, სვარეზული გამოცანები, არითმეტიკული ასახსნელები, ჩაფიჭრებულ სიტყვათა გამოცნობა და სხვა ესეთი „ინტელიგენტური“ ყბად-ასალები და წყალ-წასალები დღაბუცობანი.

ამებში ისე ჩაითრია გარშემო მყოფნი, რომ ეხლა 'ისინი აძლევდნენ ინდიკოს შეკითხვებს და განსაკუთრებით არითმეტიკაში სიმარჯვით განაცვიფრა ყველანი. რაც უნდა რთული ამოცანა ყოფილიყო, სწრაფად ახსნიდა. საკვირველი მგხსიერება ჰქონდა და სუთ-ციფრიან შეიდ-ციფრიან ასახსნელებსაც კი თვალის დახამამებიად შეაჯამებდა, დაყოფდა, გაამრავლებდა, და გამოაკლებდა.

შენ ქართველი არა ხარო, ეუბნებოდნენ და აი-მამინ იყო, რომ პატრიოტულ ყალყზე დგებოდა ინდიკო.

მისთვის საქართველო იყო უმწვეგრვალესი საგანი, რომლის გარშემო სხვას ყველაფერს ჩრდილი უნდა მიჰყენებოდა.

თავიც ისე მოჰქონდა თითქო ის იყო პირველი მოსარჩლე და თავდადებული მოღვაწე საქართველოსთვის.

ირველივე ყველამ იცოდა, რომ ჯიბგრობასა და ქურდობასთან ერთად იყო დაპერილი, მაგრამ თავს ისე აჩვენებდა — ჯიბგრობა კი არა საქართველოსთვის ვარ წამებულო.

ამაზე ვერაფერს უბედავდნენ, ზოგი მოკრძალებითაც კი იყო მისდამი გამსკვალული.

შოლოდ ერთი იყო მასთან ახალგაზრდა. სულ წიგნებს ჩასწიწინებდა. განსაკუთრებით უყვარდა ტექნიკური სახელმძღვანელოები და გამსახლში ელექტრონის მოწყობილობას ეცნობოდა. ხშირად ეტყუოდა კრდეც ინდიკოს: — ვადას გავასრულებ თუ არა, ელექტროტექნიკი უნდა შევიქნეო.

ინდიკო მეგობრულათ თავში ჩაუფაჩუნებდა, წიგნს იქით გადაუგდებდა, მაგრამ ჯიუტი ახალგაზრდა წიგნს ისევ აიღებდა, გაასწორებდა, დალაგებდა და ისევ ჩაუღრმავებდა.

ინდიკო მაინც თავს წაადგებოდა:

— მეც მიყვარდა წიგნების კითხვა, მაგრამ ამეებს კი არ ვკითხულობდი შენ, ეი, ბითურ! ნატ-პინეტონი იყო ჩემი საყვარელი. ბეზიას ჰქონდა სადღაც ძველს ჭალადებში უამრავი. სულ გადავიკითხე. რამდენი თავგადასავალი რამდენი ხრიკი, რამდენი უცნაურობა. მგონია, რომ გამოსავალი აღარ არის, გპირი დაიღუპაო, დაიხაზა... დანავარდობს ჩვეულებრივ და ეხლა ახალს ქსელს აბამს, ახალი ხლართი გაუმართავს. ჩვენ არა გვაქვს ამისთანა ლიტერატურა სწორედ ვითხრა, ეხლანდელს ქართულ წიგნს ხელში ვერ ვიღებ. ძველ ავტორებში კი ყველას ყაზბეგი მირჩიენია: რაინდობა, თავდადება, ძმად-გაფიცვა.

— მერე, შენ რად არ გაიტანე შენი ძმად-ნაფიცები? ყველანი რომ უარ-გვიყვია. — შეაპარებს ხანდახან მომავალი ტექნიკოსი.

— დაიკარგონ! ვის ეკადრება! სად ისინი და სად მე? ვერც კი ვიცნობ. ძმად-ნაფიცები კი არა, ვიღაც ლაწირაკები არიან... ჰო, რაზე შემაშლევინე? ყაზბეგი! შენ არ წაგაკითხავს. ხომ? ოო, საოცარია. განსაკუთრებით მიყვარდა მისი „ციცია“-ში სულთი ჯაბოტ. უიმედოთ რომ ეტრფიალემა მის ძმად ნაფიცის ცოლს. რა მოთმენა, როგორი თავ განწირვა მეგობრისათვის! ოო, ქართველებს ბევრი კარგი ზნე გეჭირდა... ეხლა, ყველაფერი დავკარგეთ! სადღაა საქართველო?

და მოაჯდებოდა მის მერანს.

## ა რ უ ი ა მ ე ო ლ ა მ

ამასობაში რიონის ზეირთებს შორის კარგა დიდ სიღრმეზე აშლერდა ბეტონი და რკინა კაშხალის მყარ საფუძველად.

დაესია ათასეული მკლავ-ძარღვიანი მარჯვენა და ქალაღზე გონივრად მონახაზი ხორც-სხმულ „ქვითკირად“ აქცია.

მწვანე ყვავილას ფერდი შეინგრა გამწვევ გვირაბათ. ჭომის დაკმული რიონის პირი გადაიქცედა მუშების დროებით საცხოვრებლებათ, მასალათა საწ-



ყოზებათ, ხელსაწყობათა შესანახათ, გაშენდა დროებითი ელსადგომები იქაურობა გადაციმციმდა კობტა ნათურებით.

იშვა სრულიად ახალი უბანი, ქუთაისის ახლო, თავისი განსაკუთრებულის მიზნით, გარკვეულის გეგმით და გაჩაღდა სრულიად ახალი სიცოცხლე.

მხოლოდ ეს უფრო ჰგავდა დროებით დაჯანებულ მერმარ ჯარის ბანაკს. ეს მართლა ახალი, გაშლილი ფრონტი იყო, მხოლოდ ფრონტი შრომისა მშრომელთათვის გამოსადეგ საჭიროებათა შესაქმნელად.

და აქაც იყო სარდალი ამ ფრონტისა, იყვნენ მეთაურები, იყვნენ ზემდეგები, იყვნენ რაზმელები.

ყველანი მოწოდებულნი იყვნენ ებრძოლათ ბუნების ძალთა დასამორჩილებლად, ძამოძრავებელ ენერჯის მოსაპოვებლათ და ქვეყნის... გაანათებლათ.

იქ კი, ინდიკოს გარშემო, იყო სულ სხვა ქვეყანა, რომელსაც თითქო სოციალისტურ დიდი ძვრების და თანამედროვე მშენებლობის აღმაფრთოვანებელი ჭუგუნნი არც კი სმენოდესთ.

მათი ცხოვრება მიმდინარეობდა სხვა კალაპოტში, ანდა უკეთ, სრულებით უკალაპოტოთ, კალაპოტ-ამოგარდნილათ.

გატრძელება შემდეგ ნომერში.



## ვალენიან გაფრინდაშილი

### უცნობი ქუჩა

აქვს ყოველ ქუჩას თავისი სახე  
და სწავანგებო რაღაც იერი.  
ეს მივარდნილი ქუჩა რომ ვნახე—  
ვთქვი:—ვიქნებოდი აქ ბედნიერი.

მე ეს სიჩუმე მაკმაყოფილებს,  
ამ სახლის შიშვენიერს მე აივანი.  
ვხედავ ფანჯრების ვიწრო პროფილებს  
და თითქოს გათბა გული მცივანი.

თითქოს ამ სახლში ვიყავი წინად...  
ვუცქერ შემომჯდარს ხეზე ბელურებს.  
ნეტავი იყოს აქ ჩემი ბინა,  
რომ დავეუფლო ხის საფეხურებს.

ალბად ამ ქერ-ქვეშ ცხოვრობს ორი და,  
რომელთაც ხშირად სიზმარში ვხედავ.  
უცხოელივით მოველ შორიდან  
და სახლში შესვლას მე ველარ ვხედავ.

ეს ქუჩა არის ჩემი ოცნების  
დავიწყებული ვიწრო ხვეული.  
სახლს უკან ბალი სთვლემს სხივოსნებით,  
და ქვევით მტკვარი რულმორეული.

სწრაფად დავრეკავ გაუბეღავი,  
და როგორც ბავში დავხუჭავ თვალებს.  
ო, ვინ გამიღებს კარებს ნეტავი:  
თითქოს ძვირფასი კაბა შრიალებს.

მარიამ ბარიყული

## ანაკლი

დასასრული

ისევ პალატა, ისევ სიჩუმე, ქალაქის საავათმყოფოს ტიფით დაავადებულთა ბარაკში, გრძელ დერეფანში მკრთლად ანათებს მცირე სანთლებიანი ელ-სანათი, შუა დერეფანში დგას პატარა მაგიდა მწვანე აბაჯურით დარდილულ შუქზე მოსჩანს ქალი, მორიგე თანაშემწე, პირდაპირ უზის ქერა ვაყი ახალგაზრდა „პრაქტიკანტი“ ხან გამოშვებით გაისმის დერეფანში ფოსტლების ფლატუნის მომ-ველელი ქალი ზარმაცად მიიზღაზნება ყინულიან პარკით ხელში რომელიმე ავად-მყოფთან, კედლის საათი თავისთვის ტიკტიკებს. ხანდახან რომელიმე პალატი-დან მოისმის ავადმყოფის წამოყვირება, ცოტა ხნით დაარღვევს სიჩუმეს და ისევ ჩაიკმინდება, ჩაჩუმდება

— ქეთო... ის ავადმყოფი მოკვდება აშელამ.

— რომელი?

— შეშვიდე პალატაში... მერაბაშვილის გვერდით რომ წევს...

— ჰო, ცუდათ არის უნდა გამოვიყვანოთ.

— შეგონა გადაიტანდა, ყოჩაღათ სწინდა.

— მსმელი ყოფილა და...

მერაბაშვილი ხომ კარგად არის? აი, იმის გადარჩენას არ ველოდი.

— ეხლა არა უშავს, საერთოში გადმოიყვანეს.

განსაკუთრებულ ყურადღებას აძლევდა თინა. ძველი ნაცნობი და მისი ქმრის შოწაფე ყოფილა.

— ეჰ, აქ მაინც არ უნდა პქონდეს ადგილი ასეთებს.

— რას?

— ნაცნობობას, მიკერძოებას.

— ეჰ, როგორა გგონიათ, ესე ჩქარა გამოიცვლება? ყოველთვის ყოფილა და იქნება კიდევ.

— თქვენ როგორ მოიტკეოდით აი. მე რომ ვყოფილიყავ ავადმყოფი...

— როგორ? საერთო მდგომარეობით მოგვეტკეოდით თუ მძიმე ავადმყოფი იქნებოდით, ისე მოგივლიდით როგორც სხვებს მძიმე მდგომარეობაში მყოფი.

— ტყუილს ამბობთ, უსათუოდ გარჩევას მომცემდით



— რა იცით?..

— ეიცო... მჯერა, — ეშმაკურად ვაიციანა ახალგაზრდა სტუდენტმა.

— ეხლა თუ არ დაიჯერებთ!

— წყარო... წყარო... ვაისმა... თანაშემწემ ზარის წითელ სამაჯურს მიაქცია ყურადღება... მომელულმა ქალმა გაიარა ნელა. მთქნარებით თავში უწუხებდა... შევიდევ ნომერში ოთხი საწოლი დგას. ტატეც აქ არის გადმოყვანილი უადგილობის მიზეზით, ბევრია ავადმყოფები. ვაივსო საავადმყოფოს ყველა განყოფილება. შევიდა მომვლელი ქალი, ხელში ცარიელი ყურჭოთანი უჭირავს, აქეთ იქეთ იყურება.

— რას უყურებ ქალო?

— რას უნდა უყურებდე თქვენ გიყურებთ.

— რას დაგიღია პირი?

წამოიძახა ერთმა,

— ე მანდ დაჩემდი თორემ ამ გარშოკს დაგიშობ თავში, — შეუტია მომვლელმა ცომივით აფუებულ, შავად მბზინავ სახეზე თეთრათ გადმონათხი უსიამოვნო თვალები.

— მიხედეთ ქალო, ვერ ხედავ კვდება კაცი. დაიყვირა ტატემ.

— ე ე ე, მამაცხონებულო... შენც ერთი თავი გაგსვლია, ასეთები ბევრი კვდებაან აქ, ჩვენც ხომ თავებს არ დავიხოცავთ.

— გადით აქედან...

— ფერშალს დაუძახეთ...

მიიძახეს.

— ჩვენ გაგვიყვანონ აქედან, — დაიძახა ტატემ და წამოჯდა ლოგინში. მომვლელმა, ერთი ავადმყოფის თავთან, დაახეთქა ყურჭოთანა და გატრიალდა. იმავე წუთს გამოჩნდა თანაშემწე, პრაქტიკანტიც მოსდევს უკან...

— მიხედეთ... მიხედეთ... ან გაიყვანეთ, ან ჩვენ მოგავსორეთ აჭაურობას, — უთხრა ტატემ. თანაშემწე მივიდა ერთ ავადმყოფთან. წელან ამაზე ჰქონდათ ლაპარაკი.

— შევცდით, უნდა გაგვიყვანა... აქედან

— ექიმს არაფერი ურჭვამს...

— არ მოელოდა ამელამ ვათავებას...

ავადმყოფი ხრიალებს, მკერდი აღარ აუდ დაუდის, დაჰიმულა, თვალები პირდაპირ დაჰკიდებულ ელექტრონის შუქზე მიჰყინვია... მღვრიე ღვინო ნელ ნელა ილექება, იძირება, სიცოცხლის ნიშან წყალი ქვემოთ ჩადის და ეშრიტება დავერდომილს თვალები, პირს ნელნელა ალებს და ხურავს შოშის ბარტყივით...

თანაშემწემ მოიხედა უკან, ეხლა სამი ოთხი მომვლელი ქალი ჩარიგებულან ჯარის კაცებივით, ელიან ჩვეულებრივ ბრძანებას.

— გაიყვანეთ აქედან, გააგორეთ დერეფანში. სთქვა თანაშემწემ. ორივე კარები ფართოდ გააღეს, გააგორეს საწოლი და ერთ ხანს ისმოდა (ტალანიდან) რკინის ბორბლების ჰრაქუნდი. წაიღეს კაცი იქ საცა ბევრი ელაგა ასეთი სხეული პატრონების მოლოდინში.

ტატემ დაინახა კარებში თავ შემოყოფილი კაცები, ხალათებ წამოსხმულნი, ფოსტლებში ფეხებ წაყოფილნი. უკვე სათუოს გამოსულ და მოკეთებულ ავად



მყოფებს, უნდოდათ დაენახათ კაცი, რომელიც დღეს სიკვდილს ებრძოდა, წელან სუნთქავდა და ამ წუთას—კი გათავდა, აღარ იყო. ტყვეობაში, თავი მუხლებში, იჯდა ერთხანს გარინდული, შავი ფიქრები ყოვრნებივით ესეოდენ გარს.

„საწყალი, სოფლიდან იყო, სამუშაოდ გადმოვარდნილი... არავინ ჰყავდა აქ, ვინ დაიტირებს, ვინ უპატრონებს. ოო, წუთის სოფელო, რა ფუქი ხან შენ ოხერო... ღირს კაცი კაცს სძულდებოდეს ორი დღისათვის“?.. ამოიგმიხა, მოკუნტული წაწვა ბალიშზე, საბანი წამოიხურა და ჩაიმალა.

ტირიფიანი ქაობი რამ, რკინის გზის გასწვრივ. სადგური, ბაქანი. რამოდენიმე ლიანდაგი, შიგ ჩაყენებული რონედებით. ხილის საწყობი დიდი შენობა, მტკვარი, თეთრი ქვის ხიდი და ქალაქის დასაწყისი შორიდან უჩინარი, ნაცრის ფერი, რუხი... ხიდის ყურთან ახალი ბალი ნაცრობი ძეგლით, ამ ქვის გამოქანდაკებას ბევრი სკულპტორი შეეჯიბრა, სხვადასხვა სახეებში მისცეს ეს კაცი. დღეს ყველამ იცის მისი სახელი, სდგას ქანდრიატი და დარაჯობს ქალაქს...

აქვე მუშაობს ყოფილი ქარბანა, დიდ ალაყაფის კარებში ურმები შედი გამოდის, დამკვებული კომბოსტოს სუნი შორს იფანტება. სწორი გალარული ქუჩა, აქეთ იქეთ ვიწრო არხებით, შიგ წყალი მოლიკლიკებს მობტის მოცურავს, ხიდთან თავ და ყირა ჩადის ძირს, აკეთებს პატარა ჩახრიალს და უერთდება მტკვარს, ორად გაყოფილს. ლიანხვისაგან გადამიჯნულს. ქალაქის შემადგენლობა; მილიციის სამმართველო, ტექნიკუმ, პატარა სასტუმრო, კლუბი, ბანკი, ფოსტა, რადიო, საავადმყოფო და სხელგამის მალაზიის ვიტრინებში ვახუნებული წიგნები; ებრაელთა უბანი, აქ გზები მრავლად იყოფა. ციხის ძირი, ჩამოშვებულნი ქვიტკირის კედლები, ღორღათ ყრია, ფეხში ირღვევა და ხელს უშლის მგზავრს რომელიც ნელა მიდის, ახალგაზრდა გოგონას ხელს ეყრდნობა, მას უნდა დროზე ავიდეს, სიცხემ არ უსწროს გზაში; დადგა შეისვენა, ოფლი მოიწმინდა.

— ერთობ დაშვებულა... ამილახვარი შეეცადა ერთ დროს შეკეთებას ძველი სახის აღდგენას შავრამ ამოათ... მიწის ძვრამ სულ დაარღვია და წაშალა გზები.

სოქვა კაცმა, ისევ მოისევა ხელსახოცი ოფლიან სახეზე.

განა ამილახვარებს, ან რომელიმე პიროვნებას შეუძლია ისტორიის უკან დატრიალება?

— მართალი ხარ ჩემო შაკა! ისტორია უკან არ იხვეს მხოლოდ სხვადასხვა სახეობაში მეორდება ის...


— როგორც სიციოცხლე მეორდება სხვადასხვა სახეობაში არა?

ვაემა შეხედა ქალს და გაუღიძა.

— ჩემო დაიკო! მსიამოვნებს შენი ყურება... შენ გაიზარდე, აზროვნებითაც მომწიფებულხარ...

— ბეჩაეო ჩეიო თავო! მაშ ხომ სულ ისე ბავშვი არ ვიქნებოდი. ქალი პედაგოგიურ ტექნიკუმს ვათავებ... აწი მე... რალაც უნდა ეთქვა, შავრამ შეაწყვეტინა მალლიდან მონასხლეტმა ქვამ; კლდეზე შერჩენილ მწვანე ბალახს, წითელი ძროხა გაუტყუებია და მის ფეხქვეშ მორღვეული ქვა მოდიოდა თავზე.

- ვიაროთ ტატე! დაგვიანდება.
- და ძმა ისევ შეუყენენ აღმართს.
- საცოდავ კბილივით შერჩენილა ეს ერთი კედელი, ნეტა რამდენი ქარიშხალი მოუნდება ამ უკანასკნელის ჩამორღვევას?
- ჯერ არ დაირღვევა, ვერ უყურებ რა მაგარი ბოძი აქვს შებჯენილი ამ ვარსკვლავის გასამაგრებლათ? მოხდენილ ადგილზე—ქი დაურკვიათ.
- ჰო, ლამაზია ღამით... შორს აშუქებს და თითქოს ყოველ მხრიდან მომავალ მგზავრს უნათებსო...
- აღბათ კიდევაც რომ უნათებს.
- გახსოვს ტატე, დედას, შუბლის ქინძისთავი რომ ჰქონდა ამ ვარსკვლავს არ ჰვადდა?
- მახსოვს, როგორ არ მახსოვს. საწყალი დედა როგორ გატყდა და მოიხარა...
- ჰო, გასტება შრომამ...
- სულ ჩემი ბრალია მაკო არა?
- შენი რათა გენაცვალე?
- მაშა, მე თუ სოფელში მომეცადნა, არც ეგვრე მოხდებოდა.
- აღბათ მაინც მოხდებოდა, რაც მოსახდენი იყო...
- შენ ფატალისტი ხომ არ ხარ?.. ბედის აუცილებლობა ხომ არ გწამს?..
- არა... არა... ჩვენ ხომ ისტორიაზე ვლაპარაკობდით ჰო და ის მიდის თავის გზით...
- კიდევ შედგა ტატე, გადახედა ქალაქს, ისევ დას მიუბრუნდა...
- მე რომ ეხლა აქ ფეხი წამოგვრა და ხრამში გადავიჩეხო შენ ამასაც ისტორიას მიაწერ?
- მაკას გაევიცინა
- არა ძმაო, აქ ეს შენი გაუფრთხილებლობა იქნება.
- მაშასადამე...
- აჰა... ამოვედით კიდევც...
- უკანასკნელ საფეხურზე აირბინა მაკამ მალლიდან ხელი მოაწოდა დასუსტებულ ძმას და აიყვანა. შევიდნენ ციხის გალავანში, სერბართა მოვაკება მოსჭებნა მაკამ, პატარა შალი გაუღინა ძმას მიწაზე.
- დაჯე ტატე!..
- შენ ძალიან მანებვირებ!..
- მეორედ რომ არ გამიცოდეს ჩემი ძამია. ფეხებთან საგზაო პარკი დაუღო. ტატე შალზე მოიკეცა, მაკა ისევ ფეხზე იდგა და თვალს ავლებდა ქალაქის მიდამოებს.
- ხედავ ამ კოტა ხანში, როგორ გაიზარდა ჩვენ გორი?
- ვხედავ, გაზრდილა, კვერნაკს მიბჯენია მოსახლეობა...
- სამაგიეროდ გორი ჯვრის მხარეს ისევ ცარიელია...
- ექვთ მდინარეები და შთა უშლის ხელს ქალაქის განვითარებას
- მაინც როგორი ტექნიკა ჰქონდათ... ტატე! ჰა?



ამ ციკაბო მთა კლდეებზე რომ აგებდნენ ციხე სიმაგრეებს, თუ მონასტრებს, რა ფასად უნდა დაჯდომოდა მუშა ხელს ეს შრომა, <sup>მტკვარები</sup> ~~მტკვარები~~ ხალხს პირდაპირ...

— კარგი და, მდინარეების გადაგდება ნაკლებ შრომად უღირს მშრომელ მარჯვენას? რაც ეხლა ელსადგურები შენდება, გვირაბები იჭრება, არხები. გადის, ცოტა ძარღვების დაჭიმვა უნდა ამათ?

— შენც ამბობ ტატე! რა შედარებაა? ჯერ ერთი, ეხლანდელი მუშაობის ტექნიკა რამდენათ უადვილებს შრომას კაცს, მეორე, მოხმარების და სარგებლობის მხარე.

— ყოველ ხანას თავის გამართლება აქვს ჩემო კარგო... მაშინდელ დროისთვის ის იყო მიზან შეწონილი... ციხეებში თავს აფარებდნენ, დღეს ეს არ გვეჭირვება, ეკლესიით ზცავდნენ რჯულს და ეროვნულ სახეს... შენ რომ მიხვიდღ და ფუტკარს სკა დაუნგრიო, ისიც—კი მოიმარჯვებს შხამიან ისარს, მთელი ოჯახი წაშოგესევა და დაგისიებს ცხვირ პირს კბენით, ადამიანს უნდა გადაეჩინა თავი დღეს, სხვა გვარია თავდაცვის საშუალება.

ვიცი როგორ შრა, ყველაფერი ვიცი, აქ ამ ციხეში იყო თურმე გამომწვედიული ქართველობა, გორის ჯვრის ხეობაში კიდევ ჩვენები ყოფილიყვნენ. შუა ლამისას, სიბნელეში ჩამოპარულან მტკვარში, გაბერილ ტიკებზე გადამსხდარან, თვალ წინ გამოპარვოდნენ სპარსელებს, და მოშველებიან ციხეში გამომწვედიულთ...

— ე ე, ჩემო დაო, ათასი რამ ყოფილა კაცობრიობის თავს და ვინ იცის კიდევ რას მოგლის ადამიანის თავის ქალა!...—სთქვა ტატემ.

გაჰხედა ცხინვალისკენ მიმავალ გზას, შორს იკარგებოდა ტიალ მინდვრებში, თვალ საწვდენზე, მაღალი ჩინარები მოსჩანდა მოაგონდა ტატეს დღეები. როდესაც ურმით დადიოდა აქ...

— ტატე... ამ გორის ჯვარზე იცი ლეგენდა?

— არ ვიცი... მიუგო ძმამ და ისევ თავის ფიქრებს დაუბრუნდა.

— ამ ციხიდან ქორი გადაფრენოდა თამარს და იმ კლდეზე დამჯდარიყო. დედოფალს ეთქვა: „თუ გლები გამოიყვანს აზნაურობას ვაჩუქებ. თუ აზნაური, — მას კიდევ დიდებულებას მიეცემო“. მტკვარი თურმე აღიდებული იყო... ერთ მწყემსს გაებედა გასვლა მაგრამ შუა მდინარეში დალუპულიყო. შემდეგ თამარს იმ კლდეზე საცა ქორი იჯდა ეკლესია აეგო, და ქორის ჯვარი ეწოდა...

— ვინ გითბრა შენ ყველა ესენი?

— ერთი ხნიერი ლექტორი გვყავს. როდესაც სადმე წავალთ მოგვითხრობს, ძველ ამბებს.

— სხვას რას გეტყვით კიდევ?!

— გვეტყვის ბევრ რასმე, ბატონ ყმობის ცხოვრებიდან; მოგვითხრობს როგორ არა ადამიანურად ექცეოდნენ ამუშაებდნენ საქონლებივით და ამშვედნენ, სცემდნენ, ყიდნენ, რაც უნდოდათ იმას სჩადიოდნენ.

ტატეს გაეღიმა, უფურა დას ცოტა ხანს.

— ბევრი იკითხე დაო და თან ცხოვრებას დაუკვირდი, დასკვნები შენ ღვითონ გამოიტანე, ისტორია ყოველთვის ორ პირათ იწერება... არის ისტორია სასახლის და არის ხალხის პირდაპირი...

— მერე?

— მერე ის რომ შენი დასკვნა გამოიყვანე. უშუალოდ საფუძვლად დაედებ ნებისა ფუტკრისთვის თვალი, ფუტკრის სახელმწიფო სკაა, და რომ იტაურობა იაშენონ მთელი ზაფხული გამალეებით მუშაობენ, კომუნა აქვთ.

ჩვენ ადამიანებს გვეუბნებიან: „სახელმწიფოს შენებას მუშაობა უნდაო“, მე რომ გენახე სააგურზე, ალბათ მეც საქონელს შემადარებდი, ორი ათასი აგური უნდა მომეტრა დღეში, მა რა მიქნა? შენც იცი სოფლის საგზალი მოკლე გამოდგა, ცხოვრებას—კი, თავისი უნდოდა... შეხედე ჩვენ დედას როგორ მოიხარა, შეხედე მისაქე ქარხნის ამხანაგებს, მათი შრომა მსუბუქია და მოლხენილი? მე ათი ათასი შუბლი მინახავს ოფლის წვიმა დადინებული, ათი ათასი თვალი მინახავს ცეცხლის ქურად გადაქცეული. ამასწინედ შეშის სასხამ ქარხანაში ვიყავი, იქ შიშვლად მუშაობენ, შარვლით და ხის ქოშებით არიან, რკინის საბერველებით ცეცხლის ტბიდან გამოაქვთ სითხე.

ცხოვრება ასეთია... ვინ იცის შენი ტატეც სად გადაისროლოს?

—სად უნდა გადაისროლოს, საით აპირებს ჩემი ძამია?

—არ ვიცი, მაკა, რას ვიზამ, იქნებ სადმე შორს წავიდე...

—ჩვენ, ჩვენ რალა გვეშველება?

—თქვენ რა გიშავთ... შენ გაათავებ ალბათ სასწაელებელს და გათხოვდები...

მაკა უკვე ძმის მუხლებთან იჯდა, თავი დახარა ძირს, ბალახი მოსწყვიტა კბილით გასწიწქნა და შეხედა ძმას.

—მე არ გათხოვდები ტატე.

—რატომ ჩემო მაიკო!? რატომ, არაეინ არის?..

—არა... არაეინ...

—მაკა ვახსოვს ლურჯი ჩიტი?

ჭალს გაელიმა.

—მახსოვს.

—ხომ მართალი ვიყავი მე?

—მართალი იყავ.

—სად არის ეხლა?

—სოფელში და ცოლი შეირთო.

ტატეს გაელიმა.

—ტატე!

—რა?

—რათ გვიწყდება ასე ლაპარაკის ძაფი.

—ნუთუ მეტი საერთო ვერ გამოვნახეთ?

—რა ვიცი!.

—ტატე..

—ჰო!

—ის შენი ამხანაგი რალა იქნა?

—რომელი?

—აკაკი.



და მაკა წამოწითლდა სახეზე. ტატემ უნებურად შეველო დას თვალი, უხერხული სიწითლე შენიშნა.

— ჰოოოო...

გაავრძელა. მაკამ უსიტყვოდ შეხედა ძმას დამშვიდებულის თვალებით, აალისფერებული სახე დაუკრთა, დაუწყენარდა.

— მაშ შენ არ გათხოვდები!

კოთხა მნიშვნელოვანათ ტატემ.

— ჯერ ასე მგონია... ძალად ხომ არ მოვიხვევ თავეზე... მე ჩემი მოსაზრებები მაქვს.

— მაინც?

— ქალი თხოვდება ორი მიზეზით...

— სახელდობრ?

— იყო სიყვარული და იყო მეორე ანგარიში... ეხლა არც პირველია და აღარც მეორე... ტატემ გულიანად გადიხარხარა.

— შენმა სიცოცხლემ, ტატე შერთალს ვიძახი. სიყვარული ორი კვირის გატაცებად გადაიქცა. ანგარიში არ არის, ქალი უნდა ემსახუროს სახელმწიფოს, თავის გამოკვებვას და ზედმეტი პატონი და საზრუნავი დაისოს თავს... არა მამო... არა... თუ შევიშლები არ ვიცი... თორემ...

ტატემ კიდევ იხარხარა გულიანად. უკან გადაწვა ნიდაყვეს დაეყრდნო; სახე წელ ნიავეს მიაშვირა.

— იფ... იფ... იფ... რა წმინდა პაერია ქალაქის შემდეგ უპ...

შესცვალა ლაპარაკის აზრი.

— ხომ არ მოგშივდა? საუზმეს გაგიშლი.

— ჰო, მაკა, დაენაყრდებოდი.

— იცი რა ტატე! ცოტა იმ კედელთან გადავინაცვლოთ აქ ჩქარა დაგვაქერს მზე.

— ეგრე იყოს.

წამოდგა ტატე, გაიარა ციხის მოვაკებაზე, დაათვალიერა ძველი თაღები, საკანების ნანგრევებში ნახა მიწაში ჩაფლული დიდი ქვევრები... ჭა. ლიანების მხარეს გადახედა, ციხის ძირზე პატარა ფშანი მოსრიალეღდა და ვერცხლის ქამრად ევლებოდა კლდის კედელს. ქვემოთ შარაზე ღრიჭინით მოდიოდა ურმები კოფოზე მუდომი მურმე რალაცას დალიინებდა ხარბს, უტედა, საქონელი გარბოდა და ხილით სავსე გოდრებს ძაძვანი გაუდიოდა. მურმეები ქალაქისკენ მიემართებოდნენ, იქ ქონდათ ბაზა, დასაცლელი ადგილი. ტატე წელწელა გაპყვა ურმების მიდნას, ვალავანს შემოუარა გადავიდა მარცხნივ, დაეწყო ყურება ქალაქს, ერთ შენობას დაეცა თვალი; ქარხანას ბოლი ამოეშვა და კიოდა. იქ უამრავი ხილი ეყარა; მარწყვი, ბალი, ქლიავი, ხიდის თავის კვერცხულა და წითელ ლოყა ატამი, ვაშლის ტყლაპი, მურაბა და კონსერვი, ერთი მეორეს ეჯიბრებოდა. სავსე იყო გოდრები, ყუთები, საწყობები. დაბეჭდილი ყუთები სადღაც მისცვიოდა, ხელი ხელს ენაცვლებოდა, პროდუქცია რიგიდან რიგში გადადიოდა. საწყობში მწონავი სასწორს ასწორებდა, მიმღები რალაცას ყვიროდა. ბულალტერია საანგარიშო ჩხირებზე აჩხაკუნებდა, გამგე გლუხებს ეჩხუ-

ბებოდა, მოლარე ფულებს ითვლიდა. ფარაჯა შემოდინძილი გლეხი სიმინდს ჩა-  
ლას უყრიდა ურმიდან გამოშვებულ ხარებს, ქარხნის ეზოში დროებით სადგომ  
ფიცრულ შელესილ ოთახში, მცხოვრები დასვენების დროს მზის ყურს მიმუდრო  
ადგილს ახლად ამოსხმულ ყვითელ ქინქლიან წიწილებს საკენეს უყრიდა გაფე-  
ნილ ტომარზე, არ უნდოდა გადაეწვა ახლად შობილი მიწაზე, ფუსფუსებდა  
შობუცი და თან ტატზე ფიქრობდა.

„აქაც ქარხანა და მის ორთქლში გახვეული დედა, იქაც ქარხანა და იმ  
წარმოებაში ჩაბმული თამრო... ალბად ჩამოვიდოდა, ამდენ ხანს. ჩემს ამბავს  
შოიკითხავდა, ეტყოდენ, უთუოდ მუშაობას შეუდგებოდა თავის საყვარელ და-  
ზგას დაუბრუნდებოდა. მას ხომ უშიშრობა არ წარმოუდგენია თითქოს შეზრდილ  
შეხორცებია წარმოებას... ერთხელ მეკითხებოდა: „არ იმუშავებ ჩვენთანო“? მე  
არ უბასუხებ, არ უბასუხებ გუშინ დედაჩემსაც, აქ დარჩენა და საქარხნო საქმე რომ  
შემომთავაზა, საწყალბ დედა, კბილით და ფრჩხილით მეკიდება დავრჩე როგო-  
რმე... არა, რა გამაჩერებს აქ, რა დამაყენებს. განა მტკვარი, გინდ ლიახვი და-  
დგება გორში? რა იქნებოდა, აღიდდებოდა, კალაპოტებს გადმოხვთქდა, ქვე-  
ყანას წალეკავდა... როგორ მოდის დაუსვენებლად, მტუჩერებლად, თითქოს ცო-  
ცხალია, სულიერია. სუნთქავს, განვიციდ მავის სხეულოვანებას, უამრავ ძალას  
ვკრძნობ მასში, მასში უძლეველს და იმ დროს მეშინია ძისი...

თვალს ადევნებს ტატე, მდინარის თეთრ ზოლს. თანდათან ცხება, ჰაერში  
თეთრი ისამინის სუნი იფანტება და მახლობელ ბაღებიდან ფუტკრის ზუზუნი  
მოისმის... ძველი სასწორის მოედანი მოტიკვლებული, ცარიელი, უპატრონო  
ეზოსა ჰგავს, მოედნის ყურში ორიოდ ნაღბანდის სამკვდლფა, გლეხს ურემში  
გამოუხსნია ხარები, მკვდლებს საქონელი წაუტკევიათ, ორივე ფეხით გაუკრავთ  
კრტზე და სკვდავენ ნაღს... ლოთი ხარაზიც დარჩენილა ერთგულად მოედანზე  
არ შესულა კოლექტივში, მას დუქანი აღარ აქვს, ორიოდ თხელი ფიცარ-კა-  
ვარი წამოუფარებია თავზე, გვერდით უდგას ჯღანებით სავსე კალათი და აკე-  
რებს, ძველებს აღარ ჰყრავს ის ყურიან წულებს, არც ლამაზ „ჩუსტებს“. იქვე  
ედებს საკვებს წუმპეში დინგწყაოფილი ჰირუტყვი, მაგრამ ამათ ველარ პოულობს  
ის ჩვეულებრივ ხილს, დაცენილს უხვათ სავაქრო მოედანზე.. მაკას გაუწყვია  
საუზმე და უყურებს ძმას. რომელიც ეს იყო კინაღამ დაქარგეს; „დედა დღე-  
დაღამ საავადმყოფოს კარებში ეგდო, კალათით ხელში, წელში მოკუნტული,  
სავადმყოფოდან გამოშვებულ თეთრ ზალათებიანს საცოდავად შესცქნაოდა.

„ხომ არ მომიკდა ჩემი ტატე, სიჭკრივეში გამოზრდილი შვილი“. ასე  
დაჭვითინებდა დედა. მაკამაც ხომ გასთელა ქალაქის გზა გორამდის, კვირამი  
ორ მგზავრობას აკეთებდა, თან მუშაობდა ქარხანაში, დედის მაგივრად. ტატე  
გადურჩა სიკვდილს, წამოიყვანეს, ექიმმა თავად ჩამოაცილა ძირს, ეტლში ჩა-  
სვა, იშედს გვაძლევდა... რა ლეთისნიერი სახე ჰქონდა იმ ქალს. მადონას ჰგა-  
ვდა, არა ჯიოკონდას ჰგავდა... არავისაც არ ჰგავდა, უბრალო სათნო ქალი იყო  
ძალიან პატივს კი სცემდა ჩემ ძმას და... კარგი მკავს კარგი მავას ვენაცვალე“.

— ტატე! ვისაუზმოთ და შემდეგ წავიდეთ, დაცხა.

დაუძახა ძმას, სირბილით მიეგება გზაში, მკლავ მკლავ წაიყვანა და დას-  
ხდნენ ჩრდილში სადაც გაუშალა სუფრა, მოხარული კვერცხები, გაწურული  
შაწონი და შოთის პური.



თამრომ მოლოდინს გადააქარბა საქმიანობით; ვერცხლის წყალი, ყველგან არის, ყველგან მაიწვდნის თავის ხელს, ცოდნას, გამჭრიახობას.

გინჯინქოთქა

— ამ წუთას კაბინეტში იყო.

— მესამე კორპუსში ვნახე რალაცას უსწორებდა დაზგაზე ძველ მომუშავეს.

— ეჭვ ბედავ, ხარაჩოზე ასულა, კალატოზებსაც არ ასვენებს.

— ახალი დაშენება მაგის გეგმა იყოვო...

— ყოჩალი ქალია ყოჩალი.

— იპ, ერთი... მატრაკვეცაა და მეტი არაფერი

— ჩვენთვის აღარა სცალია.

— მაღლიდან გადმოყურებს.

— სცლებით ამხანაგო, მართლაც და ცოტა საქმე ახვევია თავზე? არც

ერთი კრება არ იქნება რომ რამეში არ აიჩიონ...

— ნუ ჩაეჩრება და არვინ მოახვევს თავზე...

— კიდევ თავისას რომ გაიძახის... რამდენი იუარა გადაყვანა რომ დაუპირეს „დაზგას არ მოვშორდებიო“ მაგრამ არ დაუჯერეს... მაინც გადიყვანეს, დროს რომ ჩაიხელებს ისევ ჩვენთან გამორბის და თავისებურათ აუწყებს მანქანას..

— ოტატატატ... შენ თუ შენი კალთა არ გადააფარე დიომიდე იქ არაყავს...

— სსუთ...

აუწია ხმას უფროსმა ხელოსანმა და ხელმძღვანელმა.

სირცხელი არის ამხანაგებო ასეთი ქორაობა, ამას იქეთ ვერ წასულა ჩვენი აზრთვნება...

— კიდევაც, რომ—დაემოწმენ...

— უმადური უნდა იყოს კაცი რომ არ დაინახოს მაგის ამაგი... ი ბგარო მოგვიწყვეს ცოტა შრომა დასჭირდა.

— არა, ამხანაგო, მაგის დაბრუნების შემდეგ თითქოს სხვა პირობები შეგვექნა და ქალებს მაინც განსაკუთრებით. ასე კამათობენ ქარხნის ქალები ასე არჩევენ თამროს გუშინდელი მისი დაზგის თანამოზიარენი, ამხანაგები.

სულ სხვაგვრად ფიქრობს ქარხნის ადმინისტრაციის ნაწილი. ინჟენერს კეკაში არ მოსდის ახალგაზრდა ქალის საქმიანობა... გუნებაში მეტიჩარას ეძახის, ბრაზობს რომ ყოველი წინადადება საზრიანია და „ვინ არის ეს რომ ებიდება გზაზე, განა თვით მას არ შეეძლო ამათი თქმაც და გაკეთებაც?“ ქალი მხარს უჭერს მუშა გამომგონებლობას, აქებებს და საშუალებას აძლევს ცდების მოხდენაში, ინჟენერებისათვის ეს ხელსაყრელი არ არის, განა „მათზე უკეთესად ვის შეუძლია შესცვალოს დაზგის კონსტრუქცია, გაადვილოს და გკონომია მისცეს პროდუქციას და დროს...“

არც დირექტორს ექაშნიკება დაწინაურებულ ქალის სირბილი, ცეხიდან ცეხში. ბუღალტერიიდან კანტორაში, სამნეო ნაწილიდან სასაბილოში „ყველგან როგორ უნდა მიძერებოდეს მაგის თვალები, და ბოლოს ვინაევარ მე, ვარ პარტიული და ნდობით აღჭურვილი თუ არა?... ასეთი კითხვა ყველას აწუხებს. მაგრამ ლოზუნგი მაინც ლოზუნგათ რჩება და ქალიც მათი თანასწორია.

დიომიდე? ის უფროსი აღარ არის თამაროსი, ვერც მუშოობას დაიკლებ და ვერც თავისუფლებას მისცემს, მაგრამ თანდა თან ძილი ეკარგება და მძლავრდება და გახდა კიდევ.

თამაროს არ სცალია ამ ამბებისთვის, მან ბერი ახალი რამ ნახა და შეისწავლა ზორს ქვეყანაში „მათთან შედარებით ჩვენი პროდუქტია მდარეა თვალათ, ქსოვილი თუმცა უკეთესია გამძლეობით და სიწმინდითაც მაგრამ თვალათ-კი არა სჩანს, იქ ძალადი კვალიფიკაციის მუშებია, ქარხანა უკეთ მოწყობილი, სამღებრო და უთო საუკეთესოთ დაყენებული და გამოყვანილი საქონელი თითქოს უკეთესათ სჩანს... ჩვენ უნდა შევძლოთ რომ პირველი ადგილი დაეჭიროთ ბაზარზე, რამდენჯერ ალგვინიშნავს რომ ნედლეული მასალაც აქლია ქარხანას და ეს ყველა ტრესტის ბრალია. მათი აპარატის და სიძიმის კრება და გეგმა, გეგმა და დადგენილება, ქალაქები გროვდება და საქმე ისევ დგას, თესლი ნაკლებ ხარისხისაა, ხშირად ფუჭი. ძაფ საღებო რაიონები ცდებიან თურმე. აქ სხვა ნაირი ამბავია საქირო. ცეცხლს უნდა დანთება ქვებს შეკეთება, რომ უდღეს და გადმოდიოდეს“

თამარო დგას მიღლა ყოფილ სახურავზე იქ გამალებით აწყობს აგურებს კალატოზი, უნდა ახალი მანქანები დაიდგას და მათ შეკეთების საქმეს მექანიკურ ცეხში აჩქარებენ ცეხის უფროსები და უფროსი ხელოსნები. ქურა ღვივის საბერველი უბერავს რკინა ცეცხლში იწროთობა წითლად ლაპლაპებს, ცინცხლებს ისვრის, ოვლით გაწეწილი მჭრდელი სკემს ქუსლზე დაშაგრებულ რკინას თავპირში უროს აყალიბებს და შემდეგ წყალში აციებას.

გამოწროთობილი რკინა მივიდა ხარატთან. გამოცთილმა თვალმა დახედა ნედლ მასალას, შეაბრუნა ხელში და ჩასდო პატრონაში, დაუპირდაპირა ბურლი, სახელური გადასწია, აგუგუნდა მოტორი, დანდალა ბორბალზე გასრიალდა ღვედი, დაიწყო ბრუნვა, მოდის წყალი წვრილი მილიდან და ესხმის საბურღავს, რომ არ გახურდეს რკინა, არ დაიღებეს, ბურლს ბურლი გამოეჩაცვლა და მიიღო სასურველი სახე. ასევე მოხდა ფრეიზერის დაზგაზე, მოგრძო ოთხკუთხა თუჯისაგან გამოჩარხა ხელოსანმა კბილებიანი „ბალენკა“ რომელიც სხვა და სხვა ნაწილებს შველის ბრუნვაში.

ესევე განმეორდა სარანდავ დაზგაზე და შეკეთდა მანქანა. დაზგა. სახე შემორული ხელოსნები გვიდებიან რკინას, დამკვრელები ერთმანეთს ეჯიბრებიან ოვლს იწურავენ. სადურგლო ცეხსაც გააქვს გამოაქვს შალაშინები...

თითუანი მილიციელი დგას კარებში და უქალაღლოთ არავის უშვებს ქარხანაში. ყველა გარბის, ყველა თავ მოგლეჯილი ეშურება საქმეზე.

თამარო ისევ სახურავზეა, ზაფხულის ბოლოა, მაინც ცხელია, თავზე ხელსახოცი დაუფარებია და გაპყურებს დასაველეთით მიმავალ გზას.

„მაშინ აქეთ რყურებოდა, აჭაურობა იზიდავდა უცნობი თილისმა მოათრევდა ქალაქში, დღეს-კი იმ გზას გაპყურებს. უკან-კი, არ ბრუნდება, იქედან უნდა ჩამოიყვანოს შვილი და შვილის მამა, ცუდათ ყოფილა ნიკოს საქმე და აბასთუმანის სანატორიუმში გზავნის ქალი ყოფილ ამხანაგს, ერქარება ამოიყვანონ.. აქაც ბევრი საქმე აქვს, იქაც და სწევს ქალი თამბაქოს.



შუადღის სამი საათია, კიდევ ცხელა, რკინის გზის სადგურში ხალხი ირევა სალაროებთან კაცი ვერ მიატანს აღმოსავლეთ დასავლეთს უნდა მოვიფიქროვოთ. გასასვლელ კარებთან ზის ავადმყოფი, კისერი წაგრძელებია და ბეჭებში მოხრილა, დრო და დრო ახველებს და სახეზე სიწითლე უვლის. გვერდით მოხუცი ქალი უზის, შეკრული ლოგინი, დიდი კალათი და თავ მოკრული ხურჯინი გვერდით უწყვიათ. მოსასვლელ კარებისკენ უჭირავს თვალი, ვილაცას ელის.

მოჟდა კიდევ ჩქარის ნაბიჯით, მოეშურება, ხელში პორთოვლი და ქალაღლის პარკით ნაყიდები უჭირავს. ხალხს ათვლიერებს და ისიც ვილაცას ეძებს.

— თამრო!— დაიჭურჩულა ავად მყოფმა, მოხუცი ქალი წამოდგა და მიეგება თამროს. ეს დარეჯანია \*გამწარებული დედა\* ნიკა მიჰყავთ აბასთუმანში.

— რათ დააგვიანე თამარ?

— ეს უნდა წამომეღო თან—და ქალაღლში შეხვეული აჩვენა.

— ნუ გეშინია ნიკო, არაფერი საშიში არ აღმოჩნდა ქრონიკული ბრონხიტია, ვალდებულნი, რასაც სრულიად გასწმენდს ფიჭვნარი. აბა გავიდეთ, სხდებიან უკვე...

— როგორ თამარ შენც მიდიხარ?

— რა თქმა უნდა... დაგაბინავენ და წამოვალ, ბევრი საქმე მაქვს ვერ გავჭერდები

სად არის თქვენი მეზარგული? სანდრო შენც აქა ხარ! გამარჯვება ბიჭო.. ჩამოართვა ხელი პატარა მავლს, მერე დაჰკრა მხარზე...

— აბა შენს გაზრდას გავიდეთ..

თამრო წინ წავიდა, მის უკან გაყვა ბარგის მტვირთველი, ნიკო დარეჯანი და სანდროც, ავადმყოფი ჯობ დაბჯენით მიდის, სხვებს ყველას მიაქვს თითო რამ... თამრომ საწოლი მოუმარჯვა კუბეში... სანდრო ყველას დაემშვიდობა\*

— წადი სანდრო... შენს გაზრდას დედაჩემს ვგრე გადაეცი, ჩქარა ჩამოვალ და ნათელას წამოვიყვანთქო...

დასხდნენ, დაღლილი ნიკო მიწვა ბალიშზე, მას ერთ ხანს ახველა.

თამრო მოიღრუბლა. გული დაეჭმუჭვნა.. ეს ხველება, ეს მძიმე სუნთქვა კარგს არ მოასწავებს და ვაი თუ მალე დაობლდეს ნათელა.

ექიმებმა-კი მისცეს იმედი, მაგრამ მაინც ეშინია ქალს, ეცოდება.. ქალაქი დასტოვეს, ღრმა ლელის ნარღვე ნაპრალებს გასცდნენ, მოშორდა ფანჯარას ქალი.. ჩამოჯდა, თმა გადივარცხნა გაზეთი გაშალა და ჩააცქერდა შიგ..

დარეჯანი შეჭყურებს სიძულელით... შეჭყურებს მორიდებით.. ეხლა თამრო დიდი ქალია და რას გაუბედავს დედამთილი? წავიდა ის დრო როცა უტატანებდა და ქეკუს ასწავლიდა...

თამრო რონოდის კედელს მიაწვა, გაზეთი კალთაზე დაუფარდა და ჩასთვლიმა მჯდომარეს.



ამასთუმანმა მოაცოცხლა ნიკო. მშვიდად ეძინა და საუბრისას მისთვის შე-  
სკამა...

სააგარაკო აივანზე სხედან.. საზაფხულოდ მოსული ხალხი გაკრეფილ-  
დარჩენილან მხოლოდ მოზანთრენი..

გაპყურებას ნიკო ზღაპრულ სილამაზეს. მას თავის დღეში არ უნაბავს  
ასეთი ტყე, ბორჯომიდან მოყოლებული ისე გაიტაცა სანახაობამ, რომ სულ გადა-  
ვიწყდა ავადმყოფობა, შესცქერის ცამდის ასულ ფიჭვნარს მწვანე კაბია ნანაძენარს  
საკმეველის სუნი ენერგიას მატებას, სიცოცხლეს უახლებს, სისხლს უმოძრავებს  
ლორწო მოდებულ ბრონქებს უწმენდავს, უხახახებს. ავიწყტდება კაცს განვლი-  
ლი ტკივილი სულის, ხორცის და ეხლა დამშვიდებით უყურებს თამროს, მის  
პატონს და სიცოცხლის დამბრუნებელს. შერიგებულია ვაგი პირობებს...

— ეჰ, სულელო ჩემო თავო! სად მე და სად ეს...

საიდან დავეტეოდით ერთად.. რა მოკლე სიზმარი იყო ის ამბავი..

— არა თამრო! მე მოვრჩები... უთუოდ მოვრჩები.

— რა თქმა უნდა მორჩები ნუ გეშინია.. ექიმების ყოველი დარიგება უნა-  
კლოდ შეასრულე. როცა თოვლი წამოვა., თუ გაგვიძირდა აქ დარჩენა... გზის  
შეკვრამდის წაგაცივან და სობუმს გაგაგზავნით. იქ სრულიად განიკურნები.. რამ  
შეგაშინა ვაგაციო... აქ არა ვართ ამხანაგები? სასიკვდილოთ ვის სცალია ჯერ?  
გაულიმა, მხარზე ხელი დაჰკრა.

ნიკომ მადლობით საესე თვალეზი მიაპყრო, გაუზედავთ მოიტანა ტბებთან  
თამროს ხელი, აკოცა, მერე უცერად სინანული გამოესახა თვალეზში, თავის სა-  
ხელოს პირით საჩქაროთ გადასწმინდა ხელი.. და ცრემლ მორეული თვალი მოა-  
რიდა...

თამრო მიუხდა ამ ეესტს... ნიკოს თავი ქლექიანად მიაჩდა და დაეხანა თუ  
რათ აკოცა ხელზე ძვირფას ადამიანს... ქალსაც ეტყვიანა გული...

— ნიკო! აბა ასეთები არ იყოს ზომ იცი-გაწყევნეს. შენ გჯეროდეს რომ  
კარგად ხარ, ჩქარა სულ განკურნებული დაბრუნდები და დანარჩენი შემდეგ  
მეველაპარაკოთ...

ნიკოს გაელიმა, ცრემლები ისევ უციმიციმებენ თვალეზზე. ასევე ციმიციმი-  
ბენ ნაძვის ქოჩორზე დიდენილი წუხანდელი წვიმის წვეთები, ამ დლით რომ მზის  
სხივები დაკურებიან და ამარგალიტებულან...

შორს დაბლობში აორთქლილა ნოტიო და მადლობზე ტყის კენწეროებს,  
გაშლილ ქოლვას ჯახცი შემოვლებია, ეხლა თანდათან იხევა თეთრი ლეჩაქი  
იფხრიწყება და ცხრა თვალა მზე თავის სხივებში ხვევს ჯოჯოხეთში გაშენებულ  
სამოსთხეს.

თამრომ აიღო თავის პატარა ჩემოდანი გამობრუნდა, სირბილით ჩაირბინა  
კიბე და მიაშურა იმ მხარეს საითაც ეგულებოდა წასასვლელად გამზადებული  
მანქანა.

სხდომა ვათავდა, დირექტორი გაპყვა მთავარ ინჟინერს და წავიდენ ქვე-  
მოთ ახალ შენობისაკენ, საცაა ჯერ კიდევ არ დათავებულყო მუშაობა. დანარ-  
ჩენმა სამაქც დასტოვეს თამბაქოს ბოლით ავისილი ოთახი...

თამრო წამოდგა, ფანჯარა გამოაღო, გარედან შემოვიარდნოლი სუფთა ჰაერი შეისუნთქა, ფანჯრის ფიჯარს დაეყრდნო და ისევ ქრუთედა... ბიპიროსს დაიწყო ქვემოთ ცქერა, მეორე შენობის კუთხეზე საბავშვო ბავშვების გაეფინათ. ქარი აფრიალებდა ზეწრებს და ატკაცუნებდა. აქვე გვიდა პატარა პერანგები და სახვევი პაკეტები... თამრომ ანგარიშ მიუცემლათ უყურა ერთ ხანს სარეცხ, წარმოუდგა სოფელი, ნიკოს ეზო და იქ დაფენილი ნათელას სარეცხი მოაგონდა ბავშვი და დალონდა, რომ ვერ მიდის და ვერ ამოჰყავს. გოგონა მოიზარდა, დედის ხელი ეჭირებოდა... არა, უნდა წამოვიყვანო და ჩქარაც, იქნებ დღესაც წავიდე მაგრამ, ახალი საქარხნო ბინა რომ არის ჯერ მოთავებული იმ ნოტიოში როგორ შევიყვანო" მაგიდის ბოლოში, დიომიდე ისეთსავე მდგომარეობაშია, როგორათაც დარჩა სხდომის გათავებისას. მისჩერებია ქალის შეკრუქილ თავს, მაღალ კისერს და კაბაში გამონაკვეთულ მკრივ სხეულს.

ვაჟი წამოდგა და წავიდა ღია ფანჯრისაკენ. არ შედგა არც შეყოყმანდა მივიდა შემოხვია წელზე ხელი.

თამრო! — ჩასჩურჩულა.

— ამხანაგო დადექი უკან.

— თამრიკო შენ ხომ იცი!!

— არაფერი არ ვიცი...

— არც გინდა იცოდე?

— ქარხანას შეეხება?

— აარაა... მე შემეხება, ჩემ პირად ცხოვრებას და მომავალს.

ქალი მიაჩერდა სახეში.

— რათ მიყურებ ასე გაკვირვებით?

ბავშვი არა ხარ... კარგად ხედავ, გრძნობ კიდევაც, მაგრამ არ გინდა დაინახო.

— რა ყმაწვილო! რა უნდა დავინახო?

— მიყვარხარ თამრო! ისე უცრად დაიძახა ვაჟმა, ქალი სახტათ დარჩა თუმცა მაშინვე მოინდომა იმ სიტყვის გადაკეთება.

— ჰოო რაა მერე? არც მე მძულხარ... მე ყველა მიყვარს.

— ეს არა, ყველას სიყვარული სხვაა... შე... მე... თამრო!... წაუხდა თქმა, აღარ იცის რა თქვას, დაეკარგა სიტყვა...

ჰოო ჩემო კარგო... აბა მოიფიქრე კარგათ რა უნდა მითხრა და შემდეგ გამაგებინე.....

დააპირა წასვლა...

— მოიცა!

გადაელობა წინ ვაჟი.

— თამრო მიყვარხარ მეთქი!...

— შენ აზვირთებ ერთხელ დანაბადებ აზრს, დაუკვირდი აბა კარგა... ამას გარდა უნდა გისაყვედურო, შენ აქამდის უფრო კარგი მომუშავე იყავი, დღეს თითქოს შენელდა შენი ტემპი... შეხედე რამდენი საქმე გვაქვს, კიდევ დაგრჩენია დრო ამებზე იფიქრო?

— საერთო ძალით ბევრს რასმე შეეკმნიდით... მე შეუწყვეს ხელი შენს წასვლას... ასე ვფიქრობდი.

— ამხანაგო! სირცხვილი შენი თუ საქმის კაცად არ მცნობდი და პირადი ანგარიში გამოქმედებდა.

— არა თამარ, ასე არ მინდოდა თქმა ან შენ რო ვგრე გაგეგო. თუ შენ არ გამიგებ, არ მიპასუხებ... მე უნდა დავტოვო ქარხანა და წავიდე.

— ამხანაგო! ეს რასა ჰგავს.. ბავშვი ხომ არა ხარ! ან რა სალაპარაკო ადგილი ჰპოვე აქ? რა უნდა სთქვან ამხანაგებმა? ქული აიღე გეთაყვა და წადი საქმეზე...

პაპიროსი დამბერტყა კოლოფის თავზე, ერთი კიდევ გააბოლა... ბეჭებზე, „ქაკეტი“ წამოიგდო ოთახიდან გავიდა და გაიხურა კარი.

დიომიდემ გააყოლა თვალ... ცოტახანს იდგა გარინდებული. მერე დაავლო ქულს ხელი კარი გაიჯახუნა გაჯავრებულმა და წავიდა ცხებში.

თამრო სასადილოში შევიდა, დასვენების დრო იყო, ხალხი ბუზივით ირეოდა დარბაზში... ერთი მეორეს აწვებოდა, ყველას უნდოდათ ადრე მიეღო თავის ულუფა. პატარა მაგიდები სავსე იყო მუშებით; ლაპარაკი სიცილი, სხვა და სხვა სახეები, სხვა და სხვა სულიერი განწყობილებები..

— გზა, გზა...

იძახის მიმტანი, დიდ ხის ხონჩაზე მოდის სავსე თევზები, რა გინდა სულო და გულო... ლობიო, კომბოსტოს სუფი. შიგ ზუთხიც ურევია, ყვითელი ნამცხვარიც...

თამრომ ჩამოიარა სასადილოში, სუფურებს ათვალიერებს ვილასაც ეძებს...

— მოდი თამარ, მოდი ჩვენთან გენაცვალე.

— გოგო გვესიამოვნება შენს ახლო ყოფნა.

— მაშა დავგიძვირა მეგობრობა...

ჩამოჯდა ქალი ამხანაგებთან, ერთს გადასცა ჩეკი...

— გამოართვი ერთი თუ ქალი ხარ!

სახეზე მოქანცულობა დასჩნეოდა... ლაბარაკი ვერ გაება ქალებს... სსვავან იყო გონებით. იყო ცოტახანს, საუზმის მოტანას არ დაუცადა, წავიდა, კლუბის დარბაზი გაიარა, ადგილკომთან შევიდა და უხმოდ ჩამოჯდა სკამზე.

— ჰო, თამარ ყოველთვის მავიწყდება ვილნცა ვაეი იყო და ეს წერილი გაუშო...

თამრომ ჩამოართვა უხალისოთ გადააბრუნა წერილი. გადახია „კონვერტი“ უსტარი იყო მოკლე... სწრაფად გადაავლო ქალმა თვალი. სახე შეუფერადდა, გაიღიმა... კიდევ გადიკითხა, ცოტათი წარბი გაენასკვა... თავი ოდნავ გადიქნია. დაჰკეცა და შეინახა ხალათის უბეში.

— ბაბილო როგორ არის სათბობ მასალის საქმე, შენ ხარ ხომ კომისიაში გამოყოფილი და შენ გენაცვალე სირცხვილი არ ვკამოთ, უშეშოთ არ დავგრჩის მუშები ხომ იცი რამდენს ვყვირით მომარაგებაზე.

— ვიცი თამარ როგორ არ ვიცი. ყველაფერი ზომებია მიღებული. სამმართველოში დავგპირდნენ შეოთზე რიგში უთუოდ თქვენ მიიღებთო...

— ეგრე, ეგრე შენი ჰირიმე, ყოველ კედრიდან უნდა შეუტოოთ...

— მაშა, მაშა...



დაეთანხმა ამხანაგი...

— კი არაფერი მიჭამია წავიდეთ ერთი...

წამოდგა ადგილკომი...

— ჰო, მართლა, მე ჩემი გადავეცი და სულ დამავიწყდა—  
 გაიცინა თამრომ და გაჰყვა აიხანაგს.

გამოსასვლელ დღეზე, თინას გადაეწყვიტა სახლიდან არ გასულიყო და მთელი ყურადღება გადაეტანა თავის პირად ცხოვრებაზე. კვირაში ერთი დღე შეეწირა იმისთვის, ვინც ისე ძვირად უღირდა... ექიმი კამბინეტი იყო, მაინც რაღაც სამსახურის ქალაქებს ასწორებდა და თან ჯავრობდა რომ, „ჩინოვნი-  
 ვებად გადააქციეს, რომ ისეთ საქმეებს აკეთებინებენ რაც მათ არ უნდა ეხე-  
 ზოდეს“.

— იქვე იატაკზე გაფენილ ხალიჩაზე ბობლავედა პატარა ბიჭი, წინ მრავ-  
 ლათ ეწყო სათამაშოები.

— „თინა იოსიაშვილი“! ვიღაც ვაჟი გახლავთ და თქვენ გკითხულობთ,—  
 შემოილაპარაკა ნახევრად შემოღებულ კარებიდან შინა მომუშავე ქალმა.

— სთხოვე!—უთხრა თინამ, მაგრამ ქალაქლებიდან თავი არ აუღია.

მსახური სტუმარს მიუბრუნდა კარი ფართოდ შეაღო და შემოიპატიჟა.  
 შემოვიდა სტუმარი უხმოდ დადგა და დააქქერდა თავდახრილ ქალს... თინას  
 სტუმრის ფეხის ხმა არ გაუგია მხოლოდ მწვავე ისრები იგრძნო და მოწყვეტით  
 ასწია თავი სამუშაო ციფრებისაგან.

— ტატე! ჩემო ტატე!—წამოდგა ქალი, სწრაფად მივიდა სტუმართან  
 მძიმედ დავარდნილი მარჯვენა აიღო ხელში. მეორე ხელიც მოავლო მკლავზე,  
 სავარძლისკენ გასწია და მიიპატიჟა დასაჯდომად.

— ძლიერ მასიამოვნე ტატე რომ მნახე, რა მოხარული ვარ, რომ ასე  
 კარგად გიყურებ, ცუდად-კი იყავ, ბეწვზე ეკიდა შენი სიცოცხლე... გიხსნა შენ-  
 მა სიჯეღემ და თავდაჭერილმა ცხოვრებამ.

ტატემ არაფერი არ უპასუხა, ბავშვს მისჩერებია. ისიც თავის მხრით მას  
 შეჰყურებს ორივე თათებით იატაკზე დაბეჯინილი ფეხები უკან მაგრად გაუდგამს,  
 უკანა ტანგ აუწევია, ოთხზე შემდგარა და თავ ალებული გაკვირვებული უყუ-  
 რებს უცხო კაცს. ხან დედაზე გადააქვს მხედვნილობა.

ტატე ერთბაშად დაიხარა ძირს, აიყვანა ბავშვი მუხლებზე დაისვა, გულზე  
 მიიკრა და თმებზე ეამბორა. მერე ბოდიში მოიხადა რომ ბავშვს აკოცა. ისევ  
 დასვა ძირს.

— რა საბოდიშოა, მასეთ ჰიგიენას არ მივსდევ მე, სისულელეა რომ არა-  
 ვის მიაკარებენ ყმაწვილს, სხვა ტატე, მითხარი შენი ამბავი როგორა ხარ, სას-  
 წაყლებელი დაათავე არა?

— დიახ, დავამთავრე...

— ეხლა რას აპირებ?

— რას ვაპირებ? აი მოვედი რომ დაგემშვიდობოთ.

— საით გაგიწევია, ალბათ ისევ სოფელს უბრუნდები.

ეროვნული  
გინჯი

— არა, იქ უჩემოდაც კარგად არიან...

— მაშ საით?

— ჯერ ჯერობით მოსკოვს მივდივართ რამოდენიმე ამხანაგი.

— მოსკოვს, განა მოსკოვში-კი უშენოდ ცუდათ იქნებიან?

ტატეს გაელიმა...

— არა ისინი-კი არა მე ვარ ალბათ უმათოდ ცუდად... მე უნდა წავიდე  
სადმე შორს, უნდა ვისწავლო კიდევ რამე...

განა აქ ვერ ისწავლიდი ტატე?

— ვისწავლიდი მაგრამ გული არ მიდგება ბატონო თინა, გუნება მე-  
მღვრევა, შორს წასვლა და უცხო მხარე ალბათ დამამშვიდებს.

თინამ იგრძნო, რალაც უსიამოვნო თქმა უნდა მოჰყოლოდა ამ სიტყვას,  
შეეცადა საუბრის შეცვლას, ვერ მოახერხა, სამაგიეროდ თინამ გრძობით შე-  
ხედა, ტატემ ქალწულბერივი სიმორცხვით დახარა ძირს თავლის ფერი თვალები.  
ბეჭეტში მოიხარა, თითქოს ჩაიხნიჭა, ოქროს ფერი მღვლეარე თმა ჩამოუცვინდა  
შუბლზე. კოტა ხანს იჯდა ასე, ქალმა ნერვიულათ ააფათურა ხელები თავისვე  
კალთაზე. კაბის ნაეცეებს ასწორებს, ეშინია და ნერვიული თრთოლა აუტყდა,  
ერთ ფეხში, მოაგონდა საავადმყოფო, სიცხეში მყოფი ტატე და მისი ბოდვა...  
ალარ იცის თინამ რამდენი ხანი გავიდა, როდის—შემოვიდა სახლში ეს ვაჟი,  
რომელმაც რალაც განაჩენი უნდა წაუკითხოს, ან როდის წავა... ტატემ ასწია  
თავი მაღლა, პირდაპირ კედელზე დაკიდებულ პორტრეტს მიაჩერდა; თინა და  
აკაკი ერთად არიან გადაღებულ გადიღებული. ტატეს ოდნავ აუტოკდა ტუჩი,  
გაეპო და ქვედა ბაგე აუთრთოლდა... თინამ დაინახა ეს. ალარ შეიძლება მეტი  
დაჩუქება.

— რატომ აკაკის არ კითხულობ ტატე?!

— სად არის? იკითხა და ეს ხმა ყრუა, ყრუ...

— რაიონში მუშაობს.

— კარგია ვისაც შეუძლია მუშაობა.

— შენ ტატე?!

— მე არა ჯერ... მე კიდევ ძიების გზაზე ვარ... ასე მგონია ძიებაში მო-  
ვევლები...

— რათა ტატე... რატომ ამბობ მასე?!

— ვამბობ და ეგრეც იქნება. ბატონო თინა... მე სხვა ამბავით დავიწყე  
ცხოვრება... აკაკიმ მითხრა: „ვინც ცურვა არ იცის იმას უდინარე დახარჩობს,  
ვინც მცურავია ის მკლავებს მოუსობს და ნაპირს გაეაო“. მეც მოუსვი და მინ-  
დოდა გასვლა მაგრამ...

— რა განა არ ვახვედი?...

— სხვა ამბავს წაეაწყვიდი... ბატონო თინა, სიცოცხლის მიზნის გაგება  
ქიასავით შემოიჭრა ჩემში და დამაავადა, ეხლა არ ვიცი როდის განვიკურნები  
თუ ფონს ვერ გავეღ, ალბათ დავიღუპები, მხოლოდ თქვენ კარგათ ბოძანდ-  
ბოდეთ... მაღლობელი ვარ ყველაფრისთვის...

— რის მაღლობა ამხანაგო, რის მაღლობა მე არ ვიცი.

— იცით თქვენ, იცით... მე ერთი ტეტია ბიჭი ვიყავი და ისევე გაივილიდა ჩემი დღეები მაგრამ თქვენ შემხედით და ყველაფერი ჩემში, თვალები ამეხილა, ცა გამეხსნა და გაშუქებულ გზაზე მივდიოდი, მაგრამ უცხრად ჩამოხენლდა და...

— ტატე!

რალაცნაირი კილო იყო ქალის ხმაში, ხევწნა, დატუქსევა თუ რა ძნელად გასარკვევი.

— ბოდისი, ბოდისი ქალბატონო! რომ არ მივდიოდე პირზე მიწას დავიყრიდი, არაფერს ვიტყვოდი... მაგრამ მივდივარ და ნუ გამატანთ გულის სიმძიმის.

— ტატე! აკაკი ხომ თქვენი იმდენი ხნის მეგობარია.

— იყო, სანამ თქვენ თავს წამართმევდა.

ქალი წამოდგა ფეხზე.

— ვწუხვარ ტატე! ვწუხვარ რომ ამით დათავდა ჩვენი შეხვედრა ესოდენ სიმბატითური...

— მეც ვწუხვარ თინა, მეც... თქვენმა შეყრამ მეც მომწყვეტა კერას, დედას, მეზობლებს, აქედანაც გადამისროლა შორს, და ვინ იცის ჩრდილოეთის რომელ ყინულებში გავყინო თავი...

— ტატე, მეგობარო!.. ეს ხომ საყვედურია, ეს დავიმსახურე?

— ბოდისი. მეტად ველარ გაიგებთ ტატეს ხმას. მშვიდობით.

თინამ ხელი მისცა და არ წაართვა სანამ ტატემ თავად არ მოიშორა ბაგედან... ვატი შეტრიალდა და ქარივით გაიქრა ოთახიდან. თინამ უყურა მიხურულ კარებს, მერე ფანჯარას მიადგა, დიდხანს იყო გარინდული, სანამ პატარა ბიჭიკო არ მიეტანა და ფეხებში არ შემოეხვია. დედამ შვილი აიყვანა, თმებზე ხელი დაუსვა, სახეზე დააკვირდა, ფუნთუშა ლოყას თავისი ლოყა მიაღო და სასადილოსკენ წაიყვანა.

ეს იყო დილით.

ლამის თერთმეტ საათზე მეორე ქალი იჯდა ჩანელებულ ბუხართან. თამრო ახალ შენობაში ცხოვრობდა. მუშებისათვის აგებულ სახლის ერთ კორპუსის მარჯვენა ფრთაზე მიეცათ ორი კარგი ოთახი, თბილი ბინა და საამო. თვალსაჩინოთ მოეწყო თამროს ცხოვრება.

მეორე ოთახის ღია კარიდან მოსჩანდა მკრთალ სინათლეზე ორი საწოლი დიდ პატარა. პირისფერ აბრეშუმის საზნის ქვეშ ეძინა ნათელას. მეორე საწოლი დედას უცდიდა. თამროს დავიწყებოდა ამ წუთში ყველაფერი, სავარძელზე დაყრდნობილი ჩასცქეროდა ცეცხლის ნაკვერცხლებს. გული უჩუყდებოდა ქალს, სავსე მკერდი უკრთოდა, ცრემლი ყელში ებჯინებოდა. „უარი უთხრა. არ გაიყოლა სადგურზე, აქვე დავმშვიდობა და არც წერილის მოწერა აღუთქვა... წავიდა და თან წაიღო ყველაფერი. ეს რა მოსდის? ალბათ მიყვარდა? რატომ აქამდის ვერ ვგრძობდი ასე მწვავეთ? საქმით ვიყავ გატაცებული, არ მეცალა, მას? მას თურმე არა... როგორ გულახდილათ მითხრა, როგორ ამზანავივით გა-

მიზიარა თავის გულის ტკივილი. თავის წარსული განცდები მერე ახალი შეხედრად და დაშორებაც. ნეტა მაჩვენა მაინც ვინ არის. ვინ არის... რომ ამდენმა წელმა არ დააფიწყა... მაშ მე? მე რაღა ვიყავი... არ ვიყავ... მაშინ გზაზე რომ მივდიოდით? ეს არაფერი, კაცი იყო და ქალის სიახლოვებ გადააცდინა... შემდეგ მისი წერილები... ისინიო არაფერი... ამხანაგობა და შეგობრობა არ ყოფილა საკმაო, სხვა სხვა რაღაც თილისმთა საჭირო ორი საგანი რომ მიიზიდოს ერთმანეთისაკენ... გასული იქნება მატარებელი“.

დაიხედა მაჯის საათზე, ისევ დაჰკიდა თავი... ნაკვერცხლები იფერფლებოდა უკანასკნელ ალს ალაპლაპებდა.

შეურაცყოფა და ბოლმა ერთად ვალესილიყო თამროს გულში. წყარო ყელთან ჩუხჩუხებდა და გამოსავალ კვალს ეძებდა.

— შეიძლება?

დაარაკუნა ვილაკამ.

— მობრძანდით!

უთხრა თამრომ... თავი არ მიუბრუნებია კარებისკენ... არ მიუხედავს. სტუმარი შემოვიდა მიუახლოვდა სავარძელს, ქალს ოდნავ დაადო ბეჭებზე ხელი. თამრომ ასწია თავი, შეხედა შემოსულს... მას თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე, არ უნდოდა გადმოედინა, სურდა უკუეჭკია და ვერ ახერხებდა. ხელის გულზე ლოყით დაყრდნობილი მისჩერებოდა სტუმარს, ისიც ადგა თავზე. გაფაციცებით აღევნებდა თვალს ქალის სახეს, ეძებდა ამოკეთხნა მწუხარების მიზეზი.

— დიომიდე! ამხანაგო!...

იმდენი მწუხარება თა თანაგრძნობის მომთხოვნე ბგერები ისმოდა ამ ხმაში რომ დიომიდეს თავიდან ფეხებამდის ცხელი მდულარე გადაეცლო, ის წაეტანა, ქალის ორივე ხელებს.

— თამრო რა იყო, რა მოგივიდა?!

აქ ველარ შეიკავა ქალმა თავი და ქვითინით მიაყრდნო თავი გვერდზე ამხანაგს.

დიომიდე დაიბნა, აენთო ნელა შემოხვია ქალს ხელი, მიიზიდა მიიკრა. თამროს აღარაფერი ესმოდა, მას უნდოდა დაყვავება, თანაგრძნობა, ვისმესგან შებრალება... ვიღაც უსვამდა თავზე ხელს, ეფერებოდა და აღარ კითხულობდა უბედური გული თუ ვინ იყო ეს დამყვავებელი... ებლა თუ დედა ჰყოლოდა ახლოს, ალბათ მის კალთაში დაღვრიდა ქალურ ცრემლებს, დაწინაურებული მუშა ქალი მაგრამ, აქ იყო მამაკაცი, რომელიც აღზნებით უყურებდა, წუთს ეძებდა და ამ ეპიზოდ ნანატრი თამრო ხელში ჰყავდა, მის თავს გულში იკრავდა, ნელა, გაუბედავად მონახა ქალის ბაგე და დაეკონა.

ცრემლით დასოვლებული ლაწივები შეეხირა, მაინც არ დაიხია და თვალ დახუჭული დააკვდა სოველ ბაგეს.

დილით თქორი წამოვიდა, ოდნავ დანამა. დიდ ველზე ამოწვერილი ჯეჯილი, ხეები დაასველა და საურმე გზა ცოკათი აატალახა.

საბალახოთ გამოსული ნახირი თავ აუღებლად ანადგურებს საძოვრად გაშვებულ მინდვრებს, ქოლგისავით წამოფარებულ ხსტეში შეყუჟულან მწყემსები

და ხელთოფას სთლიან. სახეჩამომბანილი ყვითელ ნისკარტა შაშვები ბურღოდან ბურღოზე გადადიან ფრთხილით და ქაბჭახით. ონავარი ბიჭები არ ასვენებენ, ქვებს ესვრიან.

ჩქარის ნაბიჯით გაიარა გზაზე ვილაყამ, ხელში პატარა ყუთი უჭირავს და მხარზე ხურჯინი გადაეგდო.

მწყემსებმა ვერ მოასწრეს დაენახათ ვინ იყო, ზურგით და სიარულით იცვენეს მიმავალი.

— ბიჭო! ნიკაი უნდა იყოს არა?

— ჰო დე...

— მაგან ხო არ იცის ეხლა...

— უთხრათ?

ერთი ბიჭი წაიწია გადასდგა—ნაბიჯები უნდა დაიწყოს და გააგებინოს რალაც ამბავია.

— ე მანდ დადგეით... ენა ხომ არ მიგისწრებთ. შეუტია ერთმა.

— სამახარობლოს მოელის ალბათ...

გაიციენეს... მგზავრმა შორს დატოვა ბიჭები, ჯეჯილები გადასერა, გზა გადასჭრა, მინდორ-მინდორ წაეა, სამიჯნოზე ივლის, თუმცა მიჯნა აღარ არის გაერთიანებული მთლიან კოლექტივს გაუშლია ლურჯი სუფრა და შენ ჩემომბის ულუფა წაუშლია. ნიკოს უნდა გზა მოიმოკლოს თან ბოსტნებზე გაივლის, ბიჭები იქ იქნებიან ეხლა... რამდენი ხანია დაშორდა ეს მათ... შეიღირვა თვეა ფეხი არ დაედგა აქ „ჭერივის შვილს“.

თამრომ დანაპირევი შეუსრულა, აბასთუმნიდან სოხუმს გადაიყვანა, ზამთარი ზღვის პირზე გაატარა ქართლელმა კაცმა, იანვარში კამელიას და სხვა ვარდებს ყიდულობდა, მწვანე ტყეში დადიოდა და ბუხართან არ დამჯდარა მკაცრი ზამთრების ჩვეული... განიკურნა, წელში გაიშალა, ისევ გადიფურჩქნა, ეხლა შეუძლია ღომს დაეტაკოს და ისე მიაბიჯებს როგორც მღვივი, თოკივით კეცავს გზას. ეს ყველა თამროს წყალობა და მოხერხებაა: „განა ნიკოს შეუძლია დაივიწყოს ეს სიკეთე, ან შეედავოს რამეში? ბავშვის საქმე მშვენივრად მოუგვარებია, ბალში შეუყვანია, ჩემი გოგონა დაცუტუნებს სკოლაში... მიჰყავს, მოჰყავს, სწავლობს კიდევ მსახურობს...“

აქ ეხლა იშლება კვარტი, იქ კი ყვავა ქვეყანა და მალე ნაყოფს დაიხსამს ხილი... სად არის ხალხი... სად არის სოფელი?... ყანები როგორ ცარიელია... კაცის ჭაჭანება არ მოსჩანს მივიდა ბოსტანთან...

არც აქ არის არავინ. ბოსტანი მოვლილია ერთი ბალახიც-კი არა სჩანს შიგ, ბალებიც მოუწამლავთ გოლიათებივით დგანან კირით შეთეთრებული ხეხილები.

ამ ხალხს რა მოუვიდათ. თათარი ხომ არ შემოესიათ, ან არსად გაიხიზნენ? სოფელი ცარიელია არავინა სჩანს, არც მოხუცი არც ახალგაზრდა, სიმამრის კარზე გაიარა, ეზოში გადაიხედა ვერაფერი დაინახა, „ი დასწყევლოს ღმერთმა“.

ნაბიჯი უმატა, თითქმის გარბის, გულმა რალაც შემოუქოთქოთა, ჩემსას ხომ არაფერი ამბავია, დედა ხომ არ მოკვდა?

## ერიყენული

წარბმა შეუთამაშა, შეჩერდა ბიჭი, გაფითრდა, ველარ [დგამს] ჩემთვის.

მოსახვევში ჯგუფად გამოვიდნენ გლეხები, მოლაპარაკობენ ხმა მაღლა... დაინახეს ნიკო შედგნენ, შეჩქებულდნენ... ნიკომ შეაშინია უხერხულობა მეზობლებს.

— რა ამბავია მეზობლებო, ჩემს თავს ხომ არაფერი არ მომხდარა?

ლეთისომ ჩაახველა, გლახომ ლაზარეს შეხედა... გამოჩნდა ორი მილიციელი, დაქინძაჩებით მოდიან, აღმასკომში ეშურებიან. ნიკოს დანახვავ ესენიც შეჩერდნენ, გაეხარდათ, სახე გადაეშალათ, პირიდან მრისხანება ჩამოერეცხათ და შორიდანვე წამოვიდნენ ხელგაშვერილნი.

— დედა უტირეთ...

— გამოვთრიეთ ბუნავიდან.

— ვინა კაცო რა?— იკითხა ნიკომ

— პო, შენ რა გეცოდინება.

— შენი შეწირული სახლის განადგურება მოინდომა.

ნიკო ცოტათ მოფერიანდა: „აქ სახლზე ყოფილა საქმე, მის ახლოს სიკვდილს არ გაუვლია.

— გამაგებინეთ რა იყო?

ეხლა ყველას ჩამოართვა ხელი, გადაეხვია მოხუცი და ახალგაზრდა.

— წუხელის ცეცხლი წაუციდა მაგრამ ანგარიში შეეშალა...

ადრე გაიგო დედაშენმა, ყვირილი ასტეხა, მასწავლებელი გააღვიძეს, დარაჯს სკოლაში ეძინა, სოფელი ფეხზე დავდექით და ჩავაქრეთ.

— ვინ წაუციდა... ქოსამ თუ...

— მა, სხვა ვინ ვინ იქნებოდა?

— მისი დამპალი დუქანი ეგონა რომ მაშინვე დაიფერფლებოდა.

— არა თქვენი ჭირიმეთ, მართლა!?

— წავიდეთ რას ვდგევართ... მოიტა ეგ ხურჯინი... ნამგზავრი ხარ დაილღებოდი...— ერთმა ბიჭმა ხურჯინი ჩამოართვა მეორემ ხელ ყუთი. უაემართნენ ნიკოს სახლისკენ.

— მერე დაიჭირეთ?

— დედა უტირეთ... ლოგინში შეხვეულიყო. თავი მოიავადმყოფა, გამოვთრიეთ და კარგადაც მივადეთ.

მიუახლოვდნენ... ნიკო შედგა, შეჰყურებს თავის სიამაყეს... „ერთ დროს როგორ ეჩქარებოდა ამ სახლის მოთავება, თამროს შიგ შეყვანა, ახალი ოჯახის გაჩაღება“. ეს თავის ნაკოადვილარი ნაწვალეები კედელია, თვითეულ აგურს ნიკოს ოფლი აქვს ჩაქცეული... თვითეულ საძირკველს ჯელის წელი დაუძლევიან... ეხლა სოფლის ახალგაზრდობა იზრდება შიგ... სამკითხველოც აქ გაუხსნიათ. მასწავლებელი ორივეს უძღვება სკოლას და წიგნთ სიკავს... სახლს ცალი კედელი შეტრუსვია. და წინა კიბეც მოუნგრევიათ... „არა უშავს ადვილად შეკეთდება“. დაღლილი გლეხები დგანან, ათვალეირებენ, გარს უვლიან და მსჯელობენ.

ყველამ ერთბაშად შესძახეს გამარჯვება ნიკოს მოსვლას... თავმჯდომარეც აქ არის და მდივანიც. ნიკომ ყველას უსურვა გამარჯვება და დამნაშავე მოიკითხა.



— არხეინათ იყავი... დამწყვედული მყავს ქალღმერთებს გავაფორმებ და ხვალ დილით გადავგზავნი ქალაქში...

მიუგო თავმჯდომარემ.

— მოითმინეთ ამხანაგო, ნურსად ნურვის დაგზავნით... ჩვენ თავად გამოუტანოთ განაჩენი...

— მაშე!

— მოიწვიოთ სხდომა, მეც გეხლებით თუ ნებას მომცემთ და მომცემთ მგონია.

— რა საკითხავია შენ კაცო...

— ჰო და ჩვენ თავად მიუხვდით, მაგასაც ეაშება თუ იქ გავგზავნით ჰურსა და ბორშე... ეგ უარესის ღირსია...

გლებებმა შეხედეს ერთმანეთს...

— ამხანაგო ნიკო... ჩვენ არა გვაქვს უფლება სასტიკი დასჯის..

— რა საჭიროა სასტიკი დასჯა, ეგ მურტალია და ასევე უნდა დაისაჯოს თავის თავადვე სცხვენოდეს... ისე როგორა ხართ... ნათესები რას გიშვებათ...

— კარგათ, კარგათ.. ოღონდ შენ გვაკლდი.

— შენ თავად როგორა ხარ?

— ძალიან კარგად ვარ..

— აბა შენ იცი..

— ყოჩაღ..

— ვიცი და კიდევ გავაკეთებ რასაც მთავლებს ქვეყნის სამსახური..

— ბარაქალა... ნიკო... ბარაქალა...

მოუწონეს სიტყვა, ხალხი დაიშალა... ნიკომ შეალო ქისკარი და შევიდა ეზოში.

დარეჯანი უტკბროდა შეილს თავის ძველი აივნიდან, თვლებზე კრიალით ჩამოდინოდა ცრემლი, ხოლო არ ჩამოვიდა ძირს, კაცებში მოლაპარაკე შეილს არ მიეჭრა, ხელი არ შეუშალა.. ეხლა ცრემლები საჩქაროდ მოიწმინდა და ყოჩაღათ შეეგება თავის ვაჟკაცს.

— მელანო! დედაკაცო.. დამიგდე ყური რას გეუბნები... რას მიპირებენ თუ იცი? გამოსძახა ხის უიატაკო ოთახიდან ქოსამ თავის ცოლს.

მელანო მოსულა, კალათით საქმელი მოუტანია, უნდა გადასცეს და დარაჯი არ უშვებს, ჯერ განკარგულება არ მიუღია.

— შენ რა ვიცი რას ვიპირებენ..

— ვერ იკითხე, ვერ გაიგე?

— შენ ვინ რას მეტყვის.. რა ვიცი რა, ასეთი სათაკილო საქმე კი გიყვის და.

— ქალო ვან მოიფიქრა ეს თუ იცი.

— ნიკოს მიუტია წინადადება.

— ოჰ მე, თუ გამოვედი აქედან...

— ენა ჩაიგდე კიდევაც რო იმუქრები. შეუტია ცოლმა. დიდი გული აქვს, შუაზე კედელია და არ შეუძლია ქოსას, მისწვდეს მელანოს ნაწნაევს.

— დედაკაცო რწყილებმა შემკამეს..

— თავს დააბრალებ ჩემო თვალის ჩინო.

დარაჯი მოშორებით დგას პაპიროსს ეწევა, იპურკუტანს და სუსტუნს.. არ უგდებს ყურს მელანოს და ქოსას ლაპარაკს. „ეს ხომ ისეთი ტუსალი არ არის, ღირდეს მათთვის სიტყვის აკრძალვა, ან მათი ყურის გდება!“

„ქკვიანი ბიჭია მაინც ეს ნიკა, რამ მოაფიქრა: „ამდენი წელიწადია ევა გვკამდა, ეხლა მოდით ევ შევკამოთ, შავ ნაგაზებს მიუგდოთ და იბტუნოს“ სალორეში კაცის დამწყვდევა პირველათ მესმის..“

— არსენა შეილო...

იძახის ქოსა.

— რა გინდა?

— თუ ძმა ხარ მითხარი.. სანამდი უნდა ვიყო აქ?

— მე რა ვიცი...

— არა თუ ძმა ხარ?

— მე რა შენი ძმა ვარ?

— მითხარი ბიჭო..

— ე მანდ დაჩემდი.. ტუსალით ლაპარაკი სად გაგონილა?

უთხრა დარაჯმა და ისევ მოშორდა ჰერკუტანას.

— ვაი დედასა!

ჩაიკრა გულში მუშტი ქოსამ.

— შეილო თუ არ გადასცემ, წავიღებ უკან, ეუბნება მელანო დარაჯს.

— წაიღე რა.. მე რა მენალვლება.

— არ გენალვლება შეილო, მაგრამ ცოდოა, ორი დღის უშემელია.

— არა უშავს გაერთობა, საქმე ბევრი აქვს იქ.

— ქაა, რა საქმე?

— ვაა.. იმ შავ ლაშქარს მოგერიება არ უნდა? ვინ იცის როგორ ხტუნობს ეხლა შენი პეტრე.

— აღამიანო, რა ხტუნვისა ცხელა!

— კიდევაც იმიტომ რომ ცხელა. ალბათ უძვრებიან პირში, ყურებში, თვალებში.

— კარგი ერთი შენს გახარებას, ნუ შემშლი.

— რატომ, შენი შეშლილი ქმარი არ შეაოკე?

— არ ვიცი შეილო, მე არაფერი არ ვიცი.. ღმერთი, რჯული, ავად იყო, სახლიდან ფეხი არ გაუდგამს..

— მაშ მეც არა ვარ იქ დამწყვდეული.

კიდევ არხეინად გაისერიან მილიციონერმა. მელანომ ამოიოხრა, კალათი აიღო წასასვლელად მოემზადა, თავსაფარს ისწორებს, მაინც მოელის დარაჯისაგან შეწყნარებას.. ამ დროს მოვიდა შემცვლელი დარაჯი და მოიტანა ამბავი: „გადაეცათ საქმელი ტუსალისათვის“.

ნიკომ ინახულა მოცვრები, სიღედრს პირზე აკოცა, სიმამრს თეთრ წვერებზე.. გაეხარდათ მოხუცებს სიძის განკურნება, მოიკითხეს მოისვენს გვერდით. გამოკითხეს უცხო მხარის ამბავი. ნიკომ მოუთხროს. რაც ნახა და შეისწავლა,

ყველაზედ მეტათ მოეწონა ქიტესის თუთუნის საქმე, დაუმაღლა კიდევ სიძეს ძვირფასი საჩუქრისთვის, ასეთი თუთუნი მას ჯერ არ მოუწევია.

თაფლომ საუზმე გაუწყო ნასიძეარს, საუზმეს სადილი მოადგმოცხუფრაზე-დვე, არ დაიშურა ტაბაკათ ვარიები და დიდ ხანს გააბეს ლაპარაკი..

— ეხლე რას აპირებ შეილო?

— რას უნდა ვაპირებდე, მოვედი სახლში, კარგათ ვარ და დავიწყებ მუშაობას.

— აი ბარაქალა ასე უნდა...

მოუწონა ქიტესამ.

ორი ლიტრა დალიეს, ნიკო შექვიფდა, აქედან წასვლის შემდეგ წვეთი არ გადასცდენია და ცოტა ეყო... მოხუციც ამჩატდა.

— იცი რას გეტყვი ჩემო შეილო?

— რას ქიტესო! რას მეტყვი?

— ადექი და ცოლი შეირთე... დედაკაცი მოიყვანე ოჯახში.

ნიკომ ხელში აღებული ჭიქა დადგა ძირს, ქვედა ტუჩი ოდნავ ჩაიკბინა... შეხედა მოხუცს, უყურა ერთხანს მაგრამ ვერ წაიკითხა მოყვრის სახეში რასაც ეძებდა „ხომ არ დამცინის“.

— არ გეზუმრები შენმა გაზრდამ. ამდენ ხანს მკედარს გამოიგლოვებენ თორემ, ცოცხალს, რომელიც თავის ნებით წავა, თან ხომ არ გადაყვებიან?

— ქიტესო რას ამბობ?

უსაყვედურა თაფლომ.

— შენ რა იცი დედაკაცი! შენი და ჩემი დრო წავიდა... ახლა ახალი ამბავია... შართლა და რაო ჩემო... ცოტა რომ ჯეელი ვიყო მე-კი, შეგაკვდებოდი ბებრუხანავ? ნიკოს წასკდა სიცილი... თაფლოსაც მოუგრინა ყბა ღიმილმა და მომწვარი ერბო კვერცხი ტაფიანათ შერჩა ხელში... თამროს უმცროსი და ძმა სიცილით გავარდნენ სახლიდან.

— ეგრეა შეილო? ეგრე, დამიჯერე, შენ გლეხი კაცი ხარ, ოჯახის პატრონი, დედაშენი დაბერდა, სახლი უქალოთ არ ვარგა... არც შენ... ცოლო ხარ... ალერსი გინდა... აღამიანი ვართ... ქვეყანაზე კარგი გოგო ბევრია... ვინ არ გაგყვება?...

— მამა!..

— ჰო, მამა... მე ისევე მამა ვიქნები... ნათელას პაპა ვარ.. იმ ქალსაც ეყოლება მამა, ისიც შენი მამა იქნება...

— ქიტესო, თამრო?

იკითხა თაფლომ გულდაწყვეტით...

გარეთ მზე იწურებოდა და პატარა ღია ფანჯრიდან ყვითელ სინათლეს აყენებდა ამათ სუფრას... მკრთლად ელავდა ხტუნავდა და თაფლოს დაპატარავებულ გამომგზარ სახეს ეალმურებოდა...

— ქალო! რამდენჯერ მითქვამს ნუ მისტირი უკან მეთქი... თამროს თავისი გზა აქვს, ნიკოს კიდევ თავისი... ეს მან იცის გათხოვდება თუ მარტო ივლის... — მე-კი, მეგონა შერიგდებოდნენ.

ქიტესამ წვერებზე ხელი ჩამოისო თავი გაიქნია, დაასლოკინა...



— არა ქალო! რაც არ იქნება არ იქნება.

— არა დედა! ჩვენი გზები გაიყო და არასოდეს აღარ შეერთდებიან.

აილო ნიკომ ჭიქა... გახედა ლვინოს, თვალი გაუშტერა და შეეშინა. ნელა მოეუტა, რაღაც მოისაზრა.

— ჩვენ დავშორდით ერთმანეთს მეგობრულად და ასევე დავრჩებით, ჩვენ საერთო შვილი გვყავს, მის აღზრდაზე ის იზრუნებს. ხარჯზე—კი მე...მამა!

მიუბრუნდა ჭიჭესოს.

— შენ მართალი ხარ... მე შევირთავ ცოლს... ამ ჭიჭით—კი გაუმარჯოს თამროს... და ჩემ გოგონა ნათელას. ის ეხლა სასწავლებელში დაცუნცულებს... ამოდენა...

მოზომა ხელით...

ყველამ დასცალეს თამროს სადღეგრძელო, გამოვიდნენ გარეთ, სოფლის ნახირი მიდიოდა გზაში, ყველა მოსახლეში ბლავილით უხვევდა თითო ორ ორი ძროხა...

ნიკომ აცალა იმით ჩავლა და მკვესარე თვალებით წავიდა სახლში.

## ეპილოგი

ერთი წლის შემდეგ, როდესაც მწვანე ყანები ისევ აბიბინებულყო, ბაღ ვენახებში შემწიფებულ ბაღს შესეოდა ჩიტები, სოფლის ცხვარი კვლავ შეფენოდა მახლობელ ბორცვს, შუა სოფელში ორთავალა წისკვილი ისევ ისე რახარახებდა, მეწისკვილეს კარი გადმოერაზა და სადღაც წასულიყო, ბორბლის ხრიალს, ღარის და წყლის შხრიალს აყრუებდა და ხმას აკმენდინებდა ნიკოს ოჯახიდან გამოსული მრავალ ქამიერის გუგუნით, მეორეთ ქორწინებოდა ვაჟი... დღეს მასთან იყო ყველა და ხვალ ის იქნებოდა ყველასთან. მთელ სოფელს აქ მოეყარა თავი და კოლექტიურად აქ იხდიდნენ ქეიფს, დაკარგული წევრი დაბრუნებოდა საზოგადოებას და მათაც მეტი რა უნდოდათ?

ორი სამი მოხუცი აკლდა ამ სუფრას... ჭიჭესო ისევ ისევ ასწორებდა დარღვეულ ურემს, თაფლო ისევ ართავდა მატყლს.

გორაკის გადაღმა დაბალ სერზე მუხის ძირას მიწოლილიყო კაცი პატარა დალეული, სასთუმლად ქვა ედო, ეკიდა ჩანთა და იქვე სახრე ედო გვერდში, დაბალ ბუჩქებს მისეოდა ღორი და დინგით. უთხრიდა ფესვებს;

ორი კვირის საღორეში ჯდომის შემდეგ, გაენთავისუფლებიათ ქოსა, ჩაებარებიათ მელორეობა, წელიწადში ოთხ ბურჯაკათ... და ეხლა ითელიდა დახლის ანგარიშს ჩვეული კაცი, რამდენ ხანში შეიძენდა ის ოც ღორს.

გამოსასვლელი დღე იყო ქალაქათ, თამროც ისვენებდა, იჯდა თავის შუშაბანდში, ღია ფანჯარაში იასამანს შემოეწყო კუნწულები და ათრობდა იქაურობას, ქალს ოდნავ გასცრეცოდა სახე, ცხვირზე ლაქი რამ დასჩენოდა და წარმებიც შესთხლებიყო... საკმელთან მჯდომი იყურებოდა ეზოში, იქ ნათელა თამაშობდა ბავშვებში. საქანელა სკამში გადაწოლილიყო დიომიდე, ნელა

ირწოდა და თანდათანობით უშვებდა პირიდან პაპიროზის კვამლს... სახე ჰქონდა სასტიკი და გაქაპასებული.

მწვავე კამათს უნდა ჰქონოდა ადგილი მათ შორის.

— მაშ ასე?

იკითხა ვაჟმა...

— ასე ჩემო კარგო... ხომ გაიგე... მე შემიძლია ორი შვილიც გავაჩინო შენთან თუ ვინც იქნება, მაგრამ ეს სრულიად არ მავალებს კისერზე უღლის დადგმას.

— თამარ! რა გქვია შენ ამის შემდეგ?

— ის რასაც თქვენ დიდხანს ვერ შეიგნებთ.

— მაინც?

— თავისუფალი ქალი.

დიომიდე შეჩერდა, რა უპასუხოს?

— ბავშვი, ოჯახი?

— ოჯახს მე ერთხელ დავალწიე თავი, ბავშვზე--კი ორივე ვიზრუნებთ, როგორც ნათელაზე ზრუნავს თავისი მამაც...

— კარგი... ასე იყოს... როცა შენ ძალა გამოგელევა და დაეცემი?...

— სახელმწიფო იზრუნებს ჩემზე.—მოუტკრა მოკლედ.

დიომიდეს ტუჩები მოეგრია.

— მაშ ჩვენი ბინა არასოდეს არ შეერთდება?...

— არა...

მიუგო მტკიცედ ქალმა.

დიომიდე წამოდგა... ქუდი აიღო და მძიმე ნაბიჯით გავიდა ქალის სადგომიდან.

მაკა?... სასწავლებელი დაასრულა და იქვე დაინიშნა დაბალ ჯგუფების მასწავლებლათ...

ბაბალე?... ამის თავად გამხდარა და ახალგაზრდა გოგოებს ასწავლის კონსერვის ყუთში გათლილ ატმის ჩაწყობას.

ტატე—კი ამ დროს, ყინულოვან ქვეყანაში, ფინეთის უბესთან იდგა და ელოდა ხომალდის დატვირთვას, ის მატროსათ შესულიყო გემზე და აპირებდა საცურაოდ წასულიყო ზღვაზე, თავისი ღონე გამოეცადა აქაც შექიდებოდა მრავალ დაბრკოლებათ და ვეშაპებთან ეომა.

1933 წ.

ქ. ტფილი

გერცელ ბააზოვი

# უმთხანი

რომანო

წიგნი პირველი

ნაწილი მე-ერთი

მხატვრული

1

ბენიამინ ბერიძე ეკუთვნოდა იმ ადამიანების მოღვაწეს, რომლებმაც თაობიდან თაობამდე მოსდევდათ ყოველგვარი წინააღმდეგობის სიძულვილი.

მსოფლიო ომმა და მენშევიკური მთავრობის ხანმოკლე არსებობამ უფრო ღრმად განამტკიცა მასში ის რწმენა, რომ იგი თავის „თანამომწვეებში“ უნდა სარგებლობდეს განსაკუთრებული პატივისცემითა და ავტორიტეტით. ძველი ქვეყნის იდეოლოგია, რომელიც აგებული იყო მხოლოდ ვაჭრობასა და „ყოველად შემქმნელ ლეთის“ საფუძველზე—ყოველნაირად ხელს უწყობდა ბენიამინ ბერიძის ჰეგემონობას.

ამიტომაც იყო, რომ მას არა სავსებით ესმოდა უკანასკნელი ორი წლის ამბები. ბენიამინ ბერიძის შემეცნებაში—არ არსებობდა არაერთი განსხვავება ერთი მთავრობისა და მეორე მთავრობის შორის. მისი აზრით ბრძოლა სწარმოებდა მხოლოდ იმისათვის, რომ ივანეს ადგილი პეტრეს დაეკირა და ასე დაუსრულებლივ. სახელმწიფოებრივი წესწყობილების სხვადასხვა ფორმები—მისთვის იყო უბრალო საბაზი, რომლებსაც ებლაუტებოდნენ სხვადასხვა პირები თავიანთი ბატონობის განსამტკიცებლად.

მისი ასეთი შეხედულება ლოლიკურად იწვევდა შემდეგ დასკვნას:

„არ შეიძლება ქვეყნად მოვიდეს ისეთი მთავრობა, რომელთანაც ისეთმა მდიდარმა და ქვეიანმა კაცმა, როგორცაა ბენიამინ ბერიძე—არ ნახოს საერთო ენა“.

1921 წლის 25 თებერვალს ბენიამინ ბერიძე შეხვდა გაცილებით უფრო დამშვიდებით, ვიდრე ყველა მისი დანარჩენი მეგობარი ვაჭრები სხვადასხვა საზოგადოებათა ვაყად-ჰაკეილებიდან. ოდნავ აწუხებდა ის „ხმები“, რომლებიც მას ესმოდა ბოლშევიკების შესახებ, მაგრამ მაინც ღრმად აჯერებდა თავის

\* დასასრული. იხ. „წინათობი“ №16 1-2, 4, 5, 6-7, 8-9, 10, 11.

თავს, რომ იქ სადაც ფულია—იქნება პატივისცემა, იქნება საერთო ენა, იქნება ბენიამინ ბერიძე ისევ პირველი, რომელსაც თავის „თანამოხმეთა შრომის ვერაფერს ვერ შეჰხედავს სიტყვის შებრუნებას.

და მაინც... დღე და დღე მას ეპარებოდა გაურკვეველი შიში. მისი შეხედულებები და დასკვნები როგორღაც არ ეგუებოდა ახალ მთავრობას. საბჭოთა ხელისუფლებას არამც თუ არ უყვარდა ფულიანი ხალხი და არ სურდა მათთან საერთო ენის დაჭერა, არამედ აშკარად მოდიოდა იერიშით და თავდასხმით, სურდა გაენადგურებია მდიდრები და სამაგიეროდ მტკიცედ დაყრდნობოდა მხოლოდ ლარიზ-ლატაკთა მასას.

ორი წელიწადი გაძლიერებული ცნობისმოყვარეობით და აშკარა დაცინვით აღევნებდა თვალყურს ამ „უცნაურ“ ცდას; ყოველდღე ეძებდა გაზეთებში ცნობას იმის შესახებ, რომ დიდი ანტანტის კრებისერები მოადგენ შავ ზღვას ამ „ხუბულისათვის“ სულის შესაბერად, მაგრამ ამ ამოად ლოდინის დროს მან შეამჩნია, რომ ახალი ქვეყნის „უცნაური აზრები“ გადაეღობენ მას ცხოვრების წინსვლის გზაზე.

დაიწყო წინააღმდეგობა მის მიმართ, რომელიც ყოველდღიურად უფრო ძლიერდებოდა და მტკიცდებოდა, ხოლო ბენიამინის გულს ღრღნიდა ათასი შიშით და ეჭვით: „ხომ არ ნიშნავს ეს წერტილს, საიდანაც იწყება ჩემი უფროსობის დასასრული?“ რა „საზიზღარი“ სახელები იყო: „დანიელი. შაული. ნათანი“. და სადღაც მათ ახლოს, გაუბედავად და მკრთალად, საკუთარი სისხლი და ხორცი: „ესთერი“. გასაგები იყო, რომ ამ სახელებმა დაუნდობლად აწეწ-დაწეწეს მთელი მისი ნერვიული სისტემა.

ზილფას მისი ცხოვრების თანამგზავრს, რომელიც მაინც და მაინც დიდი პატივისცემით არ სარგებლობდა ქმრის თვალში, კარგად ესმოდა თუ რა მიზეზებმა გამოისცვალეს ამ ბოლო დროს ბენიამინის ხასიათი, მაგრამ მაინც შეათასედ ეკითხებოდა:

— რა მოგდის მამაკაცო ამ ბოლო დროს?

ბენიამინი ყოველთვის კმაყოფილდებოდა მრისხანე შებღვერით, რომლის შემდეგ გავიდოდა მეორე ოთახში, ან ცხვირს ჩაჰყოფდა თავის საანგარიშო დავთარში და ცოლს ზედაც არ შეხედავდა.

მიუხედავად ბენიამინის ასეთი საქციელისა, ზილფა თითქმის ყოველდღიურად იმეორებდა თავის საკითხს და ელოდა, რომ ბენიამინი დღეს თუ ხვალ ზილფასაც ჩაადგებდა ადამიანად და მთელ თავის ჭირვარაშს გაუზიარებდა. ბენიამინი კი ამ შეკითხვაში ხედავდა მხოლოდ თავის გამოჯანჯვრების განზრახვას, უკეთეს შემთხვევაში დედაკაცის უტკუობით გამოწვეულ ცნობისმოყვარეობას და განაგრძობდა ზილფას უგულვებელყოფას.

მაგრამ ერთ დღეს—(შემდეგში ბენიამინი ბევრს ჰფიქრობდა ამ დღის შესახებ და ვერ აეხსნა თავის თავისთვის, თუ როგორ მოხდა ასეთი რამ)—როცა ზილფამ გაუმეორა გაზეთებში შეკითხვა, ბენიამინი მოუბრუნდა ცოლს, თავი წარმოიდგინა სასამართლოს დარბაზში—ბრალდებულის როლში, რომელსაც მისცეს უკანასკნელი სიტყვა და უდიდესი ძალით შეუდგა თავის „გასამართლებელ“ მონოლოგს:

— შენ მეკითხები: რა მომდის ამ ბოლო დროს. მართალია, თალაც უცნაური შემართება. თავს ველარ ვცნობილობ. დროს ველარ ვცნობილობ. აქაი რად ჩემი ვარსკვლავი შემობრუნებას აპირობს. მაშ რას ნიშნავს ეს ამბები? როდის იყო, რომ ბენიამინ ბერიძეს საქმე წაეგო სასამართლოში? ვინ ოხერია დანიელ თაფლიაშვილი, რომელმაც შესძლო ჩემი დამარცხება? ყურები გამოიბერტყე ზილთა და ქვეყანას დააკვირდი, როგორ იცვლება. რა ამბებია, რა ამბებია! ერთი მხრით თამბაქოს მაზანდა დაეცა, მეორე მხრით იძახიან, რომ სახელმწიფო—მონოპოლიას ეპირებაო. ბენიამინ ბერიძე შორს იცქირება და მას კარგად ესმის, რომ ეს ნიშნავს ბოლოშევიკების განმტკიცებას, ხოლო ამავე დროს ჩემი ეკონომიური მდგომარეობის შერყევას. დახიელ თაფლიაშვილი ჩემს დანახვაზე ყოველთვის წელში მოიკაკეებოდა, ეხლა ისე გამივლის გვერდს, რომ სალამსაც აღარ იძლევა და მის თვალებს რომ დავაკვირდები—ასე მგონია კიდევ დამცი-ნის-თქო.

ამ ადგილას ალბად პაუზის ნაცვლად, რამოდენიმეჯერ გაიმეორა:

— ტ-ტ-ტ ტ-ტ-ტ-ტ...

შემდეგ ისევ განაგრძო:

— ვინ იყო შაულ ათანელიშვილი? ლატაკი, კოტორი, ობოლი, რომლის გვარმა ჩემი ვალიც კი არ გადამიხადა. ვინ არის დღეს შაულ ათანელიშვილი? დღეს იგი საწარმოოს გამგეა, რომელმაც შეიტყუა აუარებელი მუქთახორა და საუბედუროდ, ჯერჯერობით ისე შეუკრავთ ერამანეთში პირი, რომ იმათი დაღუპვის ნიშნების არა ისმის რა. გესმის ჩემო ცოლო? არაფრთარი კარგი ნიშნები. შაულ ათანელიშვილი დღითი დღე უნერგავს ხალხს საშინელ აზრებს, რომლის შედეგად უკვე იზრდება საკმაო რიცხვი ჩემი მოწინააღმდეგეებისა. მას შემდეგ რაც მან მოაგებინა საქმე დანიელ თაფლიაშვილს, ყველა ჩემი მონისთავები ნელნელა მიცოცავენ მისკენ. ყველას სულში ჩაძვრა ის აზრი, რომ ამიერიდან შეიძლება ბენიამინ ბერიძეს გაუწიონ წინააღმდეგობა. „პირველი ნაბიჯი“ ეს მართლაც პირველი ნაბიჯია, რომლითაც გასთელეს ჩემი ქვესავით მაგარი გული. მათსავით მებრძვის „მათხოვარი“. ვახსოვს ჩემო ცოლო, როცა იმ დაწყევლილ თეატრში, იგი ვადმოდგა და დაიწყო ქადაგობა? თვალები მია-შტერა ჩემს ქალიშვილს—გამოაკლდეს ის ქალიშვილობაში—ხოლო თავისი მო-წამლული და შხამიანი ენით—ზარბაზანივით მესროდა ტყვიებს. დანიელი. შაული. ნათანი. ერთი მეორეზე საძაგელი და დაუნდობელი მტრები. მაგრამ რა დავე-მდურო მათ? რისთვის უნდა მაწუხებდეს გარეშე მტერი? განა ნაკლები მტერი მყავს შიგნით, ოჯახში? განა ესთერი—ჩემი ქალიშვილია? განა ესთერმა თავი არ მომჭრა საქვეყნოდ? განა ესთერი ნაკლები მტერია? განა ნათანი ასე გამა-მწარებდა რო ესთერი არა?

ბენიამინმა ოდნავ თვალი დახუჭა და მწარე სიცილით განაგრძო:

— ვისი იმედი უნდა მქონდეს? უთაური და უიღბლო ყვარასი? კეკუა იმას არა აქვს და ტვინი, საღამოს აღარ ახსოვს—დილას რა კეკუაზე იყო და დილას აღარაფერი ახსოვს საღამოსი. წინეთაც ჩერჩეტი იყო, მაგრამ ამ ამბავმა მთლად გამოაჩერჩეტა. რა ვქნა, ვის დავგყრდნო? შინ—მტერი, გარედ—მტერი. ყველანი

თავიანთ გუნებაში ალბად ნიშნს მიგებენ და დღე-დღეზე გლიან როდის წაიქცევა ბებერი ლომიო.

ამ სიტყვის დროს ფეხი ისე მაგრად ჩაჰკრა იატაკს, რომ შეფლანქა ხალხმა ზანზარი დაიწყო, ხოლო ზილფის შიშით ხელიდან გაუვარდა საწინაო ყურჭელი. ბენიამინს ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია და საშინელი ყვირილით დაასრულა:

— არა. მე არ მინდა წაქცევა. მე ვარ მამა და მქვია ბენიამინ ბერიძე. ან მე და ან ჩემი ქალიშვილი. ან მე და ან ისინი, მთელი ქვეყანა! დეე! ვებრძვიან და ვებრძვი! ნურავის მოეჩვენება ასე ადვილად ჩემი ადგილის დაქერა! ნუ! თორემ...

და ამ სიტყვებთან ერთად წაავლო თავის ცოლს მაგრად ხელი, რომდენიმეჯერ მიახლებინა თავი კედელზე, რის შემდეგაც ძლიერი წიხლის კრით დასცა მიწაზე.

ზილფამ შეჰკვივლა.

ბენიამინი უგონოდ დასცქეროდა თავის ცოლს და არ ესმოდა რა აკივლებდა მას.

● ● ●

ესთერი შესცქეროდა თავის მამას და ყურების არ სჯეროდა. ჯერ არასოდეს არ უღაპარაქნია ბენიამინ ბერიძეს თავის ქალიშვილთან ასეთი კილოთი. რა იყო ეს: მშობლიური სიყვარულის გულწრფელი აღსარება? უკან დახევა? შეგნებული მანევრი?

ასე თუ ისე ესთერი თავჩაღებით, მორცხვობით და განსაკუთრებული ყურადღებით უსმენდა თავის მამას, რომელიც ებაასებოდა მას დინჯად, აღერსიანად და უჩვეულოდ:

— შენ შემოგველოს შენი მამა, ესთერ. შენ უნდა კარგად იცოდე, რომ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ამ ქვეყნად არის მხოლოდ შენი თავი. მე შენს მეტი არაფერია მყავს. რა შავ ქვად მინდა ჩემი ქონებ-ცხოვრება? მე უკვე ვებრძები. როცა მოგვდები ვის უნდა დარჩეს ყოველივე ეს? შენს მეტი ხომ მემკვიდრე არა მყავს? მაშასადამე, მთელი ჩემი ბრძოლა ცხოვრებაში მიმართულია იქითკენ, რომ შენი მომავალი უზრუნველყო უფრო უკეთესად და უკეთესად. თუ ეწვალობ, ვშრომობ, დღე და ღამე ოფლს ვღვრი, — ყოველივე ამას ერთი მაზანი აქვს. ეს ხდება მხოლოდ შენი გულისათვის, რომ შენ გაგიადვილდეს ცხოვრება, რომ არასოდეს არაფერი არ გაგოკიოდეს. ხომ გესმის შეილო?

— მესმის მამა — ძალაუნებურად წამოცდა ესთერს.

— ჰო და თუ ყოველივე ეს გესმის, ერთიც უნდა გესმოდეს: რისთვის მოინდომებს მამაშენი შენთვის ცუდს? განა შენი ცუდი ჩემთვის ცუდი არ იქნება? შენ უნდა ენდო ჩემს უფროსობას, პატიოსნებას, გამოცდილებას. განა არ იცი, რომ მთელი ქვეყანა ჩემგან სწავლობს კჳუას? მაშ რა დავიმსახურე შენს წინაშე ისეთი, რომ შენ, ჩემს ერთად ერთ ქალიშვილს, ჩემი აღარ გჯერა?

— მეგერა მამა, რომ კარგი გინდა, მაგრამ შენ თვითონ ვერ ამხნევ იმას, როგორ სჩადიხარ შეცდომას.

— ახალგაზრდობას სისხლი უდღულს, სამაგიეროდ გონებაში ნაკლები უყრია. ამიტომაც ყოველთვის ასე ჰგონია ახალგაზრდობას, რომ უწყროსი თაობა ცდება, მხოლოდ თვითონ კი შეუმცდარია.

— რას იზამ მამა, ყოველი ახალი თაობა ცდილობს წინ გაუსწროს თავის ძველ თაობას. ის, რაც ძველ დროს ძალიანაც მისაღები იყო და დასაფასებელი, ჩვენ დროში შესაძლებელია ის სავსებით უარსაყოფი გამოდგეს.

— ვინ ჩავინერგა შეილო ასეთი აზრები?

— ახალმა დრომ, მამა.

— წყეულიც იყოს ეს ახალი დრო. ეს წინსვლა კი არაა, გარყვნაა. მე რომ არ მდომებოდა შენი წინსვლა და სწავლა-განათლება, მაშინ აღარ მივაბარებდი შენს თავს გიმნაზიაში. მხოლოდ ყველაფერს ცხოვრებაში საზღვარი აქვს. აიღე მაგალითად წყლით სავსე კიჭა. საკმარისია ერთი ზედმეტი წვეთი, რომ იგი დაიღვაროს. ასეა შეილო. ყველაფერს ზომა და საზღვარი უნდა. ზედმეტი სწავლით ხალხი ირყენება. სწავლა—ეს კარტის თამაშია, ჩათრევა იცის. ნეტავი იმას, ვინც ალღოს აუღებს და დროზე წერტილს დაუსვამს.

— წერტილის დასმა ეს უკან სვლაა, კაცობრიობის დაღუპვა.

— კარგი შეილო. ფილოსოფოსობას თავი დავანებოთ. ამ საკითხებისათვის ბევრია მოკლილი ქვეყანაზე. ეხლა ჩვენ ისევ ჩვენ საკითხს დაუბრუნდეთ და გადავწყვიტოთ სიამტკბილობითა და ერთმანეთის სიყვარულით. ნულარ მატკენიებ ამაზე ზედმეტათ გულს, ჩემო ესთერ. შენ კარგად უფრო მიგდე. შენ ოღონდ დათანხმდი და რაც გინდა მთხოვე. მზითევი ხომ კარგი გაქვს შეილო. დამავალე და ხუთი მაგაზე უკეთესს გამოგიწყობ. რასაც კი ინატრებ, ჩიტის რძეც რომ მთხოვო, იმასაც მოგიტან. აი შეილო, მე როგორ გეპყრობი და დავინახავ ეხლა, შენ რას მიპაა უხებ. შეიძლება წარსულში გაწყვიენე, ბევრიც გიყვირო, როცა მოთმინებიდან გამოვედი ხელიც შეგახე, მაგრამ ეს ყველაფერი მომივიდა შენი ზედმეტი სიყვარულით და შენი კეთილდღეობის სურვილით. აბა ესთერ, როდისთვის დავნიშნო ქეთუბა, რომ შენი და ყეზრას ბედნიერების დღემ ჩვენც გაგვაბედნიეროს შენი შშობლები?

— ეს არასოდეს არ მოხდება მამაჩემო — შესძახა შეშინებულმა ესთერმა.

— ესთერ...

— ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ, მამა. განა შენ არ იცი, რომ ადრე სიკვდილს ვირჩევ, ვიდრე ყეზრას მხარში ამოუდგები?

— ესთერ...

— არა, არა, მაშკო, გენაცვალე—და ამ სიტყვებთან ესთერმა მუხლთქვეშ მოიყარა და მამას მიპყრო ვედრების თვალები—თუ მე გიყვარვარ, თუ სულ ცოტა მაინც გებრალეები, ნუ ინებებ ჩამაგდო ისეთი კაცის ხელში, რომელიც შეზიზღება, მძაგს და რომელთან არაფერი საერთო არასოდეს არ მექნება. მამა, გივედრები.

— ესთერ...

ებლა უკვე ხმაწეული კილო იყო. ესთერმა ეს კარგად იგრძნო და უფრო მეტიც: იცოდა რომ ეს წუთი საზღვარი იყო, რომლის შემდეგაც ბენიამინის განწყობილება ისევ შეიცვლებოდა და განმეორდებოდა ძველი, *ჩვენი ბიჭო* ეპიზოდები.

— ყურბა შათაშვილი თუ არა გსურს, მაშინ რომელიმე ვაჭარი ამოიჩიე. ბენიამინ ბერიძეს მოყვრობაზე კაცი არ იტყვის უარს.

— შე არავინ არა მსურს.

— არავინ? სულ არავინ?—ბენიამინ ბერიძე თანდათან მოთმინებიდან გამოდიოდა.—არც ნათან ჯანაშვილი? გესმის, რას გეკითხები? არც ნათან ჯანაშვილი?

ესთერი ჩუმად იყო, მაგრამ ეს სიჩუმე საუკეთესო მეტყველი იყო ორივესათვის.

— თუ ასეა, შენ შინც შენსას არ იშლი, იმ შენ ნათან ჯანაშვილს, იმ შენ მათხოვარს სანთელივით გაეაქრობ ამ ქვეყანაზე და მერე ადექი და თუ ვინდ საულავში ჩაჰყვი.

დაასკვნა ბენიამინმა და ოთახიდან გავიდა.



— თვითონ ბენიამინ ბერიძეს სურს თავის პირით გლაპარაკოს ბატონ მათხოვარს! ეს ალბად იქნება ჩემი უკანასკნელი ცდა, რომლის შემდეგაც ჩემი ქუთა დაჰკარგავს წონასწორობას და რაც მოხდება მოხდეს. გადავწყვიტე. თქვენ მხოლოდ მომგვარეთ. მოახერხებთ? გაქვთ ამის შნო და ლაზათი?

ეკითხებოდა ყურბას და კოკლ მელამედს, მაგრამ სამივემ კარგად იცოდა, რომ კითხვა უფრო ყურბას შეეხებოდა.

ყურბას სიხარულით თვალები უბრწყინავდა.

— რაბან თვითონ ჩემს სიმაშრს სურს იმასთან ლაპარაკი, მაშასადამე ორმოცდაათი პროცენტი შანსია, რომ საქმე მოიგებს. მართალია ის მათხოვარი შინაინია, მაგრამ ჩემი სიმაშრი ჰყვიანი კაცია—ჰფიქრობდა იგი.

როცა ბენიამინმა კითხვა გაუმეორა, ყურბამ სასწრაფოდ უპასუხა:

— როგორ არა. მოვახერხებ. ძალიან ძნელი კია. მაგრამ მოვახერხებ. წავალ ეხლავე და ძია დათოს გაეფუზავნი.

როცა ყურბა ოთახიდან გავიდა, ახალი დღამებუღი იყო.

ბენიამინმა დაუძაბა თავის ცოლს:

— ზილფა, სუფრა გააწყე.

ზილფამ სასწრაფოდ გადააფარა მაგიდას, მოიტანა აუარბელი სხვადასხვა გვარი შინაური ნამცხვარი, კაკლის მურაბა და მაგარი ტკბილი სასმელები. ამის შემდეგ დაუსხა თავის ქმარსა და კოკლ მელამედს ჩაი, ხოლო თითონ კი ჩამოჯდა შორი ახლოს დივანზე.

— რას აკეთებს?—უჩვენა ქმარმა თითით ესთერის ოთახზე.

— ისევ ჩაიკეტა. მეძინებო.

— ასე ადრე?

— რა ვიცი, რა უბედურებაა მაგის თავს. მეშინია რალაც, თავის თავს არაფერი აუტეხოს...

— დედაკაცს ყოველთვის ეშინია—უპასუხა ბენიაჰიმმა ვარკვეული კილოთი, რომელშიაც მოჩანდა დამცირების სურვილი, შემდეგ მიუახლოვდა მავიდას, დაუსხა სასმელი მელამედს და შესთავაზა:

გორკინსკი  
ნიკოლოსოვი

— მიირთვი რაბი!

— ლეხაიმ, ბენიაჰიმ!

ტიქები მიაკაუნეს, რომლის შემდეგაც შეუდგენ ენერგიულად სხვადასხვა ნამცხვრებს.

ბენიაჰიმის თვალყური ეკირა კარებისკენ და გულის ფანქვალით ელოდა ყვზრას მიერ თავზე აღებული მისიის შედეგებს, მელამედს კი მიმართა მოლოდინისათვის, რომ სიჩუმე არ ყოფილიყო:

— ცუდი დრო დადგა, რაბი.

— ცუდი.—გამოეხმაურა მელამედი და თავის რამოდენიმე დაქნევით ეცადა უფრო ხაზი გაესევა ამ აზრისათვის.

— ორი წლის წინედ ვინ გაბედავდა ამისთანა ამბებს—სთქვა ისევ ბენიაჰიმმა.

— ორი წლის წინედ—განიმეორა მელამედმა და ვიდრე განაგრძობდა თავი ისევ გადააქნია:—ორი წლის წინედ ჯამაათი ჯამაათს ჰგავდა, რაბი—რაბის, გაბაი—გაბაის. ორი წლის წინედ ჩვენი რჯულის მოლაღატეებს შევაჩვენებდი, რომლის შემდეგ აღარც ერთი ისრაელი აღარ გაბედავდა მათთან სამი ნაბიჯით ახლოს გავლას. ორი წლის წინედ ყველაფერი შესაძლებელი იყო. დღეს კი...

— რა დრო იყო! შეადარე! ორი წლის წინედ დამფუძნებელ კრებაში ჩვენი კაცი გვყავდა და მერე როგორი კაცი! ახალგაზრდა რაბი—ხაბამ მოსე დავარაშვილი. და მერე არ იკითხავ ვინ გაიყვანა? თვითონ მენშევიკებმა შეიყვანეს თავის სიაში! გესმის, რაბი? იმდენათ უყვარდათ მენშევიკებს ისრაელობა და მისი რჯული, რომ თავისი ხმებით გაიყვანეს ჩვენი რაბი, ეპ, ბარე ორჯერ ვინატრებ ხოლმე იმ დროს, მაგრამ ნიშნები არ არის, არ არის...

— პირიქით, ბენიაჰიმ, ეს უნიშნობა არის ნიშანი. განა არ ბრძანებს ჩვენი წმინდა თორა: „როცა მოახლოვდება შველის დრო, მაშინ აღურევ მთელ ყოლამსაო“. აი სწორედ ეს არეული ყოლამი არის ნიშანი იმისა, რომ ისრაელის მტრები განადგურდებიან, ხოლო ისრაელის ერს დაუდგება მშვიდობა და ბედნიერება.

ბენიაჰიმ ბერიძე შესკვეროდა თავის სტუმარს ისეთი თვალებით თითქო ეუბნებოდა: „როგორ ფიქრობ კოქლო, გგონია შენც გინდა მომატყოლო?“ ხმაშალა კი საწინააღმდეგო აზრი წარმო-სთქვა:

— სწორია რაბი, არეულია ყოლამი და ალბად ახლოვდება დრო.

მელამედმა ისარგებლა შემთხვევით და შეველა როლში:

— რა არის თორა? თორის ყოველი ასო არის ცეცხლი და ვაი იმას, ვინც თავისი ბინძური ხელებით მიეკარება წმინდათა წმინდას. ცეცხლი დასწვავს და შთანთქავს იმის მიმკარებელს, იმის დედმამას, იმის წვრილშვილებს, იმის მთელ მოდგმას. იმის თავზე გადაივლის ყველა ის წყველა-კრულვა, რაც კი ჩამოთვლილია სეფერ-თორაში.<sup>1</sup>

<sup>1</sup>) სეფერთორა—პერგამენტზე დაწერილი დაბადება, რომელიც დახვეწილი სახით ინახება სალოცავებში.

— ეს ხომ ასეა, რაბი. მოდი ეხლა იმაზე ვილაპარაკოთ, ვთუ რა უფრო უფრო შევლოთ ჩვენს ხალხს, რომ მომავალში მაინც აღარ გაგარდნენ ეს უმეტესობა. ამ მუშაობის დროს ყველა ჯამაათების უფროსები ერთად უნდა იყონ, ვინაიდან ცოდვილიანი შეილება ყველა ჯამაათში მოიპოვება. აი მაგალითად ნათანი— ცხინვალელია, მაგრამ შაული—თითქმის ახალციხელია. ვასაგებია?

— ბენიამინ! მკონი თქვენ უფრო შორს ჰფიქრობთ.

— სწორია რაბი. მე ერთი აზრი მომივიდა. მაგრამ ვიდრე ამ აზრს გამოვთქვამდე მე მინდა ვიცოდე შენი შეხედულება ერთი საკითხის შესახებ. ვინ უფრო საშიში მტერია ჩვენთვის: ნათანი თუ შაული?

მელამედი ჩაფიქრდა. ცოტახნის შემდეგ უპასუხა:

— ორივე საშიშარია. მაგრამ შაული მაინც უფრო საშიშარია, ვინაიდან იმას ამოუდგა მხარში ღარიბი ხალხი. ნათანის ყბედობას კი მაინც და მაინც ბევრი არ აქცევს ყურადღებას.

— მეც ასე ვფიქრობ, რაბი.— ეხლა მომისმინე. შაულის საწარმოოს მუშები ორი სამის გამოკლებით— ყველანი ახალციხელები არიან. ცხინვალელებს ის სდევნის, არ იღებს სამუშაოზე. ხოლო ღარიბები ცხინვალელების შორის ბლომად არიან. გამიგე?

— ესე იგი მე რა უნდა ვქნა?

— შენზე ბევრია დამოკიდებული, რაბი. ჯერ უნდა ელაპარაკო იმ ცხინვალელებს, რომლებიც მუშაობენ მასთან, შეაგნებინო ეს ამბავი და ჩაახედო ისინი ამ საქმეში. ამის შემდეგ იგივე უნდა აუხსნა იმ ღარიბ ცხინვალელებს, რომლებიც უსაქმოდ დაეხეტებიან და შიმშილით წყდებიან. ხალხის ხმას ბევრი შეუძლია. უნდა მოახერხო, რომ უახლოეს დღეებში „პირველი ნაბიჯის“ ახალციხელი და ცხინვალელი მუშები ერთმანეთს დაერიონ ცემატყებით. ეს ამბავი უნდა გამოვიდეს ქუჩაში, რომ იმათ წარმოებას სახელი გაუტყდეს. ერთი სიტყვით, ციხე უნდა შიგნიდან გატყდეს. როცა ეს საქმე გამოეწყობა შენი პატრის ცემა ჩემს კისერზე იყოს. თანახმა ხარ. რაბი?

— თანახმა რომელია. ეს ხომ ჩვენი საერთო მოვალეობაა.

— ხელი, რაბი!

— აი ხელი!

— ესეც ასე. საერთო საქმეს მოვრჩით. ეხლა ნეტავ ის მათხოვარი ჩამავდებიანა ხელში და გაყურებინებთ რა დღეს დავაყრი. როგორ ჰფიქრობ, ყურბა მოახერხებს მის მოყვანას?

მელამედი ველარ მოასწრო თავისი იმედის გამოთქმა; კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა აღლევებული და გაწითლებული ყურბა. თვითონ ხმას არ იღებდა, მხოლოდ ოთახში მყოფნი მოუთმენლად ელოდნენ მის მოტანილ ამბავს. როცა შეატყო ბენიამინმა, რომ ყურბა ენას ველარ იდგამდა, განრისხებით შეუტია:

— დაგამუნჯა აკადოშ-ბარუხუმ?

მელამედმაც დაუშატა:

— ა?

ყურბა როგორც იქნა მოვიდა გონს და შორიდან დაიწყო:

— მივედი ძია დათოსთან. უთხარი. ჯერ ჩხუბი დამეწყო მეცხრეწვალელებს შამაში ვარ, ახალციხელების ხომ არაო, ბენიამინ ბერიძეს შამაში ჰყავს და ის გაავაზნოსო. ბევრი ვეჩხუბე, ისიც მეჩხუბა. მერე ვუთხარი, მართალია ახალციხელების შამაში არა ხარ, მაგრამ ჩვენი ხო ხარ და ამ საქმეს მე გავალბებ თქო. იქით აქეთ და როგორც იქნა დათანხმდა.

— ვერაფერი გაბაი ყოფილხარ თუ შამაშიც არ გიჯერის.

— აი რა დღეში ვარ, ჩემო სიმაშრო, რო იცოდე. ძია დათომ ოთხასი მანეთი ჩემი საკუთარი ფული ჩაჯიბა. მართალია ეკუთვნოდა, მაგრამ ამდენი— არა. ეხლა კიდევ—ურჩობას უმატა...

— ეგ საინტერესო არაა. შენ ისა სთქვი რა გააკეთე?

— ჰო, რა გავაკეთე. გავაკეთებდი, რომ გამეკეთებია, მაგრამ ძია დათო დიდი უსვენდისო ვინმეა. ჯერ შევიდა ნათანთან. მე ქუჩაში დავუწყე ცდა. ნანახევარ საათზე მეტი მაკდევინა. არა, მეტი იქნებოდა. შემდეგ გამოვიდა, ჩახველა ისე მაგრად, რომ კინაღამ გული შემიწუხდა, შემდეგ თითოთ მანიშნა და მეც გავყვევი მეორე ქუჩამდე. იქ ელექტრონის ბოძთან გაჩერდა და ასე მითხრა... თუმცა... ეს შეიძლება ძია დათომ მოიგონა... აბა რა ვიცი.. ჩემო სიმაშრო, ყურებს არ დაუჯერო... თუმცა მეტი რა გზა... უნდა დაუჯერო.

— ბოდვას თავი დაანებე. რა გითხრა ძია დათომ?

— ძია დათომ სთქვა ასე: «გადაეცი ბენიამინ ბერიძეს, რომ იმისთანა სპეკულიანტებთან და სისხლისმწოვე წურბელებთან არაფერი საქმე არ მაქვსო და მეორედ ალარ გაბედოს ჩემი შეწუხება».

ბენიამინის მრისხანება გადატყდა ყვზრას თავს საშინელი ყვირილით:

— უშნო! აყლაყულა! გამეცალე აქედან!

მეორე ოთახში გაისმა სიცილი, რომელიც ზილფას მეტს არავის გაუგონია. იცინოდა მწოლიარე ესთერი.

ეს იყო მისი პირველი გაცილება ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში.

## 2

«დაგიგვიანე წერილი, მაგრამ არა იმიტომ, რომ დამავიწყდა შენი დავალება. არა, არ იფიქრო. ჩემი ქალაქში ჩამოსვლის პირველ დღიდანვე შევუდგე ამ დავალებას, ვინაიდან ეს არ არის მარტო შენი ჰირადი საქმე, ან ჩემი, არამედ ეს არის მთელი საისრაელოს საქმე. თუ აქამდე არაფერი არ მომიწერია, ეს ჩავიდინე განზრახ, რადგანაც ყოველ დღე ველოდი, რომ დავძლევდი ნათანის იცერ-არაყს,<sup>1</sup> რასაც მთელი სულითა და გულით მოგახარებდი. დღე დღეზე იღევა, ჩვენი სიცოცხლე თანდათან მოკლდება, მაგრამ ვაი რომ ჯერ კიდევ სატანია გამარჯვებული.

რა მოგწერო? როგორ დავიწყო? საიდან დავიწყო? გამარჯვდა ჩვენი ცოდვები, რის გამო ჩვენს ხალხს მოელის უფრო და უფრო უარესი გაჭირება, უბედურება და ათასი განსაცდელი.

ნეტავი უშალ ჩემს დაბაში დამბრმავებოდა თვალები და არ მენახა ამ ქალაქში ის, რაც ვნახე.

<sup>1</sup> იცერ არაყ—ავი ქმნილება. (მორწმუნეთა აზრით ადამიანში ზის ორი ქმნილება: ავი და ცთილი).

საცოდავო ისხაკ! უბედურზე-უბედური კაცი ხარ და არ მესწის აკადოშ-ბარუბუს გზები—დაილოცა მისი სახელი—თუ რისთვის ამოგარჩია შენ ბატონ-სანი ისრაელი, რომ შენი საზიზლარი შვილის მაგიერ იტანჯო. შეცოდებში ისხაკ, მაგრამ რა ვუყო, რა ვქნა, უნდა ყოველივე შეგატყობინო.

გახსოვს ბატონი ყვზრა შეთაშვილის წერილი? რა არის ის წერილი იმასთან შედარებით, რისი მოწმენიც ვახდენ ჩემი საკუთარი თვალები?

ოი ისხაკ, ზღვა ვერ დაიტევს ნათანის ცოდვებს. კალამი გატყდება და ქალალი დაიხევა—ამ ამბების ძალით, დღეს მთელი ქალაქი ზიზლით და წყევლა კრულით იხსენიებს შენს ნათანს. ყველას თითი აქვს გაშვებული და ყველა იძახის—აი ეს არისო.

მე აღარ მინდა ჩამოვთვალო მისი ბოროტი და ცუდი საქმეები. საკმარისია გაცნობო მხოლოდ ის, რომ ამ ბოლო დროს მან გალანძლა და მიაყენა საშინელი შეურაცყოფა, საქვეყნოთ ცნობილს და სახელგანთქმულ ადამიანს, ყველაზე დიდი საზოგადოების ე. ი. ახალციხელების ვაყად-ჰაკეილას მთავარ გაბანის ბატონ ბენიამინ ბერიძეს!

აღონაიმ გონება წამართვა და აღარ ვიცი რა მოვიფიქრო.

იქნებ აღონაიმ შენ გადმოგხედოს წყალობის თვალთ და გაგიხსნას გონება. მოიტყეი ისე როგორც შეეფერებოდეს მისი წმინდა სახელის დამფასებელს.

სხვაფრივ ვფარველობდეს აღონაის კალთა და მეტი უსიამოვნება აღარ შეგახვედროს. მომიკითხე მთელი ჯამაათი სიყვარულითა და ნახვის ნატვრით.

თქვენი მელამედი\*.

როდესაც ისხაკი მორჩა წერილის წაკითხვას, ღიას არც კი გადახედა თავის ჩვეულებისამებრ. თვალები დახუჭა და თავი მკლავებში ჩასდო. ერთი მაგრად ამოიკენესა და თან ამოიძახა.

— ოი, უბედურო ისხაკ! რისთვის ვაზნდი ამ ყოლამზე...

ღიაც, ნათანის გულკეთილი დედა, იმავეს ჰფიქრობდა. მათთვის—ნათანი ყველაფერი იყო და თუ ნათანი ასეთი საქმეების ჩამდენი იყო—მაშინ უკვე ორივენი ერთნაირად ემდუროდენ ქვეყნის გამჩენს.

ისხაკმა დიდხანს ვერ შეიმავრა თავი წყნარად. წამოხტა:

— გაგიყებულა! გაგიყებულა ის ოჯახდასაქცივი...

რა უნდა ეთქვა ღიას სამაგიერო? ისხაკი კი ყვიროდა:

— რა ვქნა, რა წყალს მივეცე, ვაიმე შვილო ეს რა საქმე მიყავი...

და ღიას გული სანთელივით დნებოდა, როცა ხედავდა, როგორ სდიოდა მის მამაკაცს ცრემლები.

... მთელი დღე დარბოდა ისხაკი ადგილიდან ადგილზე და ვერსად ვერ პოულობდა ნუგეშს; იგი დაემგზავსა ადამიანს, რომელიც შეუპყრია შიშს, რომ აგერ-აგერ მიწა გასკდება და თავის უფსკრულში შთანთქავს მის უნუგეშო სხეულს.

ვერ შესჩივლებდა ვერავის, ვერც უამბობდა. ეშინოდა აქაც არ გადაქცეულიყო ქვეყნის საღაყბოდ. მწუხარებით და დარდით ისხაკი ჩამოყვითლდა, საქმელს აღარ ეკარებოდა და ყოველ გამველელში ხედავდა თავის მტერს, თავის არა სახარბიელო ბედის დამცინავს.

სალამოზე, დაღლილი, დაქანცული, გახშირებული გულისკენით და უსახ-  
ლვრო ტკივილით— შევარდა თავის სახლში და ლიას შეეკითხა:

- ჩემო ცოლო, რამდენია ჩემი თანხა?
- რამდენიც იყო, ისხაკ. ორმოცდა ჩვიდმეტი მანეთი.
- მომეცი. მივდივარ.
- სად? რა ამბავია?
- ქალაქში. იქ ჩასასვლელად ხომ მეყოფა და მერე რაც მომივა—ჯანდაბას.
- ვაიმე ისხაკ, გამაგებინე რა გაგვიზრახავს?
- თუ კიდევ ერთ დღეს გავჩერდი აქ, ბოლმით და ჯავრით გული გა-  
მისკდება. უნდა წავიდე და ჩემი თვალით ვნახო ჩემი გაუბედურებული შვილი  
ალარ შემიძლია მეტი, აღარა...
- დედის გული კი ნაკლებია?
- რა უყო ლია, შენც ხომ ვერ წავიყვან თან...
- ფეხით ვივლი, ვიშიშვლივ. მეც უნდა წამიყვანო. მე აქ გამჩერებელი  
აღარა ვარ.

- რას ამბობ დედაკაცო...
- ამაზე უარესად ნულარ მომიკლავ გულს. უჩემოდ რომ წახვიდე—მე ამ  
ამბავს ვერ გადავიტან და ეხლავე გამოშვებოვ.

- ლია!
- ისხაკ!

ისხაკი გაოცდა. მის მოყვარულ მეუღლეს, არასოდეს, მთელი მათი ერთად  
ცხოვრების მანძილზე არ უღაპარაქნია ასეთი დატინებული ენით. კამათს აზრი  
არა ჰქონდა, მაგრამ ორჯერ ერთად ქალაქში გამგზავრება—აღმატებოდა მის  
ძალღონეს და ამიტომაც მოაგონა ლიას:

- სად არის ქალო ფული? განა არ იცი ჩემი მდგომარეობა?
- ვიცი ისხაკ, მაგრამ რადგან ასე გავიკვირდა—მე გავყიდი ჩემს კაბას,  
რომელიც ჩამიცვამს ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ, ჩვენი ქეთუბის წაკი-  
თნვის დღეს.

- არა ლია, შე მაგის გაყიდვას არ დაგანებებ.
- როგორც გინდა. მე თან უნდა წამიყვანო. არა და აქვე დამახრჩე შენი  
ხელით.

... მთელი ღამე ბროგავდა ისხაკი ლოგინზე. ძილი არ მიკარებია არც  
ერთი წუთით და თეთრად გაათენა ეს ღამე. ეძებდა გამოსავალს, ვინაიდან  
მისთვის ცხადი გახდა, რომ ლიას წაყვანა აუცილებელი შეიქნა.

ვალი ბევრის ემართა. ეს ხელს უშლიდა სესხის აღებას. ვალიც რომ არ  
ჰქონოდა, საეჭვო იყო ვინმეს რაიმე მიეცა მისთვის, როცა ყველამ იცოდა მისი  
ძიმე ვასაჭირი. მისი „მარადიული თანხა“ ორმოცდა ჩვიდმეტი მანეთი მას  
გაჭირვებით ეყოფოდა ქალაქში ჩასასვლელად, რომლის შემდეგ ისინი დარჩებო-  
დნ უკაპეიკოთ, როგორც თევზი უწყლოდ.

ისხაკმა იცოდა, რომ არ ეძინა არც ლიას, რომელსაც განგებ თვალები დაეხუჭა  
და თავი მოემძინარებია. ოცნებაში დედა ეხვეოდა თავის შვილს და სტუქსავდა:

„რისთვის ჩემო ნათან, რისთვის?“

ისხაკი დააკვირდა ღიას, რომელსაც შუბლი ნაოქებისა და მკვლელობის ხოლო ლოყებზე სიმწრის ხაზები ერთმანეთზე გადაჯვარედინებულნი ჰქონდა. ისეთი ძალით, თითქოს სურდა ამ ობრისათვის გაეტანებია მთელი თავისი მწარე სიბერე.

... დილით ადრე გავარდა ბაზარში. ღია მიხვდა, რომ ისხაკმა რაღაც გადასწყვიტა, მაგრამ ამ გადაწყვეტილების არსი ღიასათვის ცხადი შეიქნა მხოლოდ მაშინ, როცა ისხაკი დაბრუნდა და ღიას უთხრა:

— მოემხადე ღია, შეჰკარი ბარგი, მივდივართ ქალაქში.

— ფული სად იშოვე? — შეეკითხა ღია.

— სახლი გაყვიდე.

ღიამ ველარ შეიკავა თავი და კრემლები წამოსკდა, ხოლო ისედაც დამწვარმა ისხაკმა ამაზე უსაყვედურა:

— სახლი — უსულაო. ნათანს კი ჯერ სული უდგია. რომელი უფრო ძვირფასია ზენთვის?

ღია ცრემლები მოიწმინდა, ბედს შეურიგდა. რასაკვირველია ეს „შერიგება“ ასე ადვილი არ იყო. ათეული წლები მიჯაჭული იყვნენ ისინი ამ პატარა ქოხს, თავიანთ მყუდრო ბინას, აქ უნახავთ მრავალი ბედნიერებაც და უბედურებაც — და ეხლა უცბად, ერთი ხელის დაკვრით, თითქმის ნახევარ ფასში სთმობდნენ თავის საცოვრებელ კარმიდამოს და მასთან ერთად თავის შეჩვეულ დაბას. თავის მამაპაპათა საფლავებს — სამუდამოდ და საუკუნოდ!

სახლთან ერთად ისხაკმა გაჰყიდა საოჯახო ნივთებიც. როცა მყიდველები და ახალი პატრონები მივიდნენ, ღია ეზოში გავიდა და იქ იჯერა ტირილით გული, რადგან არ უნდოდა მისი სისუსტე ისხაკსა და მეზობლებს შეემჩნიათ შემდეგ პირსახე დაბანა და სახლში დაბრუნდა.

დაბის მცხოვრებთათვის — სახლის გაყიდვა, სხვისათვის გადაცემა და შეჩვეული მეზობლის სხვა ქვეყანაში გამგზავრება, რომელსაც ისინი „გადასახლება“ უწოდებდნენ — იშვიათი და საყურადღებო მოვლენა იყო, ამიტომ ჯანაშვილების ყოფილი სახლი საჩქაროდ აივსო დაბის აუარებელი ებრაელებით, კაცებით და ქალებით. დიდებით და პატარებით.

ათასნაირი ხმები დადიოდა და მეზობლები მწუხარებით და თანაგრძნობით, ერთმანეთს ყურში ჩურჩულით ეუბნებოდნენ:

— საცოდავი ისხაკი...

— თურმე ნათანი გახლომიათ ძალიან ავად და იმისათვის მიემგზავრებთან.

— ფული რო აღარ ჰქონიათ, სახლი გაუყიდათ.

— მე კი ასე გავიგე, გუშინ კოჭლი მელამედისგან მოსვლიათ რაღაც ცუდი წერილიო.

— თურმე ნათანი გაუხერხებიათო...

— სსს... ნულარ იტყვი. უარესათ გულს ნულარ მოუკლავთ.

— რაც უნდა სიტყვი და... ძალიან საწყენი კია ისხაკ ჯანაშვილის ჩვენს ქვეყნიდან წასვლა. მაგისთანა პატროსანი ისრაელი ბარე ორი არაა ჩვენს დროში.

იცილებოდა სახლი. მიდიოდა ძველი პატრონი, მიდიოდა ახალი. იკვრებოდა სიღარიბის და გაკვირების ბარგი. იზნეოდა და ილეოდა ფეხები... ათას გაუთვალისწინებელ ხარჯებში. და როდესაც ოთხცხენიანი ეტლი კრძინდა ბორბლებით და ზევიდან თხელი ბრეზენტით გადაფარებული—რომელსაც ამ დაბაში „დილიტანს“ უწოდებდენ—მოადგა ზარების წყარუნით ისხაკ ჯანაშვილის ყოფილ სადგომს, ისხაკმა ერთხელ კიდევ ამოიოხრა და დანანების გრძნობით გადახედა გარშემო შეგროვილთ:

— მშვიდობით, ჯამათო...

მათ თვალეში წაიკითხა გულწრფელი თანაგრძნობა და სიბრაღული. ეტლი ზანტათ დაიძრა. მოხუცი ჯანაშვილები შეუდგენ გრძელ და დამქანცავ გზას.

● ● ●

სომხის ბაზარზე მოხუცი ჯანაშვილები გამვლელ გამომვლელებს ეკითხებოდნენ დანიელ თაფლიაშვილის მისამართს. უმეტესობა ხელს აქხევდა, ხოლო ზოგიერთებს აშკარად ეცინებოდათ, ერთი კიდევ გაჯავრდა:

— ვინ ეშმაკია დანიელ თაფლიაშვილი. რატომ უნდა ვიცოდე?

ისხაკმა უთხრა ღიას:

— ხედავ ღია, ქალაქში როგორი ხალხია?

— შენ აკი ქალაქში ყოფილხარ?—შეეკითხა ღია.

— ეს იყო ბავშობაში, როცა მე კიდევ ცხინვალში ვცხოვრობდი. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა.

ისხაკ ჯანაშვილს ზურგზე ეკიდა საკმაოდ მოზრდილი ბარგი სხვადასხვა წვრილი საოჯახო ნივთებით, ღიაც დატვირთული იყო ღონეზე მეტად და ამიტომაც ორივენი გრძნობდნენ ძლიერ დაღლილობას, რასაც უფრო აძლიერებდა ქალსათვის ჩვეული ახლად დაწყებული ზაფხულის ცხელი დღე.

ისხაკ ჯანაშვილი მაინც არ ეშვებოდა გამვლელებს, მაგრამ ამოოდ, „არავინ არ იცოდა დანიელის ბინა და ისხაკი თავისთვის უსიამოვნოდ ჰფიქრობდა: „რა, ამდენ ხალხში ნუ თუ მართლა არავინ გამოჩნდება ისეთი, რომ იცოდეს სად ცხოვრობს დანიელი?“

— მოეშვი ამ ხალხს, ისააკ—უთხრა ღიამ—ვინმე შეგვხვდება ისრაელი და იმას ჰკითხე.

— ქალაქში ყველა წვერს იპარსავს. საიდან გავიგო ვინ ისრაელია და ვინ ქრისტიანი.—უბასუბა უკმაყოფილოდ ისხაკმა და ისევ დაუწყო ხალხს მზერა ისეთის თვალეებით, თითქოს უნდოდა მათ სახეზე წაეკითხა, ვინ იყო პატროსანი და ვინ არა. ამ სახეების შერჩევის დროს, ისხაკმა შეამჩნია, რომ ერთი მალაზიის ვიტრინასთან იდგა ახალგაზრდა ქალი, რომელიც საოცრად მოწყენილი გამოჩეტყველებით და დაფიქრებული, მეტის მეტად უხალისოდ, ათვალეერებდა სხადასხვა საქონელს.

რატომღაც ისხაკმა, თავისი შემდგომი „ნადირობის“ ობიექტად ამოირჩია ეს ქალი, მიუახლოვდა და ისეთი ხმით, რომელშიაც ისმოდა ბოდისი შეწუხებისათვის, მიმართა:

— მამაშვილობას, დანიელ თავლიაშვილი ხომ არ იცი?

— დანიელ თავლიაშვილი? — გაოცდა ახალგაზრდა ქალი. — როგორ არა, ვიცი ძია. ჩენი მეზობელია. ფეთხაინზე ცხოვრობს. წავიდეთ, მე გიჩვენებთ.

მადლიერი თვალებით გადახედეს მოხუცემა ახალგაზრდა ქალს, რომელიც უცნაური ცნობისმოყვარეობით ათვალეირებდა მათ. ისინი ერთად მიდიოდნენ და ერთმანეთს უცქეროდნენ. „ამ მოხუცს სახეში — რალაც ნაცნობი ხაზებია“ — ჰფიქრობდა ახალგაზრდა ქალი, რომელსაც უკვირდა, რომ ამ ხალხს ვერ მოეხერხებინა მუშის აყანა და თვითონ ათრევდნენ ამდენ შიმშილ ბარგს. და უცბად მიმართა მოხუც ქალს:

— მოიტა დედი, დაგეხმარებით... — და ვიდრე ღია მოასწრებდა მადლობისა და უარის თქმას — მისი ხელბარგი უკვე გადავიდა მათი თანამგზავრის ხელში.

— კარგი ადამიანი ყოფილხარ, შვილო. ქალაქში ბევრი არ უნდა იყოს შენისთანა — მიმართა ისხაკმა.

ახალგაზრდა ქალი გაწითლდა და იმისათვის რომ რაიმე ეთქვა, შეეკითხა:

— საიდან მობრძანდებით, ძია?

როცა ისხაკა უპასუხა, ქალმა მოულოდნელობისაგან გაფითრდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და შეეკითხა:

— თქვენ ისხაკ ჯანაშვილი ხო არა ბრძანდებით?

— კი შვილო... ისხაკ ჯანაშვილი. მაგრამ შენ... საიდან იცი?

არა ნაკლებ შეშფოთდა ღია, რომლის მთელი გულისყური დაიპყრო ამ უკანასკნელმა ამბავმა.

ახალგაზრდა ქალს ეტყობოდა, რომ ლაპარაკის დაწყება უშიშმა. ის ფიქრობდა თავისთვის რალაცას და დარცხენილი თვალები გადაჰქონდა ქვაფენილიდან მოხუცებზე. შემდეგ როგორც იქნა მოახერხა:

— მე ვყოფილვარ თქვენს ქვეყანაში.

— აბა ჩემს შვილს ნათანსაც იცნობ? — უფრო მეტად დაინტერესდა ისხაკი.

— ვიცნობ — უპასუხა და თავი უფრო დაბლა ჩაიღო.

— ქალაქშიაც შეხვედრილხარ?

— ხანდახან...

— როგორ არის, რას აკეთებს?

— სწავლობს. მეტად ნიჭიერია.

— ხალხი რისთვის ემდურის?

— ვინ ხალხი?

— აბა რა ვიცი, ქალაქში ვინ ხალხია... იწერებიან ისეთ ამბებს, თითქოს ჩემს შვილს მთელი ქალაქი გადაუბრუნებია. ყველას ეჩხუბება: ლმერთსაც და ხალხსაცაო. კიდევ ასე იწერებიან, რომ შეუცდენია ვილაც ახალგაზრდა ქალი, რომელიც ყოფილა სხვაზე დანიშნული და მისთვის სახელი გაუტეხიაო.

— სიცრუეა, სიცრუე! — შეჰკივლა უცბად ახალგაზრდა ქალმა ისეთი ხმით, რომ გამვლელ გამომვლელები უნებურად მიაშტერდა მას.

ისხაკ ჯანაშვილს ახალგაზრდა ქალის ხმაში ესმოდა ადამიანური გულს-ტკივილი, მაგრამ ძალზე აოცებდა მას, ისევე როგორც ღრასის მისი გაჩემოება თუ ეს ამბავი რისთვის მიიღო ამ ქალმა გულთან ასე ახლოს.

— შენ საიდან იცი ყოველივე ეს? — შეეკითხა მას ლია.

— ვიცი... — უპასუხა გაურკვეველად ქალმა.

— აბა შენ ისიც გეცოდინება — მიმართა ისევე ისხაკმა — ჩემმა შვილმა მართლა მიაყენა შეურაცყოფა ბენიამინ ბერიძეს თუ არა?

— ესეც სიცრუეა. არ დაუჯეროთ მამაშვილობას, არაფერ კორებს. ნათანი საყვარელი და საუკეთესო ახალგაზრდაა... მხოლოდ ერთი რამე მინდა გთხოვოთ...

— სთქვი შვილო.

— როდესაც ნახავთ ნათანს, გადაეცით, რომ ფრთხილად იყოს. ბენიამინ ბერიძეს არ უყვარს ნათანი და სულ იმუქრება. ბენიამინი ბოროტი კაცი და მეშინია, ნათანს ცუდი არაფერი უყოს... უთხარით, რომ უსათუოდ ერიდოს, ვინაიდან კარგად ვიცი, ის კაცი არ დაისვენებს, ვიდრე მსხვერპლი არ იქნება...

„მსხვერპლი“? და ისხაკი შიშმა აიტანა. ლიასაც გადაედო მისი განწყობილება. ახალგაზრდა ქალმა შეამჩნია ის მძიმე შთაბეჭდილება, რომელიც მისმა სიტყვებმა მოახდინა და შეეცადა მათ შერბილებას:

— ცხოვრებაში ყველა ერთნაირი გზით არ მიდის. ნათანი ახალგაზრდაა და მომავალი მისია. ბენიამინ ბერიძეს კი ჯავრისა და ბოლმის მეტი აღარაფერი დარჩენია, ამიტომაც არის, რომ ასე იქმნება შემოდგომის ბუზივით. შეიძლება არც არაფერი იქნეს, მაგრამ სიფრთხილით არც არაფერი დაშავდება... აი კიდევ მოვედით... ეს კიშკარი დანიელ თაფლიაშვილისაა... ინებეთ თქვენი ბარგი... მაგრად დაარაკუნეთ... შვილობით ბრძანდებოდეთ.

უდიდესი სურვილი ჰქონდა ლიას, რომ გადახვევოდა ახალგაზრდა ქალს მადლობის ნიშნად, მაგრამ თავი შეიკავა: „ქალაქელია... არ ეწყინოსო“.

ხოლო ისხაკი იდგა უდიდესი მოწინააღმდეგეობით ამ ახალგაზრდა ქალის წინაშე, არ აჩქარებდა კიშკარზე დაკაკუნებას და ხელის მაგრად ჩამოართმევასთან ერთად, ეუბნებოდა:

— დიდი მადლობა შვილო... სახელი მაინც მითხარი შენი.

ქალმაც უპასუხა გაუბედავად:

— ესთერ ბერიძე.

● ● ●

ისხაკი არ მოტყუებულა, რომ თავის სადგომად დანიელის ღარიბული ბინა აირჩია.

თაფლიაშვილისთვის მათი სტუმრობა მთელი მოვლენა იყო. დანიელი შემთხვევით სახლში იმყოფებოდა და როდესაც მოულოდნელად თავს წაადგა ისხაკი, გადაეხვია თავის სიყრმის მეგობარს ისე მაგრად, თითქოს სურდა ამ გადახვევით აენაწლაურებია უერთმანეთოდ დაკარგული ათეული წლები. ამის შემხედვარე ხანამაც გულში ჩაიკრა ლია, რის შემდეგაც მოხუცები სათითაოდ

გაეცნენ თავლიაშვილების ბავშვებს, რომლებმაც სიხარულით ერთი თურხაური ასტუხეს. ჯერჯერობით განხე იღვა რუთიკო, რომელაც იცავდა თავის „უფროსობის“ ღირსებას.

ეპიტაფი

— რამდენმა ხანმა, რამდენმა წელმა გაიარა! — იმეორებდნენ: ზედსხედ და-ნიელი და ისხაკი.

როდესაც ცოტაოდნად მილაგდნენ, ხანამ და რუთიკომ გაშალეს სუფრა და რაც კი რამ ებადათ სახლში, წრფელის გულით დააწყეს ზეღ.

— მობრძანდით, ჩემო ძვირფასო სტუმრებო. ნუ დამემდურებით ამ ცოტა რამეზე. ნამგზავრები ხართ. ჯერ ცოტაოდენი მომაგრდით და მერე-ღმერთი პატრონია. — ეპატიყებოდა მათ დანიელი.

— მადლობელი, დანიელ. ერთი თავი ჩვენებური ყველი შენც წამოგიღე და არც შენ დამემდურო ამ პატარა ძღვენზე. ალბად გაგებული გაქვს ჩემი მდგომარეობა.

ისხაკმა ხურჯინიდან ამოალაგა რამოდენიმე თავი დაწული ყველი და გადასცა ხანას.

ამის შემდეგ შეუდგენ საუზმესა და ერთმანეთის და ლოცვას.

— როგორი გაეხარდება ნათანს. — წამოიძახა რუთიკომ.

ყველა შეაკტერდა ამ ბავშვს, რომელმაც დაარღვია ერთგვარი მორიდება, რომელიც აშკარად მოსჩანდა ნათანის გახსენებაში — როგორც დანიელის, აგრეთვე ისხაკის შხრივ.

განწყობილება ისეთი იყო, თითქოს რუთიკომ მაგრად დააქირა ხელი ელექტრონის ზარს, რომელიც მყისვე აწყრიალდა. ამავე დროს კიდევ შერცხვათ, რომ ბავშვს, რუთიკოს დასჭირდა ხმამალა მოეგონებია მათთვის ნათანი, — ეს უმთავრესი გმირი და მათი ცხოვრების შინაარსი.

— ჩემი ნათანი... იმას მოუკვდეს დედა, ნეტავი როგორ არის? — წამოიძახა დედა.

ისხაკი ელოდა პასუხს ხმამაოულებლად და დანიელმაც არ დააყოვნა:

— ნათანი კარგადაა. ნეტავი ჩემი შვილები დამეზრდებოდეს ისეთი...

— საისრავლოს არ არცხვენს?

— როგორ გეკადრება, ისხაკ.

— აბა რატომ ემდურის ქვეყანა?!

— ვინ ქვეყანა?

— აბა რა ვიცი ვინ ქვეყანა... ასე კი იწერება კოკლი მელამედი.

— შენც დაუჯერე? შემცდარხარ ისხაკ. ნათანს ემდურის ორი სამი კაცი — მდიდრები.

— ნათანს არასოდეს არ უყვარდა მდიდრები.

— ჰო და არც ეხლა უყვარს. ან რა საყვარელი არიან ისინი? ეპ, რომ იცოდე, როგორ სწოვა ჩემი სისხლი ბენიამინ ბერიძემ, შეგეცოდებოდი, მაგრამ ეს გრძელი ისტორიაა. ამისთვისაც მოვიკლი როგორმე. ეხლა ეს მითხარი, ისხაკ: განა შენ თვითონ გიყვარდა ოდესმე მდიდრები?

— სიმართლე რომ სთქვას კაცმა არც მე შეყვარებია ისინი.

— აბა რისთვის სძრახავ მას, ისხაკ?

— ვინ სძრახავს, რა ვიცი... აღარ მომასვენებს უბედური და ავადმყოფი კაცი. წერილს წერილზე მიგზავნიდენ, და მერე როგორ წერილებს! მომიკლეს გული, აღარ მინდოდა, რომ ქვეყანაზე მეცოცხლა. ამომავდეს ფეხებიდან: გავიყიდე საჩლი, ხივთები. გამოვქანდი ქალაქში, რომ ჩემი თვალბრძანებლები დასტრქმუნდნენ, თუ რის ჩამდენია ჩემი ნათანი.

კოტა ხნის პაუზის შემდეგ დაუმატა:

— როგორი მიყვარს ნათანი! იმის გულისთვის თვალდახუჭული გადავარდებოდი მტკვარში. იმას შემოვევლე, იმას ვენაცვალე... ნეტავი როდის ვნახავ, გული საგულეში აღარ მიდგება.

— ეხლა ჩემიცი იკითხე—დაუმატა ლიამ.

— ნახავთ, ნახავთ. სულ მალე. მოესწრებით. ეხლა სახლში არც იქნება. კოტა კიდევ ვილაპარაკოთ და მალე რუთიკოს გავგზავნი. პირდაპირ აქ მოგვკვრივ.

— შენ კი გენაცვალე, დანიელა ხშირხშირად ნახულობდი?

— ძალიან შემოყვარდა იმასთან ლაპარაკი, განუწყვეტლივ დავდიოდი მასთან.

— მითხარით რამე იმის შესახებ. დამარწმუნე, დამაჯერე, გული გამიკეთე: მაშ ნათანი არ არის ცუდი საქმეების ჩამდენი? მაშ ნათანს არა აქვს ცუდი სახელი?

— არა, არა, არა, დამიჯერე ისრაილო. ყოველნაირად სუფთა და საყვარელი ახალგაზრდაა... თვითონ დარწმუნდები ამაში... გატყობ, არც შენ და არც ლიას მოთბინება აღარ გყოფნით. გადადი შვილო რუთიკო და ნათანი გადმოიყვანე. უთხარი, რომ ძია შემოგებეწა-თქო. ნუ ეტყვი, რომ ჩვენთან მისი დედამაია ჩამოსული, თორემ უცბად შეშინდება. გაიგე?

— გავიგე—სთქვა რუთიკომ და სასწრაფოდ გაჭანდა.

— ეხლა კი ჩვენ იმათ მოსვლამდე—განაგრძო დანიელმა და ხელში ჭიქა აიღო—დავლიოთ თქვენი ქალაქში გადმოსახლებისა. კეთილი ყოფილიყოს.

— აშენ!—უბასუბა ისხაკმა და ქალეზნაც იგივე გაიმეორეს.

— აბა ისხაკ მოვყვით აქეთური-იქითური—შეიტანა წინადადება დანიელმა, რომლის შემდეგ ძველმა მეგობრებმა ბევრი რამ საყურადღებო უამბეს ერთმანეთს თავისი გავლილი ცხოვრებიდან.

ისხაკი პრაქტიკული კაცი იყო და მოხერხებულ მომენტში ჩაურთო:

— ეხლა ერთი დარდი მაწუხებს. ამ სიბერის დროს არ გვინდა თავზე დავაწვეთ ზედმეტ ბარგად ჩვენს შვილს ნათანს. არ გვინდა სწავლაზე ხელი შეუშალოთ. ამდენი გვიწვალთ, კიდევ ამდენსაც ვიწვალებთ, ოღონდ იმან თავის მიზანს მიაღწიოს... ესეც გადმოვსახლდით ქალაქში. რამე საქმე უნდი ვიშოვო. მომცემა ვინმე ნისიას?

დანიელმა ნელა გაიცინა:

— ქალაქში გადმოხვედი და კიდევ მონისიავედ გინდა გაატარო შენი დარჩენილი ცხოვრება?

— აბა რა ვქნა, სხვა რა დამრჩენია?

— მეც ასე მეგონა, რომ სხვა არაფერი შემიძლია დგო. მაგრამ დახე დროებას. ბალშევიკებმა ამ სიბერის დროს წერაკითხვა მასწავლეს და ბენიამინ ბერიძე და იმის მსგავსი წურბელა ხალხი აღარ გაახარეს. ჩვენს ლაზიბ ისრაელებს ფეხსაცმელების საწარმოო გაგვიხსნეს და მე საწყობის გამგედ დამნიშნეს. დღეს დასვენებაა. აბა ხვალ გიჩვენო—ჩვენი საქმეები. იტყვი: „ეს რა ამბავი ყოფილაო“!

ისხაკ ჯანაშვილი საწარმოოს უნახავადაც უკვე ჰფიქრობდა, რომ ქალაქის ლარიბი ისრაელების ცხოვრებაში დაწყებული რალაც კარგი და ახალი ამბები. გული შიშნარევი სიხარულით ეცებოდა და უნდოდა, რომ დანიელს დაუსრულებლად ელაპარაკნა და უფრო კარგი და კარგი ამბები ეთქვა მისთვის.

— აბა დანიელ, არის იმედი?

— შენისთანა ალალმართალი და ლარიბი ისრაელისათვის თუ არ არის იმედი—აბა ვისთვის უნდა იყოს?—და ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ დაუმატა:— იცი, რას გეტყვი, ისხაკ? მე ამ საქმეს არ გადავდებ და ხვალვე მოველაპარაკებ ჩვენს გამგეს. ჩვენს წარმოებაში ერთი საშენო ადგილი მეგულება. ჩვენი გამგე ყოველთვის მენდობა და მუდამ მადლიერია ჩემი. იმედი მაქვს არ მეტყვის უარს. იცი ისხაკ, რა გამგე გყავს? შთელ ჩვენს მტრებს თვალეში დაუყენა. შაულ ათანელიშვილის სახელი მთელმა ნთავრობამ იცის. ლარიბი ხალხისათვის—მარჯვენა ხელია, ხოლო მდიდრებისთვის ნამდვილი მალაქ-ჰამავეთი <sup>1)</sup>.

— ჩემი შვილი ნათანი ხომ გეხმარებათ?

— ნათანი?—და დანიელი ჩაფიქრდა.

— რალას ჩაფიქრდი? ნათანს ხომ უყვარს ლარიბი ხალხი?

— უყვარს მაგრამ... ეს საქმე სიმართლე გითხრა არ შესის. შაულსა და ნათანს ერთმანეთში კამათი აქვთ და ერთი მეორის აზრებს არ ეთანხმებიან.

— რა აკამათებთ?

— აბა რა გითხრა... ეს რალაც განათლებულების კამათია. მე და შენ ამ საქმეში ვერაფერს მივხედებით. ორივენი კარგი ახალგაზრდები არიან და ესენი რომ ერთად იყვნენ—ჩვენი საქმე სულ უფრო წინ ივლის.

ისხაკ ჯანაშვილმა ამ წუთს თავისთვის გადასწყვიტა: „რათაც არ უნდა დამიჯდეს, ეს საქმე მე უნდა მოვაგვარო“. ხოლო დანიელს შეეკითხა:

— ეხლა ეს გამაგებინე შენი ჰირიმე, რისთვის გადაეკიდენ ჩემ შვილს ეს ყუზრა შათაშვილიო, ეს კოჭლი მელამედო, ეს ბენიამინ ბერიძეო?

— კუზიანს გამართული კაცი არ უყვარს, უსწავლელს კიდევ ნასწავლი. ზოგი შურით სკდება, ზოგი ბოღმით და ზოგიც შეუგნებლობით.

— ეს ხომ ასეა, მაგრამ რისთვის ეშუქრება ბენიამინ ბერიძე ჩემს შვილს? დანიელმა მძიმედ უპასუხა:

— მამა ხარ და რა გაეწყობა. ყველაფერი უნდა იცოდე. შეიძლება უჩემოდაც იცი. ყური მივდე. ბენიამინ ბერიძეს უნდოდა თავისი ქალიშვილი მიეთხოვებინა ყუზრა შათაშვილისათვის. ხო იცნობ, რაც დოვლათია.

<sup>1)</sup> მალახ ჰამავეთი—სიკვდილის ანგელოზი.

პო-და ბენიამინის ქალიშვილს კი თურმე გაგიკებით მოსწონებია თქვენი ნათანი, ნიშნობას რო აპირებდენ, იმ ღამეს უთქვამს: ან ცოცხალი ან მკვდარი-მე ხოლოდ ნათანს გავყევბიო. მას უჯან არის და გრძელდება ეს ამბავი. ვერავითარმა კაცმა და ძალამ—ვერ გადაათქმევინეს ეს სიტყვა.

— იმ ქალს რა ჰქვია?—უცხად შეეკითხა ისხაკი, რომელსაც რაღაც აზრმა გაუელვა.

— ესთერი.

— ესთერიო?—წამოიძახეს ერთსა და იმავე დროს გაცოცხლებმა ჯანაშვილებმა, რომელთაც მოაგონდათ თავისი შეხვედრა ესთერთან. მაგრამ ამ დროს რუთიკომ კარები გააღო და ოთახში შემოუძღვია ნათანს, რომელმაც მშობლების მოულოდნელი ნახვით აღტაცებულმა, სიხარულით შეჰკივლა:

— მამა! დედა!

და მოხუცმა ჯანაშვილებმა აუწერელი სიყვარულით და მხურვალე ცრემლებით ჩაიკრეს გულში თავისი ღარიბი სიცოცხლის ერთად ერთი სიხარული და ნუგეში. და დანიელი ორმაგად სტკბებოდა, როცა ესმოდა მოხუცების დაუსრულებელი:

— ნათან! ჩემო ნათან!

### 3

არავინ იცოდა, თუ საიდან იწყებოდა ამ ამბების სათავე.

დაიწყო დილით, როცა შაული ჯერ კიდევ არ იყო საწარმოოში მოსული „პირველი ნაბიჯისათვის“ უჩვეულო ამბავი იყო: მუშების ნაწილმა უარი განაცხადა მუშაობაზე, რომელსაც მოჰყვა ყვირილი, გინება, ხმაურობა. მალე მოედო მთელ ფეთხანს ეს ამ ამბავი: „პირველ ნაბიჯში“ ბუნტი დაწყებულაო... მოგროვდა ცნობისმოყვარე, უსაქმო და განზრახ დაინტერესებული ხალხი, რომელიც აშკარად და მოურიდებლად ჩაერია საწარმოოს შინაურ საქმეებში და ამხნევებდა „აჯანყებულ“ ცხინვალელებს, რომლებიც თავის პროტესტით და ხმაურით ერთი ერთმანეთს ასწრებდენ:

— დროა მოეღოს ამდენ უსამართლობას ბოლო!

— ღარიბი—ცხინვალელია ის, თუ ახალციხელი, მიინც ღარიბია!

— განსხვავება არ უნდა იყოს!

— არ უნდა იყოს, არა!

— ჩვენი გამგე კი ისე გვეპყრობა, თითქოს ბენიამინ ბერიძის ადგილი დაეკიროს.

— ორი სამი ცხინვალელია ამხელა საწარმოოში. დანარჩენები სულ ახალციხელები მოჰყარა.

— თურმე ვინც მოდის ცხინვალელი, ყველას აგდებს, სამუშაო არ არისო.

— აქაც ახალციხელები გვძალავენ.

— აქაც ლოცვა ხო არაა!

გარეშე ხალხიც აქტიურად ეჭომაგებოდა:

— მართალს ამბობენ ჩემმა მზემ!



— ნუ გეშინიათ. ხმა ამოიღეთ. ათანელიშვილს არ დაეჭვებოდეთ თავი. დღეს სიტყვა ღარიბებს ეკუთვნის.

— მოითხოვეთ ათანელიშვილის მოხსნა.

— სულ იმის ბრალია, სულ იმისა!

— როცა ღმერთი სწამდა, ცხინვალელების ლოცვაზე დადიოდა. მაგრამ ეს ფოკუსი იყო.

— კვიცი თავის გვარზე ხტის. იმის ბიცოლა რო ახალციხელი იყო, ეს მთელმა ქვეყანამ იცის.

— ჰო და შაულ ათანელიშვილმაც თავის ნამდვილი სისხლი გამოიჩინა.

— ახალციხელი ახალციხელს უკეთებს საქმეს.

— ღარიბებო, არ დაუთმოთ, მოხსენით, დასაჯეთ, იყვირეთ!

და ეს ყვირილი და ხმაურობა ისე გაძლიერდა, რომ საწარმოოს დანარჩენ მუშებსაც დაეკარგათ სურვილი და შესაძლებლობა მუშაობის ვაგრძელებსა. ყველანი მოგროვდნენ დიდ ოთახში. „აჯანყებულები“ აქნევდნენ მუშტებს, წარამარა ისროდნენ საწარმოოს იარაღებს და თითქოს ერთმანეთი შეჯიბრში გამოეწვიოთ, ცდილობდნენ ყვირილში ერთიმეორისათვის გადაეპირებინათ. საწარმოოში შექმნილი არანორმალური მდგომარეობა—ყველაზე უფრო გულსატკევილით იგრძნო ორმა მოხუცმა მუშამ. მათი სახელები იყო: დანიელი და ისხაკი. ამოდ ცდილობდნენ ისინი წესრიგის შექმნას, ძველი მდგომარეობის აღდგენას. ისინი გადადიოდნენ ერთი ჯგუფიდან მეორეში, ამშვიდებდნენ, უხსნიდნენ, ეხვეწებოდნენ, მაგრამ მათ არავინ უჯეროდა, მათ უფროს არავინ ათხოვებდა.

— სკდებით ძმებო, სკდებით—გაიძაბოდნენ ორივენი, მაგრამ მათი ძაბილი, თვითონაც ჰგრძნობდნენ, რომ იყო. „ხმად უდაბნოსა შინა“. მუშების უმეტესი ნაწილი, რომელიც არ თანაუგრძნობდა ამ ამბებს, იდგა გულგრილად და სეირს შესტეპროდა, ხოლო თუ ისინი არ გამოდიოდნენ აქტიურად არეულობის ინიციატორების წინააღმდეგ, ეს აიხსნებოდა მხოლოდ იმით, რომ ისინი ჯერ-ჯერობით კარგად ვერ ერკვეოდნენ ამ ამბებში და ვერც წარმოედგინათ, თუ რა ზიანის მოტანა შეეძლოთ ამგვარ მოვლენებს.

ამ ხმაურობასა და ორომტრიალში მათ ვერც კი შეამჩნიეს, თუ როგორ შემოვიდა შაული საწარმოოში. შაულს ჰქონდა საოცარი უნარი მოვლენების სწრაფი ათვისებისა და ამიტომაც შესვლისთანავე, როცა დაიჭირა პირველი ფრაზები, თუმცა ოდნავად ფერმა გადაჰკრა, არ დაიბნა და ყველასათვის მოულოდნელად სასწრაფოდ ავარდა მაგიდაზე, ასწია ხელი მალლა და დასტკევა:

— ხმა...

ჩამოვარდა სიჩუმე. წუთი—მოგებული იყო.

— დაუყონებლივ საწარმოო დაიცალოს გარეშე პირებიდან—განაცხადა შაულმა.

ეს გარეშეები კარგად იცნობდნენ შაულის კილოს და მის ხასიათს. ისიც იცოდნენ, რომ ზურგი მაგარი ჰქონდა ვინაიდან „მთავრობა მის მხარეზე იყო“. რამოდენიმე წუთის განმავლობაში საწარმოოში აღარ დარჩენილა არც ერთი ზედმეტი კაცი.

ამის შემდეგ, შაულმა კარები ჩაკეტა, დაჯდა მაგიდასთან და სთქვა:

— ეხლა ვისაც რამე აქვს სათქმელი, სათითაოდ და წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველ თქვენგანს ილაპარაკოს.

საოცარი სიჩუმე იყო. კაცი ხმას არ იღებდა. იღვენ თავჩაღებით და მორიდებით. შაული განაგრძობდა:

— ასე არ ვარგა, წელან ყვიროდით და მთელი მოედანი გაგქონდათ. ფეთხანზე კაცი აღარ დარჩენილა, რომ აქ არ მოსულიყო: ეხლა კი რა მოგივიდათ? მე ხომ კარგად ვიცი, ვინც ყვიროდა. რალას უდგებართ? გამოდით. დაიწყეთ. გისმენთ.

ნელა და მოკრძალებით გამოვიდა ერთი მათგანი:

— აი ამხანაგო შაულ, მუშები უქმყოფილო არიან იმით, რომ შენ „პირველ ნაბიჯს“ ატარებ ახალციხელების პოლიტიკას.

— ეს არის სულ? მე ხომ თვითონ ცხინვალელი ვარ?— შეეკითხა ოდნავი კომილით შაული.

შეორე მუშამაც გაბედა:

— ბიცოლაშენი ხო ახალციხელი იყო...

ამას მიყვა ნელნელა და გაუბედავად:

— რამდენი ღარიბი ცხინვალელი დადის უსაქმოდ. რატომ არ მიიღე?

— ახალციხელებით აივსო აქაობა.

— ისინიც უნდა იყვნენ, მაგრამ არც ცხინვალელები უნდა დაიჩაგრონ.

— დიდი დიდი—ცხინვალელები—მთელ საწარმოოში ხუთი კაცი მოგროვდეს.

— მთავრობა იმას ხო არ გეუბნება—მარტო ახალციხელები მიიღეო?

როდესაც იჯერეს გული და გამოსთქვეს ყოველივე ის, რის თქმაც უნდოდათ, ჩაჩუმდნ და შეაცქერდნ შაულს, რომელიც საოცარი დამშვიდებით უსმენდა ყოველ მათგანს და როგორც ჩანდა პასუხისათვის არ ჩქარობდა.

ამ სიჩუმით უნდოდა ესარგებლა დანიელს და დაეწყო ლაპარაკი, მაგრამ შაულმა ანიშნა, რომ გაჩუმებულიყო.

შაულმა რამოდენიმეჯერ გაიარა საწარმოოში წინ და უკან, შეჩერდა ზოგიერთ მუშასთან, დააკვირდა მათ თვალბეჭდში, შემდეგ ცხვირსახოცით ოფლი გადაიწმინდა, მიუახლოვდა თავის მაგიდას, ფანქრით რალაც შენიშვნები ჩასწერა თავისთვის ქალაღზე და შემდეგ ნელი და დინჯი ხმით მემართა გარშემო მყოფთ:

— აი ძმებო რა გითხრათ. ეს აღელვება ერთ გახვრეტულ კაპეიკად არა ღირს. ამდენი ხანია ერთად ვმუშაობთ და ერთად ვაკეთებთ საერთო საქმეს. არავითარ გაუგებრობას ჩვენში აღვიღო არ ჰქონია. დღევანდელი საქმე, სიმართლე გითხრათ, კარგად არ მესმის. ერთი ჩემთვის უდაოა: აქ ურევია გარეშე მტერი, რომელსაც ხელს აძლევს, რომ ჩენი საქმე დაიღუპოს, რომ ჩვენ ერთმანეთს წავეჩხუბოთ, რომ „პირველ ნაბიჯს“ სახელი გაუტეხოს და რომ საბოლოო ჯამში ამ დარაბებს ჩამოგვიდოთ დიდი ბოქლომი.

— ვერ მოესწრებიან მაგას—შეაწყვეტინა დანიელმა.

— მაკალე, ძია დანიელ, ცოტა ხანს, ვიდრე გადავიდოდე უმთავრესზე—მე მინდა შეგეკითხოთ თქვენ და დეე ნურავინ მომერიდება. პირდაპირ

მიბასუბეთ. ვინ მოვაწყე ისეთი კაცი, რომელიც ან ჩემი ნათესავე, ეყოს, ან მეგობარი? რომელ ღარიბ და პატიოსან ცხინვალელს უთხარე [ქართული] მან ისურვა მუშაობა? დაასახელებე გვარები.

ამოდ ელოდა შაული პასუხს. განაგრძო:

— თქვენ სდუმხართ. მაშასადამე ასეთი გვარი არ არსებობს. ეხლა ახალციხელებზე და ცხინვალელებზე. ეს არის უმთავრესი, ვინაიდან აქ იმარხება დიდი ბოროტება, ვინაიდან ეს დაყოფა—იშვიათი ხერხია თვალების ასახვევად. რამდენჯერ მითქვამს კერძო საუბარში და ეხლაც ვიმეორებ: ეს დაყოფა არის—საზიზღარი დაყოფა. ახალციხელი და ცხინვალელი მდიდრები ერთმანეთში ძალიან კარგად არიან. ბენიამინ ბერიძე და ყეზრა შათაშვილი—დამოყვრებასაც აპირობდენ.

— არ დააცლით ღმერთი—წამოიძახა დანიელმა.

შაულმა არ შეიმჩნია დანიელის წამოძახილი და განაგრძო:

— ისინი მხოლოდ ღარიბებს უსევენ ერთმანეთს, ეს ახალციხელი ღარიბი, ეს ცხინვალელი ღარიბიო. კმარა ძმებო, სიბნელეში ყოფნა. გააბილეთ თვალები. ახალციხელების და ცხინვალელების დაყოფა უნდა მოისპოს. ისინი ერთმანეთის მტრები როდი არიან ხოლო თუ ხანდახან ერთმანეთს დაეტაკებიან—ეს მდიდრების წასისინებით. მაშასადამე დაიხსომეთ კარგად: ცხოვრებაში არსებობს მხოლოდ შემდეგი დაყოფა: მდიდრები და ღარიბები. მდიდარი სადაურიც არ უნდა იყოს იგი—ჩვენი მტერია, ღარიბი—სადაურიც არ უნდა იყოს იგი ჩვენი ძმაა. რაც შეეხება იმას, რომ ჩვენ საწარმოოში უფრო მეტი არიან ახალციხელი მუშები, ეს მხოლოდ შემთხვევით აიხსნება. ცხინვალელების რიცხვი ქალაქში საერთოდ უფრო ცოტაა ახალციხელებთან შედარებით და გარდა ამისა არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ღარიბი ცხინვალელი მოსულიყო და უკან გამებრუნებოდა. ორი კვირა არაა დანიელმა მოიყვანა—ისხაკ ჯანაშვილი. განა იქვე არ მოვაწყეთ?

— მართალია, მართალი—გაისმა მორცხვი ხმები.

— ოღონდაც კი მოვიდენ, მეტი არაფერი გვინდა. ჩვენი მიზანიც ეს არის—დაასვენა შაულმა.

სიჩუმე საუკეთესო მკერმეტყველი იყო შაულის ბრწყინვალე გამარჯვებისა. როდესაც დაირღვა ეს სიჩუმე და შაულს მიუახლოვდა ერთი მუშა ბოდიშის მოხდის სურვილით, შაულმა მას შეაწყვეტირა:

— ასეთი ამბებისათვის მიღებულია სხვადასხვანაირი ადმინისტრაციული ზომები. მაგრამ მე არ მივმართავ არც ერთ ამ ზომას. დეე დღევანდელი დეე ყოფილიყოს პირველი და უკანასკნელი. დეე ამიერიდან მაინც აღარ წამოვივით ჩვენი მტრების ან კესზე.

მოულოდნელად მასთან წარდგა მეორე მუშა, საშუალო ხნისა:

— გვაპატივე, შაულ. რაც ილაპარაკე—სუყველაფერი კემშარიტია. მართლაც შეგვაცდინა და ამოგვწყვიტა კოკლმა მელამედმა.

მეორე მუშა შესცვალეს დანარჩენებმა:

— დაუმოკლოს იმას ღმერთმა დღეები!

— აწი ჩვენ იმას აღარ გავაბრიყვებინებთ თავს.

— ოღონდ შენ ჩვენზე გული არ გამოიცვალაო.

შაულმა დაასრულა:

— კმარა ამხანაგებო. თქვენ უკვე საკმაოდ დაინახეთ თუ როგორ შეუძლია მტრის ცილისწამებას დააბრმავოს ადამიანის გონება. ამის შემდეგ განვამტკიცოთ ჩვენი რიგები უფრო მჭიდროდ, შევიყვაროთ ერთმანეთი და საერთო საქმე. ეხლა-კი შეუდგეთ მუშაობას.

და როდესაც ბრუნდებოდენ თავიანთი დაზგებისაკენ—ყველა მუშები და მათ შორის, რასაკვირველია, დანიელი და ისხაკი—ფიქრობდენ შაულზე და ფიქრობდენ დაახლოებით ერთ და იმავეს:

„შაული-იშვიათი ადამიანია... რაღაცა სხვანაირი ყალიბისაა... ოქროს გული აქვს და გიხარია როცა უტყერი... თავიდან ბოლომდე—იმედი და ნუგეშია“.

●●●

ირაკლი წამოწოლილი იყო დივანზე და გაზეთს კითხულობდა.

იულია ამზადებდა გამოცდებს. როცა ნათანი შევიდა მათთან, ირაკლის სიხარულით თვალები ვაუბრწყინდა და მიეგება:

— მე ვიცოდი, ნათან, რომ მოხვდილოდი.

ირაკლისა და იულიასთვის—ნათანი იშვიათი ძვირფასი სტუმარი იყო. ჩაისევს შუაში და დაუწყებს ნელი ტუქსვა, ვისაც როგორ შეეძლო.

ირაკლი ეუბნებოდა:

— ჩემმა მსოფლმხედველობამ დაკაფრთხო. არც ქორწილზე ისურვე მოსვლა. მაგრამ მე ყოველთვის მწამდა, რომ შენ აღრე იქნებოდა, თუ გვიან—მოხვდილოდი.

იულია:

— ერთში უთუოდ მართალი იყო ავგუსტინა: „ნათანი ძალიან ჯიუტიაო“.

ნათანმა უპასუხა ირაკლის:

— მართალი ხარ. მე მოვედი შენთან, მაგრამ არა შენს მსოფლმხედველობასთან.

— შენ მალე მოხვალ ჩემს მსოფლმხედველობასთანაც—უთხრა მას ირაკლიმ.

ხოლო იულიამ ამასობაში გაამზადა მაგიდა:

— აბა ნათან, მაგიდასთან. ესეც ჩვენი სტუდენტური სუფრა. ეხლა მაინც

მოგვილოცე.

— სიამოვნებით ქალბატონო იულია...

— მხოლოდ არა ქალბატონო...

— მაშ?

— „ამხანაგო იულია“.

— ამხანაგო იულია? ო, რომ იცოდეთ შეგობრებო, როგორ სკრის ყურს...

— შეუჩვეველისთვის მხოლოდ—ჩაერია ირაკლი და თან დაუმატა—ეხლა ტერმინებს თავი დავანებოთ და შემოუსხდეთ ჩვენს ბაწია მაგიდას.



სუფრა მართლაც სტუდენტური იყო: ჩაი, ყველი, კონსერვები. ნათანმა არ იცოდა როგორ დაეწყო, გადახედა ახალგაზრდა კონსერვების და თავისთვისაც მოულოდნელად მისცა მათ ასეთი შეკითხვა: **გინდა იქნებ?**

— კმაყოფილი ხართ ერთმანეთისა?

ირაკლიმ და იულიამ გადახედეს ერთმანეთს და გულიანად გაიციინეს. ამ მხიარულმა სიცილმა ერთის მხრით დაარწმუნა ნათანი, რომ ახალგაზრდები კარგად ცხოვრობდნენ, ხოლო მეორე მხრივ წარმოიდგინა თავის თავი განმარტოებულად. დაიწყეს სხვადასხვა საინტერესო ეპიზოდების მოგონება. დიდხანს ილაპარაკეს მელიტონ გობეჯიშვილზე, რომელიც გულწრფელად უყვარდათ მეგობრებს. იულიამ გაიხსენა ოსიპი, ავგუსტინა. ბაასი ატარებდა მეტის მეტად მეგობრულ და მსუბუქ ხასიათს, რის გამოც ნათანი ძალზე კარგად და თავისუფლად ჰგროძობდა თავს.

ირაკლი არც მფიქრობდა ნათანის კარგი განწყობილების გაფუჭებას; სხვათა შორის, მას მოაგონდა ერთი სახელი, რომლის ხსენებაზედ მისი მეგობრის სახეს უკმაყოფილობის ჩრდილი დაეცა.

ირაკლიმ შესტოპა, უკან დახევა გვიან იყო:

— მე თავიდანვე მომეწონა შაულ ათანელიშვილი. გახსოვს მე და შენ როცა სალოცავში ვიყავით, იმან სთქვა შესანიშნავი ფრაზა: „ჩვენ ყველაფერს ვიწყებთ ზეიპით და ვასრულებთ ტრაურითაო“. გახსოვს ნათან? ძალიან კარგად სთქვა. დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა. გასაგებია, რომ პარტიას უყვარს შაული და ძალიანაც ენდობა. მე ძალიან მიხარია რო შაული ასე წინ წავიდა. შენ ნათან?

— მე ისევ ძველებურად...

— შემცდარი ხარ. შენს წინაშე ორი გზაა. ემსახურო ღარიბებს, გაჭირებულებს, მშრომელებს. მაშინ უნდა მიხვიდე შაულთან.

— მეორე?

— მეორემ შეიძლება მიგიყვანოს სიონიზმამდე.

— ხომ არ გაგიყედი, ირაკლი!

— რისთვის ვაოცდი ჩემო კარგო. შენ აზროვნობ ნაციონალისტურად. სიონისტებიც აზროვნობენ შენსავით. მე არც კი ვიცი რამდენი მანძილი-ღარჩა თქვენს შორის.

— ჩვენ ვიბრძვით საქართველოს ებრაელთა ეროვნული თვითგამორკვევისათვის, აქ, ადგილობრივად, საქართველოში. არა პალესტინაში. გესმის, ირაკლი?

— ბრძოლას თავისი ლოლიკა აქვს. როცა შემოგეფანტება შენი სამწყსო, რომელიც ალბად ორნახევარი კაციისაგან შესდგება, მაშინ შენ დადგები არჩევანის წინაშე. ან შეიგრძნობ საღად იმას, რომ ისტორიამ კბილები ჩავამტვრია და გააკეთებ სათანადო დასჯენას, ან წყალწალებულივით ისევ ხავსს ჩამოგვიღები.

— ირაკლი! შენ მეტად სასტიკი ხარ.

— ეს სისასტიკე არაა. ეს სიმართლეა. ასეა არა იულია?

— ასე, ე.ე. კარგო. ვარდაუფალი! მართლაც — დაეძრება იულია.

— მაშ თქვენ არა გწამთ, რომ ჩვენი სტუდენტების უმეტესობა „დავიდის ფარი“ გაიმარჯვებს?

იულია გამოეხმაურა პირველად:

— ებრაელს უყვარს კითხვაზე კითხვით მიუგოს. წინედ იყავით ერთად რვა კაცი. ეხლა მგონია ხართ—ხუთი. რისთვის წაგიდენ დანარჩენები?

— რას იზამ, საცა ორი ებრაელია იქ სამი პარტიაა—მიუგო ნათანმა.

— უნდა გაიგო ჩემო ნათან, რომ ამისთანა წმინდა ინტელიგენტური ჯგუფები—ჩვენს ეპოქაში მოკლებულნი არიან ყოველგვარ ნიადაგს. პირადათ შენ კი—შესანიშნავი უტოპისტი ხარ. ამაოდ არ გინდა გაუწიო ანგარიში-შაულოს, რომელიც წარმოადგენს ერთადერთ რეალურ ძალას.

... როცა გულგატეხილი ნათანი უკან ბრუნდებოდა, მას უმოწყალოდ აედევნა შაულის „მკვდრეთით აღმდგარი“ სიტყვები, რომლებიც ირეოდა მის შიშით აღსავსე ეჭვებში:

„დავიდის ფარიც“ ჩამოყალიბდა ზემით. ხომ არ დასრულდება მისი არსებობაც ტრაურით?“



დღითი დღე ატყობდა ნათანი, რომ „დავიდის ფარის“ მექანიზმი მოიშალა და მის მიერ მიღებული ყოველგვარი „ენერგიული ზომები“ ვერ უზრუნველყოფდა კორპორაციის ხანგრძლივ არსებობას.

ნათანი მაინც თავისას არ იშლიდა. თვალის ჩინივით უვლიდა კორპორაციაში დარჩენილ ოთხ ამხანაგს და არ ეგონა, რომ ერთ მშვენიერ დღეს...

დაიწყო აბიშაიდან.

დღი ბანია ხმები დადიოდა, რომ აბიშაის ჰქონდა რალაც საეჭვო კავშირი შავი ბირჟის მაკლერებთან, სპეკულიანტებთან და გადაწყვიდელებთან. ამხანაგები აბიშაის უწოდებდნენ „პატარა სპეკულიანტს“, მაგრამ მაინც და მაინც არ სჯეროდათ ამ ხმებისა, ვინაიდან ამის უარსაყოფად აბიშაის ყოველთვის ჰქონდა „ძლიერი“ არგუმენტი:

— მორწმუნეთა მასასთან კავშირი ეს არ ნიშნავს სპეკულიანტობას. მე ერთი კაცი ვარ, რომელსაც მაქვს ნდობა და ავტორიტეტი ხალხში. თქვენ ამით უნდა ისარგებლოთ, უნდა გამოიყენოთ. სირცხვილიც არის, რომ კორპორაცია აპყვეს ამისთანა ქორებს.

და უჯერიდნენ იმ დრომდე, ვიდრე ერთმა მოხუცმა კაცმა—რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე გაუტარებია ძველი წიგნების ყიდეა გაყიდვაში—არ შემოალო ნათანის ოთახის კარები კრების დროს. ხელში ეჭირა დაწნული კალათი სავსე ძველი, გადაყვითლებული წიგნებით და ამბობდა:

— მადლობას მეტყვი... რომ იცოდეთ, რა წიგნებია.

ამხანაგებმა დაუწყეს კალათს ჩიჩქნა, ზოგიერთი წიგნი მართლაც მოეწონათ, ამოირჩიეს და გადასწყვიტეს, რომ ამ წიგნებით ჩაეყარათ საუუძველი კორპორაციის მომავალი ბიბლიოთეკისათვის.

— აბა, ჩვენი მოლარე, გადაუხადე ფული—მიმართა ნათანმა აბიშაის.

— რა ეჩქარება, ხვალ მოვიდეს, ზეგ. მიეცემთ. გადაუხადით—დამშვიდებით მიუგო აბიშაიმ.

— ოთხმოცი წლის მოხუცი რამოდენიმეჯერ უნდა მოსტყუანო გარდაშენებული-სთვის?— ამოიკენესა მოხუცმა.

— რაღას სჭიამე, ფული ხომ გაქვს, ამოიღე და მიეცი, შე მართლა არა-რაობავე— ჩაერია არიელი.

— ჩქარა, გადაუხადე, ნულარ აცდევინებ მოხუცს— მიმართა ისევ ნათანმა. აბაშაიმ მძიმედ ამოიღო საფულე. ამხანაგებმა შეამჩნიეს, რომ იქ ელაგა დოლარები და ლირები, ხოლო საბჭოთა ნიშნები თითქმის სულ არ იყო.

— სად არის ჩვენი ფული?— იკითხეს თითქმის ერთბაშად.

— ვალიუტაზე გადავახურდავე. ხვალზევით კურსი აიწვეს, მაშინ გავეყიდი და ამგვარად კორპორაციას მოგება დარჩება. აი, ხო ხედავთ, როგორ ვზრუნავ თქვენზე.

— მაშ მართლა სპეკულიაციას ეწევი?— შეეკითხა ნათანი.

— ეს სპეკულიაციაა?— თავს იმართლებდა აბიშაი.

— აბა რა ეშმაკებია— გაჯავრდა ცუბი და დაუმატა:— წინადადება შემო-მაქვს „დავიდის ფარის“ თავის მოჭრისათვის აბიშაი გაირიცხოს ჩვენი შემადგენლობიდან.

— გაირიცხოს!— წამოიძახა არიელმაც.

ნათანმა შეიტანა შემარიგებელი წინადადება:

— გამოეცხადოს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით, ხო-ლო მოლარეობა დაუყონებლივ ჩამოერთვას და გადაეცეს არიელს.

მაგრამ აქ უკვე აპილობდა თვითონ აბიშაი:

— თქვენც შერცხვით და თქვენი მოლარეობაც. ამის შემდეგ მე ერთ წუთსაც აღარ გაფრთხილები თქვენს წრეში. განა თქვენ ამხანაგები ხართ? ცუბი ისევ ცხარობდა:

— ჩვენს თავს ოსიპიც კი გირჩენია. გახსოვს, შოშბინადაც წაგიყვანა.

— ხა, ხა, ხა!— ასტეხეს სიცილი იონამ და არიელმა.

წიგნების გამყიდველი მოხუცი შესცქეროდა ამ სცენას და არ იცოდა რო-გორ მოქცეულიყო, მაგრამ მას უშველა არიელმა, რომელსაც მოაგონდა მისი თავი, გადაუხადა ფული და გაისტუმრა.

აბიშაი განაგრძობდა პირიქით თავდასხმას:

— თქვე ასეთებო, თქვე ისეთებო, თქვენ ტაქტიკის არაფერი გაგეგებათ, თქვენ დაპლუპავთ ჩვენი ხალხის საქმეს, თქვენ...

— ესე იგი ვალმა შეედავე, გამოლმა მაინც შეგრიებო?— არ ეშვებოდა ცუბი.

ებლა იონამაც ხმა ამოიღო:

— იცით, რას გეტყვით...

და ვინაიდან ჯერ აზრებს თავი ვერ მოუყარა, ისარგებლა ისევ ნათანმა შემთხვევით:

— შემოსულია ორი წინადადება. მე კენჭს ვუყრი...

მაგრამ ვინაიდან აბიშაიმ გადასწყვიტა, რომ პირველ სიტყვას კორპორა-ციიდან გასვლის შესახებ თვითონ იტყოდა, საჩქაროდ წამოხტა და უთბრა მათ:

— მიმიფურთხებია თქვენი კენჭის ყრისთვისაც და თქვენი კორპორაციის-თვისაც.

ამის შემდეგ დაიხურა ქუდი და დასტოვა ოთახი. დარჩენ ოთახნი, ჩამოვარდა ისეთივე მძიმე ატმოსფერო, როგორიც იქმნებოდა ყველგულთვის, როცა მათ რიგებს აკლდებოდა რომელიმე ამხანაგი. ასეთ შემთხვევებში კარების გახურვასთან ერთად ისინი განიცდიდენ უსიამოვნო გრძობას, თითქოს მათ ჩონგურზე ჩასწყდა კიდევ ერთი სიმი.

— განვაგრძოთ—სთქვა ნათანმა, მაგრამ ასე ადვილი არ იყო ეს გაგრძელება. ყველანი ჰხედავდნენ იონას სახეზე, რომ მას ვარდა ჩვეულებრივი „იციო, რას გეტყვიო“-ისა, კიდევ რაღაც ჰქონდა სათქმელი. მის სახეზე ეწერა მრისხანება და გულისწყრომა:

— თქვენ ყველანი დამნაშავე ხართ აბიშაის წინაშე. მერე რა რომ ვალიუტა ჰქონდა? რაა ამაში ცუდი? თქვენ ბრძებები ხართ. თქვენ საქმის გაკეთება არ შეგიძლიათ. თქვენი წინდაუხედავობით დააფრთხეთ ჩვენი საუკეთესო ამხანაგები...

— ერთი უყურეთ ამ არარაობას—წამობთა არიელი.

— იქნებ ძალიან გშურს აბიშაის ბედა? შეგიძლია უკან გაპყვე—წასძანა ცეხიმა.

— გაეყვები კიდევ!—შეყვირა იონამ.

— გზა მშვიდობისა. აი კარები.—ამბობდა ისევ ცეხი.

— კარგად ვიცი, საცაა კარები. იციო, რას გეტყვიო... მე მრცხვენია, რომ აქამდე თქვენი ამხანაგი ვიყავი. ზებულონი თქვენთან შედარებით ყოფილა—იდეალი. აი მე მივდივარ და თქვენი კისრის ტეხასაც მალე ვნახავ.

ამის თქმასთან ერთად გამოალო კარები და დააპირა გასვლა, ამ დროს არმიელმა თან გააყოლა:

— ჯანდაბამდისაც გზა გქონია...

იონა გავიდა. დარჩენ სამნი. ნათანს დასცხა და საყულოზე ღილი შეიხსნა. ცეხი ცნობისმოყვარეობით ადევნებდა ნათანს თვალს და ძალიან დიდი სურვილი ჰქონდა, რომ ნათანს რაზე ეთქვა, მაგრამ ნათანი ჯერ თვითონაც ვერ მოსულყო გონს ამ მოულოდნელი ამბების გამო და ამიტომ ჩუმად იყო.

ყველაზე კარგად გრძობდა თავს პრიელი, რომელიც გულთან ახლოს არასოდეს არ იკარებდა ასეთ ამბებს და არც ჰფიქრობდა მათზე. ყოველ მოვლენაში იგი ეძებდა მხოლოდ ერთ მხარეს—ხუმრობის საბაბს და როდესაც ასეთს ჩაიგდებდა—იწყებდა დაუსრულებელ ნაფარდს და ჯირითს. ჯერ-ჯერობით კი, ნათანისა და ცეხის სახეებზე არიელი კითხულობდა უაღრეს სერიოზულობას, რას გამოც კდილობდა შეძლების დაგვარად მიეხადა მათთვის. ცეხი შესტკბროდა ნათანს და ეჩვენებოდა თითქოს ნათანს ეცინებოდა, მაგრამ როდესაც დააკვირდა კარგად, შეამჩნია, რომ სხვადასხვა ირიბული ხაზები მის ლოყებზე—შემკლარად გამოხატავდნენ მის სულიერ განწყობილებას: ნათანის სახე „იციონოდა“, ხოლო თვალები... გაქვევებულიყო. და როდესაც ოდნავად შეინძრნ ეს თვალები, ცეხის გულს მოეშვა.

— განვაგრძოთ კრება?—შეეკითხა ცეხის და არიელს.

ცეხი მზად იყო ეთქვა თანზობა, მაგრამ ამ დროს არიელს წასკდა სიცილი.

— რაა სასაცილო?—შეეკითხა უკმაყოფილო ცეხი.

— ტრალედიას შეუძლია გააცინოს მხოლოდ არიელი—წარმოსთქვა ნათანმა.

— ტრალედია? არა ამხანაგებო. ეს ნამდვილი კომედიეა.

— დაანებე თავი მასხრობას, არიელ. შენს გუნებაზე არა ვარ—უთხრა მას ცეხიმ.

— აბა თქვენმა სიცოცხლემ, თქვენსავით შევაკლავ თავს ამ ამბებს. წავიდენ და წავიდენ! არც მათი ყოფნით კეთდებოდა რამე. არც მათი წასვლით დაშავებულა.

— კი მაგრამ... ჩვენ რა ვქნათ?—იკითხა ისევ ცეხიმ.

— ჩვენ?—უპასუხა არიელმა—დავიხუროთ ქუდები და წავიდეთ სახლებში.

— „დავიდის ფარის“ ლიკვიდაცია? იარაღის დაყრა? გაკოტრება?

— რაც გინდა უწოდე.

— არიელ! შენ იმათზე უარესი ყოფილხარ.

— აბა უკეთესი გეგონე, ამხანაგო ცეხი? ჩვენ—ყველანი ვართ არარაობა. პატარა ბავშვებით შეევგროვდით და ასანთის ლერებით მოვინდომეთ მონუმენტალური შენობის აგება. მე ყოველთვის ვიძახობდი, რომ ლაყობის მეტს არაფერს გავაკეთებთ-თქო. გამართლდა ჩემი სიტყვები.

— თუ ასეთი აზრები გიღრღნიდა ტვინს, მაშინ რა გინდოდა ჩვენთან?—შეეკითხა ისევ ცეხი.

— ეს ამტკიცებს იმას, რომ მე ყველაზე პატიოსანი ვიყავი თქვენს წრეში. მაინც გიჯერობდი. მოგდევდით უკან. ხელს არ გიშლიდით. პირიქით გეხმარებოდით.

— მაღლობა გინდა?

— არა, ჭკუის სწავლება. ეხლა როცა წავაწყდით დამტვრეულ კედლებთან, ჩემის აზრით, რაც მალე დავასაფლავებთ „დავიდის ფარის“ ხსოვნას—მით უკეთესი ჩვენთვის.

აქამდის ვაჩუმებული ნათანი მოუბრუნდა არიელს:

— რას დაგვდგომიხარ თავზე მოტირალი დედაკაცივით. შეგიძლია დაიხურო ქუდი და თვითონ მიბრძანდე.

— მე კი მეგონა ახალ წლამდე არ ამოიღებდი ხმას—ოდნავ დასცინა არიელმა.

— რა გნებავეს ეხლა?

— მოხუცის წიგნები. ფული მე გადავიხადე და მე შეკუთენის.

— წაილე. სხვა?

— სხვა არაფერი. ჭკუის მასწავლებლად არ მიმიღეთ. რა გაეწყობა. ყოველ არარაობას თავი გენიოსი ჰგონია. თუ ამაზე უფრო გავიჭირდეთ, მაშინ დამიძახეთ.

სთქვა და არიელიც გავიდა. დარჩენ ორნი. ცეხის აღარ სურდა, რომ ნათანს გაეგრძელებინა სიჩუმე და ამიტომ სცადა მისი ლაპარაკში ჩაბმა:

— კორპორაცია გაიხრწნა, დაირღვა, დაიშალა, საჭიროა სულ სხვანაირი გზების გამოძებნა. საჭიროა სულ სხვაგვარი საფუძვლები. რას იტყვი შენ ნათან?

- დავილაღე. გამოსავალს ვეღარ ვხედავ.
- შე კი ვიცი ერთი გამოსავალი.
- გისმენ—უთხრა ნათანმა მეგობარს ისეთი ხმით, რომელშიაც უიმედობა და სასოწარკვეთა მიღწეული იყო უმაღლეს წერტილს.
- შეუერთდეთ შაულ ათანელიშვილს.
- რა?—წამოხტა თოფნაკრავივით ნათანი.
- ცხოვრებამ დაამტკიცა შაულ ათანელიშვილის ხაზის სისწორე. იმის გარშემო შეროკრბენ ღარიბები, ვინაიდან იგი აქედებს საქმეს რეალურად. შენი მშობელი შამაც კი მოეწყო „პირველ ნაბიჯში“. აბა ელაპარაკე მას. დარწმუნდები როგორი კმაყოფილია.
- ეს ჩვენი პრინციპების ღალატია. ეს არ მოხდება არასოდეს.
- ჩვენს პრინციპებს ისტორია ამარცხებს ყოველ ნაბიჯზე. ჩვენ ვმარცხდებით სასტიკად ყოველ ფეხის გადადგმაზე. ნუ თუ ეს დიდი გზა, რომელიც განვლეთ ჩვენ, საკმარისი არაა იმისათვის, რომ აქედან გავაკეთოთ საჭირო დროული დასკვნა?
- ცეზი! შენი დასკვნა დამლუპველია.
- იქნებ შენი ჯიუტობაა, ნათან, დამლუპველი?
- ეს იყო პირველი საყვედური, რომელიც მოხვდა ნათანს ცეზის მხრით, იმ ცეზის მხრით, რომელსაც ყველაზე უფრო სწამდა ნათანი და რომელიც იყო მისი საუკეთესო მეგობარი.
- საყვედურმა ღრმად ატკინა გული და იმ ზომამდე გამოიყვანა წონასწორობიდან, რომ ცეზის სრულიად დაუმსახურებლად უპასუხა:
- შე კი მეგონა, რომ შენსა და დანარჩენებს შორის იყო რაღაც განსხვავება.
- ნათან!
- კმარა ცეზი, ჩვენ სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ.
- სთქვა და მიბრუნდა ფანჯრისაკენ, სადაც დადგა ზურგივით. ცეზიმ ერთხანს კიდევ უცქირა თავის მეგობარს, შემდეგ აიღო ქუდი და სიტყვის უთქმელად, მძიმე და ნელი ნაბიჯებით დასტოვა ოთახი.
- კარის კრიალთან ერთად, ნათანი უცბად შეკრთა. იგრძნო: დარჩა ერთი. მარტოობის გრძნობა კოშმარით შემოეგლო თავს. უდიდესი სიყვარულით დაწყებული საქმე სამუდამოდ დაენგრა, დაერღვა. ფანჯარასთან ზეზე მდგომი, გარინდებული აფეთქებდა ხელს წარსულში და უნდოდა ჩაბლაუჭებოდა რაიმე ნათელ წერტილს, რასაც იგი ამაოდ ეძებდა. და ეკითხებოდა შიშით თავის თავს: „რა არის ეს? ხომ არ ნიშნავს ჩემი სიცოცხლის დასასრულს?“
- და უცბად... თვალწინ წარმოუდგა შაული:
- ამაყი, გამარჯვებული და წინასწარმეტყველი.
- და ოდნავ ვასაგონი ხმით, თან მწარე სიცილით გაიმეორა მისი ნათქვამის დასაწყისი:
- „ჩვენ ყველაფერს ვიწყებთ ზემით...“



4

შიში, რომელმაც შეიპყრო ისხაკ ჯანაშვილი მისი ქალაქში ჩამოსვლას პირველი დღიდანვე—ყოველდღიურად იზრდებოდა, მტკიცდებოდა და მოხუცის გულს ევლებოდა გარშემო მწარე ნალევლად.

არ ახარებდა არაფერი: არც ბინა და არც სამუშაო.

პირიქით, რამდენადაც კარგად მოეწყო დანიელისა და „პირველი ნაბიჯის“ დახმარებით—მით უფრო ნათელი ხდებოდა მისთვის, რომ მისი ბედნიერება არ იყო სრული, ვინაიდან მას შემოვლებული ჰქონდა გაუგებარი ჩრდილები, რომლებიც აზნებდნენ მის მოხუც დღეებს.

ნათანი არ გადავიდა მათ ბინაზე, ვინაიდან არ სურდა მოხუცების მყუდროება დაერღვია თავისი ხშირი მელანქოლიური განწყობილებით, ხოლო მშობლებმა ეს მიაწერეს განვლილ წელიწადს:

„თვალი თვალს რო მოშორდება—გულიც გადასხვაფერდებაო“.

და არა ერთხელ, საღამოს ეამს, ისხაკი შესჩივლებდა ღიას:

— გამოიცვალა ჩვენი ნათანი, ძალიან გამოიცვალა. ძალიან გულჩათხრობილი გამხდარა და ხანდახან ასე მგონია, რომ მეც აღარ მენდობა.

— იმას მოუკვდეს დედა, ვინ იცის რა აწუხებს—უბასუხებდა ღიაც უსაზღვრო მწუხარებით.

მაგრამ ერთ საღამოს ისხაკი დაბრუნდა სამუშაოდან საოცრად დაღონებული. ამ დღეს მას ესთერმა ისევ შეატყობინა, რომ ბენიამინ ბერიძეს განუზრახავს ცუდი საქმე და ნათანს თავს დასტრიალებს რაღაც უბედურება. ახალგაზრდა ქალი ეხვეწებოდა მამას, რომ შვილი გაეფრთხილებინა.

ისხაკმა სახლში შემოსვლისთანავე უხტრა ღიას:

— შეშინია რაღაც, ღია.

— რა ამბავია, ისხაკ? ხომ მშვიდობაა?—შეშფოთდა მეუღლე.

— არაფერია. მაგრამ მე მაინც შეშინია.

— ნათანს ხომ არაფერი უჭირს?

— არა... მაგრამ გული მტკივა, აი აქ, ამ ადგილას.

— ნათანმა იღბად კარგად იცის, ვინ არის გულის ექიმი. წავიდეთ ისხაკ, გავასინჯოთ.

— ეჰ, ექიმი არ მიშველის.

— ვაიმე უბედურს, როგორ ლაპარაკობ? გადაველ ნათანთან და ვადმოვიყვან.

— არა. მე თვითონ წავალ იმასთან.

— შენ რაღაცას მიმაღავ, ისხაკ. მეც წამოვალ.

— შენი წამოსვლა არ ივარგებს. მაშინ შეიძლება ველარ ველაპარაკო, როგორც მსურს. შე კი მინდა, ძალიან მინდა—როგორმე ნათანი და შაული დავამეგობრო. მაშინ შეიძლება მომეშალოს გულისტკივილიც და შიშიც.

— შენ იცი, ისხაკ. მაგრამ ჯერ რო არაფერი გიჭამია?

— სულ ერთია, როცა რამე მაწუხებს, ლუკმა ყელზე გამიჩერდება. წავალ, ველაპარაკები, ცოტას დავწყნარდები და მალე დავბრუნდები. მაშინ შეგვამ რამეს.

— თუ გიყვარდე, მაშინ ეს თხოვნა შემისრულე. დღეს ქაღალტზე დავეცხე, წაილე თან, ნათანიც შესვამს და შენც.

— კარგი. — უთხრა ისხაკმა და მოემზადა წასასვლელად.

ლიამ გაუხვია გაზეთში ცხელი ქაღალტები, ამოუღო ილიაში და თან დაატანა:

— ღმერთმა გაზარჯეებული გამოგიყვანოთ ყველა საქმიდან მამაცა და შეილიც.

— ამენ! — უპასუხა ისხაკმა და გაემართა შეილისაკენ.

... ნათანი არ ელოდა მამას.

იგი იწვა დივანზე, ტანსაცმელგაუხდელი და უაზრო თვალებით შესცქეროდა იატაკს. მამას მიეგება თავაზიანად, იკითხა დედა და მოიმიზეხა გამოცდებისათვის შხადება, რამაც ხელი შეუშალა მათ უნახაობაში.

— შენ მგონი ამაღამ არც არაფერი გაქვს საქმელი. დედამ გამოგიგზავნა. მამა შეილობას ნუ აწყეინებ. ზოგი ამაღამ სკამე, ზოგიც დილას. — და გადასცა გაუხსნელად.

— კარგი, მამა. მადლობელი — უპასუხა ნათანმა და გვერდზე გადასდო.

— იქნებ ერთი ორი ლუკმა ეხლა მოსტეხო?

— არა მამა, არა მშია. გვიან ვისადილე.

— ეჰ შეილო — ამოიოხრა ისხაკმა.

— რას ოხრავ მამა? — შეეკითხა ნათანი.

მამა უტკერდა შეილს გამომცდელის თვალებით და ვერ არ პასუხობდა. მაშინ ისევ ნათანმა განაგრძო:

— ვიცი მამიკო, არ გაგიმართლეთ არც შენ და არც დედიკოს იმედები. რა ვქნა, ცუდი შეილი გამოვედი. ქალაქში ვადმოხვედი. ამაზე ვოცნებობდი მთელი წელიწადი და როდესაც ეს საქმე უჩემოდ გამოეწყო და თქვენ აქა ხართ, მე ერთი კაპიკითაც ვერ დაგეხმარეთ. უჩემოდ მოეწყვეთ ბინაზე. უჩემოდ იშოვე სამუშაო. თითქოს არც გყოლიათ შეილი. ასე არა?

— არა შეილო, მე არ გემდურვი, არც დედა. მაგრამ ერთი მითხარი მამა-შეილობას: ის ხალხი, ვინც ჩვენ დაგეხმარა და მოგვაწყო — განა შენთვისაც საყვარელი ხალხი არაა?

— მე ყოველთვის მიყვარდა ძია დანიელი. პირველი ტკბილი სიტყვა ქალაქში ჩამოსვლისთანავე, მითხრა დანიელმა. ეს იყო სადგურზე, როცა ფულები ამომატალეს. ნეტავი შეეძლებდე და გადაუხდიდე იმ ამაგს, რომელიც მას თქვენზე აქვს დახარჯული.

— მარტო დანიელი ხომ არა, შეილო. შაული? დაილოცა იმის მშობელი. ნათანმა თავი ჩაიღო დაბლა. ისხაკმა განაგრძო:

— დანიელი ამბობს: „არ მესმის რა აქვთ ნათანს და შაულს გასაყოფიო“. სიმართლეა შეილო. მოხუც კაცს ყველაფერი დაეჯერება. არც მე მესმის.

— ეს დიდი საკითხია, მამა. მოდი ამაზე ნუ ვილაპარაკებთ.

— რისთვის შეილო, რისთვის არ ვილაპარაკოთ. მოგიკედეს მამა თუ არ ვიპასუხო: რა დაუშავებია შენთვის შაულ ათანელი შეილს?

— არაფერი, მამა.

- აბა რაშია საქმე. რა გაჩხუბებთ? რატომ არ ხართ ერთმანეთს ურთიანობის გემო, ერთნაირი მოწონება, ერთნაირი შეხედულება?
- მაშა! ხომ არ შეიძლება ყველა ადამიანებს ჰქონდეს ერთნაირი გემო, ერთნაირი მოწონება, ერთნაირი შეხედულება?
- აქ სულ უბრალო საკითხია და გზა კვალს რაზე მიბნევე. მითხარი აშკარად, გულახდილად: „პირველ ნაბიჯში“ ცუდი საქმე კეთდება თუ კარგი? ნათანმა თავს ძალა დაატანა და უპასუხა:
- კარგი.
- ლარიბები შენ ხომ ყოველთვის გიყვარდა და გიყვარს?
- მართალია.
- ბენიამინ ბერიძე და ყურა შათაშვილი შენ ისევე გეყვარება ალბად, როგორც კოკლი მელამედი?
- სწორია.
- ამ საკითხებზე შეულიც ასეთი შეხედულებიანა. აბა ეხლა ამიხსენი—რანაგანსხვავებაა თქვენს შორის...
- ეს ასე ადვილი არაა, მამა.
- ისხაკმა ღრმად ამოიოხრა:
- როდემდის უნდა იყო შეილო ასეთი გულჩათხრობილი? ნათანი ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ შეეკითხა:
- განა სულ ერთი არაა—მე და შეული ერთად ეიქნებით თუ არა?
- არაა სულერთი. ძალა—ერთობაშია. როცა ერთად იქნებით, მაშინ მტრები ვერას დაგაკლებენ.
- ეხლა რას დამაკლებენ?
- ნუ იტყვი შეილო, ნუ. გეშინია. ლამეები აღარ მძინავს. გული მიკანკალეხს.
- რისთვის მამიკო, რისთვის?—ჰკითხა ნათანმა ისეთი ღიმილით, თითქოს ამით სურდა გაებათილებინა მამის უსაფუძვლო შიში.
- ყური მიგდე კარგად, შეილო. მე ცოტახნის სიცოცხლე დამრჩენია კიდევ. მიზარია ღმერთმა რო მომასწრო ასეთ დროს, როცა მდიდრები ლარიბებს ვეღარ სძალავენ. გასახარელია კიდევ ის ამბავი, რომ ჩვენმა ხალხმა ვაჭრობის გარდა სხვა საქმეშიაც გამოიჩინა თავისი შნო და მარიფათი, ამ საქმეებს მდიდარი ხალხი ასე ადვილად ვერ შეურიგდება და ყოველნაირად შეეცდება ჩაიდინოს მხოლოდ ცუდი და ბოროტი. თქვენ რომ ერთად იქნებით, ხელები დაუმოკლდებათ. ხოლო თუ შენ მარტო იქნები, ისრაელის მტერს, რამე ხიფათს შეგამთხვევენ და იკოდენ ნათან, შენ რომ რამე მოგივიდეს, მეცა და დედაშენიც, ჩვენის ხელით გავითხრობ საშარეს.
- ნათანს ცრემლები მოადგა თვალებზე და მიბრუნდა ზურგით, რომ მამისთვის არ ეჩვენებინა თავის სისუსტე; შემდეგ შეუშინველად შეიმშრალა, მიუახლოვდა მამას და გადაეხვია:
- ეს რა აზრები მოგსვლია, ჩემო ძვირფასო მამიკო თავში? ნუ გეშინია. ნათანს ვერაფერ ვერაფერს დაუშავებს.
- ისხაკმა გულში ჩაიკრა ნათანი და უთხრა:

— ბენიამინ ბერიძე დიდი ბოროტი კაცია. იმას ფული აქვს. ფულით შეუძლია მოიყიდოს ვინმე თავზე ხელაღებული. ერიდე ნათანე!

— უსაფუძვლო შიშია.

— არაა უსაფუძვლო. ისევ ესთერმა შემატყობინა. იმას გაუგრძელოს ღმერთმა დღეები.

— მოგწონს მამა, ესთერი?

— ძალიან, შეილო.

— ავიღო ხელი?— შეეკითხა ნათანი შეპარვით.

— მაგას ვერ გირჩევ, ნათან. მაგრამ მეორე მხრივ, გული საგულეში აღარ მიდგება. რა ვიცი, რითი დასრულდება ეს საქმე. მამა რო ასეთი მხეცი ჰყოლია იმ ქალს! თურმე სულ იმას ოცნებობს, მანამ რაიმე მსხვერპლი არ მოხდება, არ დაეწინარდება.

ნათანი ჩაფიქრდა. ისხაკი ისევ მოეხვია.

— ნათან! ჩემო სიცოცხლე!

— რა მამა?

— შეშინია. გული მტკივა, ცუდი წინაღობა მაქვს.

— დანებე თავი ცუდ ფიქრებს.

— როცა შენ არ გიცქერი, ყოველ წუთში ველი გულისკანკალით, რომ მართლა მოხდება მსხვერპლი.

— სისულელეა.

— გადმოდი ჩვენთან. რამდენიმე დღით მაინც. ზეგ თიშყა-ბებაბია<sup>1</sup>. მოიგონე ძველი. გაახარე დედისა და მამის გული.

ძნელი იყო უარის თქმა და ნათანმაც უთხრა:

— კარგი, გადმოვალ.

ისხაკმა სიხარულით გადაჰკოცნა შეილი:

— გაგაბაროს ღმერთმა— შენ გაახარე მშობლის გული.

●●●

მთვარე, ვარსკვლავები, ლურჯი მოკამკამე ცა. ჯერ კიდევ ადრეა. საღამოს რვა საათია.

რა იქნენ ფეთხანის მცხოვრებნი ათასცხრაას ოცდა სამი წლის ივლისის ერთერთ საღამოს? ფეთხანზე ზმარობა არ იდგა. სახლებში სინათლე ჩაქრობილი იყო. დროგამოშვებით თუ აივლიდა ფეთხანის აღმართს „პირველი ნაბიჯის“ რომელიმე ახალგაზრდა მუშა. დანარჩენები? ქალები, კაცები, ბავშვები? მღირდრები, ლარიბები? მოხუცები? რას ნიშნავდა ეს მოულოდნელად გამეფებული სიჩუმე? შეიცვალა რამე ფეთხანზე?

ფეთხანი ამ სიჩუმეშიაც ერთგული იყო თავის თავისა. ამალამინდელი ღამე, ეროვნული გლოვის ღამე, საკმაოდ ცნობილი იყო ღამე ცხრა აბის. და ყოველწლიურად, ამალამინდელ საღამოს, მორწმუნენი იმეორებდნენ ერთსა და იგივეს.

<sup>1</sup> თიშყა-ბებაბ — ღამე ცხრა აბის (ებრ. თვეა, დაახლოებით ივლისი).

სალოცავში წასვლამდე, ყოველი ოჯახი აწყობს თავის სახლში „შემწყვეტ სადილს“, რასაც ებრაულად უწოდებენ „სეყუდა ჰამაფსეკეთა“. ეს ხდება დაახლოებით საღამოს ხუთიდან ექვსამდე. სადილი უნდა იყოს უბრალო, აკრძალულია ლეიმო და ხორცი. სადილის შემდეგ მეორე დღის დაღამებამდე ცხადდება მარხვა, ნამდვილი შიშხილი, ვინაიდან ოცდაოთხი საათის განმავლობაში არც ერთი მორწმუნე არ იგემებს არც ერთ ლუქმას, არცერთ წვეთ წყალს. „შემწყვეტი სადილის“ დასასრულს მამაკაცები გაიხდიან ფეხთ და ფეხსაცმელების ნაცვლად ჩაიცვამენ კალოშებს ან უბრალო ჩუსტებს. ზოგი მათგანი თან წაიღებს მუთაქას, რომ სალოცავში გაათიოს ღამე. ასე იყო ძველადგანვე დაწესებული. ღამე ცხრა აბის იყო-გლოვა და ისრაელის შვილებს უნდა ხელი აეღოთ ყოველგვარ ამქვეყნიურ სიამოვნებაზე.

ნათანი მისდევდა თავის მოხუც მამას სალოცავში და აკვირებდა:

„რისთვის მივდივარ? სად მივდივარ? სატირლად? ვინ უნდა ვიტყვი? რა უნდა ვიტყვი?“

და მაინც მიდიოდა. რა იყო ეს: მამას სიყვარული? დაბრუნება ბავშობასთან? ძველის მოგონების განცდას სურვილი? ჭკუაზე შეშლა? თუ სარწმუნოების გამარჯვება? ნათანს ეშინოდა განსახლვრის, ეშინოდა ფიქრებში ჩაღრმავების. უკან მისდევდა — უშედეგო ბრძოლა. წინ — ბუნდოვანი მომავალი. აწყობს მიჰყავდა მის მიერ უარყოფილ სალოცავისკენ.

თავის გარშემო კიდევ ესმოდა, თუკა მორიდებით, მაგრამ მაინც გარკვეული ხმები:

- დახედეთ ერთი. ეს ნათანი არაა?
- ნათანია. ისხაკის ვაჟი.
- თეატრში რომ ეჩხუბებოდა ღმერთსა და ვაქრებს?
- ეხლა მამას მისდევს.
- ღმერთი თუ მამას, ლოცვაზე მოდის.

„ჯერ კიდევ გვიან არაა. გაიქეცი აქედან“ — გაუელვა ნათანს, მაგრამ ამ დროს შეხედა თავისი მამის დაფიქრებულ და შეშინებულ თვალებს და გადასწყვიტა: „არა, მამიკო. გულს არ მოგიკლავ. დეე შევსვა ეს სიმწრის ფილა ბრომოდე. წამოგყევი და უკან აღარ გავიპარები. მოვდივარ სალოცავში“.

ისხაკი თავის გვერდით ჰგრძობდა მომავალ შვილს, მისი გული სიამაყით იესებოდა, რომ ნათანი მას დაუბრუნდა.

აგერ უკვე ცხინვალელების სალოცავი. ყაზარათ ჰანაშიმიდან უკვე მოსჩანან თავშალგაკრული ქალები. კიბეებზე უკვე აღიოდენ მორწმუნენი და როგორც სჩანდა, ლოცვაც მალე დაიწყებოდა. ძია დათოსთვის ნათანი იშვიათი სტუმარი იყო და საჩქაროდ უშოვა ადგილი. მაგრამ ეს ადგილი იყო არა სკამზე, არამედ მიწაზე. ასეთი იყო წესი და ნათანმაც ფეხთ მოიკეცა.

...მკერდგაღელილები, ფეხმოკეცილები, იჯდნენ და ემზადებოდნენ მოსათქმელად. ხელში ეჭირათ კინოთ<sup>1</sup> ები და წინ ენთოთ ოდნავ მბეჭეტავი თაფლის

<sup>1</sup> კინოთ — წიგნი გლოვის ოდებით და პოემებით.

სანთელი, რომლის შუქზედაც უნდა ეკითხათ ირმიაუ პანაბისა<sup>2</sup> „ეხა-  
იაშა“-ს<sup>3</sup> სახელწოდებით ცნობილი.

თებაზე, დაბალ სამფეხა სკამზე იჯდა მელამედი, რომელსაც უნდა ჩაეტა-  
რებინა გლოვის საღამო. მის ახლოს თების საფეხურებზე ჩამოშხდარიყვენ ყვზ-  
რა, მენაშე და დანარჩენი გაბაები. ძია დათოს ფეხი მოეკეცა შესასულელ კარე-  
ბთან და წვერები პირში ჩაედო. დანიელი და ისხაკი მოწყობილიყვენ ერთად.

ნათანი იჯდა სადღაც კუთხეში, ძია დათოს მიერ მიჩნეულ ადგილას, პგრძობდა საშინელ მარტოობას და შემკრთალი თვალებით ჩაშტერებოდა გო-  
დების წიგნში გაყვითლებულ ებრაულ ასოებს.

სალოცავი გაქედილი იყო ხალხით. ზევიდან, თხელი ფარდიდან მორიდე-  
ბით იტკირებოდენ მორწმუნე ქალები.

ზაფხულის მწველი სიცხე შეჭრილიყო სალოცავში ძმ ზომამდე, რომ იღვა  
დახუთული ჰაერი. თაფლის სანთლებიდან იგრძობოდა უსიამოვნო ნამწვი. ის-  
მოდა მთქნარება, მოლოდინი, ოხვრა, სევდა. და კოჭლმა მელამედმა დაიწყო  
გოდება ბოხი და მონოტონური მოთქმით: „ბაბილონის მდინარეებთან ვისხე-  
დით და ვსტიროდით, რომ მოგვაგონდებოდა სიონი;

„იქვე ტირიფებზე ჩამოვკიდეთ ჩვენი ჩონგურები;

„როგორ ვიმღეროთ აღონაის სიმღერა უცხო მიწაზე;

„თუ დაგივიწყო იერუსალიმ, გახმეს ჩემი მარჯვენა;

„ვაუხსენებ აღონაივ, ედომის შეილებს, რომლებმაც...

„დაეცენ გვამები. ძუძუნწოვრები და ბალები. არავენაა წამომყენებელი,  
არავენაა შემბრალებელი...

„როგორ დაეცა დიდი ქალაქი“...

მელამედმა თანდათან უმატა ხმას, თითქოს თვითონ ყოფილიყოს წინას-  
წარმეტყველი:

„ხელოვნურად ქმნილ თიხის ნამტვრევებს

როგორ ემსგავსენ სიონის ძენი

უფალო ღმერთო, შენს ძვირფას შეილებს

რათ დაამწარე თავანთი დღენი“.

ამოიკენესა ხმაბილლად და გადახედა თავის სამწყმსოს, რომელიც დამწუ-  
ხრებულიყო და გარინდებულიყო. მორწმუნეთა თვალებში მირბოდენ საუკუნეე-  
ბი. შეშინებული თვალები მოძრაობდენ ცრემლებით. და მათ ცრემლებს აძლიე-  
რებდა მწუხარების აღმძვრელი და თან უსიამოვნო ბოხი ხმა:

„ამალამ მთელ მსოფლიოში აქვითინდება შთამომავალი აღმოსავლეთის წი-  
ნაპრებისა... ამალამინდელ ღამეს ერმა დაპკარგა თავისუფლება, სამშობლო, და-  
მოუკიდებლობა და მონა გახდა ძლიერი თვითმპყრობელებისა... ამალამინდელ  
ღამეს მას დაუხოცეს საიამყო შეილები და შეგვრჩა უკანასკნელი მწარე მო-  
გონება“...

ხოლო ეს მოგონება რამდენი იყო:

<sup>2</sup> ირმიაუ-პანაბი — ერემია წინასწარმეტყველი.

<sup>3</sup> „ეხა-იაშა“ — ერემიადა, ერემიას გოდება.

„კანამები“, <sup>1</sup> რომლებმაც იბრძოლეს უკანასკნელ სისხფესკე წყევამდე. ჯალათი ნებუხარადანი და ზეხარია წინასწარმეტყველი. ქვეთვე: ჩაჩყ: დე: მისი შვიდი შვილი. ათი მოხუცი ისრაელის „მნათობები“ — გაბატონებული სახელმწიფოს მიერ — მოკლულნი. მეფე ციციკაუ და მისი შვილები. გაოხრებული ქვეყანა, მეორე ტადარი და საკურთხეველი. დახოცილები და დაღუპულები შემდგომ საუკუნეებში და სხვადასხვა ქვეყნებში.

და როდესაც მორჩა ამ დაუსრულებელ მოგონებებს — შეტკივლა ზეცის მისამართით:

— გაიხსენე აღონაივ, რა მოგვივიდა, ვადმოიხედე და დაინახე ჩვენი სივალალე! ვადმოხედე შენს შვილებს, 14 მილიონ ისრაელს, რომლებიც ამალამ მთელ ყოლამზე დააყენებენ ცრემლების ოკეანეს...

მელამედი შევიდა მგლოვიარეს როლში და ატირებულმა ვასცა ვანკარგულმა:

— ჩაჰქრეს ჩემი სანთელი, რადგანაც ამ საღამოს ჩავიდა ჩვენი შზე; ჩაჰქრეს სანთელი და სიონის გაოხრებისათვის ფეხი მოვირთხათ სიბნელეში...

წინადადებების ბოლოს იგი ყოველთვის აგრძელებდა, რასაც უფრო უნდა გაეძლიერებინა გლოვისა და უბედურების შთაბეჭდილება. ამ წუთებში თითოულ მორწმუნეს გული უკანალებდა და ჰქონდა რალაც წინადგრძნობა. ეს ვანცდა უფრო თანდათან გრძელდება, როცა სულის შებერვით ერთი მეორის შემდეგ, ზედიზედ ჰქრებოდნენ ისედაც ნელა მბუტყავი სანთლები.

აღარ ენთო არც ერთი სანთელი და გამეფდა სიბნელე, საშინელი, ეგვიპტის წყვილიადი. სიბნელეს თან მოჰყვა საოცარი სიწყნარე და მყუდროება. ორი წუთი — არავინ არღვევდა ამ „წმინდა იღუმალუბას“. და იბადებოდა უცნაური ვანცდა:

თითქოს მთელმა ხალხმა ამოჰყო თავი სამარეში, რომლისთვისაც ზევით დიდი ქვა დაუდევით.

და მელამედმა გადასწია ეს ქვა და დაარღვია სამარისებური სიჩუმე:

— ძმებო! სახლეულო ისრაელისავ! ყური დამიგდე: ამალამინდელ დამეს შესრულდა...

ჰატარა ჰაუხა. საშინელების წინადგრძნობა გრძელდება. რა უნდა მოხდეს? უნდა წარმოითქვას საშინელი ციფრი, საშინელ რიცხვი. საშინელი, საშინელი, საშინელი. და წარმოითქვა:

— შესრულდა ათას რვაას ორმოცდა თხუთმეტი წელიწადი, რაც გაოხრდა საყვარელი ქვეყანა და ერი წმინდა, რაც აგვერთვა თავზე თავი და მშვენება...

და საშინელის კივილით და შეძახილით დაასრულა:

— ვაი ჩვენ, რომ შევცო-ო-ო-ო-დეთ!...

— ვაი... — გაისმა ქვითინი და ტირილი მოხუცებისა.

— ვაი... — მათ ბანს აძლევდა ქალების ქანდარა.

<sup>1</sup> კანამი — ღანატიკოსები.

— ვაი... — აკენესდენ ბავშვები, როცა დაინახეს ატირებულნი მშობლები.

— ვაი... — სტიროდა სიბნელე გამეფებული სალოცავის გვერდებზე.

და ამ ღმუილმა, არაადამიანურმა გლოვამ და უაზრო ქვითინმა საჩქაროდ წამოაგდო ფეხზე ნათან ჯანაშვილი, რომელმაც ამ წუთებამდე არ იცოდა თუ რამ მოიყვანა ის აქ, ამ „მისტიურ“ ღამეს. დაკლული პირუტყვივით გაუმწარდა სული და საზარელი ხმით შეჭკივლა:

— გაჩუმიდით! ნუ სტირიხართ, საცოდავებო!

მოულოდნელობისაგან მორწმუნენი გაშეშდნენ. ერთ რივად ჩაჩუმდა ყოველივე. ვიღამაც ანთო ასანთის ღერივით წვრილი სანთელი. მის შუქზე მობრუნდა მასა, ხალხი, ბრბო.

ასე მოეჩვენა ნათანს. მგლის თვალები შეეფეთენ ახალგაზდა მებრძოლს. გააგონეს საშინელი განაჩენი:

— ნათან ჯანაშვილი გაგიყებულა.

და ნათანი დაუყოვნებლივ გაემართა კარებისაკენ.

— ვაიმე შეილო — მოესმა მას, როგორც შორეული ეხო.



— ზილფა! მიდიხარ თუ არა ლოცვაზე? ხო არ დაგავიწყდა: ამალამ სიონის ტირილია.

— ვიცი, ბენიამინ, როგორ არა. მალე წავალ.

— დალამდა და კიდე იძახი: მალე წავალო. გაეტიე, თუ მიდიხარ.

„შენ?“ უნდოდა ეკითხა ზილფას, მაგრამ შეხედა ქმარს დამცინავ თვალებში და საკითხი დარჩა უთქმელი. სასწრაფოდ გადაიკვა შავი კაბა და გაემზადა გასასვლელად. ბენიამინმა დაადევნა კითხვა:

— რა შავები ჩავიცვამს? ჯერ ხომ არ მოემკვდარვარ?

ზილფამ წყნარად მიუგო:

— სიონის ტირილში თეთრებს ხო არ ჩავიცვამდი?

ბენიამინმა თითქოს თავის გასამართლებლად უთხრა:

— აბა კარგი. წადი. მეც მალე მოვალ. კაცს უცდი. საჭირო საქმე მაქვს.

„ამ დროს ისრაელის შვილი არ მოვა. ვინ უნდა მოუვიდეს? ვიღაცა საეკვო კაცი უნდა იყოს“ — გადასწყვიტა ზილფამ.

როცა ზილფა გავიდა, თავისუფლად ამოისუნთქა.

თან გაიფიქრა:

„დიდი სულელები ყოფილან ჩენი წინაპრები. ისინი დახოცეს და ჩვენ ყოველწლიურად უნდა გვატირონ... არა! მე არ ვიტირებ. მე არ მიყვარს ტირილი. არა ვარ ჩვეული. იტირონ სხვებმა, გლახაკებმა, ლატაკებმა, მათხოვრებმა. მე მიყვარს, როცა სხვები სტირიან. მაგრამ მე კი, პირადათ ბენიამინ ბერიძეს რა მაქვს სატირალი?..“ ხელები ჯიბეში ჩაიწყო და მიაჩერდა ქალიშვილის ოთახს. თითქოს ჰფიქრობდა: დეიძახა თუ არა. და როდესაც ესთერი უკვე მის წინაშე იდგა, ორივემ იცოდნენ, რომ ეს იყო მათი უკანასკნელი დიალოგი:

— არ უნდა მოეღოს ბოლო შენს საკითხს?

— მოეღოს.



— მე მამა ვარ თუ არა?

— ჰო.

— როდემდის გნებავს თვალდახუჭული ვიარო?

— მამა!

— სსს... ძველი ამბების გაგონება აღარ მინდა. შენი წრიპინისთვის არა მცალია. მე ამ საღამოს მაქვს შენთან უკანასკნელი ლაპარაკი. შენთან მამაშვილურმა ლაპარაკმა არ გასკრა. ალბად დაგავიწყდა, რომ ბენიამინ ბერიძეს ხელში ძალა უქირავს.

— ვიცი.

— თუ იცი, დაგობრმავდა თვალეები, რალას მაცდევინებ ამდენ ხანს. მიყვები თუ არა ყეზრა შათაშვილს?

— არასოდეს.

— განანებ. არ მოესწარი არაფერ კარგს. ეხლა კი ავასრულებ ჩემს მუქარას. დაგიყენებ შევბენელ თიშუაბებას. მაინც სატირალი ღამეა და იტირეთ. ყველამ იტირეთ! ყველა ჩემმა მტრებმა! მთელმა ყოლამმა! გაეთრიე აქედან. ნულარ მიჩვენებ შენს უწმინდურ სახეს!

ესთერი სასწრაფოდ შევარდა თავის ოთახში და საჩქაროდ ჩაიკეტა შიგნიდან.

ბენიამინმა კი ჩვეულებისამებრ, როცა მისი გაბრაზება აღწევდა ასეთ ზომამდე, დაიწყო ნერვიული ნაბიჯებით სიარული წინ და უკან, რომლის დროსაც წამდაუწყუმ იცქირებოდა კარებისაკენ.

ეტყობოდა ვილაცას ელოდა. ხოლო ამ ვილაცა „საეკვო კაცის“ მოლოდინში, მის ტვინში სასწრაფოდ სხვადასხვა ბოროტი აზრები და გეგმები სცვლიდნენ ერთმანეთს:

„ვინ სთქვა, რომ ქალიშვილი არ უნდა უჯერიდეს მამას? მაინც და მაინც მათხოვარი გინდა? დაუმოკლდება დღეები შენს საყვარელს. ამაღამევე. ჯერ მოვიდეს ჩემი თათარი. მაიდანზე ზარე ოცი კაცი ჰყავს მოკლული. მერე რაფერი ოსტატია! კაცი ვერ იგებს მაგის ასავალ დასავალს... ფულს ყველაფერი შეუძლია... ფულით ვიყიდი მთელ ჭვეყანას. ფულით ვიყიდი „მათხოვარის“ სულსაც... მერე როგორ მოჰკლავს? სახლში? ქუჩაში? დანით? რევოლვერით? ეს იმის საქმე იყოს. მე კი ფულს მივცემ, ფულს, აუარებელ ფულს!.. ერთი კვირის შემდეგ შეულ ათანელი შვილსაც ვავასტურებინებ საიქიოსკენ... აუცილებლად... აუცილებლად... ოხრადაც დამრჩენია ეს ქონება, თუ ამნაირი ქალიშვილი გამოიწვრდებოდა, თუ ბენიამინ ბერიძის ურჩობას გაბედავდა... ოღონდ მალე, მალე მოვიდეს“...

დახედა საათს და გაცეცხლდა თავის თაჯზე:

„ჯერ მხოლოდ რვა საათია. მე კი ის დავიბარე ცხრა საათისათვის. რისთვის მომივიდა ასე? რა ვქნა ეხლა? როგორ მოვკლა ეს ერთი საათი? წავიდე ლოცვაზე? არა, არ მინდა. მაშ?“

დააკაქუნეს.

„ვინ ოხერია“ — გაიფიქრა უსიამოვნოდ ბენიამინმა და კარი გააღო. შემოვიდა ყეზრას გამოგზავნილი კაცი, რომელმაც შეატყობინა მას ეხლახანს



მომხდარი ინციდენტი ცხინვალელების სალოცავში. ბენიამინს თვალბერი აენთო:

— მერე რა იქნა ის ნათანი?

— წავიდა იქავე.

— მამამისი?

— დარჩა სალოცავში და სტირის.

— წადი, გადაეცი მელამედს, ყუზრას, მენაშეს, გაბაებს, რომ ამისთანა შემთხვევა არასგზით არ გაუშვან ხელიდან. აამხედრეთ ხალხი, ააჯანყეთ. სარწმუნოების შეურაცხყოფისათვის თვითონ ბოლშევიკებიც სდევნიან. ეს არ უნდა შერჩეს მას. ნუ დაბრმავებულხართ. შესთხოვეთ აღონაის, რომ იმან ბოლო მოუღოს მისი წმინდა თორის მტრებს. წადი, ნულარ დამდგომიხარ თავზე. შეუდექით საქმეს. მეც მალე მოვალ. გესმის? თვითონ ბენიამინ ბერიძე მოვა ცხინვალელებთან!

გამოგზავნილი კაცი გავიდა, ხოლო ვინაიდან ბენიამინ ბერიძეს მთელი სათი ჰქონდა თავის განკარგულებაში, გადასწყვიტა მართლაც წასულიყო იქ. სადაც ასეთი მოულოდნელი შემთხვევის გამო შესაძლებლობა ექნებოდა აღდრეულ წყალში თევზის დაჭერისა.

„მგონია თვითონ ღმერთი მეხმარება“ — გაიფიქრა, მყის გადაიცვა საზაფხულო ჰალტო და მეტად ჩქარი ნაბიჯებით გაემართა გასასვლელისაკენ.

ესთერმა იცნო ნაბიჯები:

„ეს მამაჩემია რომ გავიდა“.

არასოდეს ესთერის შიში და აღშფოთება არ ყოფილა ესოდენ ძლიერი, როგორც ამ წუთებში. ნერვიული და მძიმე ნაბიჯები, რომელიც ისმოდა მეორე ოთახიდან, ახალგაზდა გულმკერდს ესობოდა, როგორც მჩხვლეტავი ისარი.

როდესაც ცხინვალელების გამოგზავნილი კაცი შემოვიდა, ესთერმა ყური მიაპყრო კარებს და უნდოდა გაეგო თუ რაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ აღლევებისა და ათრთოლების გამო მან დაიჭირა მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები:

„აღონაი... ნათანი...- სატირალი“.

და გულმა უფრო დაუწყუო ცემა, ვინაიდან მამა მისი, როგორც ჩანდა, თავის მუქარას იმეორებდა სხვებთან.

„რა მეშველება... ვაიმე... მამაჩემი რალაცას აპირებს... ნეტავი რას?“

ამაოდ სურდა ესთერს მიხედრილიყო მამის დეტალურ გეგმას და უღონო ბით, სასოწარკვეთით ეკითხებოდა თავს: „რა ვქნა, რომ არც ვიცი როგორ ვუშველო?“

ესთერს ღელავდა, შფოთავდა, ბორგავდა. ველარსად ველარ პოულობდა თავის ადგილს. ხან სკამზე იჯდა, ხან მივარდებოდა საწოლს, ხან დადგებოდა ფანჯარასთან. გამოსავალი არ იყო, არ იყო, არ იყო. და პირველად თავის სიცოცხლეში გაუელვა თვითმკვლელობის აზრმა. ჯერ შეეშინდა ამ აზრის, მხრები აეწია თითქოს შესცივდაო და სურდა განედევნა ბოლო ფიქრები.

მაგრამ ეს აზრი, როგორც ბოროტი ჯალათი აეკვიატა და მოსვენებას არ აძლევდა.

თითქოს, ვიღაცა მეორე აღამიანი ჩაჯდა მის არსებაში, რომელმაც ყველაფერი ზუსტად იცის, რაც უნდა მოხდეს და ამიტომ ესთერს ეუბნებოდა:

„ესთერ! შენი სიცოცხლე საჭირო არაა. ესთერ, შენ უბრალო ტივინა ხარ ადამიანების ხელში! ესთერ, შენ უბრალო ქია და მატლი ხარ... ნათანს დასდევნე მოსაკლავად... ნათანს მოჰკლავენ დღეს თუ ხვალ... მერე რა უნდა ჰქნა შენ ესთერ? შენ არაფერი არ შეგიძლია. შენ ნათანს ვერ გადაარჩენ. მამაშენი ყოვლად შემძლეა. მამაშენი — ძალაა. მამაშენი — ფულია. მოჰკლავენ ნათანს და შემდეგ გაგაყოლებენ ყუზრას... შენც გაჰყვები. აბა სხვა რაღა სიხარული დაგრჩება... ზრ გინდა? ვერ შეურიგდები ნათანის სიკვდილს? ყუზრას ცოლობას? მამის ბოროტებას?... მაშინ... ადექი და დაასწარი. თავი მოიკალი, დაასრულე ეს უაზრო სიცოცხლე“.

ესთერს შუბლი საშინლად შეეკუმუნა. თავის მოკვლის ფიქრი ღრმად ჩაეკედა გონებაში. უნებურად მიმოიხედა გარშემო. ეშინოდა ამ აზრის, მაგრამ თან ჰფიქრობდა:

„რით? იარაღი მე არა მაქვს. ალბად რო მქონდეს ვერც მოვიხმარდი. კარგი იყო, რომ რამე წამალი მქონოდა. მაგრამ არა მაქვს. რა ვქნა?“

გამოალო მაგიდის ყუთი და უცბად გული აუძგერდა: სარეცხი თოკი. აიხედა ქერზე. ყველაფერი ხელს უწყობდა. თავისუფლად შეეძლო თავის ჩამოხრჩობა.

„ჩემი სიცოცხლე არაა დასაანანი“ — გაიფიქრა და გადასწყვიტა წერილების დაწერა. სწერდა, შლიდა, ისევ სწერდა. სწერდა ნათანს, დედას. მამასაც. მზურვალე ცრემლებით ასოვლებდა ამ სტრიქონებს. შემდეგ გადაიკითხა დაწერილი და სრულიად დაუფიქრებლად და მოულოდნელად ნაფლეთ ნაფლეთებად აქცია.

„რა მომივიდა. აზრის გამოთქმაც აღარ შემიძლია?“

ამის შემდეგ კვლავ აიღო სუფთა ქალაღი და დასწერა ერთი სტრიქონი: იგულისხმებოდა ალბად ყველასთვის:

„წყუთლიმც იყოს წარსული, რომელმაც მესამე პირების მონებად გადაგვაქცია“. დასლო მაგიდას შუაგულში.

„ეზლა, ჩქარა, ესთერ. მალე ლოცვა გამოვა. დაბრუნდება ან დედა, ან მამა და ვეღარ მოიყვან სისრულეში შენს განზრახვას“ — აჩქარიდა მას იგივე ნეორე ადამიანი, რომელსაც მაგრად მოეკალათებინა მის უღონო სხეულში.

„იქნებ გადაიფიქრო?“ — იკითხა ეთ წუთს ძკელმა ესთერმა, რომელსაც აღარ ეტყობოდა სიცოცხლის ნასაზი.

„არა. გვიანაა!“

ესთერმა გადადგა ერთი ნაბიჯი.

„ნუ თუ ეს ჩემი უკანასკნელი ნაბიჯია?“

„სამაგიეროდ ეს იქნება უძლიერესი პროტესტი“.

„გადაწყდა!“

„მშვიდობით ნათან, მშვიდობით...“

და ესთერმა შემოიჭირა სქელი და უხეში თოკი თავის პატარა ყელზე.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

საჩქაროდ აანთეს მბეუტავი სანთლები.  
ეძებდნენ დამნაშავეს, რჯულის შეურაცმყოფელს, „ისრაელის მტერს“, მაგრამ ნათანი იქ აღარ იყო.

მაშინ მობრუნდნენ ისხაკისაკენ, რომელსაც თავი ჩაეყო მუხლებში და პირისახე არ უჩანდა. მოხუცს რკალივით გარშემოერთყვენ კოკლი მელამედი, ყუზრა შათაშვილი, გაბაი მენაშე და სხვა მორწმუნენი. კოკლი მელამედი, რომელიც თავს მდგომარეობის ბატონ-პატრონად გრძობდა, ემზადებოდა საშანელი „გამანადგურებელი“ სიტყვისათვის. მის წინ მოზღვავებული მასა — ეს იყო ნედლი მასალა, რომლის დამუშავება არც ისე ძნელი საქმე იყო. მასა ისმენდა „ღვთაებრივ სიტყვებს“, ხოლო ღვთაების წარმომადგენელი განაგრძობდა:

— ჯერ კიდევ ათი წუთის წინეთ მოვთქვამდით და ვიძახოდით: „ვაი ჩვენ, რომ შევეცოდეთ!“ ჯერ კიდევ ათი წუთის წინედ ვიდევით აკადოშბარუხუს წინაშე ერთი სულით და ერთი გულით, სინანულით და ვედრებით, ტირილით და ლოცვით. ვაი ჩვენ! რაღა გვეთქმის ახლა? ჩვენი გადარჯულებული შვილები ტირილსაც აღარ გვანებებენ, ლოცვაში გვექრებიან და აღონაის ტახტის წინაშე იწყებენ ორგულობას. ძმებო! ისრაელებო! ცხინვალელების წმინდა ჯანაბათო! იცოდეთ ყველამ, რომ მას შემდეგ, რაც გაოხრდა მეორე მიკდაში<sup>1</sup> ამის მსგავსი ამბავი არ ყოფილა საისრაელოში!

ყაზარათ ჰანაშიმში ქალები შფოთავდნენ: — ვაი ჩვენს მოსწრებას! — დამდგომოდა თვალები და ეს არ მენახა! — ვაი ჩემს ყურებს, რა ვაიგონეს! — შეუბედურო ლია, შეიღმა გაგიმზადათ გეინამში<sup>2</sup> ადგილი! — მშვიდობა ისრაელის ერზე!

ღია სტიროდა, იღვრებოდა ცრემლებით და უბედობით და შავ საფარში ჩაემალა თავისი სახე.

ქალებს არ ჩამორჩებოდნენ მოხუცი მამაკაცები: — ჯერ ამისთანა უბედუროთი შეაბებათ მონსწრე არა ვარ. — დაილოცა მისი სახელი. გველის. — ვინ ვაიგებს აღონაის გზებს... — ვაი რაშაყებს<sup>3</sup>... — ვაი მათ, ვინაიდან ისინი გვიგრძელებენ ვალუთს.<sup>4</sup>

მორწმუნეთა შორისაც ბევრი თანაუგრძობდა ისხაკს. ყველაზე უფრო კი დანიელი და დათო. მათ არ სწამდათ, რომ 'ნათანმა რაღაც დანაშაული ჩაიდინა თავის წამოძახილით, მაგრამ სალოცავში ისეთი მძიმე ატმოსფერა იყო გამეფებული ნათანის წინააღმდეგ, რომ უაზრობა იქნებოდა ეხლა რაიმე სხვა აზრის თქმა. კოკლი მელამედი კი ნიშნოვებით დასცქეროდა ზევიდან წელში მოხრილ და თავჩალუნულ ისხაკს და ეუბნებოდა:


— ვაი შენ უბედურო ისხაკ ჯანაშვილო, მამების შორის ყველაზე უბედურო მამავ! რამდენჯერ მქონია შენთან ლაპარაკი, რამდენჯერ გამიფრთხილე-

<sup>1</sup> მიკდაში — ტაძარი

<sup>2</sup> გეინამ — ჯოჯოხეთი

<sup>3</sup> რაშაკ — ურჯულთ.

<sup>4</sup> ვალუთ — ტყვეობა.



ბიხარ. გეუბნებოდი, რომ შენ გეზრდება შვილი — ურჩი და რაშაყი, საისრაფ-  
ლოს შტერი და შენ არ გჯეროდა! გეუბნებოდი — ნუ შეგყავს, გეშინავდა და  
შენ არ დამიჯერე! გეუბნებოდი...

ერთ წუთს დასკირდა შეეწყვიტა ქადაგი.

სალოცავს მოაწვა აუარებელი ხალხი, ახალციხელების სალოცავიდან,  
რომელთაც გაეგოთ საოცარი სისწრაფით, რომ ცხინვალელების ლოცვაზე რაღაც  
„საშინელი“ მომხდარა.

— რა ამბავია? — რა მოხდა? — როდის? — როგორ? — ვინ? — მერე? — რა  
იქნა თვითონ?

და კიდევ სხვა მრავალი კითხვები სხაპასუხებით დაეყოფნა ახლად შემოსუ-  
ლებში თავის მეზობლებს, ნაცნობებს და თანამორწმუნეთ ცხინვალელების სა-  
ლოცავიდან. და ისინიც უხალისოდ და სირცხვილით აძლევედნენ პასუხს.

მელამედს სურდა ისევ გაეგრძელებინა, მაგრამ ამ დროს ხალხში შეიქნა  
გაურკვეველი ჩოჩქოლი. აშკარა იყო, რომ ადგილს უთმობდნენ ვილაცას, მიიწი-  
მოიწიეს და თან ამბობდნენ:

- ბენიამინი შობრძანდება!
- უყურეთ ერთი!
- თვითონ ბენიამინ ბერიძე?

ბენიამინ ბერიძე შემოვიდა სალოცავში ამაყი და გამართული ნაბიჯებით.  
შეაშინა რკალი მოხუცი ჯანაშვილის გარშემო და დაუყონებლივ იქით გაე-  
მართა.

მელამედმა და ბენიამინმა დაიწყეს ჩურჩული. ბენიამინი თავს აქნევდა, თი-  
თქოს დიდი უბედურება შემთხვეოდეს, ხოლო სინამდვილეში მისი მოსვლით  
მორწმუნე მოხუცების თვალში ინციდენტის შინაარსი ასკეცად გაიზარდა.

ისხაკ ჯანაშვილს თავი ბურანში ეგონა და თითქოს სიზმარში მოეჩვენა,  
რომ ახსენებდნენ ბენიამინ ბერიძის სახელს; საჩქაროდ თვალეში მოიფშვნიტა  
და დარწმუნდა, რომ არ ეძინა. მაშინ გულმა დაუწყო ცემა არაჩვეულებრივი  
ძალით, საჩქაროდ ასწია თავი და შეეფეთა ბენიამინ ბერიძის ბოროტებითა და  
პრისხანებით აღსავსე მწვანე თვალებს.

„მაშ ეს არის ბენიამინ ბერიძე? ეს არის ესთერის შამა? ერთნაირი თვა-  
ლები აქვთ... მაგრამ რატომ გული არა აქვთ ერთნაირი?“ — ჰფიქრობდა ისხაკი  
და თან უშხერდა ბენიამინს, რომელიც აგრძელებდა საიდუმლო ჩურჩულს მე-  
ლამედთან.

ეს ჩურჩული კარგს არას მოასწავებდა და ისხაკს ნელნელა თვალეში უბნე-  
ლდებოდა. იგი ძლივსძლივობით წამოდგა და გაკვივრებით მიეყრდნო კედელს.  
მელამედი ისევ მიუახლოვდა:

- ისხაკ! შენ უნდა დასწყევლო შენი შვილი.
- ჰა? — ამოუშვა ისხაკმა მკერდიდან ვაოცება.

ეხლა ყვება მიუახლოვდა:

— მართალია, შვილია. მაგრამ თითქოს არც გყოლია. ხელი უნდა აიღო.  
ისხაკი მძიმედ სუნთქავდა. მელამედი ისევ ეუბნებოდა:

— დღეს თუ ხვალ აღონაი თვითონ გაუსწორდება შენს შვილს. მაგრამ თუ  
გინდა, რომ გეინამში არ გაგებინონ პასუხი იმის საქციელისათვის — მაშინ და-  
სწყევლე.

— დასწყევლე! — დასტეკა ბენიამინ ბერიძემაც.

ყაზარათ ჰანაშიმში კანკალობდა — ღია, დაბლა კი — დასწყევლე დასტეკა დათო. ისხაკმა მოიკრიფა თავისი უკანასკნელი ძალღონე და შესძახა მათ:

— იყავით თვითონ თქვენ წყევლნი! თქვენ ღირსი არა ხართ ნათანს ახსენებდეთ. თქვენ...

და სასწრაფოდ წაივლო გულზე ხელი.

— ვაი შეილო — შეჰკივლა.

— მაშ შენც ასე? — მუჭარით შეეკითხნენ ბენიამინი, ყაზრა, მელამედი.

და ისხაკი შიშმა აიტანა:

„ვაიმე, ჩემო ნათან, ეხლა კი ველარ გადარჩები ამ ყაჩაღებს“.

და უკანასკნელად თავის სიციცხლეში ამოიკვნესა:

— რა გინდათ... რა... თქვე...

და ველარ დაათავა, თვალთ დაუბნელდა, გონება დაეკარგა, დაბარბაცდა და წაიქცა.

თავი დაახალა ქვის იატაკს და სისხლი ჩაექცა ტვინში.

სალოცავში გამეფდა სიკვდილი და სიჩუმე.

## 5.

არა. ესთერი არ დაღუპულა.

იგი გადარჩა არა იმიტომ, რომ ავტორს სურს მისი გადარჩენა. არც იმიტომ, რომ მან სძლია თავის თავს, თავის სუსტ ნებისყოფას, თავის ალტანელ მდგომარეობას. იგი დაიღუპებოდა სხვა პირობებში და ამაში არაფერი ეგზოტიურია არ იქნებოდა.

ესთერი გადარჩა ამეამად. გადარჩა — შემთხვევით. გადარჩინა სხვისმა უბედურებამ და მასზე აღრე მიტანილმა მსხვერპლმა.

როდესაც სიკვდილის თოკი უსიამოვნოთ შემოევლო ესთერის ყელს და თან დახუჭა თვალები, მის ყურებამდე ქუჩიდან უცნაურმა ხმებმა მოაღწიეს.

„ეს ხააურობა ფეთხაინზეა“ — გაიფიქრა ესთერმა და თან გულგრილად განუსაზღვრა ამ ქვეყნიდან მიმავალ სხელს: „განა შენთვის ამეამად სულ ერთი არაა?“

და ვიდრე იგი თოკს შეუერთებდა ჭერის იმ ადგილს, სადაც მისი განზრახვით უნდა იგი ჩამოკიდებულიყო — ქუჩის ხმაურობაში გაარჩია საოცრად გულისამაწყებელი ტირილი. სტიროდა ვილაც დედაკაცი, შეიძლება ესთერისათვის უცნობიც, მაგრამ ეს ხმა, ეს გოდება, ეს მოთქმა — ისე ღრმად მოხვდა ესთერის გულს, რომ სასწრაფოდ თვალები გაახილა.

„რა არის ეს? ცნობისმოყვარეობამ დაძლია? არა. აქ რაღაც სხვაა. მინდა ვიცოდე ვიდრე ცოცხალი ვარ, რომ ჩემს გარდა სხვებიც არიან უბედურები. ეს კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ სიციცხლე არა ღირს.“

მოუშვა თოკს, მაგრამ არ შემოისხნა ყელიდან. საჩქაროდ შკაფიდან გამოიღო დედის საზამთრო მოსასხამი, მოისხა, რომ არ შეემჩნიათ მასზე თოკი, გამოალო ფანჯარა და გაიხედა ქუჩაში.



ფეთხანის აღმართზე საკაცით მიჰქონდათ მიცვალებულთა მკვლევებსაც მისდევდნენ როგორც ახალციხელები, აგრეთვე ცხინვალელებიც. ვილაცხა ქალებს მიჰყავდათ გამწარებული ღვინო, რომელიც იგლეჯდა თმებს, იკაწრავდა სახეს და თავისი უბედურებით გულს უწყვავდა დანარჩენებს.

საკაცე მიჰქონდათ თავჩალებულ ძია დათოს და დანიელს, რომელთაც ჰქონდათ ისეთი თვალები, თითქოს ეუბნებოდნენ თავის თავს:

„ყოველ ჩვენთაგანს მოელის ასეთი ბოლო.“

ესთერმა ღვინო ვერ იცნო, მაგრამ ეს სიკვდილი მიიღო რაღაც განსაკუთრებით ხალხს და საშინელი დაკომულოებით ყური მიიპყრო იმ ნაწვევტ-ნაწვევტ ფრაზებს, რომლებიც იკრებოდნენ ქუჩიდან ფანჯარაში:

— რა უცბად გათავდა.

— წაქცევა და სიკვდილი ერთი იყო.

— გულმა ვეღარ გაუძლო.

— საცოდავი კაცი... ყორანებივით შემოეხვიენ ბენიამინ ბერიძე და სხვები.

— დიდი ალაღმართალი ისრაელი იყო.

— რა ყვარებია თავის შვილი.

— რა კარგი მუშა მოუქვდა „პირველ ნაბიჯს“. აფსუს, ისხაკ ჯანა-

შვილი!

„ნათანის მამა?“

მეხივით დაეცა ეს ამბავი ესთერს. სასწრაფოდ მოიხსნა თოკი და გადაავლო.

— კმარა მსხვერპლი! — წამოიძახა და კარებს ეცა.

„ვინ იცის... ვინ იცის... ისხაკ ჯანაშვილმა მიიტანა წმინდა მსხვერპლი... ამ მსხვერპლმა გადამარჩინა მე... შეიძლება ნათანიც... ეჰ, საცოდავო ნათან... სად ხარ ეხლა... როგორ საშინელ უბედურებას შეიტყობ მალე“.

ჩარბოდა ესთერი კიბეებზე და ჰფიქრობდა:

„ვინ იცის ეს მსხვერპლი იყოს საზღვარი... წყევლიმც იყავით ბოროტობა... ამის შემდეგ მე რაც მომივა-მომივიდეს... ამაზე მეტი აღარ იქნება... მე აღარ დაებრუნდები ამიერიდან ჩემი მამის სახლში... ჩემი გზა მიდის უბედური ნათანიისაკენ... და თუ დალუპვა გვიწერია, დე ორივენი ერთად დავიღუპოთ“...

საჩქაროდ და შეუმჩნეველად გაერია ხალხში. გზა მიდიოდა განსვენებულის ბინისაკენ და ესთერიც გააჟვია ამ გზას: საშინელი გულისტკივილით, ცრემლებით და ახალი აზრებით.



ღამე ცხრა აბის თან სევდა ყოველ ფეხის ნაბიჯის გადადგმავზე.

სალოცავიდან მოყოლებული დაედევნა კოშმარივით და არ სცილდებოდა ახალგაზრდა ბუნტარის მარად მოუსვენარ სულს. მიდიოდა მაგრამ სად? ქუჩა ქუჩას სცვლიდა, შესახვევი შესახვევს. და ასე დაუსრულებლად. ერთი ფილაქნიდან გადადიოდა მეორეზე ისეთი სახით, რომ ვიღამაც მთვრალი უწოდა. აღბად, მთელი სიცოცხლის მანძილზე არ უბეტიალებია მას იმდენი და ისე უაზროდ,

როგორც ამ ჯამად ათასცხრაას ოცდა სამი წლის ივლისის შეხვედრის საღამოს. ბავშვები გაპკიოდნენ:

— ტონნელის წყალი! ცივი წყალი!

ნათანი შეჩერდა და სამი ჭიქა ზედიზედ გამოსცალა. წყურვილი მაინც ახრჩობდა, არ ასვენებდა. მიაღვამდა ფეხებს— განურჩევლად, უხალისოთ, გულგრილად. არ უნდოდა თავის ოთახში დაბრუნება. ეშინოდა თავის ოთახის. ეშინოდა თავის მარტოობის. ეშინოდა თავის საკუთარი დღიურისაც კი.

„მაგრამ მაინც სად მივდივარ?“— ნაძალადევად შეეკითხა თავის თავს. „ირაკლისთან და იულიასთან? არა. არა. იმათ არ ესმით ჩემი. ცემისთან? არა. აღარც იმას ესმის. მოხუც მელიტონთან? ეპ, არა. პეტია მარკოვიჩთან? ეპ, ნათან, ნათან! აღარავინ გაყავს. შენი ფესვები ისევ ჰაერშია“.

თვითონაც არ იცოდა როგორ გაჩნდა რუსთაველის პროსპექტზე. საკვირველი იყო: ერთსა და იმავე დროს ეშინოდა მარტო დარჩენა, მაგრამ არც ხალხს ეკარებოდა. შეუშინებლად ამოეფარა რომელიღაც ბოძს და დაუწყო ხალხს თვალყურის დევნება. იგი იდგა საოპერო თეატრის ახლოს.

„ნუ თუ ამ ხალხს, რომელიც სეირნობს წინდაუკან, არაფრის დარდი არა აქვს?“.

ჩაიარეს ოსიპმა და ავგუსტინამ ამაყად და მედიდურად.

„ოსიპიც კი ჩემზე ბედნიერია“— ოდნავი შურით გაუელვა ნათანს, მაგრამ ცოტახნის შემდეგ მისი თვალეები მიიპყრო ერთმა სურათმა, რომელმაც იშვიათი გავლენა მოახდინა მასზე.

მისგან მოშორებით, მეორე ბოძთან იდგა ამხანაგების ჯგუფი, რომელიც ერთმანეთში ბაასობდა მეტის მეტი სიხალისით, გაცხოველებული ენერჯით და ხმამაღალი სიცილით.

ნათანმა გაარჩია ხმები და შემდეგ იცნო სახეებიც: ზემულონი, სიმონი, იონა, არიელი, აბიშაი.

მწარედ გაიციხა:

„თითქოს არც არაფერი მომზდარა... ისტორია ისევ მეორდება... მაინც ბრუნავს, მაინც ბრუნავს... განა მარტო დედამიწა ბრუნავს? არა დიდო გალილი!... დედამიწასთან ერთად მისი მცხოვრებნიც ბრუნავენ...“

ცოტა ხნის შემდეგ ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო:

„ნეტავი რას ლაპარაკობენ?“

თვითონვე უპასუხა თავის თავს:

„ისინი გბგინებენ, გლანძლავენ, გიგონებენ ათას ჯორებს, სთხზავენ საშინელ ცილისწამებათა ქსელს. მაგრამ შენთვის განა სულ ერთი არ არის?“

და მაინც იდგა და თვალეები მიეპყრო ამხანაგებისათვის, რომელთაც ფიქრადაც არ მოსდიოდათ, რომ ვინმე ასეთი დიდი გულმოდგინებით თვალყურს ადევნებდა მათ საუბარს.

და ფრაზის ნაწყვეტები, რომელიც მას ესმოდა— იყო ჩვეულებრივი, ნაცნობი, განვლილი:

— აჰა...

— მე იმ პროვინციელს..

— იცით რას გეტყვით...

— არარაობა...

— სიფრთხილზე, ტაქტიკა...



მოულოდნელად მათ მიუახლოვდათ ოსიპი და ავეგუსტინა.

ამხანაგები ხმამაღალი ყვირინით მიესალმენ მათ, განსაკუთრებით ავეგუსტინას. წარმოითქვა რამოდენიმე მიღებული ტრაფარეტული ფრაზა. შემდეგ ისევ დაისვა არა ნაკლებ ტრაფარეტული საკითხი:

— სად წავიდეთ ეხლა?

ოსიპს თვალეები გაუბრწყინდა და თავისი წინადადებით სხვებიც ალტაცებაში მოიყვანა:

— გიყვარდეს... რა ინდაურები ჩამოვიდენ ქუთაისიდან. აბა წავიდეთ ჩემთან.

— წავიდეთ— შესძახებს ამხანაგებმა და მხიარულად გაუდგენ გზას.

ნათანი ისევ მარტო გარჩა.

„ისინი წავიდენ საქეიფოთ. ხოლო შენ სად წახვალ? საით მიდის შენი გზა?“

ნათანმა არ იცოდა. ინერციულად მოსცილდა ბოძს და გაემართა ქუჩის მეორე მხარეს. ჯვარედინ გზაზე მას მოაგონდა შაული:

„ყველა გზები მიდიან რომში... ყველა გზები მიდიან შაულთან“.

და თვალწინ წამოუდგა: ირაკლი, იულია, ცეზი, ძია დანიელი, საკუთარი მამა. მაგრამ იყო რაღაც მიზეზი, რომლისთვისაც თვითონაც ვერ დაერქვა სახელი, რაც მას ხელს შეუშლიდა, რომ წასულიყო შაულთან. რა იყო ეს: ენია-ნობა? ინტელიგენტური თავმოყვარეობა? თუ პრინციპიალური სხვაობა? არ უნდოდა ამაზე ეფიქრა, რადგან ეშინოდა, რომ აქაც დამარცხდებოდა. და რომ მოსცილებოდა ამ მისთვის უსიამოვნო ფიქრებს— მოიგონა ისევ სალოცავი. უარესად გააქრეოლა.

მოაგონდა დეტალები: უაზრო ტირილი, მორწმუნეთა დაბეჩაეება, კოკლი მელამედი.

იიანა, რომ წავიდა სალოცავში. მაგრამ ამ დროს მოაგონდა მამა და გული დაწყდა:

„ეთქვამთ არ უნდა წავსულიყავი. დაუშვი შეცდომა და წავედი. წამოვიყვირე ის, რაც გულს მომაწვა. მაგრამ რა სარგებლობა მოგიტანე ამით? ვინ წამომყვა? არავინ. სამაგიეროდ მამას გული ვატკინე, ჩავაგდე ალბად საშინელ კულ მდგომარეობაში. ეხლა კიდევ ნანობს, რომ წავედი ლოცვაზე, მაგრამ გვიანაა. ეს მამა, მამა, მამატივე... უბედური შვილი გყავს... არ გავიმართლა იმედები“.

და საოცარის ძალით მოუარა სურვილმა, რომ დაუყონებლივ ენახა თავისი მამა.

გამობრუნდა. სოზის ბაზარზე შეეფეთა ეტლების მწკრივს, რომელიც ყვირინით და ხმაურით მიაქროლებდა ვიღაც „მეფე დედოფალს“, მახარობლებს, მაყრებებს, ნათესაეებს, ნაცნობებს და მეგობრებს.

იღვა ყრიაშული, სიცილი. უკრავდა აზიური მუსიკა: ზურნა, დოლი. უკნაური ბგერები იყო: ერთფეროვანი, მონოტონური, გულის შემაწუხებელი. რატომღაც მოაგონდა კოკლი მელამედი და შეადარა მის ლილინს. გრძელულვაშიანი

და წითელლოყებიანი მეზურნენი კი ისეთი ძალით და ენერგიით იბერებოდნენ და განაგრძნობდა თავიანთ ინსტრუმენტებზე დაკვრას, თითქოს ამ ქანუბნში ჰქონდათ მოქცეული მთელი სიცოცხლის საიდუმლოება.

განვლო იერუსალამის ქუჩა, გაუხვია ფეთხანისაკენ, საიდანაც მოესმა ტირილი.

„სად ქორწილია და სად ტირილი“—გაიფიქრა.

მაგრამ ქორწილს თუ არ მიაქცია გულისყური, არ შეეძლო ჯერ კიდევ ქუჩაში მყოფს, რომ ამ ტირილისათვის არ მიექცია ჯეროვანი ყურადღება. ტირილი მოდიოდა საშინელი, გულშემზარავი. აღიოდა აღმართზე და თანდათან ტირილი ღრმად ეკაობოდა გულში.

ერთ წუთს შეჩერდა გაფითრებით:

„ნაცნობი ხმაა... რა ამბავია... ეს მგონი დედაჩემია...“

გული აუძგერდა:

„ნეტავი რა მოხდა?... ცოცხლად ხომ არ დამტირიან... ნუ თუ ამალამინდელმა ლამემ ასე იმოქმედა მათზე?“

და რაც უფრო უახლოვდებოდა მშობლების ბინას, გული უფრო და უფრო უცემდა. აგერ დანიელ თავლიაშვილის ბინაც, მაგრამ შიგ არავინაა, სინათლე ჩამქრალია.

ერთი სახლიც კიდევ... და იგი უკვე მზადაა შევარდეს.

რა ამბავია ეზოში? რა უნდა ამდენ ხალხს აქ? საიდან გაჩნდა შაული? რა ატირებს ძია დანიელს და ძია დათოს აივანზე?

ეს ქალები ვიღაა არიან, რომლებთაც სახე დასივებიან ტირილით? ხანა, რუთიკო, ესთერი. დედა—თმებს იგლეჯს. მამა? მამა სადღაა?

ნათანი შედის და მის დანახვაზე კვილი სიგიჟედ იქცევა.

აგერ მამაც. მამა წევს წყნარად, უძრავად, სამუდამოდ თვალდახუჭული. უსულო და გაცივებული გვამი.

მთელი სამყარო ჩამოენგრა თავზე.

— მამა!—შეჰკივლა ნათანმა.

და დაობლებული შვილი დაემხო პირქვე.

●●●

ისხაკ ჯანაშვილის სიკვდილი გავარდა, როგორც მოულოდნელი ყუმბარა, რომელმაც თავზარი დასცა ფეთხანის მესვეურებს.

იმამე ლამეს ცხინვალელების კანტორამ მჭიდროდ დააკავშირა სამივე: ბენიამინ ბერიძე, ყუჩრა შათაშვილი და კოჭლი მელამედი. ისინი ისხდნენ ერთად, თათბირობდნენ, ჩურჩულებდნენ. ძია დათო არ ეგულებოდათ სალოცავში და ამიტომ უფრო თავისუფლად გრძნობდნენ თავს.

სამაგიეროდ, ყოველი მათგანი, გულის სიღრმეში, შეშფოთებული იყო ამ ამბით. ეს შეშფოთება ოდნავათაც არ იყო გამოწვეული ისხაკის სიბრალეულით. არავის არ უნდოდა გასტყდომოდა თავს ამაში, მაგრამ ყოველმა მათგანმა კარგად იცოდა, რომ წილი ედო ამ მკვლევლობაში. შეიძლება არც უნდოდათ ისხაკ ჯანაშვილის ფიზიკური სიკვდილი, მაგრამ ეს მაინც მოხდა და მოხდა

მხოლოდ იმიტომ, რომ თითქმის მათგანმა განსვენებულს დასაძინებელი დასჩაველა.

ბენიამინ ბერიძე ამ ამბის შემდეგ სალოცავიდან ვეღარ დაიძრა და სრულიად დავიწყდა თავისი „თათარი“, რომელსაც მან დაუნიშნა დრო ცხრა საათისათვის.

კოჭლი მელამედი ეძებდა „მისტიურ“ ახსნას:

— სიკვდილი ცხრა აბის ღამეს ეს ღმერთის ნიშანია... უნდა ისწავლონ დანარჩენმა ორგულებმა და ურჩებმა, რომ იმათაც მოვლით ასეთი დღე თუ... მაგრამ ყველაზე უფრო ნაკლებ სჯეროდათ ასეთი ახსნისა მის გვერდში მყოფთ.

ყვზრა, როგორც ყოველთვის, მსჯელობდა თავისი პარადოქსებით:

— მოკვდა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა რომ არ მომკვდარიყო... და რომ არ მომკვდარიყო ვინ იცის რა იქნებოდა... და კიდევ რომ გვეცოდნოდა, ვინ იცის ეს საქმეს უშველიდა თუ არა...

ბენიამინმა უსიამოვნოდ გადახედა თავის უიღბლო „სიძეს“:

— ნუ იცი ათასი ვერსის იქით ლაპარაკი. თუ მაინც და მაინც გინდა გამოსთქვა შენი აზრი, მაშინ საქმეზე ილაპარაკე.

კარგად იცოდნენ, თუ რაზედაც უნდა ელაპარაკნათ, მაგრამ სამივენი ერიდებოდნენ მიახლოებოდნენ საქმის შუაგულს, საერთო წერტილს. ეშინოდათ და ამავე დროს გარკვეულ პასუხისმგებლობასაც გრძნობდნენ, რის მიჩქმალვაც აუცილებელი იყო უპირველეს ყოვლისა. კოჭლს ჰქონდა თავისი ნაცადი „რეცეპტი“: ყველაფერი გადაებრალებინა აღონაისათვის, რომლის გზების გაგება მომკვდარებს არ შეეძლოთ. ამის გამო მისი აზრით, ამ სიკვდილის გამოყენება შეიძლებოდა ღმერთის სახელისა და ისრაელის რჯულის განმტკიცებისათვის.

ყვზრა შათაშვილი ეხლა უკვე აღარ ეთანხმებოდა თავის „დიდ სწავლულს“, მაგრამ სიტყვები არ ჰქონდა, რომ ეთქვა სხვა რამ მის საწინაღმდეგო. ერთადერთი—ეს იყო ბენიამინ ბერიძე, რომელიც კარგად ერკვეოდა შექმნილ მდგომარეობაში; მას საჭიროდ მიიჩნდა რაღაც ისეთი გარკვეული საქმის გაკეთება, რომელსაც თავისი მოცულობით შეეძლო დაეფარა მომხდარი საქმის სიმძიმე.

თავისთვის უკვე გადასწყვიტა:

„მართალია ჩემი გეგმა ჩაიშალა დღეს, მაგრამ ეს დროებით... ეხლა საჭიროა ამ სიკვდილის მიჩქმალვა, ისხაკ ჯანაშვილის სასწრაფოდ დასაფლავება და ამ ამბის დავიწყებას მიცემა... გაივლის ცოტა ხანი და თუ შეიღს არ გამოაფხიზლებს მამის სიკვდილი, მაშინ ისიც მიყვება მას უკან“.

ამაოდ ეძებდა თავის თანამობაასების სახეზე რაიმე აზრს:

— რაბი, რას იტყვი? ყვზრა, რას იტყვი?

ისინი გაიმეორებდნენ უკვე თქმულს.

შორეული ტირილი, რომელიც მოდიოდა გაურკვეველი გზებით ჯანაშვილების ბინიდან, არღვევდა არა მარტო ღამის მყუდროებას, არამედ ძილს უფროთბობდა ამ ხალხს, რომელიც თავის სიცოცხლეში არ უწყევდა არავითარ ანგარიშს ისხაკ ჯანაშვილის არსებობას.

ბენიამინ ბერიძეს სჭიროდა ეფიქრა, როგორც თავისი თანამოქალაქისა და აგრეთვე ამ ორისთვისაც.

მას უკვე ჰქონდა რაღაც გარკვეული მოსაზრება.

და ვიდრე იტყოდა მას, შეეკითხა მელაშენს:

— ხომ სწერია თორაში, რომ ისრაელის ხალხი მეტის მეტად შემბრალება?

— „რახმანიმ—ბენე რახმანიმ“<sup>1</sup>—დაუმტკიცა მელაშენს და ცოტახნის შემდეგ შეეკითხა:—მერე?

— მერე? შეეკითხა ყებრაძე.

— ისხაკ ჯანაშვილის დასაფლავების მთელი ხარჯები უნდა ავიღოთ თავზე.

ბენიამინის მოსაზრება ძალზე მოეწონათ ორივეს. ყებრამ მაინც ვერ მოითმინა და საკითხის უფრო დახუხუტებისათვის შეეკითხა:

— ესე იგი ახალციხელებიც შემოგვიდგებიან ხარჯში?

— შემოგვიდგებიან რომელია. მართალია ისხაკ ჯანაშვილი არ იყო ახალციხელი, მაგრამ მაინც—ნახევარს ჩვენ გავიღებთ. ამისთანა საქმეზე უკან არ დავიხევთ.

— ძალიან კარგი—სთქვა ყებრამ, რომელმაც თავისთვის გაიფიქრა:

„თახრინისთვის“<sup>2</sup>—მიტკალს მე მივყიდი“.

ბენიამინი განაგრძობდა:

— ეხლა საჭიროა შევატყობინოთ ოჯახს და ჭირისუფლებს, დეე იცოდენ, როგორ ვეხმარებით ღარიბებს და გაკვირებულებს.

მაგრამ საკითხი წამოიჭრა მთელი სიმწვავეით:

— ვინ?

არც ელოდენ, რომ ასეთ სიძნელეს წააწყდებოდენ.

არც ერთ მათგანს არ სურდა მისულიყო ისხაკ ჯანაშვილის ბინაზე, სადაც წააწყდებოდა ნათანს.

ყველას კარგად ესმოდა, რომ ვაყად—ჰაკიელების „ქველმოქმედებას“ არ შეეძლო დაეძლია ნათანთან პირისპირ შეხვედრის უსიამოვნო განცდის სიძლიერე.

თან ეშინოდათ კიდევ რაღაც გაურკვეველის:

„ვინ იცის რა მოხდეს“.

და საკითხი ისევე იდგა მათთვის გადაუჭრელი:

— ვინ?

... სწორედ ამ დროს, შემთხვევით ქუჩაში გამოსული ძია დათო, გაოცებით იტყარებოდა ცხინვალელების სალოცავისაკენ, საიდანაც მოდიოდა შუქი.

„ხომ არ დამრჩა აუნთებელი სანთელი? არა, ეს არ შეიძლება. მაშ რას ნიშნავს ეს? ნუ თუ ვინმემ უჩემოდ აანთო? ხომ არააინაა შიგ? შეიძლება რამე კრებაა?“

<sup>1</sup> რახმანიმ—ბენე რახმანიმ—შემბრალებლები—შვილები შემბრალებლებისა.

<sup>2</sup> თახრინი—შვედრის სუფარა.

სასწრაფოდ აირბინა კიბე და შეიქცირა ქუქურუტანაში.

როცა დაინახა იქ მყოფნი, ჩაახველა მაგრად, შეალო კარები და შევიდა კანტორაში.

მისმა მოულოდნელმა შესვლამ ერთხანს გამოიწვია დაბნეულობა, მაგრამ მალე მოერიენ თავის თავს და კიდევ გაეხარდათ, რომ ძია დათო გაჩნდა. ეხლა უკვე საჭირო იყო მისი გამოყენება.

ძია დათო უნდობლად ათვალეირებდა დაგვიანებული კრების მონაწილეებს და თავისთვის ჰფიქრობდა:

„როდის იყო ცხვარი და მგელი ერთად რო სძოვდა?... ამბავია ნათქვამი: გაქვიერება მიჩვენეო და გაქცევას გიჩვენებო... ასე გვეგონება თითქოს ყოველთვის სიამტკბილობით მუშაობდენ... მაშა აბრამის ბატკნები!“

— სად იყავი ძია დათო? იქ ხო არ ყოფილხარ?— შეეკითხა ბენიამინი. ძია დათომ იცოდა, რომ „იქ“ იგულისხმებოდა ისხაკ ჯანაშვილის ბინა.

— იქ ვიყავი— უპასუხა.

— რა ამბავია იქ?— შეეკითხნენ სამივენი თითქმის ერთსა და იმავე დროს. ძია დათომ შეხედა მათ ზიზლით.

— რას შეკითხებით... განა არ იცით, რაც ამბავია? ისრაელის მტერს დაემართოს ის ამბავი, რაც უბედურ ისხაკის ოჯახს ეწვია.

— სტირიაან?— შეეკითხა ყუზრა.

ძია დათომ მხრები ასწია და პასუხი არ გასცა.

მაშინ ისევ ბენიამინი შეეკითხა:

— ნათანმა გაიგო? იქ არის?

— იქ არის.

— რას ამბობს?— იკითხა კოკლომა მელამედმა.

— მიბრძანდი და გაიგებ, რასაც ამბობს. მე რო შეკითხები— ფოსტა ხო არა ვარ?— ველარ მოიფინა და უკმებად მიახალა.

სხვა დროს ძია დათოს არ აპატივებდენ ასეთ თავხედ პასუხებს, მაგრამ ეხლა უთმობდენ, ვინაიდან სხვა გზა არ ჰქონდათ.

ისევ ბენიამინმა მიმართა:

— შენ კი ნუ ბრაზობ. გვოპასუხე რასაც გეკითხებით, ვინაიდან შენს პასუხზე ბევრია დამოკიდებული. ჩვენ განვიზრახეთ კეთილი საქმე და ეს ცნობები ამიტომ გვესაჭიროება.

ძია დათომ ალპაცრად გადახედა ბენიამინს, რომელიც ისევ აძლედა ახალ შეკითხვას.

— ძალიან უჭირთ ხომ?

— უჭირთ— დაუდასტურა ძია დათომ.

— პო და ჩვენ სწორედ ამბავ გვქონდა ლაპარაკი. გადავსწყვიტეთ, რომ მთელი დასაფლავების ხარჯები ავიღოთ ჩვენს თავზე. წადი ეხლა და შეატყობინე მის ოჯახს.

ძია დათომ უარი განაცხადა:

— ეს ჩემი საქმე არაა.

ოთახში მყოფნი დაიბნენ, მაგრამ მაინც თავს იკავებდნენ, გაბრუნებულნი კი ბენიამინი ცდილობდა მშვიდობიანად გამოენახა საერთო ენა: *ინგლისურ ენაზე*

— შამაში ხარ ხომ?

— ვარ.

— ისხაკ ჯანაშვილი ცხინვალელია ხომ?

— მერე?

— მერე და მერე. შენს გასამრჯელოსაც ცალკე მოგცემთ.

მოულოდნელად მათ დაინახეს სრულიად ახალი ძია დათო:

— მე კაცისმკვლელებისაგან გასამრჯელოს არ ვიღებ.

ბენიამინი გაწითლდა, თითქოს ლოყაზე გააწნეს მაგარი სილა. გველნაკბენივით წამოხტა:

— გაეთრიე აქედან შე წუპაკო!

მაგრამ ძია დათო ვერ შეეშინა, რომელმაც სამაგიერო მიუზღა:

— წუპაკიც ხარ და უარესი. თვითონ შენ გაეთრიე. რა გესაქმება აქ. ეს ხომ ცხინვალელების ლოცვაა და არა ახალციხელებისა. უბრძანე შენს შამაშს. მე კი არ გამიბედო ბრძანება...

წამოხტენ ყვზრა და მელამედიც:

— დათო... დათო...

მეტის თქმა ვერ მოახერხეს. ზოლო ბენიამინმა, რომელიც ბრაზისაგან კბილებს აკრაქუნებდა, მრისხანებით მიმართა ყვზრას:

— ძალიან დაგისვამთ თავზე, ყოჩაღ! თქვენც იტყვით გაბაეები ვართო! ყვზრა ლულულულობდა:

— ხვალ უსათუოდ გაგადგებთ... რაც არ უნდა მოხდეს... უსათუოდ.

კოკლმა მელამედმაც დაუდასტურა:

— დაწყნარდით პატივცემულო ბენიამინ. გაძლევთ სიტყვას, რომ ხელიდან მაგის ხსენება აღარ იქნება ცხინვალელების სალოცავში.

ძია დათომ სათითაოდ გაუსწორა ყველას თვალი:

— შემაშინეთ? ვერა! ჩემზე მტერს არ გავახარებ. ვთქვათ-მომხსენით. რა გგონიათ—მშიერი მოგკვდები? დაგაფიწყდათ „პირველი ნაბიჯი?“

ო, რამდენი მუჭარა იმალებოდა მათთვის ამ სახელწოდებაში. ძია დათომ შეატყო, რომ მისი აქ ყოფნა უკვე საჭირო აღარ იყო. იმან თავისი გააკეთა. დათესა შიში და ეჭვი. ამის შემდეგ შეეძლო წასვლა.

ძია დათომ მიატროვა კანტორა. დარჩენილებისათვის აღვილი არ იყო ძია დათოს მიერ მიყენებული ტკივილების მოშუშება.

— ვინ ყოფილა... რა ყოფილა... ვაი, ვაი...

შესჩიოდენ ერთმანეთს.

როცა ცოტაოდნად დაწყნარდენ, მოაგონდათ მთავარი საკითხი, რომელიც ისევ გადაუწყვეტელი იყო.

— წილი გყაროთ—სთქვა ყვზრამ.

— სისულელეა—უთხრა ბენიამინმა—მე და შენ ვერ წავალთ, ვინაიდან ჩვენ გვაქვს პირადი მტრობა ნათან ჯანაშვილთან ოჯახური საკითხების გამო.

— აბა ვინ უნდა წავიდეს?—შეეკითხა მელამედი.

— ისევ შენ უნდა დაიძალო, რაბი. ჯერ ერთი-ისხაკ ჯანაშვილს ყველაზე ახლოს იცნობდი. მერე მეორე—მისი შვილი—შენი ნათალმედიან და: მშენზე ისე არაა გადაკიდებული, როგორც ჩვენზე. მერე მესამე—რაჭაძის მესამე ძეგის როგორც ცხინვალელების რაბის, შენ მოგიწევს ისხაკის დასაფლავება ისრაელური წესით. ასე თუ ისე დღეს თუ ხვალ ხომ მაინც უნდა მიხვიდე?

ძლიერმა არგუმენტებმა იქონიეს გავლენა. კოჭლი მელამედი დასთანხმდა, ხოლო თავის თავს მაინც უწოდა უსიამოვნოდ:

„სიყვირ ამიშთალეახ ლაყაზაზელ“<sup>1</sup>!

●●●

გათენდა. „პირველი ნაბიჯის“ საწარმოო აუწყრელი გულისტკივილით შეხვდა ისხაკის დაკარგვას.

დღილიდანვე დარაბაზე გამოაკრეს სამგლოვიარო განცხადება: „ტფილისის ღარიბ ებრაელთა ფეხსაცმელების საწარმოო არტელის „პირველი ნაბიჯის“ მუშები უდიდესი მწუხარებით იუწყებიან საუკეთესო და პატიოსანი მუშის ისხაკ ჯანაშვილის უცარ გარდაცვალებას. დაკრძალვა ხვალ საღამოს 5 საათზე“.

შესაყენების დროს მუშებმა მოაწყეს საგანგებო კრება. მუშების გამოსვლებში იყო საერთო: მწუხარება, ისხაკის შეფასება, მისი პატივისცემის სურვილი.

შაული თვალყურს ადევნებდა მუშებს. მას უკვე ეპვი აღარ ეპარებოდა, რომ მუშებში თანდათან ღრმად იჭრებოდა კლასობრივი შეგნება. იგი ხედავდა, რომ ის ვინც წინედ ებოდა ათასნაირი პროვოკაციის ქსელში, დღეს გამოდიოდა კრებაზე და საშინელი სიტყვებით ჰკიცხვდა ფეთხანის და მის მესვეურებს.

ფაქტი იყო: ისხაკის სიკვდილმა, ამ საშინელმა მსხვერპლმა, ბევრს აუხილა თვალები. არ დავიწყებიათ არც პრაქტიკული საკითხი: დასაფლავების მთელი ხარჯები მიიღეს მუშებმა. თავის თავზე. ამ მიზნით დაადგინეს შემდეგ დასვენების დღეს ყველას ემუშავა არ გამოორჩათ მხედველობიდან არც ჰეროვი ღია, რომლისთვისაც გადასდეს ერთდროული განსაზღვრული თანხა.

ძია დანიელი ეუბნებოდა ძია დათოს, რომელიც დაესწრო ამ კრებას.

— ჰხედავ, დათო, რას ნიშნავს ღარიბი კაცი. ღარიბი უყვარს მარტო ღარიბს და სხვას—არავის.

ძია დათო სავსებით თანახმა იყო ამ განსაზღვრის და ამ წუთებში ღრმად გადასწყვიტა, რომ იგი შეიტანდა განცხადებას „პირველ ნაბიჯში“ ისხაკის დასაფლავების მეორე დღესვე.

ის ის იყო კრება უახლოვდებოდა თავის დასასრულს, რომ კარები გაიღო მორიდებით და ყველასათვის მოულოდნელად თავი შემოპყო კოჭლმა მელამედმა:

— შეიძლება?

კაცმა ხმა არ გაიღო. მელამედს ეს გარემოება ლახვარივით მოხვდა გულში. იგი მიუახლოვდა დანიელს და ნაწყვეტ ნაწყვეტად უთხრა:

<sup>1</sup> „ჯოჯობეთში გასაგზავნი ციკანი.—ბიბლიური თქმა და უძველესი დროის ჩვეულება.

— ვიყავი საწყალი ისხაკისას... იქ არავისთან არ შეეძლოდა დალაპარაკება... ტირილის მეტს არაფერს აკეთებენ... დასაფლავებაზეც ვერაფერობენ... შოვედი გითხრათ... ახალციხელების და ცხინვალელების ჯამაათმა დაადგინა, რომ მთელი ხარკები მიიღონ თავის თავზე.

ჩაჩუმდა და გადახედა გარშემო მყოფთ, თითქოს სურდა გაეგო ის შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა მისმა მოტანილმა ამბავმა. დანიღვლა სახე მიიბრუნა. ძია დათო უცქეროდა შაულს და აინტერესებდა თუ რაწაირი სიტყვებით შეუქურთხებდა ახლად მოსულს, მაგრამ შაული ჩუმად იყო, უცქეროდა მუშებს და ელოდა, თუ რას იტყოდნენ ისინი.

და აი—ნელნელა გაიხსნა შეკუმშული და მრისხანე ბავშვები:

— არ გვინდა! არ გვინდა! არ გვინდა! კმარა თვალების ახვევა! კმარა მსხვერპლი! მოგვცილდით! მოგვცილდით!

მაშინ ძია დათ მივარდა კარებს, გამოალო, უჩვენა გასასივლი და უთხრა:

— ხო გაიგონე? ეს კანტორა არ გეგონოს. აბა შეასრულე განკარგულება. ჩქარა!

აწყრილდა საწარმოოს ზარი. შესვენება დასრულდა.



ისხაკ ჯანაშვილის დასაფლავება გადაიქცა ახალი ძალების მძლავრ დემონსტრაციად.

სალამოს სრულ ხუთ საათზე ფეთხანნი გაიქედა აუარებელი ხალხით. ჭირისუფალი იყო „პირველი ნაბიჯი“, რომელიც ხელმძღვანელობდა (ერემონი-ილს. სახელდახელოდ გაკეთებული იყო პატარა ტრიბუნა, რომელზედაც იდგა შაული და დალაპარაკებდა უდიდესი გრძნობით და დამაჯერებლობით:

— ჩვენ ვასაფლავებთ საყვარელ მუშას და პატიოსან ღარიბს ისხაკ ჯანაშვილს. ისხაკ ჯანაშვილი არ მომეყდარა თავისი ბუნებრივი სიკვდილით. ისხაკ ჯანაშვილს ჰყავს თავისი მკვლელები. იმათ ვერც კი გაბედეს, რომ დასაფლავებაზე გამოჩენილიყვნენ. სამი ადამიანი, რომელთა სახელები თქვენ ყველამ იცით—აკლია ამ მოედანს. ისინი ჩაძვრენ თავიანთ სოროებში, მაგრამ მათი ამოყვანა მზის სინათლეზე ჩვენ აწი აღარ გავგიჟირდება. დენურავინ იფიქრებს, რომ დღეს ვასაფლავებთ მარტო ისხაკ ჯანაშვილს. ისხაკ ჯანაშვილი—უდანაშაულო მსხვერპლია ფეთხანისა და მისი ძველის ძველი დრომოკმული ადათწესებისა. ისხაკ ჯანაშვილთან ერთად ჩვენ ვასაფლავებთ თვითონ ფეთხანს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამდე გადაქცეული იყო ნამდვილ სასაფლაოდ. ვასაფლავებთ თვით სასაფლაოს! დიახ! ძმებო, ღარიბებო! დე ეს საშინელი მსხვერპლი ამ უმანკო და საყვარელი ადამიანისა გახდეს გაკვეთილად ყველა იმათთვის, ვინც ჯერ კიდევ იმყოფება ბურჟუაზიაში და თავის სიღარიბითა და შეუგნებლობით ჯერ კიდევ ბრმად მიჰყვება ღარიბი ხალხის მტრებს, ყველა ამ მდიდრებს და სასულიერო წოდების პირებს, რომლებიც ხელიხელჩაკიდებულნი და შეკავშირებულნი განაგრძობენ ჯერ კიდევ დაუსჯელად თარეშს. იცოდეთ ყველამ, რომ ერთად ერთი მთავრობა, რომელიც ზრუნავს მთელი ქვეყნის ჩაგრულებისა და ღარიბებულისათვის—ეს არის საბჭოთა მთავრობა. ძმებო! ღარიბო ისრაელებო! ის-

წრფელად „პირველი ნაბიჯისაკენ“. ამჟამად! თამამად! ჩვენ გავეხსნიეთ კიდევ ახალ-ახალ საწარმოებს. ჩვენ დავსაბავთ კიდევ ახალ ახალ გზებს. ყველაზე უფრო ძნელია ბრძოლა საკუთარ თავთან. გახსოვდეთ ეს კარგად. როცა თავს გაინთავისუფლებთ ძველი ქვეყნის უკუღმართი წესებიდან, მაშინ ყველა დაინახავთ იმ დიდ სიმართლეს, რომელიც ჩვენ მზარეზეა. ღარიბების რიგების შემქმნელობა, შეერთებული ძალებით მდიდრებისა და ჩვენი ცხოვრების ხორცმეტებთან ბრძოლა და ებრაელი მუშების შექმნა—იი ეს იქნება საუკეთესო ხსოვნა ჩვენი საყვარელი, უდროოდ დაღუპული მოხუცი ისხაკ ჯანაშვილისა.

შაულმა დაასრულა. შთაბეჭდილება იყო ძლიერი, გარდატეხის დასაწყისის წინასწარმეტყველი.

ნათანს ღრმად ჩარჩა შაულის ექვსი სიტყვა: „ყველაზე უფრო ძნელია ბრძოლა საკუთარ თავთან“. როცა შაულმა გაათავა სიტყვა, ნათანი მიუახლოვდა მ და მაგრად ხელი ჩამოართვა.

რას ნიშნავდა ეს? უბრალო თავაზიანობას? მადლობის გრძნობას მამის ხსოვნის ასეთი პატივისცემისათვის? თუ შერიგებას, საკუთარი ბაზის უარყოფას და შაულთან შეგნებულად მისვლას? ამ საკითხზე პასუხის გაცემა ძნელი იყო. ეს შეეძლოთ მხოლოდ მომავალ წლებს, რომლებზედაც ამ წუთებში ძნელი იყო ფიქრი.

... კუბო შემკული იყო აუარებელი ყვავილებით და გვირგვინებით.

„პირველი ნაბიჯელები“ მიუძღოდნენ წინ საწარმოოს წითელი დროშით. საყვარელი ცხედარი მიჰქონდათ უდიდესი მოწიწებით დანიელს, დათოს, ირაკლის და ცების.

ქვრივ ღიას მხარში ამოსდგომოდნენ ხანა, იულია, რუთი, ესთერი.

ნათანი მიდიოდა თავზაღებულად, უცრემლო, გამომშრალი თვალებით და საუკუნოდ ეთხოვებოდა საყვარელ მამას. იგი გრძნობდა, რომ მას გვერდით მოსდევდა შაული, რომელიც ასე ძლიერ უყვარდა ისხაკს, ვინაიდან მას მოჰქონდა სიმართლე და სხვანაირი სიცოცხლე.

და ნათანის დაქრილი გული კვლავ ემზადებოდა ახალი ბრძოლებასათვის



დასასრული პირველი წიგნისა.

მოსკოვი—ტფილისი.

1929—1933.

## ნოა ზოგლეთელი

### ახალი ნასაკირალი

არ დამიჯერებს, ვიცი, ხვარამზე,  
(ბებიაჩემის გახლავთ სახელი!)  
ნასაკირალზე ახალს სხვა რასმე  
ნასაკირალის, ძველის, მნახველი.

ის ისევ, აღბათ, მოკრულით ხელში  
სწუხს მარინობით ნაგომარაზე  
ან და ჩიფჩიფი, მოხრილი წელში;  
მიათრევს გარგანს „რუსიშარაზე“.  
და ოზურგეთის პარასკეობას  
თორმეტ—ვერსიან მანძილით მსჭვალავს,  
დღით ვაჭრობაში იჩენს მზნეობას  
და დამბრუნებულს ღამეც ვერ ღალავს.

— ბეჩა, გადავიართ კი ნასაკირალს?  
გზად უსვამს კითხვას მეზობელ მზეხას,  
და ათრევს გულით დარდს, მწვევეთ მტრიალს,  
რომ სჯობს სიკვდილიც ასეთ გზის ტეხას.

სადაც, ერთი მხრით, მთა, წამოწვდილი,  
თხემ—შემოსილი ტყით და ჯაგნარით,  
გამოსჩანს, როგორც სიკვდილის ჩრდილი,  
შიშით, კანკალით, გლოვით და ზარით.

და მოზარედაც ქვეშ ბახვის წყალი  
თითქოს ქვეყნის დარდს ქვებზედ ატირებს,  
სად ციკლოპივით ცალ-ცალი თვალი  
დაუქუცტია ორ-სამ საკირეს.

ახლა კირს მთაში არავინ არ სწევას,  
ცემენტის, რკინის, ჯაგშნის ხანაში,  
და იმათ შორის აღარც ერთს არ ჰყავს  
გზირი—პატრონი ამ ქვეყანაში.

ჩამქრალ ლუმელებს ჰვეცტს ცივი ქარი,  
და მდინარის წყალს აცვივა თავზე  
გადმობერტყილი კარი, ხაცარი  
და ცულ სახელიც ტყესა თუ მთაზე.

და მოდის გზაზედ ორი ბებერი,  
გადმოარღვიეს ნასაკირალი,  
იმათ წინ ხვდება მდინარის ჩქერი,  
დიდრონ კლდე-ქვებზედ ანაპირალი,

ვით სატევრები დამხედურ მტრის ხელში  
ან და აღესილ შუბთა ჯაგარი  
მიღერებული ცხავათის ყელში,  
როს თვით ცხავათი, განზე გამდგარი,



თავს გადაჰყურებს დაკლავნილ შიშას,  
მდინარის ნაპირს მალლა რომ მოსდევს,  
და დროს არ უგდებს უთხოვობლად არას,  
თუ რაც მომხდარა აქ სად ან ოდეს.  
და მომხდარა კი ძალიან ბევრი,  
შემთხვევა მწვავე, მძიმე და ზუსტი;  
მთის დღეშილი აქ უფროა მკვეერი,  
ვიდრე ეს ჩემი კალამი, სუსტი.

და ავარდნილი ცად იმ მთის წკენტი  
მოდასტურვა ფაქტების ნუსხით,  
რომ კენჭიც არ სჩანს ამ გზაზე, კენტი  
გაუბანელი სისხლით და კურცხლით.

იყო მკვლელობა სისხლის აღების,  
თუ ბატონყმური შურის, ზღვაურის,  
იყო თარეში ეს ყაჩაღების,  
თუ მოლაღატე თანავაურის.

სულ ერთი არის: მსხვერპლი—მსხვერპლია,  
წამოგებელი ბედის წვირაზე,  
აურაცხელი ის დღე ფერფლია  
და ძვლების ხროვა ნასაკარალზე.

რომ ნიადაგი ეპოხიერა  
წარსულს ამ ფერფლით, კენესით, გოდებით...  
და ჰა, მოვიდა ახალი ერა  
სხვა მიზნებით და სხვა მოწოდებით.

მაინც წარსულის მოწმედ და ხატად  
მე მომაგონდა ერთი ამბავი,  
მსურს გადმოცემა იმისი სხარტად,  
თუ კი დამირჩა სიტყვა, ამთავი...

გავიგონიათ გაბრო გაბამე,  
სუფსისპირელი თავადიშვილი,  
ოზურგეთიდან ნაგომარამდე  
ჰფარავდა სივრცეს იმისი ჩრდილი.

ჯერ ჰქონდა დიდი მამულ-დედული  
და ებურა კვერთხნიც, დიდების-ხელში  
გლეხკაცი, ხარად კავში შებმული,  
მონობდა ახლად მოხრილი წელში.

არ გამომდგარა ჯერ ურჩი გლეხი,  
ნებიერი და ვალაღებული,  
გაბრო გაბამის სიტყვის გამტეხი  
და ასე თავზე ხელ-აღებული.

გამტეხი არა, სიტყვის გაღუნვაც  
გაბროსთვის გლეხკაცს ვერ გაებენდა,  
ასე მისდევდა ის დროთა ბრუნვას  
და თვით ამ დროსი იცოდა ხედნა...

გარემოებაც ხელს უმართავდა,  
და გამართული ბედისგან წელში  
მთით წამოგრაგნილ არწივსა ჰგავდა  
სუფსის პირებზე მათრახით ხელში.

გაბაძის  
გაბაძის

სადაც გაბაძის გულ-ფართე მერე  
მოსდევდა სუფსას, ვით ლურჯი თეძა,  
გაშლილი სიგრძე—სიგანიერე,  
რომ დაეტია ბატონის ქეძა.

ქეძა კი მისი არეს იკლებდა  
შემოდგომაზე აქ უფრო მკვეთრად,  
როცა გლენჯაკი სარჩოს იწვედა  
და სტეხდა დღესთან ღამესაც თეთრად...

სტეხდა ის კიდევ სიმიწის ყანაში,  
მთა ბორცვებს ჰგავდა ტაროთა გროვა,  
და ფერს იცვლიდა ლხინად ამაში:  
გლენჯაკის დარდი, ჭირი და გლოვა...

დარდი კი გლენჯის იყო გაბროცა,  
თავს წამომდგარი, როგორც ალალი,  
თავისთვის ღალას ითვლიდა, როცა  
გლენჯაკს რჩებოდა მხოლოდ ხარალი.

მთელი წლის წვის და დაგვის სასყიდლად  
მოსაელის ხაწილს შინ მიათრევდა;  
მისთვის გაბაძე ცხოვრობდა მდიდრად,  
როცა სულს თვითონ შიმშილში ლევდა...

და იყო ასე გლენჯთა წამება,  
ვით განუყრელი ცხოვრების სენი,  
თავს გრძობდა ღალად მხოლოდ სამება:  
გაბრო მათრახი და მისი ცხენი...

გლენჯი ბიჭინაც არის, ბიჭაძე,  
გლენჯებში დიდად გამოჩრეული,  
მასაც აქვს ყანა გაბროს მიწაზე,  
ეს ჭირი მასაც აქვს შეჩვეული...

მაგრამ შეჩვეულ ჭირს ანჯობინებს  
და უხრის სხეებთან ისიც ქედს გაბროს,  
თუმცა თავს სხეებივით არ აჯეკინებს,  
წინ-წინ უღებებს რა ალლოს ამავე დროს.

და ბატონისთვის ხარკი თუ ღალა  
მუდამ მზად არის ბიჭინას ხელში,  
სხეებზე კი, ბატონს თუმცა დიდი აქვს ძალა,  
ხომ ვერ წაუჭერს ღვლეკს უშვოდ ყელში.

— მაგრამ გაბაძეს გული აქვს ხარბი,  
ზევადიც არის გული ბატონის:  
— რალაც არ მოსწონს ამ ბიჭის წარბი,  
ურჩის წარბია და არა მონის!..

და ერთ წელს, როცა მოტეხილ ყანას  
სახლისკენ პირველ დაიწყო ზიდვა,  
უთვალთვალებდა გაბაძეც ამას:  
შეურაცყოფად უცბად თავს იდვა.

— ყაძახო, ჩემი რა უყავ წილი?  
არ მომიხიდე პირველად ღალა?  
მაშ, ნუ ვყოფილვარ თავადი შეილი,  
თუ არ გაგემე ეს ჩემი ძალა!



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

და ზურგზე მითრახს მოადებინა  
ამ სიტყვებთანვე მაგრად ტულაშური.  
ცხრად დაიწმინა წელში ბიჭინა,  
თუმც მორეულ ხვედრს არ უქნა განი...

დასვა ბოლომდე სიმწარე ბედის,  
უხმოდ გადიდო და გაიტანა,  
არა სწვევია მას მოხრა ქედის,  
მაგრამ მოთმენა ძრახია, ვანა?

გულში ჩაიგდო შურისძიება,  
ვით ღარის თვალში ქვა ჩაეარდება,  
წამსვე ბატონის ვალში შეიბა  
და იმლამესვე ლალაც ჰბარდება...

ნხოლოდ იმავე ღამის თავიდან  
დაბუდდა დარდიც გაბაძის გულში...  
დარდს ყუელას სძლია, მხოლოდ ამიდან  
ის უკურნებელს მოექცა წყულულში...

იცის: ბიჭინა ამ დამცირებას  
არ აპატოებს ისე აღვილად,  
აღბათ, თავს აძლევს სხეას ვაპირებას,  
როცა აჩვენებს მას მშვიდათ, ტკბილად.

და გაბროც ფხიზლობს: გული-მისანი  
მანაც გამსქვალა ბიჭინას მტრობით:  
— ენაბოთ, რა არის გლეხის მიზანი,  
რომ ჩვენც არ დაეხვედეთ ვაილაჩარობით!..

ზამთრის ღამეა. ჟრემს სიმიინდით  
ბიჭინა შორით ეწვია წისქვილს,  
განტიერთავს საფქვეას რა ნაწეს მიინდით,  
უღებს დოლაბს და სიმიინდიც იფქვის...

იპყრობს სიფხიზლე საფქვევის პატრონს,  
თუმც იმავე დროა ძილიც ერევ...  
ღარში კი წყალი წისქვილის აფრთობს  
და დოლაბის თვალს ძირშიც ეღვევა...

ბრუნავს დოლაბი და ჰფ.ნტავს საფქვეას,  
უკვე აიესო პირამდე ალა...  
ჩუ, ხმას სცემს წყალი, ის წყალს არა ჰგავს,  
სხვა სიტყვად ისმის, თქმულს სხვა აქვს ძალა.

— არა გრცხვენია, გაბრომ დაგჯაბანა?  
ეს შენი ზურგი თითქოს ცხენია,  
მკაცრად მათრახი გადაგაწკაპნა,  
არა გრცხვენია? არა გრცხვენია?!

გქვია ბიჭინა გვარო, — ბიჭადე,  
მიკვირს, გაბრადემ როგორ დაგაბა?  
ბოქად გიდგია ფეხი მიწაზე,  
ნანდვილად უნდა გცმეოდა კაბა!..  
„წის-წის წის... კის-კის“. ბრუნავს წისქვილი,  
იცინის ღარში წისქვილის წყალი...  
უკვე ჟრემზე ტომრებით ფქვილი  
ეწყო, მთვარე რომ დაეშვა, მცხრალი...



ცის გუმბათს თვალი შეასო გლენა:

— შუა ლამეზე გადასულია!  
შაინც ხომ ლამის მომიხდა ტეხა,  
არ მღირსებია ძილი სრულიად.

შოდი, გადაველო ნასაქირალიც,  
გათენებამდის გადავალ ბარში!  
„კის კის-კის“... ამ აზრს თქრიალით წყალიც  
ადასტურებდა წისქვილის ღარში...

შოდის ურემი გზაზე ქრიალით,  
ურემს კოფოზე მეურმეც აზის...  
მთვარე ტყის მკერდში ჩაწვა ციალით  
და ტყეს ხმა ბზარავს მდინარის ბრაზის...

ეგ ბახვის წალი ბრაზობს იქ, ხევში,  
ურმის ქრიალმა თუ აწყინა!  
ღარში ცეცია და მოსახვევში—  
ფეხებ-მორთხმული, როგორც კნეინა...

შიდის ურემი გზაზე ქრიალით...  
ჩუ, თოხარიკი—უკან, გზად—ცენი!  
მოავდო ცხენი და მთელის ძალით  
შოისმის რისხვაც მზედარის ენის:

— ყაძახო, ღამე მარცხად ათენე,  
თუ რაა, ასე გზას რომ მიბორკავ?  
ურემი ვეღარ გადააყინე,  
რომ არ შეგეფრთხო ჩემი იორლა?!

და რეტდასხმულ თავს მათრახის წვერი  
გლუბს უცხად გველებრ შემოახვია,  
რამაც მყის ვაეკატს უცვალა ფერი  
და გულს დამღორღნელი სევედა ეწვია!..

ეს იმ მათრახის წვერია, შარშან  
გაბრომ კვლავც მის ზურგს რომ დაამშრალა,  
ეს ისევ ძველი გაისმა „ტყლაშან“  
და შურის გებაც გულში აშალა!..

იცნო გაბაძეც ბიჭინამ ხმაზე,  
და შემოაწვა რა ბრაზი ყელში,  
იძრო ხანჯალი და ცხენს გავაზე  
ზოქცა. მკლავიც მოხვია, წელში,

და ხანჯლის წვერი მარცხენა ძუძუს  
დაჭრა ღონიერად მეორე ხელით...

ეს, ყოველივე მოხდა რა ერთ წუთს,  
ბყის დაიფარა ღამის სიბნელით...

და მხოლოდ დილით უცხო მგზავრებმა  
ნახეს იმ გზაზე კაცი ქრილობით,  
იცნეს, ვინც იყო, და მათმა ხმებმა  
აუწყეს სხვებსაც, თუმც გულ-გრილობით.

თან ორ ცხენ შუა გაჭკიდეს მკედარი  
და ნაგომრამდე ჩამოასვენეს,  
აქ ნათესავთა შემოხვდათ ხარი  
და შეებაც მისცეს განაწაფ, ცხენებს...

მკედრისთვის ალაპი მოაწყვეს დიდი,  
გვარიწვილობა ასე ითხოვდა,  
მაგრამ, თუ იყო შიში და რიდი,  
გულით კი ცხედარს ტრაფინ იგლოვდა...

და უსახელო სახელიც გაბრო  
წაილო ასე დრომ და იმ ღამემ,  
კვლავც რომ თავადმა ერთხელ დაასწრო,  
მაგრამ უშველა გლენხ სითამამემ:

მან ბატონ კაცის ზვიადი გული  
გაატანინა ხანჯალს ტარამდე,  
ნასაკირალით წამოღებული  
მგზავრთა ცხენებით ნაგომარამდე...

მხოლოდ მის შემდეგ მშრომელი გლენხი  
ტყეთ გაიქრა და იყო ფირალი,  
მას ხელში ჰქონდა, თუბის წილ-მეზი  
და ბინად კიდევ—ნასაკირალი...

ვინა ძრწის ღამით ლანდივით ტყეში?  
ვინ გადასერა ნასაკირალი?  
ეს—უნებურად გლენხი ამ დღეში—  
გვარად ბიჭადე ვახლავთ, ფირალი!

და ცხავათის ძირს რომ მიახლოვდა,  
შენიშნა მგზავრი „რუსიშარაზე“...  
ღამე უქმები დღეებით ჰგლოვდა,  
მთვარე არ სჩანდა ცის კამარაზე...

ლევა ღრუბელიც ვარსკვლავთ ეხვია,  
და რომელიმე თვალებს თუ სჭყეტდა,  
მყის გადასხმოდა იმასაც ტყვია  
და ციდან სხივთა სინსილას სწყვეტდა...

ოდნავი ქარი არხედა რაყებს,  
მას მოსძახოდა მდინარის ჩქერი,  
გადადიოდა, ალბათ, მალაყებს  
იქ წყლის ტალღა და შეუფთა ნამქერი...

მაგრამ სჭრის თვალი ღამისგამტეხის,  
მგზავრმაც შენიშნა, ალბათ, ფირალი,  
რომ შეძახებამ მის, მსგავსნა შეხის,  
გამოარღვია ნასაკირალი.

ფირალი ფხიზლობს! მას რომ დაასწროს,  
ვინ არის, თუნდაც მგზავრი განგები?  
ან მგზავრს რა უნდა ამ ადგილს ამ დროს,  
თუ ის არ არის თავის წამგები?

სათუოდ თავის გამმეტებელი,  
ალბათ, რაღაც აზრს გულში ატარებს,  
თორემ კაცი ხომ არ არის მგელი,  
როცა თავს ის ამ ნადირს ადარებს?!

და ხე იმარჯვა რა მყისვე საფრად,  
ბიჭადემ თოფი მოიგდო ხელში,  
და გადასძახა აქიდან მძაფრად,  
ვინც უცხოურად ეჩვენა ბნელში:



„თუ მტერი არ ხარ, დადექ მანდ გზაზე და ასწი მაღლა ორივე ხელი, თორემ თოფიც პირს გააღებს წამზე და მისგან ტყვიაც დაიძვრის ცხელი!“...

— მტერი რადა ვარ, და თუ არ ვსცდები, ფირალ ბიჭაძეს გადაეყვარე, მეც მისი ნახვით, სჩანს, მიხანს ვწვდები, გადმომივლია უდაბნო მხარე.

— „ვინ ხარ?“— ბაცაძე, სოფრომას შეილი, გაგვიგონია შენც, ალბად, გოგა! გაუტანლობის მეც მომწვდა ჩრდილი და უნდო ბედმა აღარ დამზოგა...

აი, ამ გასულ ჯვართამაღლებას თავადი შეილთან მომიხდა ჩხუბი! ვერ დამიწუნებ მკლავის შეძლებას და ერთის დაკვრით თვალიც ავუბი.

მოვკალ, თუმც ჩემი ეს რა ბრალია? მხოლოდ იქ დგომა კი არ მეწერა, ჩემი ფეხებიც ისე მაღია, თითქოს წინ სივრცეს ტყვია ეძგერა...

გამომიტაცეს, როგორც რომ შურთხი, მოპირდაპირეს თავ— დაწვეული, დრო თუმც გავიდა, ახლაც თავს ვუფრთხი: ვაპ, თუ მდარაჯობს ვინმე წყვეული!..

ხომ იცი, თავადს ბევრი ჰქონდაგობს, რომ მის გააღენას ის ემონება, და დარიდება რომ თავის აქ სჯობს, ამას გადასწყვეტს ყველას გონება...

მეც გადაწყვეტილს ჩემსას არ ვსტირი, ყველა სხვა ზომას ამან აჯობა, და გამოვიქერ, როგორც ნადირი, ადამიანის მიკირს დანდობა.

მხოლოდ შენ მარტოს გულით გენდობი, ვიცი, შენცა გმტრობს გაბაძეთ გვარი, ნასაკირალის მთა თუ ფერდობი ამ დლიდან ჩემი სახლკარიც არი!...

უცბათ დანდობა მაინც ძნელია, გულ-იქვნიული არის ფირალი: ამის საბუთი ჯერ— ეს ბნელია და მერე კიდევ— ნასაკირალი.

— გაბაძეებთან ჩხუბი მოვიხდა? ეგ რომელ მათგანს ვაუპე გული?! გაისმა კითხვა ფირალის მხრიდან, ისევ და ისევ ეჭვ აღებული.

— გაბროს ძმას, ჯაბას!— ისმის პასუხი აჩქარებულ მგზავრის პირითა, შემოაცალა რამაც მარწუხი ბიჭინას გულს და გააჯიროთა...

მაგრამ ჯირითი ხან მოკლე დარჩა,  
 ეკვმა ასწია შიგ ისევ თავი,  
 მან ვარდისფერი გახია ფარჩა  
 და წინ კვლავ ღამე გამოჩნდა შავი...

— ჯაბას? ამბობ შენ—ჯვართამაღლებას?!.  
 მგზავრს შეეკითხა ისევ ბიჭინა,  
 და გულში ის გრძნობს უსაზღვრო შეებას,  
 მგზავრი ტყუილში რომ დაიჭირა.

რადგან ორი დღე არც კი გასულა,  
 რომ თავის თვალით ნახა მან ჯაბა,  
 და ხომ არ იქცა კაცი ავსულად?  
 ეს თუ არ სტყუის, რა არის, აბა?!

ჯვართ ამაღლებას ჯერაც გადმოსკდა,  
 მოკლულს ხომ არ ხვდა მკვდრებით აღდგენა?  
 სჩანს, რომ წააგო მგზავრმა გამოკდა...  
 სჩანს, სულ სხვა გესლით გალესა ენა!..

მაგრამ ეს ეჭვი მგზავრს არ გაანდო,  
 გულში ჩაიგდო, ვით განძი რამე.  
 კვლავ სიტყვა სტყუორცნა, ვითომ და სანდო,  
 პირზე კი ღიმილს ჰფარავდა ღამე...

— მოიწი აჭეთ და იარაღი  
 ორიოდ ღამით მე მომბარე,  
 თუმცა არ არის ტყე იალაღი,  
 არც შენ—ცხვარი და არც მე—მეცხვარე,

მაგრამ როს ბატენის გულს იცნობს გული,  
 შემოთვისებულს შეგეთვისები,  
 მიიღე უკან მომბარებული  
 და ვიყვეთ ისე, როგორც თვისებია!..

მგზავრის ყოყმანი ღამემ დაჰფარა,  
 მაგრამ ჩხარუნი ღითონის განხდა,  
 და იარაღი ყველა დაჰყარა,  
 ახლად სტუმრებულს რაც კი თინ ახლდა...

მაშინ ფირალმაც თავის საფრიდან  
 ისკუპა, როგორც კლდეს სწყდებდა შველი,  
 მარცხს არ ელოდა რა ამა მშრიდან,  
 მგზავრის იარაღს დასტაცა ხელი.

და აღიჭურვა რა ორ პირათა,  
 „მოწყეო“ გოგას ეტყვის ფირალი,  
 და ჩქარს წინსვლაში უკვე ინათა,  
 მათ რომ გადასჭრეს ნასაკირალი...

ულრან ტყის უბეს ეწვიენ ორნი,  
 ფირალის მკვიდრი ეს არის ბინა!..  
 სადღაც ყოალი გაისმა ყორნის  
 და ახლოს კოტმაც დაიჭვითინა...

ტყეში, ასწლოვან ცაცხვის ქვეშ, ჩრდილში  
 წევს ფირალი და თანაგზაური,  
 ვითომც ბიჭინა შედის ღრმა ძილში:  
 ასტება სულთქმა, ბორგვა ზღვაური.

გარკინსკი  
ზინზლინისკა

და იარალი ყველა კი ხეზე  
წინ წინ დაჰკიდა მან თვალიწინ მგზავრის,  
მხოლოდ-ღა ერთი დამბანა წელზე  
შემოინახა საყრელად ჯავრის,

თუ სივერაგეს მგზავრი ნახავდა  
საამსაბაბო რამე გარხვეით...  
ამ სიფრთხილისთვის ვინ დასძრახავდა?  
ვის რას აკლებდა ის ასეთ ქცევით?

და აი, მართლაც ასრულდა ფიქრი,  
მგზავრის აე გულში წინ ნაფიქრალი,  
წამოიწია: სახე—ვით ფითრი,  
თუმც გულს იმაგრებს, რომ წევს ფირალი.

გასძაბა ყელი და დააკვირდა,  
მაგრამ ფირალიც ხომ ფხიზელია:  
მის მკერდში სულღქმა განგებ გახშირდა,  
მისი გაფრთხობა თითქოს ძხელია!..

— ნანატრი წუთი!—ფიქრობს ბაცაძე:  
ვმადლობ ბედს, რომ ეს ასე მოეწყო!..  
და ვაიწია, ხისაკენ წამსვე,  
რომ ბოროტ გულში ცეცხლი დაეცხრო.

რომ იარალი მოეგდო ხელში  
და მძინარისთვის ვაეპო გული!..  
ბიჭინას ბრაზი მოაწვა ყელში,  
ზე წამოიქრა გამძაფრებული,

როცა თოფს უკვე მისწვდა ბაცაძე,  
ათრთოლებული, როგორც რომ ქურდი...  
მაგრამ ვერაგებს, მუხთლებს, ბაცაცებს  
ხომ უიმედო აქვთ მუდამ ზურგი.

და მოლალატემც, ჰა, ცალი თვალი,  
კვლავ მძინარისკენ გადააცოცა,  
მაგრამ გადესხა გულს ცხელი წყალი...  
ზურგში მომხდარმა ის გააოცა!

მომარჯვებული დამბაჩით ხელში  
სდგას მის წინ ის, ვინც ძილში ეგონა.  
ლალატის ცეცხლი მოაწვა ყელში,  
მწარ სინამდვილემ კი დააღონა...

— თოფს ხელი—შეთქი!—ისმის ფირალის  
ლომისებური ქექა და გრგვინვა...  
ამ დროს ცეცხლს ჰგავდა კვესება თვალის  
და წვეილ ნაკვერჩხალს იმათი ბრწყინვა!..

ბაცაძემ ხელი დაჰკიდა დაბლა  
და გარინდებით ზესთან გაიერდა,  
თითქოს კაცს, ცოცხალს დაეცა დამბლა,  
და იმის მკერდში გული არ სძვერდა...

— ვერ აისრულე წადილი, განა?  
ისმის ფირალის მკაცრი დაცინვა:  
— გასწი, წაიღე საუნჯეთ თანა  
ეს ბილწი გული და გველის გლინვა!



შენი სიკვდილი! მე აქ არ მინდა,  
 თუმც ტყვე ხარ, მაგრამ ხელს და ფეხს გიხსნი: **ეროვნული**  
 აქ ადგილია იმდენად წმინდა, **გონიერებისა**  
 რომ არ დავღვარო ზედ ბილწი სისხლი!

გასწი და თვალზე თუ მომხვედი კვლავაც,—  
 არ შეგებრალეხს ხელი ფირალის,  
 აღარ გადმოსცდეს ეგ ფეხი ცხავათს  
 გადმოსაჯეკნად ნასაკრავლის!..

ამბობენ, მართლაც ამის შემდგომა  
 ბაცაძე სოფლით აღარ დაძრულა:  
 მან ულლად ქედზე დაიდგა წრომა  
 და დღენიც შიმში შინ დაასრულა...

ველარ ისვენებს ჯაბა გაბაძე,  
 ძმის დამკარგველი გახდა კევატი:  
 — მე ის ყაძახი თუ არ გაემაწრე,  
 გამიწყდეს რჯული და საღვთათი!..

ხანგრძლივი შური გულს ჩაიხვია,  
 როგორც შიგ გულდა კუბრი აცხია,  
 ამ დღიდან მისი მხსნელია ტყუია:  
 შიგ მისი შვება და მტრის მარცხია!

ნანობს, რომ გოგა გაწბილდა მაშინ  
 და ამ გზით ჯავრი ველარ იყარა,  
 რამდენჯერ თვითონც ჩაუჯდა გზაში,  
 მაგრამ შემთხვევამ არ შეიყვარა.

ერთხელ... ოჰ, ეს დღე არ ავიწყდება!  
 თვით წამოადგა მას თავს ბიქანა.  
 ახლაც კი გული ბრაზისგან სწყდება,  
 მაგრამ წარსულს წუთს ვინ დაიჭირავს?!

ააწვეინა ხელები მალლა  
 და იარალი სულ მთლად აჰყარა,  
 კაცი მთხლედ იქცა იმ ერთ წუთს, რაღა,  
 სიკვდილის ფერი გადაეფარა...

კიდევ ბედს მადლი, რომ სიკვდილს ასცდა!  
 ვაშა, ფირალის ლმობიერებას!  
 დიახ, ამ გზითაც ჯაბა დამარცხდა  
 და ფრთა შეეჭრა მის ძლიერებას.

მაგრამ გზის მეტი რა ქსელაეს მიწას?  
 ერთს და ორს იქნებ კვლავ სხვა სჯობია,  
 სხვა გზით ხომ მაინც მისწვდება მიზანს,  
 გულს შურის ცეცხლი არ ჩაქრობია...

განა, მომხდარა, გაბაძიანთ გვარს  
 გლეხის წინ ქედი რომ მოეხაროს?  
 აქ ხომ თავხედი გადასცდა საზღვარს  
 და ჯაგრიც უნდა ამოეყაროს!..

ასე მსჯელობდა ჯაბა ფირალზე  
 თავადიშვილურ გულზეადობით,  
 მხოლოდ ვაგლა კი ნასაკრავალზე  
 მას არ შეეძლო იქ გზის დანდობით.

და სხვა ქანის გზა მონახა, მწვიდი.  
 თუმც მის ცხენს ჯაფა დააწვა მეტი,  
 მაგრამ რას იქდა. საკითხიც დიდი  
 იდგა იმის წინ გადასაწყვეტი!..

— ბატონს მურზაყანს—ჩემი სალამი!  
 ასე ეახლა ჯაბა ბოქაულს.  
 ჯერ თვით იკითხა, შემდეგ—ჯალაბი,  
 თითქოს უფლისო ძვირფას სამკაულს.

აამოძრავა ენა, მთაფლავი,  
 თავით ფეხამდის გალოკა რალა,  
 შეუშკობი და დაუდაფხავი  
 არ დარჩენია „პრისტავეზე“ წალა!

შემდეგ გადაჭკრა სიტყვა ფირალზე,  
 მოიხსენია ბიჭინა ავად,  
 სკრუა, რომ შეხვდა ნასაკირალზე  
 და დაედევნა მას მოსაკლავად.

მხოლოდ გაუღნა ფირალი ხელში,  
 რომ ეადვილა იქ გზის გაგნება,  
 საფრთხილო იყო დარჩენა ტყეში  
 და დევნას თავი მაინც ანება.

დროს კვლავც შეურჩევს იგი თავის მტერს,  
 რომ შოულობდეს დამხმარე ბიჭებს,  
 ბიჭამეს იგი ცუტხლივ დაიჭერს  
 ან მკვდარს ხომ მაინც ფეხს დააბიჯებს!..

გაჭკრა ბოქაულს მაჭრმ გულ-ბოყვეში,  
 რალაც ფიქრებით გახურდა თავი,  
 ჯაბა გაბაძის სიცრუის ქოშებით  
 მოიხიბლა, ვით მელასგან—ყვავი!..

ადგა მუხლებზე ხელების ბჯენით  
 და ჯაბას მხარზე ხელი დაადო,  
 თითქოს ფეხიდან თავამდის რწმენით  
 იგი აიქსო თავისთავადო!..

— თავადო!—უთხრა მან ხმის დაშვებით:  
 თქვენს დახმარებას ოა მირჩევნია?  
 მზად ვარ: თავით და ჩემს ჩაფრებით  
 გეახლოთ, როგორც ნება თქვენია!

შემდეგ დახარა ორივემ თავი,  
 და მოქმედების რომ შედგა გეგმა,  
 მელამ დათაფლლით დასტოვა ყვავი!..  
 ააჭრაქუნა „პრისტავემა“ ჩექმა!..

კარებში კიდევ შეჩერდა ჯაბა  
 და მიუბრუნდა „პრისტავეს“ ჩურჩულლით,  
 მანც ორივ თვალი მის წინ დანაბა,  
 აღბად, რომ შეხვდა თანხმობით სრულით!

ასე გადასჭრა ამ ორმა ყვავმა  
 ნასაკირალის ორბის დაკორტხა...  
 კარი მიხურა მის წინ „პრისტავემა“  
 და დახურულს კარს ჯაბაც განშორდა...



რაც გააყრუა ნასაკრალის  
ერთ მშვიდ სალაშოს თოფების დენთმა,  
თავს დაესხენ რა სამტროდ ფირალის,  
მხოლოდ უმტყუნა დამცემლებს სენთმა.

გულფიცხად შეხვდა ბიჭა ამ ამბავს  
და შეიწირა ორი ჩაფარი,  
იმსხვერპლებდა თვით „პრისტავს“ და ჯაბას,  
რომ არ ჰქონოდათ კარგი საფარი.

თუმც საფარ რა სროლს უნარი,  
თოფიც, მიზანში ტყვიის გამტანი,  
არც ფირალს ჰქონდა დასაწუნარი  
და სახელსწრაფოდ წულზეც—ნაგანი.

აბა, ვაზნების გრძელ ფალასკების  
ტანზე ეხვია მთელი რტყელები,  
შიში არ ჰქონდა რყვიის დაკლების,  
რომც დამდგარიყვენ თავდამსხმელები.

მხოლოდ გასტეხა ფირალმა რკალი  
და მოსეულთა ფარა იფრინა,  
დაანთო ცეცხლი, როგორც გრივალი,  
ათას მხნეობა გამოიჩინა!..

მაშინ იკადრეს ჯაბამ და სხვებმა  
ბრძოლის ველიდან უკან დახევა,  
ისე დაუჯდა ათს ერთის შებმა,  
რომ გაუძნელდათ თავის დახწევა.

და როგორც იყო, სამშვიდობომდის  
ძლივს გაიტანეს თავი ჩაფრებით,  
სირცხვილის მტუტე შესვეს ბოლომდის  
და მოკლულეებიც წაიღეს მხრებით.

სახელდახელოდ გაკრულ საკაცეს  
იქით-აქედან შეუდგნენ წყვილად  
და ბრძოლის არით გამოიტაცეს  
თავსლაფდასხმა და ხარალი წილად...

დადის ხმა სოფლად, როგორც ქადილი,  
იდუმალი და ოცნება ვრცელი:  
ხალხს უსრულდება შორი წადილი,  
უნდა დაეცეს მთავრობა ძველი.

რისხვა ბატონსა და მემამულეს,  
ხელი აიღონ უნდა ლალაზე,  
მაგრამ, მათ ბრძოლა თუ გვაიძულეს,  
ხალხიც დაედგებით მაშინ ძალაზე...

და მართლაც დადგა ერთ პირს გლებობა,  
უკეთ—ჩაგრული მისი ნაწილი,  
იგი ბიჭინა—ფირალს ემხრობა,  
მეთაურია ვინაც დაცდილი,

ვისიც ქოხი სდვას გაბაძიანში,  
სადაც ბიჭინას არის სოფელი  
ქონში ჰყავს მამა, შესული ხანში,  
და და მოხუცი დედა-მშობელი...

გარკინსკი  
ნიკოლოზი

იმ წელს ბიჭაც ამ თავის ბინაზე  
ნახეს პირველად შემოპარული,  
ამბობენ: ტყეში ამას წინაზე  
მოაწყო სოფლის კრება ფარული.

მოლაპარაკე ახლდა თან უცხო  
და საუცხოვოდ სიტყვის მთაფლავი,  
მან გლეხებს გულში წყლული დაუცხრო,  
და აუტოკა გული და მკლავი...

სძინავს გაზაფხულს ლურჯ ატლასებში.  
ჰა, განთიადმაც გასწია ფარჩა.  
გამოიღვიძეს: შრომელ კლასებში  
ბრძოლას გარეშე არავინ დარჩა.

გაბაძიანთ კარს, ბიჭინას სოფლად,  
სადაც იწყება გულ-ფართე ველი,  
სადაც დნებოდა გლეხოზა ოფლად  
და იყო სხვისი მიწების მზენელი.

სადაც ცვდებოდა მშრომელთა ძალა,  
ძალა ყოვლის მძლე და შემოქმედი,  
უღიერს ბატონს მიჰქონდა ღალა,  
რომ დაეწყველა თვით მშრომელს ბედი,—

გუნდათ და გუნდათ ბუბუნებს ხალხი,  
ეტყობა რაღაც სხვა მღელღარება...  
იქით სასახლეს ჩაუცვამს თალხი,  
კბილთ ვერ ხსნის, დანაც ვერ ეკარება...

ამბობენ, გოგო—მოჯამაგირე  
სულ გაეფიცა გაბაძის ოჯახს.  
ვინ შეასრულოს თუნდ საქმე მცირე?  
ვინ დარეცხს ჭურჭელს? ვინ დაგვს ოთახს?

ბატონის ცხენს ვინ დაიურავებს?  
გაასუფთავებს ვინ იმის წალას?  
გლეხებს, ბატონებს და მოურავებს  
ეს ერთნაირად ვინ უსობს ღალას?!

ტყეში გავარდნილ ფირალს ყვებიან  
და თმებ-გაწეწილ სოციალისტებს?  
ბრიყვები, ნუთუ ეხუნებებიან  
მთავრობის ჯარებს, თოფებს და ხიშტებს?!

უკვე მაზოაში გაჭრილა ჯაბა,  
სთქვეს, რომ მოჰყავსო ეჭუტუტია...  
მისთვის სცალია მთავრობას, აბა...  
თავადს თუნდა ჭვაც თავში უცია...

რევოლიუტია თვით ემუქრება,  
გალესილ მახვილს უღერებს ხურგში,  
იწყო მუშებმა რა ამქუხრება  
ოდესას, მოსკოვს, თუ პეტერბურგში...

მათ მისდევს ბაქო, ტფილის— ბათომი,  
არ ჩამორჩა არც პაწა გურიცა...  
მანჯურიაში წააგო ომი...  
მთავრობის საქმეც წაგებულა...

მთავრობის საქმეც წაგებულა...  
მთავრობის საქმეც წაგებულა...  
მთავრობის საქმეც წაგებულა...



მაგრამ დაჭრილ მზეცს მაინც ემსგავსვის,  
კლანჭ მოკვეთილი კბილთ ახრქიალებს,  
წყალ-წალღბული იმედით ხავსის  
ის ტალღებ შორის მაინც ტრიალებს...

ფრიალებს ყველგან წითელი დროშა,  
იმედით ტოკავს მებრძოლთ გულგები,  
და გამარჯვებაც რომ მოაქვს დროსა,  
მას უკვე გრძნობენ დაჩაგრულები...

მხოლოდ გრძნობა და გულ-ხელ დაკრეფა  
არის ბრძოლისთვის რამე ბედენა?  
ის ხომ არ არის კორწილის სეფა?  
აქ კკუა სჭრის და შემდეგ—ბერედნა!..

და აი, უკვე გაეარდა თოფი:  
— განიარაღდეს მთავრობა უნდა!  
დაჭრილ მზეცს პირზე პოედო ცოფი,  
დრომ მიაყარა მას ქვა და გუნდა!..

შუოთავს ამ ქვეყნის ძლიერთ ბანაკი,  
რა ამოძრავდა ხალხი მშრომელი,  
მინდვრები, მთები, ტყე თუ ქალაქი  
ყალყსა სდვას, არის დაუდგრომელი.

რომელ ერთს უნდა მოჰკიდონ ხელი?  
რომელი ერთი მოაოკონ უნდა?

განდგომილსა ჰგავს ყველა სოფელი,  
კანონი, წესი სულ გადაბრუნდა.

რა ჭნან? მიზართონ ცეცხლსა და მახელს?  
ვაი, თუ თვითონ ემსხვერპლონ ხანძარს.  
არა და რას ჰგავს თავ-გასვლა ხალხის  
თუ მივანებეთ, დაგვატეხს თავზარს!

და გამონახეს ეს საშვალღება,  
წყალ წალღბული ხელს ხავსსა სჭიდებს:  
სულთან კრიმ-გირეს დაევალება,  
რათა ის სოფლებს ჩამოივლიდეს.

მოინახულოს მან იქ გლეხობა  
და გამოაჭიფხოს ამ მთის, იმ ბარის,  
ნახოა: ერთობას ის სულ ემბრობა,  
თუ ვინმე მაინც ჩვენს მხარეს არის,  
და შეიძლება გადმოზირება,  
ან გამხნეება აღვილზე მათი,  
თუ გინდა ხალხის მონადირება,  
უნდა ადინო ენას შარბათი.

მცირე ხნით მაინც იქნებ ამ ხერხით  
მოხერხდეს ამტყდარ ზღვის შეჩერება,  
სანამ საკმაო ჯარებს აქ შეუყრიტ...  
კვლავ კი მათ არეინ მოეფერება!..

მოდის მოხელეც, წესული ხანში,  
მღვდელმთავარივით თეთრი წვერებით,  
თავს უკრავს მისებრ ქილარებს ხალხში  
და მხარეს თვისი მშვენიერებით.

— მოგესალმები, ტურფა გურია,  
 რომ გსხმია ხალხიც ტურფა და კობტა,  
 თუმცა-ღა ჩემთვის უცნაურია,  
 აქ რაც სამძიმო ამბები მოხდა!

მაგრამ ხელმწიფე ჩვენი სულგრძელი  
 არ გადახედავს თქვენს უგზურებას...  
 ჰა, ჩამომართვით მეგობარს ხელი!..  
 და მკენარს ხელს უწვდის ის ხალხის კრებას.

ხალხში კი დრტყინვა გაისმის მძიმე  
 და სჩანს ყოყმანი წინა რიგებში...  
 ამ დროს წარსდგება ჭაბუკი ვინმე,  
 გამორჩეული თანსწორ ბიჭებში.

გვერდითაც ორი ხანში შესული  
 ამოუდგება ამ ჭაბუკს გლეხი,  
 რაკი არიან ქებულ—შესხმული,  
 მათაც მოხელის წინ გასდგეს ფეხი.

— ბატონო სულთან!—იწყებს ჭაბუკი:  
 ტურფა თუმც არს ქვეყანა ჩვენი,  
 მაგრამ ცხოვრება გვაქვს უბადრუკი:  
 არა სჩანს წელის ჩამოსასვენი.

ჯერ შემამულე გაგვაკლის ღალას,  
 საღეერობასაც ხარკად რომ გვადებს,  
 კვლავ პოლიცია წაიღებს ძალას  
 და გვთხოვს უდიერ გადასახადებს...

მიწა კი ჩვენი მწირ—ღარიბია  
 და ისე მცირეც თვითოსა წილი,  
 რომ, საკუთარში ხბო თუ გვიბნია,  
 სხვის მიწაზე აქვს კული გაწვდილი...

ცხოვრება ხდება აუტანელი,  
 თუმც ის ზოგისთვის ყველაფერია,  
 როდესაც ოფლით გაუბანელი  
 ჩვენთვის თვით ლუკმაც არა სწერია...

ჩვენ გესურს, ეს წესი რომ შეიცვალოს  
 და მიეკუთვნოს მიწა მის მშრომელს,  
 რათა მშრომელი კვლავ არ ეწვალოს  
 და არ ემსხვერპლოს ჭირს დაუცხრომელს.

ჭირად კი ურიცხვს ვსთვლით მუქთახორებს.  
 რათ უნდა ჰკვებოს ისინი ხალხმა?  
 ხალხი მათ თვითონ ჩამოიშორებს,  
 თუ არ აქნება ხელმწიფეც თანხმა.

და თუ ხელმწიფე მართლაც ჩვენია,  
 როგორც ეს უკვე თქვენ განაცხადით,  
 მას ჩვენი ტანჯვის რად არ სტყვენია?  
 ან ასეთ დღეში რათ უნდა ვყავდეთ?!

და ეს არ იყო კითხვა უბრალო,  
 ეს იყო რისხვა მთლად ხალხის კრების,  
 თუმც სიტყვა, მაგრამ სიტყვა პიტალო,  
 ვით ვარდნა ციდან მუხის და ქვების!..

შეკრთა მოხუცი მოხელეც მის წინ  
 და იყო უკან ხევა და კრუნჩხვა...  
 ეს მოხდა თუმცა მაისში, დღისით,  
 მაგრამ ჰკრა თითქოს თვით ზამთრის სუსხმა.

აღსდგა მაისი მეხად კაბუკში!  
 ჩადგა მოხუციც უკან ზამთრულად...  
 ცხადია, იცნეს მეგელი—ცხვრის ქურქში!  
 ცხადია, შეხვდა მას ხალხი მტრულად!..

თუმცა კაბუციც იცნო იქ ხალხმა,  
 და ხალხთან—ჯაბამც და მურზაყანმა,  
 მაგრამ იქავე იმისი გათქმა.

ვერ ჰხედა ვერც ერთ იმათაგანმა,  
 რადგან მოსდრიკა ისინი ხალხის  
 გამბედაობამ და პირმეხობამ!  
 იწყო მთავრობამც ტანთ ჩაცმა თალხის...  
 და გამარჯვებაც იგრძნო გლეხობამ...

იმ დღეს ესვენა რალაც გულმშვიდათ  
 გაბაძიანთასეული მერე:

წელს მოსავალიც გლეხთ მოუვიდათ  
 და არც ღალისთვის შეწუხდეს მერე...

და იგრძნო მერემ, დედამ-მშობელმა  
 შრომის შეილების ეს ტკბილ განცხრომა.  
 ამოისუნთქა შვებით სოფელმა,  
 თავისუფალი რა ნახა შრომა.

მაგრამ ეს სოფლის ტკბილ—მოსვენება  
 ესო მთავრობას გულს ეკლის წვერად...  
 და მოუვიდა, ჰა, მოხსენება,  
 რამც შეაყენა ეს ხროვა ცერად!

რომ ჩოხატაურს დიეცა ურდო,  
 სოციალისტთა უხეში ბანდა...

მისთვის მთავრობაც შეიქნა უნდო  
 მყის აღიკურვა და გამოქანდა!...

მოდის და ხედავს იგი აკლებულს  
 საპატიმროს და საბოჭაულოს,  
 „პრისტავ“—მურზაყანს დაპატიმრებულს,  
 აწ ხულის კარი მას ვინ გაუღოს?

ის ჩაფარდნილა ბიჭინას ხელში  
 და ჰყავს ხულაში გამომწყვდეული...  
 ჯარის მეთაურს ბრაზი სწვდა ყელში,  
 რომ უბრძოლველად არის ძლეული!

რადგან გარშემო წითელ რაზმელთა  
 გუნდები სერვენ სოფლების შარებს,  
 მათ იარაღი უგდიათ ხელთა:  
 ემუქრებიან წინიდახ ჯარებს!

მაგრამ არც უკან დასახევი გზა  
 მოსწანს ჯარის წინ იმედიანად...  
 მაინც დილითვე ის შეიქნა მზა,  
 რომ დაეხია უკან მზიანად...

და ღამით, როცა ცხავათის ყელში  
 დაბრუნებულტ გაგრძელდა ჯარი,  
 მას იქით-აქეთ ბომბებით ხელში  
 თავს წითელ-რაზმელთ დაასქდა ზარი!..

პირველ ყუმბარას ისერის ბიჭინა  
 აქვს საოცარი სროლა და სენთი:  
 მკვიდრი ადგილი მით დაიჭირა  
 და ჯარს იქიდან დააგზნო ღენთი...

დაიბნა ჯარი, გაწვა მიწაზე  
 და იწყო ბრძოლა საალყო წესით...  
 მთვარე იმ ღამეს არ სჩანდა ცაზე...  
 ხვეი ათვისო ოხვრით და კვნესით...

დაჭრილ ვეფხვს გაედა მთელ დღეს ბიჭინა,  
 თუმც დაამარცხა მთავრობის ჯარი,  
 სრულიად მაინც ვერ ჩაიჭირა  
 და გასაძრომი მონახა კარი...

გადარჩა თუმცა მცირე ნაწილი,  
 სოფლებს შეუნთო ცეცხლი, მზარავი,  
 ვით მოფარდნილი დათვი, დაჭრილი,  
 გზად არ დაინდო იმან არავინ.

და თუმცა ამან ველარ უშველა  
 მთავრობის საქმეს, უკვე წაგებულს,  
 რწმენა, იმედი წავიდა ყველა,  
 სასო წაერთო ჯარს, დამარცხებულს.

და ქალაქიდან აბარგებული  
 ცეცხლს და ტყვიაზე თუმც კელავ ფიქრობდა,  
 მაგრამ თან ჰქონდა მას გაგებული,  
 რომ მტერი უკვე ქალაქს იპყრობდა...

„საგმირო“ საქმის წავიდა მადა,  
 წითელმა რაზმა შესცვალა ჯარც,  
 მან რესპუბლიკა გამოაცხადა  
 და რეაქციას დაუსვა ჯვარი...

— „იქ, პეტრობურგში შარშან, დღეს დღეს  
 დახვრიტა ნეფემ მუშათა კრება...  
 შედეს რომელმაც ჩაიდინა ეს,  
 აწ მოსვენება აღარ ექნება!

ჩვენ თვით შევაგსებთ დახვრეტილთ რიგებს!  
 ჩვენ ანოვიგებთ სისხლს ჩვენის ძმების!  
 და მტერიც ძალას მაშინ შეიგნებს  
 შეერთებული მუშათა ნების!

ძირს არამზადა მთავრობა. ძველი!  
 წინ, დროშა, ჩენი, მძლე და აღური“!..  
 ზღვად იდგა იმ დღეს ქალაქში ვრცელი  
 ხმა, გმირული და მუსიკალური!..

და ტრიბუნაზე მჯობნე მჯობნისა  
 ორატორების ჩნდებოდა რიგი.  
 იდგა ზეიმი გამარჯვებისა  
 და ხალხის გულში ცეცხლს ჰკვესდა იგი!..



მაგრამ ბიჭინა სულ მთლად ცეცხლს ჰგავდა,  
 ვით მეთაური ამ გამარჯვების,  
 ის ყოველ სიტყვით გულს შანთით სწვავდა  
 და შიგ ანთებდა ალს აღტაცების!..

წელს „ცხრა იანვარს“ აქ ასე შეხედენ  
 და რესპუბლიკაც დაფუძნდა იმით,  
 და დღის ხალისით ვერც კი დაეპყდენ,  
 თუ რა შხამს ლესდა მაცდური ღამით.

ვერაგი მტერი ჯარებს რაზმავდა,  
 იღრინებოდა გესლიან კბილით,  
 და რასაც ხალხი გრძნობით კაზმავდა,  
 მან ქარცეცხლს მისცა მეორე დილით!..

მიდის ეტაპი ირტიშის გზაზე,  
 მდინარის კიდეც მისდევს, ვით გველი...  
 მზე არსად მოსჩანს პირუკემს ცაზე...  
 ქვეშ ნისლია და ზევით—ღრუბელი..

იქით და აქეთ ლურჯი ტაიგა  
 ისე სდგას, თითქოს ცა ჩამომსქდარა,  
 შიგ მხეცი ღმუის და აქა-იქა  
 შეიშნია მისგან ციმბირის შარა...

და განა, მარტო მხეცის იციან  
 შიში ნადვის და ფიჭვის ხავსებმა?  
 აქ ხომ სხვა და სხვა ნადირნი ძრწიან,  
 აქ ხშირად კაციც მხეცს ემსგავსება!..

უკვე დაღამდა, როცა ეტაპი  
 შესასვენებლად შესდგა წყლის პირზე,  
 ტალღა ტალღას სდევს, გოროზი სწრაფი,  
 და ლოკავს ის ქვეშ მდინარის ძირზე...

დაანთეს ცეცხლი და პატიმრები  
 ჰყავთ მოწყვედული გუშაგებს წრეში,  
 დაღლილებთ სჯორგავს მძიმე სიზმრები  
 ამ ტანჯვასა და ამ სიმწარეში...

ზოგს მაინც ძილი არ ეკარება  
 და სევდა გულზე ლოდევით აწვეს...  
 ნიაფი ქოჩორს რომ ეპარება  
 და ჯეჯილივით ვარცხნის და არწვეს,

სწორეთ ეს არის ჩვენი ბიჭინა,  
 ბოლოს რომ მტერმა უხელთა მსა:  
 ხელ-ფეხს ბორკილი შემოუჭირა  
 და გაუყენა ციმბირის გზასა...

გზა გრძელია და ძნელიც, ვით მსხვერპლი,  
 მაგრამ სიმძლევეც აქ ვერას გახდა,  
 გმირს ისევე შერჩა გულმკერდში ღველფი:  
 პა, გატყდა გზა და გმირი არც გატყდა!..

მოხლმა და მაჯამ არ იცის დაღლა,  
 ძარღვებშიც—სისხლი, ცხელი, მდუღარი...  
 ცივა სწუხს ქვებზე მდინარის ტალღა,  
 გმირის გულში კი ღვივის ბუზარი...

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ჩუ! შორეული ნაცნობი ხმები:  
— კის-კის-კის... კის-კის—იცინის წყალი:  
ამ ცივს ციმიბირში, სთქვი, რისთვის ხმები  
და გვეყინება, ვაჟკაცო, ძვალში?!

ვახსოვს, მურზაყან ხელაში გვეყავდა?—  
თავისუფლება შენ. სთქვი ნადირის!  
ნასაკირალზე შენ იგი ვკლავდა,  
მისგან ნანგრევმა გიხსნა საკირის.

ჯაბა დაჩიხე ცხავათის ყელში,  
ხელში გაგიღნა ჯართან ეს გველიც,  
და როცა თვითონ ჩაგიგდო ხელში,  
აქი მოვაგო ეს სატანჯველიც!..

ახლა რას ფიქრობ? ხედავ ტაიგებს,  
შენის ფიქრებით ვით დაყათრულან?  
გინდა გაიქცე? მტერი გაიგებს!  
მცველნი ხომ შენებრ არ მოქანცულან:

ისინი სცელიან ერთმანეთს წყებით  
და დროდ, ვით ბარგი, ურმებზე ჰყრიან,  
და რა თქმა უნდა, რომ თქვენ იქნებით  
მოქანცულები მათზე ძალიან...

გაქცევა გინდა? ხედავ ტაიგებს?  
დახლართულაა შიგ ცულათ გზები...  
გაიქცევი და მცველი გაიგებს  
ან გზაში მარცხზე წამოგეგები!

მე დაგეხმარო? მომიკვდეს თავი,  
უნაყოფოა შენი მუდარა:  
აქ ტაიგაა შენი საფლავი  
და ცივი ნისლი—შენი სუღარა...

იქ კი... იქ, სოფლად, გაბაძიანში  
დაგრჩება ქოხი, და ქოხის გარდა,  
დედა და მამა, შესული ხანში,  
და გასათხოვი დაც, ახალგაზრდა..

ახ, რომ იცოდე დის მწველი სვედა,  
რა რიგ სწუხს შენზე შენი მანანა!..  
ჯაბა გაბაძე მოსისხლეთ გდევდა,  
ვაი, თუ კვლავაც რამე განანა!..

„პრისტაე“—მურზაყანს შენ რცნობ კარვად!  
ჯერ დაუნდვია იმას რომელი?  
სოფლიდან სისხლი სულ მიაქვს ხარკად,  
ისიც მგელია გაუძღომელი!..

დასტოვე სოფლად ეს ორი მგელი  
და იმით გვერდით—სუსტი ბატკანი...  
ვაჰ, თუ ვერაგმა გამოსჭრას ყელი,  
თავზე დააცხრეს ერთი მათგანი!..

ვიცი, წავიღებს შურის ძიება,  
მაგრამ თუ მოკლე დაგიოჩა ხელი,  
ვერ აგრძობინო შენის ციება  
და არხეინად დანაყრდეს მგელი!..



გარკინსუნი  
ზინზარონისა

შენ გაგაერთოლა? არა, არ გცივა,  
გულში სხვა სუსხი შემოგესახლა:  
ცივს ბორკილებმ ქვეშ ძარღვები გცივია,  
მათ გადამსხვრევას რომ თქეობ ახლა...

მოდრაობს ქლიბი ლამით მალულად,  
უკვე საკმაოთ გაიჭრა რკინა,  
და გულშიც ზრახვა ასე ფარულად,  
იმედის სხივით ამუჭებს წინა!..

აქ კი... კვლავ... „კის-კის“—იციინის წყალი,  
მიხტის და ლოკავს იგი ქვებს გზაში...  
სიცივემ უკვე გააყინა ძვალი  
და უყრის ნემსებს ტყვის ფარაჯაში...

მაგრამ ტყვემ მაინც არ იციის დაღლა:  
ძარღვში სდის სისხლი, ცხელი, მდლლარი...  
ცივა, სწუხს ქვებზე მდინარის ტალღა...  
გმირის გულში კი ღვივის ბუბარი...

ამზობენ: ერთ წელს გაბაძიანში,  
როცა სოფელზე მეფობდა ბნელი,  
ვერ ეტეოდა რა მხეცი კანში,  
ბიჭას ქობს მართლაც მივარდა მგელი.

მგელმა ნავნევი თუმც მოიტანა,  
ვერ შეისრულა მაინც წადილი:  
ბიჭინას მამამ გალესა დანა  
და ქობიდანაც დასძრა ქადილი!..

მოხუცი იყო ძვალ-მსხვილი გლეხი  
და მგელზე ჯიქურ აღრეც მისულა,  
მან იმ ლამესაც გაიდგა ფეხი  
და ნადირის წინ არ დამქისულა...

მხოლოდ ბატკანი შეუერთო მგელმა  
და ელდა—კრულმა დიდხანს იწვალა:  
სენმა შეიპყრო ის უღმობელმა  
და ზამთრის გასულს გარდაიცვალა...

ვერ აიტანა დედამც და გააყვა...  
დაქერივდაობლდა მოხუცი ქობში,  
თუც კვლავც მოთოკა მან ბევრი მარხვა  
და სვლავ ბევრს ზამთარს ჩაუდგა დოღში...

ბევრ გაზაფხულზე თესა და ფარცხა,  
ბევრი ზაფხული კიდევ იწვალა,  
სანამ დრომ ქობიც არ დაამარცხა,  
როცა მოხუციც შიგ გარდაიცვალა...

ასე ამოწყდა ბიჭინას კერა  
და დარჩა სოფლად მწარე ამბავი,  
რომ ლამით მხეცი ქობს დაეძგერა,  
ქობს არ დაურჩა ძალა ამთავი.

დახვდა მოხუცი, ვით მამაკაცი,  
მაგრამ ქალები მოიცვა შიშმა,  
მხეცის კბილს არ ხვდა თუმც გასატაცი,  
მაინც ქნა თვისი ნადირის ჯიშმა...



და როცა წელმა შესცვალა წელი,  
დრომ ჯერ დაახშო იმ ქობის კარი,  
შემდეგ თვით ქობსაც მოხვია ხელი  
და ნაქობარზე აკენესდა ქარი!..

და დააქვს ქვეყნად ქარის ამ კენესას  
მწარე ამბავი გლეხის კირაზე:  
ხან ტყვიასავით მიაყრის ტყესა  
ნისლის ბურთულებს ნასაკირალზე,

ხან გადაიტანს იქით, გადაღმა,  
და იწყებს ქექით ჰაერის ბანას,  
თითქოს ეგ მხეცის შორით ისმის ხმა  
და გლეხის ქობშიც ლესავენ დანას.

რადგან დახედრა უნდა მხეცს, ავსულს,  
რომ ვერ ისრულოს იმან წადილი!  
ასე აწყდება ყოველ მხრით ჩაგრულს  
სიბნელისა და მხეცის ქადილი!..

— გესმის შენ, ჯაბა? მურზაყან, გესმის?  
დაბრუნებულა უკან ბიჭინა...  
ესმის თვითთულს და თავბრუც ესხმის,  
ამბობს: ნეტავი, არ დაგვეჭირა!

ან იმ ქობს მაინც თავს არ დავსხმოდით,  
თუმც ჩვენს კვალი მგლისამ შესცვალა...  
ვისი პირითაც, ვსთქვათ, გავითქმოდით,  
ისინი ყველა გარდაიცვალა...

მაგრამ ბიჭინა, ძველ მონადირეს,  
გაეპარვის კი ნადირის კვალი?  
მიხვდება ის აქ სარჩულ-საპირეს  
და ერთ ჩვენგანზე შერჩება თვალი!

ახლა ხომ ხეირს ის არ დავაყრის,  
აწ მოსვენება არ გვიწერია,  
თავს დაგვესხმის და აგვიკლებს, აგვეყრის,  
რაც დღე ჩვენ გველის, შენი მტერია!..

ასე თრთის დღეს ეს ორი ბაჭია  
და შავს დღეს ელის თითო მათგანი...  
შავს დღეს კი მოსვლა ჯერ არ ატყვია!  
ბიჭინაა ეს, თუა ბატკანი?

მაგრამ ბიჭინა ის ხომ არ არის,  
ტყეში რომ ისრით ჩიტები ხოცოს?...  
მდომია მტრისთვის მეტი თავზარის;  
მთელს ძველს წელს მალე შეუნთებს კოცონს!..

ციხემ, ციმბირმა, კატორღის სუსხმა  
სულ სხებერ შესცვალა კაცი, მებრძოლი,  
გული, ვონება და ნებაც—სულ სხვა,  
ვით მარგალიტი, მოჰყვა თბილი.

მოვიდა ის, ვით უკიდურესი,  
დაცდილ მოწაფედ ლენინის დიდის,  
რათა გაღესოს ხმალი უღესი,  
ამღები ყველა ციხის და ხიდის.

კომუნისმისკენ მშრომელი ხალხი  
რომ წაიყვანოს გზით უტყუარით,  
ძველს რევიმს უნდა ჩააცვას თალხი  
და გაუთხაროს საფლავიც ბარით...

ჰა, დროც უღიმის: სარაევოში,  
გავარდა თოფი, საბედისწერო,  
— შენ სახიფათო, მოჰყევი, დროში,  
ბედი გდარაჯობს და ძრწოდე, მტერო!..

ჯერ გაავრცელა დეზერტირობა  
და ბედით ომს მით უშალა ფეხი!  
ფრონტს რომ დასჭირდა მისი გმირობა,  
ისიც გავარდა იქ, როგორც მეხი!..

ბოლშევიკების პირველი ჯგუფი  
დასძრა ბიჭინას ბელადათ ყოლამ!  
ასე უაზრო ომი და ჩხუბი  
სამოქალაქომ შესცვალა ბრძოლამ...

ჰეი, რამდენი გაგლიჯა ბარდი  
ბიჭინას რაზმმა ბელადით თვისით!..  
რევოლიუციის ლხინი თუ დარდი  
ასე ატარა ღამით და დღისით...

და გამარჯვებას რომ მიაღწია,  
თოფი შესცვალა თოხით დროებით:  
ირჩია თვისთვის საქმე ჰაწია  
და დიდი მხოლო დიდ სასოებით...

გაბაძიანთასეულ მიწებზე,  
მერეა ის თუ ნასაკრალაი,  
მოაწყო შრომა, ახალს წესებზე,  
ქნა საქმე ხალხის გასაკვირალი...

— არა, რა უნდა, ნეტა, ამ ტყეში?  
რა ოქროს მისცემს იგი ეწერი?  
თუ სურს გაგყაროს სასიროცხეო დღეში  
და გესლით ჩვენზე აცინოს მტერი?!.

— რა მუდლობა იჩინა მიწის  
რევოლიუციის ამ მართლაც მუდომ?  
კაცი ჰკუაზე შეშლა ვით იცის,  
ვაგლახ, დროებამ, მუბთალმა უნდომ!..

— ამ ტყეს რომ ჰკაფავს, მგელს თუ დაეძებს  
ან თუ სურს ტურებს დახადონ ტყავი?  
ზედ რომ ელევა გვიმრიან ეწრებს,  
აღბად, სრულიად დაკარგა თავი!..

ბევრს უკვირდა და ბევრი ნანობდა,  
ბევრიც ხარობდა გულში მალულად...  
გზებზე კი აეტო დაქაქანობდა,  
თან მძიმეთ და თან გამალებულად

უზიდებოდა: ხე-ტყეს, ქვებს რკინებს,  
კირს, სილას, ცემენტს, ხრეშს თუ აგურებს...  
— ეს კაცი, ნეტავ როდის იძინებს?  
საქმემ ჩაყლაპა, არვის აუურებს...



ასე ყბედობდა ზოგი მოცლილი,  
და როცა ქალაქს მიაკლდა შეშა,  
დარჩა ბიჭინა ძღვევამოსილი:  
ალაქს სათბობი მან უფეშქაშა!..

მან ხომ გაჩეხა ნასაკირალის  
მიმდგარი ტყე თუ ჯაგნარი ხშირი!..  
შემდეგ დრო დადგა თოხის და, ბარის...  
არ დარჩენილა მიწაში ძირი!

— ეს ეწრებში რომ გადაუფუგნავს,  
გვიმრის ძირებს თუ დაეძებს ლორი?  
ეპ, კაცის ქკუას რალაც არ უგავს,  
თავში შესვლია სიგიჟის შმორი!..

— რა? ჩაის თესვას შესდგომიო?!  
სულ მთლად წასულა კაცი ხელიდან!  
ჩაი იქ აღრეც კი იყო, ძმაო,  
მაგრამ იმისგან რა გამოვიდა?!

ასე ხალხს ჰქონდა ენა-ბოძალი!  
ეს კი იმ ხანას ეკუთვნის, როცა  
გვქონდა იმპორტი, ერთობ დიდ ძალი,  
კაპიტალის რომ მოსდევდა ლოცვა...

მაგრამ, როდესაც იმპორტის წყალი  
დაეაშრეთ დღემდი მძლეღ ნადირები,  
ვით იქ, სად უნდა ჩასდგად კაშხალი,  
რომ ამ უშავდეს კვლავ ტურბინები,

მაშინ ამ ყბედებს მიაკლდათ ჩაი,  
ჩინეთის იყო თუ ცეილონის,  
და უნებლიეთ აღმოხდა „ვაი“,  
უიყედობით უმწეო მონის...

იმედის შუქათ გამოჩნდა მაშინ  
წინ ბიჭინა და ნასაკირალი,  
აწ ახალ შრომას რომ ედგა თავში,  
ვინც აღრე აქვე იყოს ფირალი,

როცა ებრძოდა ძველ წეს და ძაღას,  
ხოლო ვაგება არ ჰქონდა ბრძოლის:  
ვალდებულებად იცნობდა ლალას  
და დღეებს ბატონთ წინაშე თრთოლის.

ვინც სტიქიურად ასტება ბედმა  
და წინ გაიგდო პროტესტით ტყეში,  
რა არ დასცადა იმისმა ქედმა?  
რა არ იხილა მან თავის დღეში?..

და დღეს, როდესაც წელთა გრივალმა  
გამოცდილება ბევრი შესძინა,  
სახე იცვალა ძველმა ფირალმა:  
შრომის მოთავედ გახდა ბიჭინა!..

გახდა ის? არა, რას გახდებოდა,  
დროს რომ არ ეხმო რეოლოჯიის?  
რადგან დიადი გეგმა სდგებოდა  
სოციალისტურ რეკონსტრუქციის!



ეს ჩაისმშენიც, მთლად მშენებლობა,  
ეს ხომ ხაზია იმ პარტიისა,  
ვინაც ბიჭინას უყო მშობლობა,  
და ვისაც გულით ეკუთვნის ისა!..

თურმე საკუთარ უნს კი არ სდევდა,  
ის რომ აქ მიწას იფუგნებოდა,  
ის დავალებას პარტიის სწევდა,  
რაკი ახალი გეგმა სდგებოდა...

გეგმა ხუთ-წლედი, რეკონსტრუქცია  
მილიონების საქმეა მნათი,  
იმით შექმნეს ეს რეკოლუცია  
და ბიჭინაც ხომ შეიღია მათი!..

ზეიმობს მამა, ზეიმობს დედა,  
ზეიმობს დაც კი, უდროოდ მკდარი,  
ლხინობს სოფელიც: ზედა თუ ქვედა  
და ნაფირალის ლხინობს სახლ-კარი.

თუმც სახლი ჯაბამ ვალში გაჰყიდა,  
რომ მით აღაპის ხარჯი აღეჭლო,  
შემდეგ მიწისკენ თვალი უჭრდა,  
თვისთვის რომ სურდა ბიჭინას ეზო.

და მაშ, სადღაა სახლი ან კარი?..  
მაგრამ პარტახზე ძე აღიმართ,  
პარტახის მტრებს კი დაეცათ ზარი:  
ამ მტრების მტერი ძე არის მართლა!

გაბაძიანის მიწის შეიღია,  
სიკო ბიჭაძის ვაჟი, ბიჭინა,  
მაგრამ სახელით შორს გაწვიდილია.  
პირველებშორის ადგილს იჭირაეს!..

სოფელიც ამით ამაყოფს დიდათ,  
და თავს თუ რამე დაატყდა ჭირო,  
ბიჭინას უმზერს აქ გზათ და ხიდათ:  
ჯერ შეიღია და შემდეგ-კი გმირი!

და აი, სოფელს ერთ წელს ეწვია  
რაღაც ახალი: ჭირო თუ ლხინი?..  
კაცის მზაგერელი ხშირად ბეწვია,  
თუ რომ ამ ბეწვმაც იჩინა თინი!

უინით კი არა, რკინით მოვიდა,  
მაგარი სიტყვით, საქმით მაგარით:  
ზოგისთვის ლხინით, ზოგის-გლოვითა  
და ზოგის კიდევ-თაებრთ, თავზარით...

შესძრა სოფელი ამ „ახლად მოსვლამ“,  
კოლექტივი რომ გამოაცხადა...

— შა, ვნახოთ ახლა, რას სქამთ, რას მოსვამთ  
და ან პატრონი სადა გყავთ, სადა?!.

ასე უქნევდნ თითს ბობოლები  
სოფლის ღარიბებს, ტუქსვით, მუქარით:  
— გამოიტანეთ სოფლად ბრძოლები  
და ძმობას ძირი გამოუთხარეთ..



ერეკლესი  
ნიკოლოზიძე

ჩვენ თუ რამ გვექონდა, ხომ თქვენიც იყო,  
კირში სოფელი ვინ გაპყო, აბა?  
გახსოვთ, რომ მოკვდა ბიჭაძე სიკო,  
აღაპს თაობდა გაბაძე ჯაბა!

თუმც სიკოს ვაჟმა მას ძმა მოუკლა  
და ასე ამ ორს სისხლი სთიშავდა,  
მაგრამ... მკვლელს როცა მამა მოუკვდა,  
მსხვერპლის ძმა მკვლელის მკვიდრ ძმასა ჰგავდა...

ასეთი იყო ჩვენი ერობა,  
კირსა თუ ლხინში განუყოფელი...  
ახლა კი მოდის ეს უღმერთობა  
და ორ ბარაკად გაპყო სოფელი...

ძმამ გულში დანა ძმას დაუმიზნოს,  
განა წესია ან სამართალი?  
ეჰ, რაღას ვაქნევთ ამ დღეს უმიზნოს,  
სიკვდილი გვიჯობს, გითზრათ მართალი...

თუმცა სიკვდილში რაა ასეთი  
სასურველი ან სახარბიელო?  
ვინატრო ხმალი, შუა გამკვეთი.  
ესეც ნატვრაა, ვთქვათ, სატიელო?!

უარესიც, თუ ასეთი ხმალი  
ჩემივე ხელით შე მალესინეთ,  
მიჯობს, რომ აღრე დამიდგეს თვალი,  
ოლონდ კი ამ შავს დღეს ამაცდინებთ...

ნაცოდვილენი ჩემი სახლ-კარი,  
ეზო, ვენახი, ყანა თუ ბაღია,  
ვის ხელში მიდის, ახლა სად არის  
და გასაქელად ვაი, ვის დარჩა?!

ასე მსჯელობდნენ ისინი ახლა,  
ვინც აღრე სოფელს სულ ჰყოფდა ორად,  
ვინაც სოფელი კუდამდე გაბრა,  
იყო მკვლევრულად და მუქთახორად...

მაგრამ შეერთდა მშრომელი ძალა  
და მუქთახორებს ასდო აღვირი,  
რეკონსტრუქცია მძლეედ გაიშალა,  
გამოიშალა რა ძველ წესს ძირი...

გაბაძიანიც კოლექტივს იწყებს,  
იქ გლეხთ არტელმა დაიწყო შრომა,  
ხელი მოხვიეს თავადის მიწებს  
და „კულაკობაც“ გასწირა დრომა...

და მატრო მიწებს? ჯაბას სახლ-კარიც  
დაკოფრილ ხელებს ველარ გადურჩა!  
ამას ხედ მიჰყვა უღელი ხაოიც,  
ჯორიც და ჯაბაც ფეხმარდი-ლურჯა...

აღარ იკითხავთ მურზაყან-„პრისტავს-?  
სიდან გაჩნდა აქ მისი ბუნავი?  
ის რომ დაქვრივდა, ჯაბას დას ირთავს,  
სოფლად შეორეც გაჩდა, „კულაკი“!



ქართული  
ენციკლოპედია

ასე გასინჯეთ, სობესშიც მოხდა  
და იგდო ხელში ზორბა პენსია.  
ეს დიქტატურის იმ წლებში მოხდა,  
მას რომ უღირსი შემოეცია.

ჩამორიგეს მიწების ნორმა,  
შიგ „კულაკური“ გასდგეს ფესვები,  
მათ ასე ირგეს საბჭოთა ფორმა,  
ჯერ კიდევ ნორჩი ჩვენი წესები...

მაგრამ ის წესი, ჰა, შეიცვალა  
და „კულაკებსაც“ მოხვდათ ქეროში,  
კოლექტიური დამკვიდრდა ძალა  
მათ საყანეებს, ტყეს თუ ეზოში...

და ნასაკირალს, როგორც სარტყელი,  
ჩაის ნაშენთ რომ მოედო რკალი,  
გაბაძიანის გახლავთ არტელი,  
ერთად რომ იღწვის კაცი თუ ქალი...

ისევე ბიჭადე თაობს კოლექტივს,  
ამ გვარმა აქაც თავი იჩინა,  
ის ხომ შორიდანაც აფენს სოფელს სხივს:  
ნასაკირალით მზეობს ბიჭინა!...

როცა სოფელზე მეფობდა ბნელი  
გადაწვა ლოდით ლამის მონობა,  
დიდათ შეუწყო მან სოფელს ხელი  
და მიაწოდა ელექტრონობა!..

როცა სოფელი კოლექტივს სდგამდა,  
როცა კულაკებს ლაგმავდა მასა,  
მაშინ ბიჭინაც აქ გამოცხადდა,  
ხელმძღვანელობდა რა მრიგადისა...

და ორი ძველი პირადი მტერი  
თუ მოაშორა სოფელს, ვით წესი,  
პირადი იყო, შიგ არაფერი:  
თეპის ითხოვდა მას ინტერესი!

და სამოქმედო ეს ასპარეზი  
აქაც გაეხსნა რა ყოფილს ფირალს,  
მისცა მან სოფელს კომუნის გეზი  
და დაუბრუნდა კვლავ ნასაკირალს!..

მგზავრო, შესდექი წუთით ამ ადგილს  
და დასავლეთით გახედე ბორცვებს!  
აბა თუ ხედავ სადმე ტყის აჩრდილს  
ან ეს ცვლილება თუ არ გაოცებს?..

გადაპარსული მთის ფერდობები  
ბარით და თოხით ნიდავ-ფხენილი,  
ქედნიანები თუ ბეგობები,  
კობტად, ლამაზად გადავარცხნილი...

და ვით ყმაწვილი ვაჟის ქოჩორი,  
გზებით შუაზე გადაყოფილი...  
გზებიც რა? ხელის გულივით სწორი,  
რომ თვალი გრჩება ზედ კმაყოფილი...

შეაღე კარი, ნუ შიშობ, შედი:  
არ შემოგვხედება გზაში ფირალი,  
სტუმართ მოყვარედ მიგიღებს ქედი,  
ეს კულტურული ნასაკირალი!

და აპატიე წარსული მასა,  
როცა ბასრს ხანჯალს აბჯენდა ყელში,  
დღეს აქ თვის ბედს სქედეს მშრომელი მასსა  
და ძლევის დრომაც უპყრია ხელში..

წა, ბევრს საუნჯეს იხილავ იქით,  
ქედებს და ქედებს შუა მომწყვდეულს:  
წამოჭიმულებს კობტა სიჯიქით,  
შენობებს, მკვდრისა და ანაზღეულს!..

თვალწინ იზრდება ნორჩი კედელი,  
კედელს, კედელიც დოღში უდგია,  
იკურთხოს ხელი, მისი მკედელი,  
თუმც უმისოდაც ის ნაკურთხია...

მშორელი კლასრ ჰქვია ამ მკედელს,  
უდაბურშიც რომ აპყავს კედელი,  
ის შრომაშიაც ჰგავს რკინის მკვნიტელს  
და ციხეც არ სწამს აუღებელი!..

აბა, ეს კუთხე, ვსთქვათ, ვინ იცოდა,  
რომ გახდებოდა ასე წარმატაცი,  
სადაც დღისითაც კი მხეცი ძრწოდა,  
ან მხეცებრ ტყეში გაჭრილი კაცი...

და მაგალითიც ხომ ბიჭინაა,  
თუმც აქ ტყვე თვითონ სტეხდა ამ ციხეს,  
ეს ტყვეც ხომ აქ დღეს კაცი წინაა,  
დაბრკოლებების წინ რომ არ იხევს.

არის ვარღვევა თუ ჩამორჩენა,  
ბიჭინაც იბრძვის პირველ რიგებში!  
ენტუზიაზმის მასებრის ჩენა  
ბევრს არც კი ძალუძს მუშა ბიჭებში!

და თავდადების პირად მაგალითს  
ამ ხანში შესულ მეზრძოლი გმირის  
ვაგლახად, აბა, ვინ მოუქნევს თითს,  
ვის სურს გამოცდა ლხინის წილ ქირის?!.

— აბა, ბიჭებო! — დასძახის მუშებს,  
ვით უერთგულებს თავის მეგობრებს,  
და ამ ძაბილით გულში ცეცხლს უნთებს,  
ვით ადრე ომში — წითელ მეომრებს!..

როცა უტევედა მტერს, პოლიტიკურს,  
რომელსაც მარცხთან ახარობდა ბრაზიც,  
რადგან მეზრძოლი სცნობდა გზას, ჯიქურს:  
სულ წინ მიჰქონდა ცეცხლიც და ხაზიც!..

მან უკან შოლოდ ერთხელ იხია,  
სამოქალაქოს მომგებმა ომის,  
როცა მკითხველმაც მისი იხილა  
ნასაკირალზე დაწყება შრომის.



დღეს ხომ ეს შრომაც, ვით იგი ბრძოლა,  
იმარჯვებს მტერსა და ბნელს წარსულზე!  
დღეს ჩვენთვის ასეთ გმირების ყოლა,  
თითოა, როგორც „მისწრება სულზე“!..

სულზე უტკბესი ეს გმირებია  
დღეს კომუნიზმის მშენი, მგებელნი,  
ურეკები თუ ყამირებია,  
მათ აღარ რჩებათ აულეებელნი!

საცა კი მათი შრომა ენთება,  
უიმედობის ჰქრება თვით ლანდი,  
ვით ეს ტყე გაჰქრა და იქ შენდება  
ხასაკირალის ჩაის ვიგანტი!..

— არა, ეს ჩაის ტერიტორია  
ამ კაცს ამდენად როგორ იზიდავს?  
თუც ის წითელი დირექტორია,  
მაგრამ დირექტორს, აბა, რითი ჰგავს?

ჩიტიც ვერ ასწრებს დილით აღგომას,  
ტანზედაც ისე სადათ აცვია  
და ეტანება ყოველგვარ შრომას,  
თითქოს უბრალო შრომის კაცია.

და ჩამეც დროს მამულს განაგებს,  
მამულს კი მოვლა დიდი უნდება:  
ამ ჯაგს და გვიმრებს რომ ახანაგებს,  
რა მიწა თუ არ გადაბრუნდება,

თუ მუშა ხელი ვერ მოაგვარა  
ან კიდეც შრომის შექანიზება,  
თუ თესლი დროზე ვერ მოაყარა  
ან სხვამ უქუხლოთს შრომის მიზნებმა?!

აქ რომ ერთი დღეც მოუცდეს შრომა,  
საწარმგეგმაში თვე ნიაკლდება,  
გაზაფხულ ზაფხულ თუ შემოდგომა  
ის თითქოს ომში მტერს უმკლავდება.

აი, ამ ზაფხულს ჰქონდა გარღვევა,  
არ ისვენებდა არც დღით არც ღამით,  
სანამ არ შესძლო ამის დაძლევა  
და ასე წინსვლა მეტ სითამამით.

მოვა ზამთარი და საზრუნავი  
თითქოს სამს დროზე მეტიც გაჩნდება,  
სანამ წისქვილად თავზე მბრუნავი  
ეს წელიწადიც არ დამარცხდება,

და გამარჯვებას, სრულ გამარჯვებას  
არ დაუტოვებს იგი ბიჭინას!  
ასე, აცილებს რა წელთა წყებებს,  
მიღწევებს თითქოს ხელით იჭირავს...

ხვალინდელ დღესაც ხომ თვალს უსწორებს  
და უზრდის მამულს მომავალს! კადრებს.  
არ ჰგავს ქედ-მაღალ სხვა დირექტორებს:  
უბრალო ბავშვსაც თავს გაუყადრებს.

ოღონდ ყველამ კი იცოდეს ვალი,  
რეკონტრუქციამ რაც დააკისრა:

უპრიდეს ყური, უპრიდეს თვალი,  
 და ჰქონდეს მიზნათ სწავლა და წინსვლა.  
 ჯერ კიდევ ძვირობს საკმის მოყვარე,  
 საჭმეს ერთგული ბლომად სჭირია,  
 აქ კი პარველი მისი დამზმარე  
 ადგილობრივი კომკავშირია.

პარტუჯრედია თუ ადგილკომი,  
 როცა საკითხში ხედავს სიძნელეს,  
 კომკავშირული ჩაღდება რძი  
 და გააქვთ ლელო ყრმაღენინელებს!..

აქ დირექციაც მუდამ მზად არის:  
 ხელის შეწყობა მას არ აკლია,  
 სამკუთხედში რომ თანხმობა არის,  
 სპარბობს მიღწევა, მცირე ნაკლია.

არა, ასეთ სწორს ხელმძღვანელობას  
 ყველა მამული ვერ დაიკვივნის.  
 რგებს არა მარტო ამ მშენებლობას,  
 სიჭადღულია ის მთელი ქვეყნის!

არ ნახავთ ასეთ ამხანაგს არსად,  
 როგორც შრომის გმირს და ბრძოლის რაინდს,  
 იცი, ქალაქს რომ ეფიჭრნა ასვლა,  
 სახკომისრობას მისცემდენ მაინც!

მაგრამ ის მამულს ხომ არ შორდება,  
 ახალს ხუთ წლედშიც მას მიემავრა,  
 და კვლავც წლით წლობით განმეორდება  
 ჯიშინ ჩაის თესვა თუ დარგვა.

და ჩაის გიგანტ მამულის ზღვარიც  
 გაიწეეს, როგორც ვაჟაკის მკერდი:  
 დიდი ეწერის თუ ფიჩხის ჯვარის  
 შიგ მოეპყევა ვაკე თუ ფერდი.

და სადაც ადრე კან-ჩამწვარ გლეხებს  
 ედგათ უბირი ქობი თუ ფაცხა,  
 ჯერ ქალაშენები რომ სჭრიდათ ფეხებს,  
 კვლავ დასაპნული ჰქონდათ მით კაჩხა.—

სასახლეები გადიკიმება,  
 დაემსგავსება სოფელი ქალაქს:  
 გადაახათონ ელვის სიმებში  
 უნდა სოფლების შუკებს და ტალახს,

რათა ამოშრეს იგი რალახი,  
 და განიკურნოს გლეხების წყლული,  
 აღსდგეს სოფელი, ჯერ არ ნანახი,  
 ხვედრით, იმედით მტკიცე და სრული!..

აი, ბრიგადას მისდევს ბრიგადა:  
 მიჰყენ მბარველნი მეოთხეთ გუნდებს,  
 მათ სიჩაუქეს ვჭვრეტ იმ რიგადა,  
 რომ თავს ვერ ვუჭერ საკოთარ კუნთებს!..

და მიკრთის ტანში კუნთი ყოველი,  
 მეწევა თვისკენ მათი რიგები,  
 ბრიგადიდრობას თუ არ მოგელი,  
 უბრალო მუშად მაინც ვეჭნები.



რომ მზედეს წოდება ჩაის დამრგველის,  
მქონდეს უნარიც ამ საქმის, სწრაფის,  
ვატარებ სახელს მუშა—დამკვრელის,  
შნოსა და ლაზათს წითელი დაფის!

და თვალის მარცვლავს წითელ დაფიდან:  
„გვიმრადე სიკო!“ „გვიმრადე ნიკო!“  
ამდენ გვიმრადეს, ნეტა, საიდან?..  
რომელ კუთხეს თუ სოფელში იყო!

ეს გვიმროიანის კოლმეურნეებს  
მთელი ბრიგადა მოუგზავნიათ,  
სოც. შეჯიბრში რომ მართავენ დღეებს,  
დამკვრელები რომ სუყველას ჰქვიათ...

ხუთი გვიმრადეც წითელ დაფაზე  
ამიტომ არის გამოქიშული,  
ეს შრომის ჯილა და სილამაზე  
და მუშა კაცის წინსვლის სტიმული!..

და ბევ, ამ დაფას რომ ვაკვირდები,  
ზედ ამ უბრალოს ეკითხულობ გვარებს,  
ვატყობ, თუ ტანში როგორ ვიზრდები,  
გულიც ვით მკერდში ცემას უჩქარებს!..

ვიზრდები ვით ეს ჩაის გიგანტი,  
ვმალდები, როგორც კომუნის დროშა,  
ისე რომ ცით მზეს ჩამოვიტანდი,  
რომ არ სჭიროდეს ის საწუთროსა...

აბა ცეცხლი თუ ელნათურება  
უღელში, როგორც ხარი, გვიბია:  
ჩვენ ვართ ძველ წესთა განადგურება  
და ჩვენი ბრძოლაც ამის ქლიბია!..

არ დამიჯერებს, ვიცი, ხეარაშზე  
და ასტებს დივას ყოველს იოტზე,  
თქმულის თუ კვლავც დავსძენ ახალს სხვა რასმე  
რეკონსტრუქტიულს ჩვენს პერიოდზე.

— საინტერესო ხანაა, ბეჩა!  
მიუბრუნდება ის ისევ მზეხას:  
ნასაკირალს თუ სახელიც შერჩა,  
როცა გაუძლო ამ თავისტეხას!..

და იკვნიულად ორი ბებერი  
საიქიოდან მომიბრუნდება,  
მაგრამ მე კვლავც მაქვს სათქმელი, ბებერი,  
და ჩემი აზრიც ამას უნდება...

სათქმელი, განა, ნასაკირალზეც  
აბალ ხუთწლედში ცოტა სწერია?  
გაიწვეს, გაფა ის ბახვის წყალზეც,  
სად თინხის ჯგირი, თუ ეწერია..

გაიწვეს ჩაით მთელი გურია,  
რაიონებიც ჩაისა მთელი...  
სოციალიზმის ეს აგურია,  
წინ კი—სადგური, სასახლე, ვრცელი!..

გარკინსკი  
ზინზლინისკი

თვალწინ აზრდება მისი კედლები:

კედელი — კედელს ეზე ზოქება,  
იკურთხოს ქვე ნად მათი მვედლები  
და ხელს მათ მმართველს, ვაჟა და ქება!  
ის წინ უთითებს, ბრძოლის ხარტია:  
აძლევს გზებს სწორი მიმართულებით  
და იწერება ძლევის პარტია:  
გიგანტებითა და სართულებით!..

ასე ვიზრდებით და თვით სიკვდილიც,  
ვიცი, ამზადის წინ არა ერას და თმობს,  
ვით მზის წ.ანაშე სთმობს ლა'ეც დილით,  
მზეც ძლიერობს და ხალისით გვათბობს!..

დღეც ძლიერდება ხოლმე მაისში,  
როს ამ ხალისით ბუნება სტკებდა..  
კაცზეც ხამ ვაშობთ შრომის ხალისში:  
„მზნეობს“, „მზეობს“-ო და არა — „კედება“?!

მაგრამ თვით ტლანქი სიკვდილის საკითხს  
დავსვავთ ჩვენ, ალბათ, ერთ ერთ ხუ-წლედში,  
მის წინ საკედლოც საფლავს გაითბრის,  
შეგვენაცვლება ამ რიგად ბედ-რ!

თავის დროზეც ხომ ბევრს არა სწამდა  
სოციალიზმი ერთ ქვეყანაში!..  
ეს დღე იმ დღე დან რომ არა სჩანდა,  
დავეთანხმები მეც ბევრს ამაში.

მაგრამ ჩაქუჩი გრდეულზე გახურდა  
და ალაპ კდა ნაძალი მყ.ში,  
და გამარჯვებაც ბევრს თუმც არ სურდა,  
გაპოიტყუდა მაიხც ამ იმაში!..

ქარხნებ ქარხნები გვერდს ატეზა  
და კოლექტივებს კოლექტივ ბი,  
მუშად გადიქცა, პოეტის მუზა  
და ხორბლის სკაყ დ კი მზის სხივები!..

ხაჭესს, რი ნქესს სდევს პეტი სხვაიც,  
სოციალიზმიც ამით ძხად არი!  
გვექება — სხვასთან — საბჭოთა ჩიიც  
და აგარიდახ — ჩვენი მაქარი!

ეს შეპირება ზღაპრ ბს ხომ არ გავს  
ან ამბი აბი მღვდღევის ცხოვნება? —  
მას შემოქმედი თქონი კლასი ჰყავს.  
პარტი კ ს და ა კლასის გონებას!

და რომ ა დება ყველა აღთქმული,  
ხუტწლ დის კველა მყნაპიოები,  
ამაა რათ უკდა სი უვე ჩარ-ული?  
აქ თავდე ია შრომის გმირები!

ვინ ჩაის გიგანტ ხასაკირალის  
სულის ჩამდამელი თონდაც ბიჭინა,  
ვის ზო ი ცლევა ბეთ ფოალის,  
გმირის ადგილი რომ დაიქირა!..

# ს ა მ ი

მაროეთა შაჰინიანს.

## 6. ტიხონოვი

მთარგმნელი მიქელ პატარიძე

1

კარგი კაცია სამის<sup>1</sup> ბატონი  
შხოლოდ საგიი<sup>2</sup> სტეკით სცემს მკაცრად.  
ბრძენი კაცია სამის ბატონი,  
შხოლოდ საგიბი სამს არ სთელის კაცად.  
სამს აღმაცერი შეხედდა აკროზბს;  
მადლობა ფარუშს ხომ არც კი სჯერა.  
პირის საპარსავ წყალს უთხოვს ბატონს  
და შეკაზმული გამოჰყავს ჯორა.  
ერთი იოტით თუ შეცდა სამი,  
საგიბმა იცის, რადგან ბრძენია,  
მაშინ ქუსლებზე სცემენ ლერწამით,  
რაც ამ ბავშვისთვის ასე ძნელია.  
მაგრამ ამ სამის მამაა ღვიძლი  
ბეჯაბურელი ერთი შიკრიკი,  
და როგორც მამამ, ამ ბიჭმაც იცის  
ქარივით რბენა ბაზრის ბილიკით.

2

ეს წელი ღლბათ მავნებ დანავსა:  
სამის დიდყურა, ნაცარა პონი  
დაკბინა გზახე შავმა უნასმა  
და აკაიანდა შინ ტელეფონიც:  
გაღვიძებულმა ერთხელ საგიბმა  
ბოძანა გაზეთი, სურდა ამბები.  
ბევრი იყვირა, ბევრი აგინა  
დაგვიანება სამის ამდენი.  
და რადგან სამი არსაით სჩანდა  
წყლის გატბულება სხვას დაივალა.  
ეს არ მოხთაო აქამდი სამთან:  
უქმელმა ჯო-მა დასტოვა თავლა.

<sup>1</sup> სამი—საბელია.

<sup>2</sup> საგიბი—ბატონს ნიშნავს.

## 3

დაბრუნდა სამი შვიდი დღის შემდეგ,  
 ვით დაკარგული მეჯოგის ცხვარი;  
 ტან-დაკაწრული საგიბთან შესდგა,  
 ლოყებზე აჩნდა ცრემლების ცვარი.  
 დაღურჯებული კოპალი შუბლზე  
 ბრწყინავდა როგორც ოქროზე-დაღი,  
 ვით მოჩვენებას საგიბი ჟმჟერს:  
 სამი დგას მის წინ მშვიდი და ლაღი.  
 — სად ხარ უკუდო შე პაეიანო?  
 ჰკითხა საგიბმა მრისხანე ოხვრით.  
 მშიდათ სთქვა სამმა—დავიგვიანე,  
 მე მაშინებდა კბილები ჯოხის!  
 მსურდა მენახა დიდი ბატონი  
 ვინც რომ უარყო ბრამინთ კრემული  
 დაუებნა გზები და დაერჩი მართო  
 ბრმა კნუტი დვირზე ატირებული.  
 — შენ გაჩდი მიტომ—იყო მორჩილი  
 ადუღო წყალი და ადგე ადრე.<sup>1</sup>  
 მე ვარ ბატონი, შენ ყურ მოჭრილი  
 მონა, ურჩობა როგორ შემკადრე.

## 4

ის არის შორს, შორს, თოვლიან ქვეყნად,  
 იქ სასახლეებს აგებენ ქეიანს,  
 იქ მისი სიტყვა ვით ხარი რეკავს,  
 მას ამხანაგი ლენინი ჰქვია.  
 და პურს ურიგებს ვინც ღარიბია  
 თვით მხეცსაც ეტყვის ის სიტყვას კეთილს:  
 ზეცის წინაშეც-კი საგიბია  
 და არასოდეს არ ჩხვბობს სტეკით.  
 სამი მაგრატის<sup>1</sup> გვარსაც ატარებს,  
 მაგრამ თავის გვარს ჩაადგემს არად:  
 ჯორს შეუჯახმავს, გაწმენდს მათარებს,  
 მოუტანს წყალს და ფოსტიდან ბარათს.  
 სამსახურისთვის მას მისცემს „ლენინი“  
 ბრძნულ დარიგებას, მრავალ რუბიებს.  
 ამიერიდან საქმით და ენით  
 სამი საგიბებს სიკვდილს იუპირებს.

<sup>1</sup> კეთილშობილ.



5

— ეს შე საწყალო ვინ, გითხრა ხეტავ? —  
ბაგეს ორქოფი ღიმილი აძევს:

— იქ, სადაც თეთრა გაელას ვერ ბედავს,  
ეს გავიგონე დუქნების კარზე.

ხელის გულზე აქვთ ვაჭრებთ მსოფლიო,  
იმათ იციან რას ჰფიქრობს სუდრა<sup>1</sup>

როზილკედენში ცხენების ფასი;

როგორია და ლენინს რა უნდა.

— წადიო- ბრძანა, ტუჩებს იკვნეტდა;

გამარჯვებული წავიდა სამი.

იმ დღეს საგები შინ ჩაიკეტა

არ გაეკარა საგები სადილს.

6

მუხლებზე იდგა ბიჭი დევნილი

პატარა, ჩუმი ჩაფიქრებული.

ის ლოცულობდა შორეულ ლენინს

ამ კაცით ძლიერ აღელვებული.

ვით გააგონოს მცირე ვედრება

ქალაქს შორეულს დაფარულს მთებით;

ფრიხველს გაფრენილს ფიქრი ედრება

გაჭრილს, გატყორცილს შაერში ფრთებით.

ჩიტსაც მოსტეხავს ფრთებს ხშირი წვიმა

დასცემს სპილოსაც გზები უღვევი.

და ვერ გაუძლებს, ვით გრიგალს მინა

ავი საგების ცეცხლის ურემი.

7

ასე შორს წყო ეს უცხო ლენნი,

მაგრამ სამს ესმის მისი მავია,

ბავშვის თვალები გიშრის და მეღნის

აიფსო ცეცხლით ცრემლის შავიერ.

და ბიჭი დარბის, შუბლი გაეხსნა

თან უცნაური უვლის სურველი.

თითქოს საღამომ მიჟალერსა

და გადაასხა ტანზე სურნელი.

თითქოს კვლავ იშვა არმიტსარაში,

მაგრამ ახლა-კი ნამდვილი კაცი,

მას არ მოხედება აწი არასდროს

ავი საგების მათრახი მკაცრი.



<sup>1</sup> ღამალი კასტა



გერმანული  
ბიბლიოთეკა

# გრენადა

მ. სვეტლოვი.

მთარგმნელი მიქელ პატარიძე

მივჭროდით ბრძოლით,  
ვიდოდით ნელა,  
„Эх ясный“ —  
ისმოდა ყველგან.

და ეს სიმღერა  
აქამდე ახსოვს  
ველებს სივრცეს  
და ბალახს ნაქსოვს.

სულ სხვა სიმღერას  
უცხოს და ძვირფასს,  
ერთი მხედარი  
ამბობდა ზშირად.

მღერდა ველების  
მოსაწყენადა:  
„გრენადა, გრენადა,  
ჩემო გრენადა“.

თუმც ამ სიმღერით  
სიჩუმეს ხედა,  
თვითონ არ ჰგავდა  
ესპანურ სევდას.

მითხარ, ხარკოვო  
და ლენინგრადო,  
როდის ისწავლეთ  
მღერა, „გრენადა“.

შენ, უკრაინავ,  
ჰა შენი შურია,  
იქ ხომ შეეჩენოს  
ჭოხოხი გდია.

საიდან გაჩნდა,  
ძაო, სიშლერა:  
„გრენადა, გრენადა“  
ჩემო გრენადა“.

ეს მეოცნებე  
ნელ-ნელა ამხელს:  
„ძაო, ეს სიტყვა  
წიგნებში ენახე.“

სიტყვა კარგია,  
ნაზი და წყნარი;  
გრენადის თემი  
ესპანეთს არის.

ქობი დავტოვე,  
დავდივ ქვემუხებს,  
გრენადის მიწა  
რომ მივსცე გლებებს.

დავტოვე დედა  
და დამენანა  
„გრენადა, გრენადა,  
ჩემო გრენადა“.

მივჭროდი. გვესურდა  
გვესწავლა — „სმენა“  
ბრძოლის წესები,  
ქვემუხთა ენა.

სალამო სცელიდა  
ცისკარის ელვას,  
ცხენიც დაღალა  
კენებამ ველად.



„Эх янаиҥи“-ს  
 ზღერდენ იმედით  
 დღეების ჩანგი,  
 ტანჯვის სიმები.

სად არის, ძმაო,  
 შენი სიმღერა:  
 „გრენადა, გრენადა,  
 ჩემო გრენადა“?

და განგმირული  
 დაეცა კაცი,  
 უზანგში ფეხებს  
 ვერ დადგამს აწი.

შკვლარს დააშტერდა  
 ვარსკვლავთა რემა,  
 შკვლარი ბაგენი  
 ამზობდენ: „გრენა...“

და ამხანაგი  
 აღარ სჩანს არსად:  
 წავიდა ის და  
 სიმღერა მასთან.

და მშობელ მხარეს  
 აღარ სუნია ვარსკვლავი  
 „გრენადა, გრენადა“  
 გრენადა ჩემო“.

ვერ შეამჩნია  
 რაზმა ეს მარცხი:  
 ისევ სიმღერა,  
 ძახილი — „მარცხნივ“.

კოტა ხნის შემდეგ  
 ხედავდა ველი  
 დაისის ხავერდს  
 რომ მოხვდა ცრემლი.

ახალ სიმღერებს  
 ცხოვრება გვაყრის,  
 ძველ სიმღერებზე  
 აღარ ღირს დარდი.

არ გვინდა, არა,  
 არ გვინდა, ძებო:  
 „გრენადა, გრენადა,  
 გრენადა ჩემო“.



## ულალუმი

ედგარ კოე

მთარგმნელი ვ. გაფრინდაშვილი

ცა იყო სევდის და ფერფლის ფერი.  
შშრალი ფოთლები, როგორც დანები.  
ფოთლები, როგორც ბასრი დანები.  
იყო საშინელ წლის ოქტომბერი  
თავისი წყლებით სდუმდა ობერი,  
სდუმდა უირი კუდიანებით.  
იქ თავის წყლებით სდუმდა ობერი,  
სდუმდა უირი—ნისლთა მზმანები.

კვიპაროსების შავ ხეივანით  
ჩემ სულთან ერთად მე მიედიოდი,  
ფსიქეიასთან მე მიედიოდი,  
და მაფითრებდა ფიქრი მტკივანი.  
ფიქრთა ცეცხლისგან ჩემად ვკიოდი,  
მე ცეცხლისაგან ჩემად ვკიოდი  
თითქოს პოლფუსთან იანიკ-მჩივანი.  
მოაფრქვევს ტალღებს—სავსეს იოდით,  
გაყინულ ძილში იანიკ-მჩივანი  
გოგირდის ტალღებს მოაფრქვევს ტრფობით  
ჩვენი ბაასი იყო მკვდრის ფერი.  
ჩვენი ოცნება როგორც დანები.  
ჩვენ—მოკვეთილი ბასრი დანებით.  
ჩვენ არ გვახსოვდა თვე ოქტომბერი,  
(საშინელი წლის თვე ოქტომბერი);  
ჩვენ მოვიგონეთ დაგვიანებით,  
რომ ახლოს ტბაა—მძიზე ობერი,  
არის უირი—ნისლთა მზმანები,  
არის სამარე წყლების—ობერი,  
უირი—ტყით და კუდიანებით.

გაფითრდა სივრცე და განთიადი  
იყო მსუბუქი, იყო მთროლოკარე.



და ადგა ნისლი, ნისლი ზვიადი,  
 თეთრი ციმციმით გაავსო არე,  
 ნისლის გარეშე, არა დიადი  
 ორეულ რქებით გამოჩნდა მთვარე.  
 ახლოვდებოდა სხვა განთიადი.  
 ამართა რქები აშერას მთვარემ.  
 მე ვთქვი: „ეს მთვარე მეტად ნაზია,  
 ის შიაშურებს ბედნიერ მხარეს,  
 ცის გზებმა გული მას გაუხარეს,  
 ის ჩვენს იარებს ხედავს მდულარეს,  
 ხედავს ჩვენს ცრემლებს ესრედ მწუხარეს.  
 გვეძახის მთვარის ჩვენ ფანტაზია  
 ზეცისკენ, სადაც ფიანდაზია  
 ლეტის ჭვეყანა; გული უხარის,  
 და მოგვიწოდებს აჩრდილთ მწუხარეს  
 მარბხის იქეთ, სადაც ნაზია  
 მთელი სამყარო, ვიფი ფანტაზია.“

და ფსიქეია თუ ორეული  
 მე მიპასუხებს შიშით, გოდებით:  
 „არ მწამს მნათობი მე შორეული,  
 გავიქცეთ, მთვარეს ნუ ველოდებით“.  
 იგი ამბობდა შიშით, გოდებით,  
 ფრთადახრილი და ცრემლმორეული.  
 ფრთებს მიათრევედა მტვერში გოდებით.  
 აკონიური ალით სნეული.  
 მე ვთქვი: „ეს არის მხოლოდ ოცნება,  
 ჩვენ განვიბანოთ სპეტაკი ალით,  
 და შევიმოსოთ უწმინდეს ალით.  
 სიბილლას ცეცხლით ჩაგვეკოცნება  
 ხარბი თვალეში, იმედით მთვრალი.  
 ზევით მისცურავეს მთვარე კანკალით.  
 ო, ჩვენ ვიწამოთ მისი ოცნება,  
 ვიწამოთ მთვარის ჩვენ ჯადოსნება,  
 ავფრინდეთ ცაში მასთან კანკალით,  
 იქ, სადაც ბრწყინავს ოქრო და ლალი“.

მე ფსიქეიას ნელ ამბორებით  
 ვაწუგეშებდი ობოლი, ჩემი.  
 თვით უნუგეშო, ობოლი, ჩემი;  
 გზას განვაგრძობდი მასთან ხმორებით.  
 უცბად გამოჩნდა ბნელი, ძალღმი

იქ სარკოფაგი უმეორები:  
 ეპიტაფია ზედ იყო ჩუმი.  
 „ო, ეს რას ნიშნავს“,—ვსთქვი გაზმორებით.  
 „აქ განისვენებს თვით ულალუმი!“  
 „შენი საცოლე, თვით ულალუმი“.  
 და გახდა გული ისევ მკედრის ფერი.  
 თითქოს დამესო თავზე დანები.  
 და მოგონება ზოდის დასებით.  
 მე კარგად მახსოვს თვე ოქტომბერი,  
 ეს თვე, ეს ღამე ქარის ოპერით.  
 ღამეთა ღამე სჩანს დანანებით.  
 მკვდარ საცოლეთი, თვითონ მკედრის ფერი,  
 მე დავბორგავდი ნაზიანები.  
 რომელ დემონმა აყარა გზები?  
 ეს უღმობელი არის ობერი,  
 ეს უირია—ნისლთა მზმანები.  
 ეს სამარეა წყლების—ობერი,  
 უირი—ტყით და კუდიანებით!



შალვა რაღიანი

რომანი კლასთა ბრძოლის შესახებ

ქვეყნიერების გარდაქმნა, უკლასო სოციალისტური საზოგადოების შექმნა, ახალი ადამიანების აღზრდა — ეს გრანდიოზული ამოცანები, რომლებიც სდგას სოციალიზმის მშენებელ კლასის წინაშე, მთელი თავისი მოცულობით ეხება მხატვრულ ლიტერატურასაც.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის ახალი რომანი „ძირს სიმიინდის რესპუბლიკა“ სწორედ ამ ამოცანათა მეტად საპასუხიშემგებლო პროცესების მხატვრული რეალიზაციის გამოხატულებას წარმოადგენს. იგი იშლება ჩვენ სინამდვილის უკანასკნელი წლების ცხოვრების ფონზე. მასში მოცემულია თანამედროვე სოფელი, რომელიც ექლა წარმოადგენს უმთავრეს ასპარეზს კაპიტალისტური კლასების ნაშთების იერიშისათვის სოციალიზმის წინააღმდეგ.

„ძირს სიმიინდის რესპუბლიკა“ ესწარის რომანი კლასთა ბრძოლის შესახებ საბჭოთა სოფელში. რომანის ძირითად შინაარსს წარმოადგენს მასების მოძრაობა სოციალიზმისაკენ, ძველი კერძო-საკუთრებითი ცხოვრების წესებისაგან თავის დაღწევა და გადასვლა ახალ საწარმოო ურთიერთობაზე — განზოგადოებულ საკუთრებაზე.

როგორც ცნობილია ფეოდალური და ბურჟუაზიული ლიტერატურა ვითარდებოდა კერძო საკუთრების ნიადაგზე, სახავდა იმ ადამიანების აზრებსა და გრძობებს, რომლებიც აღზრდილი იყვნენ ამ ინდივიდუალისტურ წყობილებაში. წარსულის მდიდარი ლიტერატურის შინაარსი უმთავრესად მოცემულია იმ კერძო-საკუთრებითი ურთიერთობაში, რომელიც მრავალი საუკუნოების მანძილზე ბატონობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სწორედ ამ გარემოების შესახებ შენიშნავდა ლენინი: „ბურჟუაზიულმა მწერლებმა ქაღალდის მთები დახარჯეს იმისათვის, რომ შეექოთ კონკურენცია, კერძო წამოწყობანი და სხვა „ბრწყინვალეები“ კაპიტალისტებისა და კაპიტალისტური წყობილებისა“. ეს მართებულად მითითება უპირველეს ყოვლისა, მხატვრულ ლიტერატურას ეხება.

მთელი მსოფლიოს ლიტერატურა კერძოთ გლახობის შესახებ ხაზს უსვამდა „მიწის ბატონობის“ მისტიკურ-ბიოლოგიურ მხარეს, გლახის გაუმძღრობას თავის მიწის ნაკრისადმი. ფეოდალური და ბურჟუაზიული კლასის მწერლები

ისტორიული პირობათა შედეგს იძლეოდნენ, როგორც მიზეზს, პირველ დასაწყის საფუძველს.

ჩვენი, სოციალისტური ლიტერატურა, რომელიც სხვადასხვა დროს მსოფლმედეგლობითი საფუძველზე იქმნება, ვიდრე ფეოდალურ-ბურჟუაზიული ლიტერატურა, გლეხობის შესახებ ჰქმნის წარსულისაგან დიდათ განსხვავებულ სახეებს. ეს სახეებია გლეხთა მასების განთავისუფლება კერძო-მესაკუთროებრივ გრძნობათაგან. სოციალისტური ლიტერატურა ამჟღავნებს „ძიწის ბატონობის“ ისტორიულ-სოციალურ შინაარსს.

საბჭოთა მხატვრულ ლიტერატურას დიდი მუშაობის ჩატარება სჭირდება იმისათვის, რომ ნათელყოს კერძო საკუთრების, ინდივიდუალიზმის ზოლოვიურობა და საზოგადოებრივ საკუთრების, კოლექტივიზმის გრძნობის უპირატესობა.

ამ უდიდესი მნიშვნელობის პრობლემათა გადაწყვეტისათვის იბრძვის კ. ლორთქიფანიძე თავის რომანში. „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“-ში იგი გვიჩვენებს წვრილ კერძო მესაკუთრეობითი გრძნობის და ფსიქოლოგიის, წვრილბურჟუაზიულ სტიქიის თანდათანობით დაძლევის გლეხობაში და მის გასვლას ფართე საზოგადოებრივ შევსებაში.

კ. ლორთქიფანიძე „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“-ში არ კმაყოფილდება ილუსტრატორის როლით. იგი მიისწრაფის იქითენ, რომ მხატვრულად გააზროს და გამოსახოს მთელი პროცესი მსოფლიო-ისტორიული ბრძოლისა კლასების მოსასპობად. გლეხობის დიდმა უმრავლესობამ შეიგნო, რომ სოფლის ცხოვრების „იდიოტიზმისაგან“ თავის დაღწევის საშუალება მხოლოდ სოციალიზმია. გლეხები გადადიან ახალ სამეურნეო წესებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ შორდებიან იმ ჩვეულებებს და წესებს, რომლებიც ბატონობდა ადამიანებს შორის პრავალი საუკუნის განმავლობაში.

კ. ლორთქიფანიძის რომანის მთელ მანძილზე სწარმოებს ბრძოლა წარსული ჩვეულებათაგან ჩამოშორებისა და ახალი საწარმოო ურთიერთობის დამყარებისათვის. რომანში ჩვენ მთელი თავისი სიმბაფრით ვხედავთ, თუ როგორ ანგრევს სინამდვილე იმ პირობებს, რომლებმაც გლეხს თავდავიწყებით შეაყვარა თავისი მიწის ნაჭერი, — ვხედავთ თუ როგორ ინგრევა „სიმინდის სამეფო“.

სინამდვილის შინაარსი „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“ ში რთული და მრავალფეროვანია. სოფლად არსებულად და მომქმედი სოციალური ფენები მთელი თავისი ტიპური სახეებით წარმოსდგებიან მკითხველის წინაშე. მათი ცხოვრება და საქმიანობა კლასობრივ მდგომარეობის და ბრძოლის რელიეფური გამოხატულებაა.

კ. ლორთქიფანიძის დიდი ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ იგი იძლევა შეუფერავ სინამდვილეს, კლასობრივ ბრძოლის რეალურ სახეებს. კ. ლორთქიფანიძე ერიდება კლასობრივ ბრძოლის „პრიმიტიულ“ ფორმებში ჩვენებას.

კოლექტივიზაციის ძლევამოსილი წინსვლა კულაკობის გააფთრებულ წინააღმდეგობას იწვევს. კულაკები, რომლებიც იყენებენ ცალკეულ გადაგარებულ „კომუნისტებს“ (მაგ. რომანში — ტუჩა და შნიანი) ცდილობენ ყოველნაირად ხელი შეუშალონ არტელების და კოლმეურნეობის ჩამოყალიბებას.

„ძირს სიმინდის რესპუბლიკა“-ში კ. ლორთქიფანიძემ, მრავალჯერ მთელი წყება კულაკების ბუნებრივი სახეებისა. მან გვიჩვენა ბუნებრივი კლასიზაციის განადგურებულ კლასიური მტრების წარმომადგენლები იბრძვიან.

ბარნაბა საგანელიძე არ არის ჩვეულებრივი საპლაკატო კულაკი— ჩასუქებული და მხეცური გამომეტყველებით. იგი უფრო „მშვიდი“ შეხედულებისაა. იგი მეტად მოხერხებული და გაიძვერა კლასიური მტერია. მან გაზეთებიც კი გამოუწერა სოფელს და ხელი მოაწერა სახელმწიფო სესხზე. საგანელიძე მთელ პროვოკაციულ აგიტაციას აწარმოებს არტელის წინააღმდეგ. იგი ცდილობს ღარიბ გლეხობის ზოგიერთი შეუგნებელი ელემენტიც კი გამოიყენოს თავის შავი ზრახვებისათვის. კლასიური მტრის ეს დამახასიათებელი წარმომადგენელი ღარიბ, ერთ მეწველ ძროხის პატრონ მართა გორდაძეს ამხედრებს არტელის წინააღმდეგ:

— „ცოდვა კია ამისთანა ძროხის დაქარგვა!—ერთბაშად მოსხლიტა ბარნაბამ და ძროხას ხელი მოუწყაპუნა.

— „რას ამბობ, ბეჩა! ენამ არ ვიცივლოს!—იწყინა ქალმა.

— „იცივლა, დედაკაცო, ხაზარაძის ენამ იცივლა!

„მართამ გარკვევით ვერაფერი გაიგო, მაგრამ ბარნაბას საიღუმლო ხმამ შიშის თავხარი დასცა.

— „რატომ ბრძანებთ მაგას?!

— „ვიქცევით და ვიღუპებით! მეორედ მოსვლა იწყება! ქალას გვართმევენ, ვისაც კი მეწველი საქონელი ყავს, იმას არტელში იტყუებენ. შენს გვერდწითელას ქალაქის მშვიერ მუშებს დაუკლავენ; შენ კი სამაგიეროდ, გაზეთში დაგხატავენ! გააკარი კედელზე. უყურე და ლოკე...“

ბარნაბა საგანელიძესთანაა იერემო პიტახია—მიკიტანი, გაუშადლარი ექსპლოატატორი. მისი მკაცრბული ბუნება ყოველ მის მოქმედებაში მოსჩანს. დამახასიათებელია ამ მხრით მისი დამოკიდებულება მოჯამაგირე მექისთან. მიკიტანმა მექი ისე დააშინა, რომ ლაპარაკსაც კი გადააჩვია. ყოველ დღიურ შეჯიკრ დამოკიდებულებას მისდამი ხომ სახლვარი არა აქვს.

სოფლის ძირეულად გარდაქმნის ხაზით პარტიის ხელმძღვანელობით წარმოებულ უდიდეს სამუშაოებს, კლასიური მტრები იარაღითაც ებრძვიან (თავდასხმა და დაჭერა უკვე ტრაქტორისტად გამზადარ მექისა).

რომანის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს ტარასი ხაზარაძე; იგი ნაშოჯამაგირალი ღარიბი გლეხია. ტარასი ცხოვრობს საზოგადოებრივი საქმიანობით. მას არა აქვს პირადი ცხოვრება, უკეთ, რომ ვსთქვათ, იგი უკანა პლანზე აქვს გაწეული.

არის ერთი მომენტი, როდესაც ტარასი „ჩავარდა“. ეს არის საერთო კრების მოუმზადებელი მოწვევა. მაგრამ თავის შეცდომას იგი მალე ასწორებს.

ტარასი, როგორც სოფელი კომუნისტის ტიპი, უსათუოდ საინტერესოა. იგი დამახასიათებელი საქმიანობით წარმოსდგება მკიოხველის წინაშე. მისი სიტყვა საერთო კრებაზე პარტიის პროგრამის დიადის იდეის ნათელი ილუსტრაციაა:

— ბობოლეებს რომ კითხოთ, ლარიბი ზარმაცია, და მტკიცედ არიან ლარიბიო. ტყვილია, ამბანაგებო! ლარიბებმა დღედაღამეც, რომ გააქროთიანონ, ხარივით იმუშაონ,—კუჭი თუ გაიძლო, ისიც დიდია. სილატაკეს ვერ გაეჭკევა. რატომ? შემეკითხებით რატომ და მარტოხელა მეურნეს გასაქანი არა აქვს... ამიტომ ახალი მეურნეობა უნდა მოვაწყოთ, ახალი ტექნიკით და მანქანებით. ერთსა და ორ მოსახლეს ეს არ შეუძლია. ერთი კაცი უძღვრია სილარიბესთან ბრძოლაში. ერთი კაცის გაკვივება დიდია ვიდრე იმ ერთი კაცის ძაღლონე. კავიანი გლეხი თავის თავს ვერ უშველის!.. მოჯამაგირეს არტელი დაიხსნის ხაზენის კლანკებიდან... საერთო შრომა და მანქანები...

ტარასის შეგნებაში მტკიცედ არის გამჯდარი კოლექტიური დამოკიდებულების შექმნის აუცილებლობა გლეხთა მასების იდეალური ცხოვრების მოწყობისათვის.

სოციალისტური სოფლისათვის ბრძოლაში იზრდებიან ახალი კადრები. გუშინდელი უუნარო, შევიწროებული მოჯამაგირე მეჭი ეხლა ტრაქტორისტი. თავისი ახალგაზრდობის საუკეთესო წლები მან სხვის კარებზე სამსახურში გაატარა. მთავი ცხოვრება მოჯამაგირეობის დროს გაბმული ტანჯვა იყო. მთელ მის ოცნებას შეადგენდა უღელი ხარის შექმნა, მაგრამ იმასაც კი ვერ ახერხებს უფულობის გამო. გაყვლეფილი ადამიანის მდგომარეობაში ყოფნამ მეჭი დააზიანა, როგორც ადამიანი. მას სოფლად აღარ სთვლიან ნორმალურ ადამიანად. იგი თავის სოფელში მხოლოდ ზედმეტი სახელით არის ცნობილი. მაგრამ სოფლის სოციალისტური გარდაქმნისათვის ბრძოლა, მასაც ითრევს და ეს უუნარო მოჯამაგირე არტელის აქტიური წევრი ხდება. პარტიულ—კომკავშირულ გარემოებაში მეჭი თანდათან თავისუფლდება მოჯამაგირეობის მონური შემეკიდრეობისაგან. ერთგული და უანგარო შრომით მეჭი არტელში იმდენი პარტიისცემა მოპოვავს, რომ მას აგზებნიან სატრაქტორო კურსებზე. მას მოჰყავს პირველი ტრაქტორი თავის სოფელში.

ხახი უნდა გაუსვიათ იმ გარემოებას, რომ აქ კ. ლორთქიფანიძე კარგად აღნიშნავს პროლეტარული რევოლუციის იმ სასწაულებრივ ძალას, რომლის შედეგადაც მეჭისთანა დაბეჩავებულ ადამიანებში სწარმოებს გარდაქმნა და ისინი ახალი ქვეყნის შენების აქტიური მებრძოლები ხდებიან.

სოციალისტური სოფლისათვის მებრძოლ ადამიანებს კ. ლორთქიფანიძე იძლევა უწყვეტ ზრდაში. მაგრამ მათი ეს ზოდა არ ხდება თავისთავად, აბსტრაქტიულად. იგი მტკიცედ არის დაკავშირებული საკოლმეურნეო მოძრაობის ზრდასთან.

გიორგი ჯიშკარიანი ლარობი გლეხია. მისთვის ძველი, ინდივიდუალისტური ცხოვრებისაგან თავის დაღწევა უკვე დღის წესრიგში დგას. მაგრამ მის შემეკიდრებაში არის დარჩენილი კუნჭულები, სადაც კიდევ ბუდობს გაურკვეველობა, ექვიანობა:—ეს ოხერი, ეხლა თითონაც არ ვიცო, რალაც... ლარ დაასრულა... მაგრამ ტარასის დამაჯერებელი ახინა განმარტება უკვე სპობა ექვიანობას მასში. გიორგი ჯიშკარიანი რწიუნდება ახალი ცხოვრების უპარატელობაში. არის მომენტები, როდესაც ზაჯკო მასში კერძო მესაკუთრის ინსტი-



ქტები შემდეგშიც იჩინენ თავს მიუხედავად იმისა, მისი მომავალი ბრწყინვალე ცხოვრების გზა უკვე გარკვეულია.

ახალი და ძველი ცხოვრების ჰიდილი კონფლიქტს შექმნის მათგან, რომლებიც კომპაქტური და მარტივი უკვე აღარაფერი აკავშირებს კერძო-მესაკუთრეობითი მისწრაფებებთან. მაგრამ შრომლები, ოჯახი არ თანაგრძნობს მის ახალ გზას. ამ ნიადაგზე იბადება შეგახება შეილსა და მამის შორის. ბაქტა ვაშაკიძე მაინც არ ირყევა. იგი არტელის წევრი ხდება.

კ. ლორთქიფანიძე გვიჩვენებს საშუალო გლეხის სახეს (მარგველაძე და სხვ.), რომელიც ჯერ კიდევ მოათრევს წარსულის ტვირთს, რომელიც ჯერ კიდევ ვერ თავისუფლება კერძო-მესაკუთრეობითი შექცევებისაგან. მისი მერყევი ბუნება ნათლად მტკიცდება არტელის დაარსებისას. მაგრამ პარტიის სწორი, ლენინური პოლიტიკის წყაბილებით მასში თანდათან იმარჯვებს კოლექტიური მეურნეობის უპირატესობის შეგნება.

რელიგიური შტრიხებით აქვს მოცემული კ. ლორთქიფანიძის აგრონომ გეგელიას სახე. იგი არის ძველი საწარმოო-ტექნიკური ინტილიგენციის იმ ფენის წარმომადგენელი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას საქართველოში შეხვდა მტრულად. პირველხანებში მავნებლობასაც ეწეოდა. მაგრამ შემდეგში რწმუნდება, რომ მავნებლობით ვერაფერს ვახდება და თავისებური პროგრამით მიდის საბჭოთა ხელისუფლებასთან. როგორც სპეციალისტებს, მას სერიოზულ საქმეს აბარებენ—ტექნიკურ კულტურათა ხაზით.

1926 წლის 16 დეკემბერს არსდება ოფიციალურად არტელი „კომუნისმის სამეფო“. ეს არის მთლიანი კოლექტივიზაციის პირველი ახვრთების წინა წლები.

არტელის ცხოვრება დიდი წინააღმდეგობების გზით მიმდინარეობს. მის გარშემო მძაფრი კლასობრივი ბრძოლა გამართულია. არტელში შესულ ზოგიერთ გლეხში კიდევ ხმაურობს სიძველის ხმები. ამავე დროს არტელის გარეშე მყოფი კულაკობა და მათი აგენტები საზიზღარ მავნებლურ—პროფოკაციულ აგიტაციას ეწევა არტელის წინააღმდეგ.

მიუხედავად ყოველივე ამისა, კოლექტიური მეურნეობის იდეა ღარიბ და საშუალო გლეხობაში მტკიცება. არტელი იწყებს თავის მეურნეობის ძირულ რეკონსტრუქციას. იწყება ბრძოლა ტექნიკურ კულტურათა დანერგვისათვის...

კ. ლორთქიფანიძის შემოქმედებით ძალა მდგომარეობს არა იმაში, რომ გვიჩვენა მხოლოდ საერთოდ კლასობრივი ბრძოლის მძაფრი მომენტები, არამედ იმაში, რომ დამაჯერებელ მხატვრულ სახეებში დაგვიხასიათა კლასობრივი მტრების განწირულება, განწირულება ყველა იმათი, ვინც ებრძვის დარაზმულ მშრომელი მასების ძალას, ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით რომ აშენებს სოციალისტურ საზოგადოებას.

კ. ლორთქიფანიძე ძველი ქვეყნის დაღუპვასთან ერთად გვიჩვენებს ახალი ცხოვრებისა და ურთიერთობის და განმტკიცების სურათებს.

როგორია ახალი ცხოვრების კონკრეტული სახე, როგორ მიმდინარეობს გლეხობის მასიური გარდაქმნა? — უნდა ვიფიქროდ, რომ ყველაფერ ამაზე პასუხს მივიღებთ შემდეგ წიგნში. ამისათვის ახლა დავსვათ მკითხველს „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“-ს პირველი წიგნის მთელი სახეობრივი სტრუქტურა.

ბალზაკის „უბილავ შედევრში“ მოხუცი ფრენხოფერის მოწაფეს—მხატვარ პორბუს ეუბნება: ხელოვნების ამოცანა მდგომარეობს არა იმაში, რომ აილოს ბუნების ახალი, არამედ იმაში, რომ გამოხატოს ის. შენ არა ხარ საცოდავი მეასლე, —შენ ხარ პოეტი... შენ უნდა გვიჩვენო საგანთა და მოვლენათა აზრი, შინაარსი და სახე. შთაბეჭდილებანი! დიახ, ისინა არიან შემთხვევითობანი და არა თვით ცხოვრება“...

ამ სიტყვებში მკაფიოდ არის მოცემული ფორმულა იმის შესახებ, რომ ხელოვნებაში გამოსახული უნდა იქნას სინამდვილის არსებითი მხარეები და არა შემთხვევითი შთაბეჭდილებანი.

რასაკვირველია, ყოველ მწერალს არ შეუძლია სინამდვილის არსებით მხარეთა ათვისება, და მისი მოცემა მხატვრულ ნაწარმოებში. ხშირი შემთხვევაა, როდესაც მწერალი სინამდვილის მხოლოდ ზედაპირს, მოჩვენებითი მხარეს აქცევს ყურადღებას და ამიტომ არის, რომ ასეთი მწერლების სინამდვილის რეალურ სახის ნაცვლად ყალბ დამახინჯებულსა და დაუჯერებელ წარმოდგენას იძლევიან ამ სინამდვილეზე.

სინამდვილის არსებით მხარეთა ათვისების მხრით საყურადღებოა თვით ბალზაკის შემოქმედება. მოხუც ფრენხოფერის სიტყვები თვით ბალზაკის მოსაზრებებია. სწორედ ამ პრინციპის საფუძველზე მოგვცა ბალზაკმა უდიდესი მნიშვნელობის რეალისტური ნაწარმოებები თავის დროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ.

საბჭოთა მწერლები, რასაკვირველია, ვერაფრითარ შემთხვევაში გვერდს ვერ აუხვევენ სინამდვილის გაგების და მხატვრული განზოგადოების ამ სწორ პრინციპებს. როგორც ცნობილია საბჭოთა მწერლების მსოფლათვისება სხვა სოციალ-კლასიურ საფუძვლებიდან გამომდინარეობს, ვიდრე ბალზაკის მსოფლმხედველობა და მსოფლათვისება ეს მდგომარეობა ვით უმეტეს აძლიერებს საბჭოთა მწერლების უაღრეს პასუხისმგებლობას, ჩვენი-სინამდვილის არსებით, დამახასიათებელ მხარეების ათვის ბისა და მხატვრული განზოგადოებისათვის.

კ. ლორთქიფანიძის „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“ იმით არის საყურადღებო, რომ საბჭოთა ქვეყნის ცხოვრების რეალური სახე მოცემულია მთელი თავისი ტიპიური მხარეებით და არა შემთხვევითი მომენტებით. საბჭოთა ქვეყნის ძლევა-მოსილი წინსვლა სოციალისტურ მშენებლობის ფრონტზე ამ რომანში ჩვენს წინაშე წარმოსდება, როგორც უდიდესი სიმართლე. ამ ნაწარმოებში კ. ლორთქიფანიძე სათანადოთ ფლობს სოციალისტური რეალიზმის მეთოდს.

აქვს თუ არა „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“-ს უარყოფითი, სუსტი მხარეები? —რასაკვირველია აქვს, რომანში არ არის საკმარისად განსაღვრული გმირების ხასიათები. დადებითი გმირების დახასიათება არ არის ისე მოცემული, როგორც მათი მოწინააღმდეგე კლასიური მტრებისა — კულაკების და ვაჭრების. შეიძლება აგრეთვე აღინიშნოს რომანის მომქმედი პირების ერთგვარი სქემატიური განვითარება, მომქმედი პირების სიჭარბე და მათი სათანადო განუვითარებლობა.

„ძირს სიმინდის რესპუბლიკა“-ში სუსტად არის ნაჩვენები პარტია. რასაკვირველია. არ იქნება სწორი, რომ მართო ტარასი ხაზარაძეში



დავინახოთ მთელი პარტია. კ. ლორთქიფანიძე თავის რომანში ერთგვარ ფაქტიურ „უხერხულობას“ ჰქმნის, როდესაც პარტკონფერენციის დელეგატთა აგზავნის კომკავშირელს ბაჭუა ვაშაკიძეს (რომანში არსად ჩანს, რომ იგი პარტიის წევრია).

მაგრამ „ძირს სიმიწდის რესპუბლიკა“-ს ეს სუსტი მხარეები იფარება მისი მდიდარი შინაარსით და საზოგადოებრივი აქტუალობით.

„ძირს სიმიწდის რესპუბლიკა“ ლაპარაკობს კ. ლორთქიფანიძის დიდ შემოქმედებით ზრდაზე. რომანში თითქმის აღარ არის ის „უხერხულობანი“, რომლებიც ახასიათებდა მის ადრინდელ პროზას. უფრო ნათელია ნაწარმოების კომპოზიცია. დაქვიშულად მიმდინარეობს მოქმედება.

შომკმედო პირების დახასიათებისას კ. ლორთქიფანიძე მიმართავს უმთავრესად პორტრეტულ გამოსახვას. თავისი გიმიკების ამ სახით წარმოდგენა მას უფრო ეხერხება.

მხატვრული შესრულების მხრით „ძირს სიმიწდის რესპუბლიკა“-ში მთელი რიგი საყურადღებო ადგილებია. ძლიერად არის მოცემული ტარასის მიერ მოწვეული ჯრების მსვლელობა. აქ მწერალი მთლიანად დაშორებულია „პროტოკოლურ“ მეთოდს.

„ძირს სიმიწდის რესპუბლიკა“ ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ კ. ლორთქიფანიძე გამოვიდა სწორ შემოქმედებითი გზაზე.

ეს რომანი ნათელი ილუსტრაციაა იმის, რომ მხატვრულ ლიტერატურაში საქმეს წყვეტს არა „დისტანციის პათოსი“ არამედ რევოლუციურ თანამედროვეობის ღრმა გაგება და შეთვისება, მისი მხატვრული განზოგადოება.

უკანასკნელ ხანებში საბჭოთა და პროლეტარულმა მწერლებმა გამოაქვეყნეს მთელი რიგი თემატიური აქტუალობით და მხატვრული შესრულებით საყურადღებო ნაწარმოებები, მათ შორის უსათუოდ საპატიო აგილი უჭირავს „ძირს სიმიწდის რესპუბლიკა“-ს.

20 დეკემბერი.

## კლავონ ჰიმოკე

### სიტყვა ეკუთვნის აგხანაზ დოლიაშვილს

შენ ამ ცხოვრების გარეთ რომ იდგე  
ქვა უნდა იყო ადამიანი  
ხ. დოლიაშვილი  
(პოეზიდან „ღვწოთ ირაჯული“)

ანატოლი ვასილის ძე ლუნაჩარსკის ყველა თავის მრავალრიცხოვანი და მეტად მდიდარი მხარეების გარდა ახასიათებდა კიდევ ერთი, ჩვენი ლიტერატურული კრიტიკოსისათვის ძალიან საჭირო თვისება — ახალი ლიტერატურული ძალების შემზნევის, მათი წამოწევის, მათდამი სიხარულით შეხვედრის უნარი. რა გულწრფელი აღფრთოვანების აკორდები ისმოდა მის ხმაში, როცა ის ახლადმოვლინებული ნიჭის შესახებ ლაპარაკობდა! რა სიხარულის ცრემლები ადგებოდა თვალზე! რა გატაცებით და ბავშური ნდობით ეპყრობოდა იგი ყოველ ახალ როვოლიუციონურ ძალას... ანატოლი ვასილის ძე იყო დიდი ადამიანი და მას მართლაც მთელი თავისი სიდიადით შეეძლო მხოლოდ სიხარული გამოეხატა ნიჭიერი ძალის გამოჩენისას.

რა უყოთ თუ ზოგიერთი მოვლენები უფრო შეფერადებული გამოდიან დანაწიისში, ვიდრე შემდეგ. რა უყოთ თუ ლუნაჩარსკის მიერ მინასალმები ახალი ძალები ყოველთვის არ ამართლებდნენ გულთბილი და გულკეთილი კრიტიკოსის იმედებს... ლიტერატურულ მოძრაობას ხშირად ახლავს ხოლმე ზედნადები, ზედმეტი ხარჯები და ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს ამის მართლაც შესაძლოა ორიოდ ახლად გამოსულმა მწერლებმა არ გაგვიჩაღდონ თამასუკები, მაგრამ მთავარია პრინციპი მოძრაობისა. ეს რევოლიუციონური პრინციპი არ აძლევს ლიტერატურას ერთდამივე „შტატებით“ გაყინვის შესაძლებლობას — ამ პრინციპის განხორციელება ახალი ძალების წამოწევის საუკეთესო გზაა! კადრების მუდმივი დენა, ახალი ამოცანების ახალი ძალებით განხორციელება და ამ შეუნელებელ შემოქმედებითი შეჯიბრით იმ ჩვენივე „ძველი“ მწერლების გადახალისება, რომლებიც კაუძლებენ შეჯიბრს...

მწერლობა არ არის საშვილიშვილო წოდებათა და ტიტულების დარიგება. აქ არც სკამებია, რომ სხვას „მოასწრო“ დაჯდომა და მერე აღარ ადგე. მწერლობა არ არის ერთადერთი აუცილებელი პროფესია იმ ადამიანთათვის, ვინც თავისი ამოცანების შესრულება ვერ შეძლო. გზა მივცეთ სულ ახალ და ახალ რევოლიუციონურ ძალებს! წავაქეზოთ უკვე გამოსული მწერლები ახალ-ახალ მიღწევებისაკენ!



სამწუხაროდ ჩვენს კრიტიკას აკლია მოძრაობის ამ პრინციპის/საკმაო გამბედაობით მომარჯვება. ჩვენ ვერ ვიჩინთ ხოლმე ჩვენი/ეზიქიასანტა: დამახასიათებელ სიდიადეს, გამბედაობას და ლუნაჩარსკისებურ გულთხედს/სისხარულს ახალი მწერლური კადრების მიმართ, ვაი თუ არ გავმართლდი! ვაი თუ მწერალმა არ განამართლა და მომავალში არ განვითარდა ის—მაშინ ეს ხომ ჩემი დამცირება იქნება! ასე მარჩიელობენ და ეკვით კოქმანობენ ხოლმე ზოგიერთი იმათგანაც, ვინც თვით თავისი პროფესიის თანახმად „ვალდებულნი“ არიან ახალი ძალა წააქეზონ. ეს შიში უმართებულოა და ზედმეტი იმ შემთხვევაში, თუ კრიტიკოსს გაქვს საკმაო კლასობრივი ალლო—რომ არ შეცდე და საერთო კულტურა, მხატვრული გემოვნება და შემოქმედებითი ყნოსვა—რომ არ მოსტყუდე. ხუთ „დაწინაურებაში“ სამი რომც შეცდარი აღმოჩნდეს—ორი შემთხვევის გამართლება გადაჭარბებითაც დაფარავს იმ „ზედმეტ ხარჯებს“, რომელსაც ამ სამი შემთხვევის ჩაფარდნა გამოიწვევს. ისე კი, ვისაც შგლის ეშინია ტყეშიც ნულარ შედის.



ზაქრო დოლიაშვილის შემოქმედება და პიროვნება მრავალმხრივ საინტერესო და დამახასიათებელია. ჩვენ მწერლობაში იშვიათია სხვადასხვა თვისებების ერთ ადამიანში ასეთი შეთავსება. მოჯამაგირე წარსულში—დღეს კვალიფიციური მუშა, წინეთ კომკავშირელი—ახლა ბოლშევიკური პარტიის წევრი, გლეხკორი, მუშკორი, „მელექსე“—ახლა კი ლიტერატურული პროდუქციის: ლექსების, პოემების, წიგნის ავტორი და ყოველივე ამასთან ერთად ყველას მიერ უდავოთ აღიარებული მკვეთრი მხატვრული ნიჭი ლექსის საკმაოდ მაღალი კულტურით.

პროლეტარული კრიტიკა საერთოდ და განსაკუთრებით ამ სტრიქონების ავტორი მუშა მწერლებს სპეციალურ პირობებს უქმნიდა. მაგრამ ზოგიერთი მათგანი ვერ ვითარდებოდა, რაიც სხვათაშორის მუშა მწერლების ახალგაზრდული, ჩვენი უახლოესი რეოლიუციების პირობებში გამოზრდილი კადრების უყოლობითაც აიხსნებოდა. ზოგიერთი ძველი მუშა მწერლების ხალხსინურ-მხავეისებური და ცუხური ავთიმყოფობანი კი თავის მხრივ ხელს უშლიდენ ასეთი ტიპის ახალი მუშა მწერლის განკითარებას. დოლიაშვილი სწორეთ ასეთი ტიპის ახალი მუშა პროლეტარული მწერალია, რომელსაც ნაკლებათ ახასიათებს ძველი „მუშა მწერლების“ ნაკლოვანებანი. ამასთანავე ის ისეთი ნიჭოს პატრონია, რომ აღარ საკიროებს განსაკუთრებულ, ძველებურ, ცოტა არ იყოს ფილანტროპიული ხასიათის „მეარველობას“. მას სჭირია „ჩვეულებრივი“ ლიტერატურული ყურადღება და თუ ამ „ჩვეულებრივ“ პირობებს შეუქმნით—ჩვენი ლიტერატურა შეიძლება გამდიდრდეს ერთი ნიჭიერი, შედარებით ახალი ტიპის მწერლით.

დოლიაშვილის პირველი „ლექსი“ (თუ მას შეგვიძლია ლექსი უწოდოთ) დათარიღებულია 1927 წლით. ეს იყო გაზეთ „ახალ სოფელში“ დაბეჭდილი რევოლიუციით განთავისუფლებული მივარდნილი მთიელი სოფლის გლეხი-მოჯამაგირის ჩვეულებრივი მილოცვა დღევრძელება საბჭოთა ხელისუფლების მი-

მართ. მას შემდეგ რამოდენიმე წელს დოლიაშვილი დროგამოშვებით იმევე გაზეთში ბეჭდავს თავის კორესპოდენტებს ლექსად და ამრიგადვე „ახალსოფლის“ თავისებური მელექსე კორესპოდენტი იყო. აქ ავტორის მხარესაა ფრაზებში ესალმება ახალ ცხოვრებას და რევოლუციით აღფრთოვანებას გამოთქვამს. ამ მხრივ დოლიაშვილი რა თქმა უნდა არ იყო კონკრეტული კორესპოდენტების ავტორი. იგი უფრო რევოლუციით გახარებულ უღარიბეს გლეხების და მოჯამაგირეების განწყობილებათა ლექსად საერთო ფორმებში გამოთქმელი იყო.

დოლიაშვილის შემდეგი ლექსები ასახავენ მის, როგორც ლიტერატურულ, ისე საერთო საზოგადოებრივი განვითარების გზასაც. მოჯამაგირე, გლეხი, მთიელი ხდება ქალაქის მუშად. ეს გლეხი მელექსე უდიდესი ნდობით და სიყვარულით ეპყრობა ქალაქს. მას არ აწუხებს და არ აშინებს ქალაქი, როგორც აშინებდა სხვა კულაკურ და ნახევრადკულაკურ პოეტებს. მას უყვე შეუგნია სოციალისტური ქალაქის წამყვანი როლი და ამაშია ამ უბრალო გლეხი-მელექსის პროლეტარული მწერლის პოზიციებისაკენ მოახლოვების საწინდარიც. ქალაქში იგი თანდათან ვითარდება, რამდენათაც ეს წარმოსადგენია იმ კულტურულ საფეხურზე, რომელზედაც დოლიაშვილი იდგა. დოლიაშვილის ლექსები ამ დროს აქა იქ შეუშინებლად, კანტიკულად ყურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა. მაგრამ ვერც ეს პუბლიკაციები და ვერც პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მიერ ზერელეთ და „კომპანიურათ“ გატარებული დამკვირვებლ მუშების მწერლობაში „გაწვევა“ ვერ ახალისებს და ვერ აწინაურებს დოლიაშვილს. დაბოლოს თავისი დაყენებული მუშაობით და სიმტკიცით, კერძოთ კი პოემა „ლექსო ირაჯულით“ იპყრობს იგი მკითხველთა და მწერლური საზოგადოებრივობის ისეთ სერიოზულ ყურადღებას, როგორც მხოლოდ ჩვენ პირობებში შეიძლებოდა.

როგორც ვთქვით დოლიაშვილი საყურადღებოა პირველად ყოვლისა, როგორც მწერლის ახალი ტიპი. სიტყვის და საქმის მთლიანობა, პირადი ცხოვრების და შემოქმედების ერთიანობა მუშა-პარტიულის ცხოვრება და რიგითი მუშა-პარტიულისვე თემა ტიური ინტერესი, თვალთახედვა და პორიზონტი—აი რა არის დამახასიათებელი დოლიაშვილისათვის. თუ ის თავის პროფესიონალი მუშის იდეოლოგიის და ფსიქოლოგიის პროფესიონალ მწერლის ფსიქოლოგიასთან შეთავსებას შესძლებს, რა თქმა უნდა შედარებით უფრო მაღალ იდეურ დონეზე—ეს იქნება ამ ახალი ტიპის მუშა პროლეტარული მწერლის დიდი პრინციპიალური მნიშვნელობის გამარჯვება.

მართლაც იშვიათია ქართულ ლიტერატურაში მწერალი ასეთი მართლაც განიული მუშათა თემატიკით. ეს მისი თემებია, დოლიაშვილი კარგათ იცნობს გმირებს და მოვლენებს, რომელზედაც სწერს, ისინი მისი ამზანაგები, მეზობლები და თანამებრძოლებია, თემები მათ შესახებ ავტორის პირადი თემებიცაა. ამიტომ არის რომ იგი ასე გულწრფელად, ყოველგვარი ხელოვნური პათოსის გარეშე იძლევა, როგორც სოფლის, ისე ქალაქის შრომის პროცესებს. სწორეთ დოლიაშვილის მაგალითზე შეგვიძლია დავინახოთ თუ რამდენათ დგკლარატული და საერთო ხასიათისა იყო დღემდე ზოგიერთი ჩვენი პოეტების მიერ შრომის პროცესების „შექება“. დოლიაშვილი კი არ „აქებს“

შრომას, ის ამ შრომით ცხოვრობს—მისი ლექსები ადამიანის მტრულ და შრომაში ცხოვრების პოეზიაა. უნდა გქონდეს კაცის ღმერთური ყნოსვა, რომ ისე დასწერო მუშა-ინვალიდის შესახებ, როგორც ეს დოლია-შვილმა შესძლო „პენსიონერში“.

რახე „მოსთქვამს“ ორმოც წელს დაზგასთან ნამყოფი მუშა პენსიონერი? ის „დასტირის“ თავისდაკარგულ ჯანმრთელობას, მაგრამ არა მარტო იმიტომ, რომ ეცოდება თავი, არამედ იმიტომ, რომ ეცოდება თავისი შრომის უნარი, უძნელდება იმ აზრთან შერიგება, რომ მას მუშაობა აღარ შეუძლია. პენსიონერს დიდი ვნებით სურს ჯანლონის დაბრუნება, მხოლოდ იმისთვის, რომ კვლავ შესძლოს იცხოვროს შრომით, განაგრძოს ქარხნის ცხოვრებით ცხოვრება, კვლავ ამოუღდეს გვერდში სოციალიზმის მშენებელთ. ასეთია ჩვენი თანამედროვე მუშის რევოლუციონერ-უტილიტარული შეხედულება ადამიანის და კერძოთ თავის დანიშნულების შესახებ:

თქვენთან დღეს არ ვარ, აი რას ვწუხვარ,  
მელის დღე და დღე სიკვდილის ხელი.  
თქვენ მაინც შეილნო სანამ ჯანი გაქვთ  
აშენეთ ქვეყნის მუშური კერა,  
და მეც ვიხარებ, ვიდრე სიკვდილი  
გამომტაცებდეს თქვენს ძვირფას მზერას.

ავილოთ მეორე მხრივ პოემა „ლოთი“. ეს ნაწარმოებიც მუშათა ყოფა-ცხოვრებაზე საერთო ლაპარაკი კი არ არის, არამედ აქ აღებულია მუშური ცხოვრების ერთერთი კონკრეტული მტკივნეული საკითხი—წარსულის ნაშთი ლოთობის სახით. რა ნამდვილი ამხანაგური, მეგობრული სიახლოვით უდგება ავტორი ლოთობით გადაგვარებულ ყოფილ მუშას! ავტორი ქირურგი, ადმინისტრატორი, აგიტატორი, პედაგოგი, ამხანაგი და მეზობელიც არის ერთ-დაიმავე დროს. ის არჩენს ავადმყოფ მეზობელს და, ვიმეორებთ, ყოველივე ეს მოკცემულია ამ ლოთი მუშის ნამდვილი ყოფაცხოვრების კარგი ცოდნით. ყველა ფაქტორები: დაწყებული მილიციით და გათავებული საბინაო მშენებლობით უზღუდავენ გადაგვარებულ მუშას ლოთობის შესაძლებლობას და ეს ყოფილი ლოთი ორგანიულად, დღითი-დღე უბრუნდება თავის მშობლიურ პროლეტარულ კერას.

კარგათ, გულთბილად და გულწრფელად არის გაკეთებული დოლიაშვილის, იშვიათი თავისი სხარტულობით, „დამკვრელთა პორტრეტები“, სადაც თითო კულეტში ლაკონურად მოხაზულია თითო გმირის სახე.

მეტად სასიხარულოა, რომ დოლიაშვილის ნაწარმოებებში, მიუხედავად ავტორის ახალგაზრდობისა, მდიდრადია მოკცმული წარსული მუშური და რევოლუციონერი გამოცდილება მემკვიდრეობის გამოყენების მოტივი („მოხუცი ბოლშევიკის საუბარი პიონერებთან“, „პენსიონერი“, „მეტეხის ციხე“). მეტეხის ციხის გახსნისას ავტორი რა თქმა უნდა იგონებს ძველ რევოლუციონერთა კენესას და ასე მიმართავს პოეტებს:

ძმებო, შეგკრიბოთ და აღვადგინოთ  
გულშემზარავი ამ ხალხის კენესა,



მწამს მე ის ხმები შებრთებული  
ლალუმებივით დახეტქავს კლდესაც

გარკინენული  
ზინზლიჩინიქა

ღიახაც არის ჩვენი მომავალის საწინდარი, ჩვენი აღმშენებლობის უძვირ-  
ფასესი „ლალუმი“ საკუთარი რევოლუციონური წარსულის სწორი ცოდნა და  
მისდამი პატივისცემა.

და დაბოლოს თემატიკის მხრივ დამახასიათებელია ინტერნაციონალური  
მომენტი. „ჩინელი მუშა ჩვენ ქარხანაში“ და სხვა ასეთები ამჟღავნებენ ავტო-  
რის ჯანსაღ ინტერნაციონალიზმს.

ასეთია დოლიაშვილის მუშური თემატიკა. მაგრამ დამახასიათებელი სწო-  
რეთ ისაა, რომ ავტორი სოფელსაც კარგათ იცნობს და ორივე თემას ეუფლ-  
ება. პოემა „ლექსო ირაჯული“ სოფლის კოლექტივიზაციის შესახებ არის  
დაწერილი. ავტორის მდიდარმა მთიულურმა კოლორიტმა (მოქმედება თუშეთ-  
შია), ხალხური ლექსის თავისებური გამოყენების ცდებმა და სოფლის ბუნების  
მძლავრმა სურათებმა ზოგიერთ კრიტიკოსებს აფიქრებინა თითქოს დოლია-  
შვილი ვაჟა-ფშაველას შეკოლიდანაა. ეს რა თქმა უნდა შეცთომია, ვინაიდან  
დოლიაშვილი ყველა მოვლენებს და მათ შორის სოფლისას ახლა უკვე ქალა-  
ქელი მუშის თვალთახედვით იძლევა და ეს ირკვევა, როგორც პოემის შინაარ-  
სიდან, ისე პოემის მხატვრული აღნაგობიდან.

მაგრამ დოლიაშვილი არ გავს ზოგიერთ „მემარცხენე“ პროლეტარულ  
მწერლებს, რომლებიც სოფლის თემაზე წერილის გაუზრბიან (ან არ შეუძლიათ)  
სოფლის მდიდარი ბუნების მოცემას და იქაც კი, სადაც მთა ყვავის და ხევი  
ამწვანებულა — სულ რკინების მეტს არაფერს აგვიწერენ. დოლიაშვილი სიყვა-  
რულით და საკმაო მხატვრული სიბალისით იძლევა სოფლის ბუნებას, მთის რო-  
მანტიკას. მაგრამ ეს მთა ქალაქურად და დანახული და ამ მხრივ ავტო-  
რის თვით მხატვრული სტილიც კი (და არა მარტო ამბავი) განსხვავ-  
დება სხვა მწერლების სტილისაგან ქალაქის და სოფლის ორგანიზ-  
ლად დაკავშირებით. თვით მხატვრულ სახეები, ვიწროებთ, ათავსებენ  
თავის თავში ქალაქურ და ბუნების ელემენტების სინთეზს:

აქეთ იორი მოშხუის,

იქ კიდევ გიყი არაგვი,

ამ ორ ძმას შორის მთებია

მადნების უხვი მარაგით.

ალარსად გვინდა ჩვენ უქმად

მიწის პატარა ნაჭერიც,

გვინდა ნავთის კვამლს სუნთქავდეს

მთები, სიერცხეში აქრილი.

ჰე, რა ლამაზი იქნება

ბარს მთა მიებბას მავთულით,

იდგეს ხეებში ქობილი

და ციცხლი შემომართული...

როგორც ვხედავთ მთა ნავთის კვამლს სუნთქავს, მთა ბარზეა (ქალაქზე ამ შე-  
თხვევაში) მიბმული მავთულით და ამ რიგად ითქვიფება ზეცების ბუნების ქუხი-



ლი და ქალაქური „ცეცხლი შემომართული“. ამავე პოემაში ავტორს ისევ მთა ბარში ჩამოაქვს და ბარი კი მთაში ააქვს:

მთებს ჩამოჰგლიჯეთ მადნების კალთა,  
ჩვენი ეპოქის ვინც ხართ გულადი...  
და ეს იორი ბარს ჩამოსული  
გიყი ცხენივით შედგეს ტორეზზე  
რომ ვარსკვლავებზედ გადმოეკიდონ  
ელნათურები ამ ბნელ გორებზე...

ბნელ გორებზე ვარსკვლავებზედ გადმოკიდებული ელნათურები— ეს სახე თითქოს არც ისე რთულია, მაგრამ ავტორს საერთოდ არ ახასიათებს სახეების გართულება და პრინციპიალურად კი თავისი შინაარსით ასეთი მხატვრული სახე კარგ კონტექსტში მოცემული მდიდარია და ეფექტიანი. ასეთივე პრინციპიალური სიახლით საყურადღებოა შემდეგი ადგილი:

მთის ფერდს აქა-იქ აკრავს ბუჩქები,  
ლამაზი ქალის შავი ხალივით,  
კლდის ძირში ჰყრია მსხვილი ლოდები  
თითქოს ყალიბში გამოყვანილი.  
ბნელში დაგრებით ცეცხლის ისრები  
ჭრუანტელივით ტყეებში ჩადის,  
გზას ვერ გაიკვლევ, ირგვლივ ბნელია,  
იტყვი გარემოს ახურავს ჩადრი.

აქაც გართულებული სახეები არ არის. შედარებით უბრალოა (და არა უკულტურო და არც ხელოვნურად გაუბრალოებულად), მაგრამ დიდწინაშეწინააღმდეგობა, გასაგებობა და ეფექტის მომხდენი. მდიდარია შედარება მთისა, რომელსაც ბუჩქები ლამაზი ქალის შავი ხალივით აკრავს. კარგათაა გამოყენებული, ყოველგვარი ხელოვნურ დაძაბულობის გარეშე ტყის სიმბოლოდ ჩადრი. მაგრამ უფრო დამახასიათებელია, ქალაქურია თავისი წარმოსობით ლოდები— „თითქოს ყალიბში გამოყვანილი“.

აიღეთ მეორე მხრივ თავისი „სოფლორობით“ მდიდარი მხატვრული შედარებებიც, რომელსაც თავის დროზე პოეტ ნიკე ზომლეთელმაც მიაქცია ურადლება და რომელიც ავტორის ნიჭიერებაზე ლაპარაკობს:

და ხანჯლიანი მკლავი ჰაერში  
დარჩა ტოტივით გაკაცებულში...

ან: დაეცა შეილზე მოკრილ ხესავით

ან კიდევ: შემოიჭირა წელზე ქამარი

როგორც მომკალის შეკრული ულო

მაგრამ პირდაპირ იშვიათი მხატვრული სიმდიდრით, სოფლის (თუშეთის კერძოთ) კონკრეტული სახეების განსაკუთრებული ორგანიზაციით და ორიგინალობით გამოყენების მხრივ, კოლექტიური შრომის პათოსის მოცემის მხრივ და საერთოდ მხატვრული სიუბივით მოლოდინს გადააჭარბა დოლიაშვილმა პოემის აი ამ ნაწყვეტში:



აქ ერთ ეზოში ფშავლის რვა ქალი  
 სათესლე ქერსა ხალისით ცხრილავს  
 და მათ სახეზე შავი წარბები  
 ხშირი ტყესავით მწყობრად აყრილა.  
 როგორც დილის მზე მთის წვერს მშობღარი  
 ოქროს ქუდივით გადახურული,  
 როგორც უხადო, დაწმენდილ ფერის  
 ერბო, მეორედ გამოწურული  
 ასევე ფშავლის ქალების ფერიც  
 ირგვლივ შექივით იფინებოდა,  
 ჰგავდა მზის სიცილს, როცა რვა ქალი  
 ხანდახან ერთად იღიმებოდა.  
 უცქერდენ ველზე მოფენილ გლეხებს,  
 მღერის მინდორი, ტყეც ნისლიანი,  
 შენ ამ ცხოვრების გარედ რომ იდგე  
 ქვა უნდა იყო ადამიანი.

სამწუხაროდ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მთელი ეს მხატვრული ძალა  
 და მიღწევები „დახარჯულია“ ავტორის მიერ შედარებით უბრალო და საკმაოდ  
 მარტივი სიუჟეტის პოემისათვის. პოემა ცოტა არ იყოს სტემატიურია. მართა-  
 ლია ამ „სქემას“ თვით ცხოვრება იძლეოდა (კლასობრივი ბრძოლა სოფლად  
 კოლექტივის დაარსებასთან დაკავშირებით, კულაკის შეპარვა კოლექტივში,  
 მისი გამომტყანება, კოლექტივის თავდადებული ბელადის მკვლელობა და ასე  
 შემდეგ), მაგრამ ჩვენი მწერლობის ახლანდელ ეტაპზე ამავე თემისადმი მიდგო-  
 მისას საჭიროა უფრო მაღალი იდეური და პრობლემური სიმაღლეების დაპყ-  
 რობა (თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ავტორს ეს პოემა საკმაოდ ხანია  
 რაც დაუწერია და მხოლოდ გამოქვეყნება დაგვიანდა — ახლა გამოცემულია  
 გამოცემლობა „ფედერაციის“ მიერ). ეტყობა, რომ ავტორი საკმაოდ გულუბრ-  
 ყვილოა, როცა არ სურს „სინამდვილიდან გადახვევა“ და კმაყოფილდება მხო-  
 ლოდ მის მიერ პირადად ნანახი ამბის მოცემით. მიუხედავად ამ ნაკლისა პოემა  
 ისე გულწრფელად არის დაწერილი, ისეთი ცოცხალი და მძლავრი პათოსითა  
 დანთებული კლასობრივი მტრის წინააღმდეგ და ისეთი კარგი სურათებითა მო-  
 ცემული, რომ დიდის ინტერესით იკითხება და ამ მხრივ ჩვენ მხოლოდ ავტო-  
 რისვე სიტყვებით შეგვიძლია მივმართოთ მკითხველს: „გულდასმით გადაიკითხე  
 ამხანაგო მკითხველო, მეუშის კალმით აღწერილი დიადი ეპოქის გმირული  
 ბრძოლის ეს ამბავი, რომელთა უშუალო მონაწილე არა მარტო მე, არამედ  
 ყველა თქვენთაგანია“ (ავტორის წინასიტყვაობიდან). და მართლაც, ამ პოემი-  
 დან საკითხის ღრმად დასმის მხრივ მოწინავე მკითხველმა ახალი რომც არაფე-  
 რი გაიგოს, მისი წაკითხვა მაინც დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენ მკითხველს  
 კლასობრივი ბრძოლის სურათების თვალსაჩინო გაშლით და განსაკუთრებით  
 მტერზე ენერგიული განმანადგურებელი დარტყმით:

თითქოს ბალახიც უცოდველია  
 ველს რომ უცქერი ასე მგონია,



მაგრამ ცხოვრების გულში შედიხარ  
 იქ კლასობრივი ქვეყნის ოზია.  
 წინ აგეშლება მტრების ჯარივით  
 აქამდე სოფელს რაც უბრძოლია.  
 ველზე გაფენილ ყვავილებების ქვეშ  
 ფერგადასული სისხლის ზოლია.

აი ამ კლასობრივი უშუალოდით არის მდიდარი ეს პოემა და ამ მხრივ იგი საგრძნობლად განსხვავდება ამავე თემაზე ზოგიერთ სხვა მწერლების მიერ დაწერილ ნაწარმოებთაგან.

ჩვენ პოეზიაში რა თქმა უნდა აისახა ის ისტორიული ბრძოლა, რომელსაც პროლეტარიატი აწარმოებს კულაკობის წინააღმდეგ. სამწუხაროდ ამ მხრივ ზოგიერთი, და მათ შორის ახალგაზრდა ავტორების მიერ ეს ბრძოლა ათვისებულ იქმნა, როგორც კულაკობის თითქოს უდანაშაულო ტრაგედია. ამრიგად ასეთი კულაკური და ნახევრადკულაკური თვალთახედვით ათვისებული კულაკობის „ტრაგედია“ რა თქმა უნდა შეცდომით წყვეტს, როგორც ამ საერთო საკითხს, ისე კერძო ტრაგედიის საკითხსაც. დოლიაშვილმა თავისი ყურადღების ცენტრში დააყენა არა კულაკის „ტრაგედია“ (როგორც ეს ზოგიერთებმა დაუშვეს), არამედ კულაკობის მიერ მოკლული კოლექტივის ბელადი. აი აქ, მისი მოკლის ფაქტის აღწერისას, მოგვცა პოეტმა გულწრფელი ცრემლები და პოემის დასასრულს გაკეთებული ხალხური სიმღერა ამ მხრივ ხალხური შემოქმედების გამოყენების მეტად ნიჭიერი, ორგანიულად და ორიგინალურად გამოყენების შემთხვევაა. ემოციონალურ-მხატვრული ფერები ავტორის მიერ საესგებით სწორადაა განაწილებული, რაიც ვერ შესძლეს ამავე თემაზე პოემების დაწერისას ზოგიერთ სხვა უფრო კვალიფიციურმა მწერლებმაც კი ამიტომ ეს პოემა თითქმის ყოველმხრივ წინ დგას ამავე თემაზე სხვების მიერ დაწერილ ნაწარმოებებთან შედარებით.

ჩვენ უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, რომ დოლიაშვილისათვის თავისი ლექსების თემატიკა პირადად მისთვის ნაცნობი მასალაა. ამ მეტად კარგ თვისებას აქვს ჟარყოფითი მხარეც. პროფესიონალურმა მწერალმა უნდა შეძლოს დაეუფლოს იმ მასალასაც, რომელიც მას პირად ცხოვრებაში უშუალოდ არ შეხვედრია. მუშა მწერლების განვითარების განსაზღვრული დაწყებითი ეტაპისათვის დამახასიათებელია ავტობიოგრაფიული განხრად. დოლიაშვილსაც ეტყობა ეს. მაგალითად პოემა „ლექსი ირაჯულის“ შესავალში ის ამბობს, რომ პოემა „უტყუარ“ მასალაზეა აგებული და ეს კარგიც არის! მაგრამ ავტორი იქვე გულუბრყვილოდ დასძენს: მე არ შემიტანია ფაქტებში „არავითარი გაზვიადება, დამატება და სინამდვილის ლალატი“. რა თქმა უნდა სინამდვილის ლალატი არც შეიძლება და არც არის საჭირო, ხოლო რაც შეეხება გაზვიადებას, აქ კი უნდა ითქვას, რომ მწერლობა წარმოუდგენელია მოვლენების თავისებური „გაზვიადების“, ესე იგი ტიპიზაციის, განზოგადოების, მხატვრული დაკონკრეტების და უშუალოდ ანათვისები ცალკე ფაქტის მხატვრულ სისტემაში მოყვანის გარეშე. იმ ეტაპზე, რომელზედაც ახლა დოლიაშვილია, სრულიად ვასაგებია და საპატიო, როცა იგი მასალას თავისი ქარხნის, თავისი სოფ-



ლის, თავისი უბნის ან მისთვის „თვალთ მისაწვდომ“ გარემოდან იღებს. მაგრამ მწერლის თვალთახედვა თუ არ გაფართოვდა, თუ მისი მხედრობა მთლიანად პროლეტარიატის, როგორც კლასის, პორიზონტის დასაფარველად, მაშინ (ეუბნის და არა კლასის მწერლად დარჩება. ეს კი დოლიაშვილის შემდეგი ზრდის საკითხია და თუ ის ამ მიმართულებით ვერ გაიზარდა, მაშინ დიდი მწერალი ვერ გახდება, პატარაები და საშუალოები კი, „მადლობა ღმერთს“, ისეც საკმაოდ გეყავს. და თუ დღეს დოლიაშვილი ამბობს

აღარ გვჭირდება გამოგონება  
სინამდვილიდან გამოსჭერ სიტყვა

ჩვენ ეს ხწორ დებულებად შეგვიძლია მივიღოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავტორი გულისხმობს, რომ საჭიროა დაეყრდნო სინამდვილეს, როგორც მთლიანს, სინამდვილეს ქვეყნისას, მსოფლიოსას, კლასის და არა მარტო „შენი თვალთ ნახულს“. ასეთი „საკუთარი თვალთ“ ნახულით შემოფარგვლა ემპირიზმია და პოლიტიკურად ვიწრო ცუხურ კარჩაკეტილობამდე მიყავს. მხატვრული „შკოლის“ მხრივ კი აქ ნატურალიზმის საშიშროება ისახება: მართლაც დოლიაშვილს უკვე ახლა აქვს ნატურალისტური დეტალები, დამარწმუნებელი, მაგრამ გულუბრყვილო (მაგალითად „არიქა წყალი“ პოემის დასასრულს და სხვა). მეორეს მხრივ ამავე გარემოებიდან გამოიმდინარეობს აღმწერლობითი სტილი, როცა ავტორი შედარებით „პასიურათ“ ასახავს ამა თუ იმ სურათს და ამით კმაყოფილდება.

საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ თავისი მხატვრული ხერხები დოლიაშვილს ვერ ხშირად შეუგნებლად აქვს მოხმარებული და მიუხედავად იმისა, რომ ეს ხერხები ამჟამად მაინც საკმაოდ კულტურულია—მოპაეალში თავის წინააღმდეგობათ გადაიქცევიან თუ ავტორი ვერ შესძლებს თავის მხატვრულ ხერხებისადმი შეგნებულად მიდგომას. მაგალითად: შედარებით სტიქიურია ის გარემოება, რომ დოლიაშვილს სიტყვა დახვეწილი, სუფთა და ყოველგვარ ვულგარიზმებს, „სოფლიზმებს“ და „ქალაქიზმებს“ მოკლებული აქვს. დღეს ეს მიღწევა მისთვის ბუნებრივი ნიჭის საკითხია. შემდეგში ყოველი სიტყვისადმი უფრო შეგნებული დამოკიდებულება ყოველმხრივ დააზუსტებს მის სტილს. ეს დაზუსტება გახდის დოლიაშვილს არა მარტო ნიჭიერ მწერლად, არამედ ერთ-დაიმავე დროს შეგნებულ და ნიჭიერ მწერლად.

უნდა ითქვას, რომ თვით დოლიაშვილისევე შემოქმედებაში ახლაც მოცემულია ზოგიერთი დამახასიათებელი პროლეტარული მწერლისათვის დადებითი მხატვრულ-ფორმალური მხარეები, რომელთა შემდეგში შეგნებული განვითარება და კულტურული გამდიდრება (რა თქმა უნდა ე. წ. „მხატვრული ზომიერების“ დაცვით და არა ცალმხრივად) მოგვეცემს კარგ შედეგებს. რომ უფრო გასაგები გაეხადოთ ჩვენი აზრი დავახასიათებ ზოგიერთ ამ თვისებათაგანს.

რამოდენიმე ამ თვისებათაგანზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ზევით: ერთი იყო მხატვრული ფორმის სფეროში ქალაქის და სოფლის ყოფა-ცხოვრებიდან ამოღებული მხატვრული სახეების, შედარებების, შეტაფორების ჰარმონიულ მთლიანობაში მოცემის უნარი და მეორეც სახეების სისადავე.

მხატვრული სინადავის საკითხთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის ისიც რომ დოლიაშვილი პოპულარიზაციის პოეტია.

რას ნიშნავს ეს?

პოპულიარობა ჩვენი სწორი გაგებით არ ნიშნავს ხელოვნურად გაუბრალოებას და ლექსის კულტურის ამის გულისთვის დაქვეითებას. პოპულიარობა არის ზრუნვა ირისათვის, რათა შენ მკითხველთა რაც შეიძლება ფართო წრეში გაგიგოს, რომ შენი აზრი მაქსიმალურად მკვეთრად და წარმტაცად გამოსთქვა, რათა მკითხველმა ნაწარმოების წაკითხვის დაწყების შემდეგ აღარ მოისურვოს წიგნის განზე გადადება. სწორედ ასეთი პოპულიარობა ახასიათებს დოლიაშვილს; იგი ზრუნავს მკითხველისთვის, ზოგან გლახისთვის გაუგებარ სიტყვებს სქოლიოებში შენიშვნებს უკეთებს, თქმულს კიდევ განმარტავს ხოლმე სხვა კუთხიდან და სხვა მხატვრულ ფორმებში, ცდილობს დაარწმუნოს და ჩაითრიოს მკითხველი თავისი გავლენის ქვეშ და ყოველივე ეს დოლიაშვილს არ უჯდება გახალტურების ფასად. ამ პოპულიარობის, თავისი პოემის სარგებლიანობის გრძნობიდან გამომდინარეობს თავისებური დიდაქტიური მიდგომა მკითხველისადმი. მაგრამ აქაც ავტორი ახერხებს ეს თავისი „ქუთის სწავლება“ მოსაწყენ სქოლასტიკად და უსიციოცხო „ქუთა დარიგებების“ გროვად არ გადააქციოს. ამ თავისი ჯანსაღი პოლიტიკური დიდაქტიკის მიცემისას ის სხვებივით არ უბრუნდება მოსებ დავითაშვილის დროინდელ დიდაქტიკის სტილს. შეიძლება შეუგნებლად, მაგრამ ფაქტია, რომ დოლიაშვილი ამ თავისი დიდაქტიკის გამოთქმას ახერხებს თავისებურ ლექსალურ ფორმულებში:

როცა ცხოვრებას შეზარი  
ცხოვრების ფასი დიდია

ეს ფორმულა არ აწუხებს მკითხველს თავისი ქუთისდამრიგებლობით, იგი არ უღებდა მას ზევიდან ქვევით, როგორც ეს ცუდ ბებრულ დიდაქტიკაშია ხოლმე, ეს მისი პოეტური ფორმულები მკითხველის მიერ მიიღება, როგორც ავტორის მხრივ კატეგორიულ ფორმებში თქმული, მაგრამ უდავო „დირექტივა“, როგორც თავისებური პოეტური კატეგორიული იმპერატივი. და ეს „იმპერატივი“ ისეთი მხატვრულობით, ისე სწორად არის თქმული, რომ მკითხველი იჯერებს. ასეთ სტილს მეტი შეგნებით სჭირია მიდგომა ჭა ზომიერათ, მაგრამ დაჟინების განხორციელება.

ამ მაგალითად პოეტს სურს მხატვრულად გადასცეს მკითხველს მარქსისტული აზრი, რომ არა მანქანა მართავს ადამიანს, არამედ ადამიანი მანქანას და რომ ისტორიის შემოქმედი სწორედ მოწინავე კლასი, მისი ადამიანებია. მაგრამ ამ აზრს ავტორი არ ამჟღავნებს ძველი „კლასნი ნასტაენიკის“ ქუთთდამრიგებლობასავით:

სად დღე და ღამე ცეხიდან ცეხში  
დაზგები დაზგებს ეჯიბრებიან  
ფოლადს აქებენ სიმტკიცით, მაგრამ  
ფოლადზე მტკიცე ბრიგადებია.

ან და აიღეთ კიდევ ასეთი „ქუთის დარიგება“:  
სიციოცხლეს მაშინ რაღა ფასი აქვს,  
თუ რომ კუნძივით მართო იგორებ.

თუ გარჩევთ ამ „სენტენციას“ ერთი ზერელე შეხედვით გვეჩვენებთ, რომ აქ მგლის თავზე სახარების კითხვაა, მაგრამ იგი ისე მხატვრულად არის თქმული, რომ ინდივიდუალისტ „მგლებზეც“ კი, რომლებიც შეყვარებული არიან თავის კერძო საკუთრებაში და საერთოდ ყოველივე თავისაში, ეს ორი სტრიქონი სათანადო მხატვრულ კონტექსტში მოცემული მოახდენს ჩამაფიქრებელ გავლენას: მართლაც და რა სასიამოვნოა კუნძივით მართა გორება?! გლეხს და არა მართო გლეხს, არამედ ყველას, ამ ორი სტრიქონის წაკითხვისას წარმოუდგება თვალწინ სადღაც ტყეში მივარდნილი ჭონჭყო და იქ განმარტოებით დაგდებული კუნძი: რომელ ეგოისტსაც კი მოეწონება ასეთი განმარტობა?! ასეთ დარწმუნებაშია მხატვრობის ძალა და ასეთია მხატვრული დიდაქტიკა, იგი მაშინ მისაღებია ჩვენთვის, იგი მაშინ ჩვენი პოლიტიკური პოეზიის სტილია, პოეზიის, რომელიც უშუალო პოლიტიკურ ზეგავლენას ახდენს მკითხველზე.

მართლაც დოლიაშვილის შემოქმედებებს გარჩევისას ჩვენ აუცილებლად უნდა შევჩერდეთ პოლიტიკური პოეზიის საკითხებზე.

ნიუბედავით იმისა, რომ დოლიაშვილში არის ის ელემენტები ახალი ტიპის წყურლისა, რომელზედაც ჩვენ ზემოდ ვილაპარაკეთ, ჩვენ მაინც არ შეგვიძლია დავარქვათ მას პოლიტიკური ტიპის პოეტი, როგორც მაგალითად შეგვიძლია ვთქვათ ეს ისეთ პოლიტიკურ პოეტზე, როგორიცაა ფრიდონ ნაროშვილი ან სხვა ვინმე. კარგ პოლიტიკურ პოეტის ტიპათ გახდომა დოლიაშვილს შეუძლია, მაგრამ ამისთვის საჭიროა მეტი პოლიტიკურ-თეორიული მომზადება, რაიც სხვებთან შედარებით მას ჯერ ნაკლები აქვს და რაიც არ ნიშნავს, თითქმის ეს სხვები თავისი მხრივ უკვე დასრულებულ და უნაკლო პოლიტიკურ პოეტებს წარმოადგენენ. დოლიაშვილს მართლაც აქვს დიდი პოლიტიკური შეგნების მხატვრულ-იდურობის პირდაპირობის და მტკრცე ხმის პოეტად გახდომის შესაძლებლობანი. ავიღოთ თუ გნებავთ მისი სტილის ზოგიერთი დამახასიათებელი თვისებანი. აი მაგალითად თავისებური მოქალაქობრივი დიალოგი. მისი გმირები (მტერი-მტერს) მოქალაქურად, პირდაპირ და მკვეთრი ენით ელაპარაკებიან, რაიც აუცილებლად სწორია. ასეთი სტილის განვითარება საჭიროა (რა თქმა უნდა ისევე და ისევე მხატვრული ზომიერებით). ამ მხრივ საინტერესოა დიალოგები პოეტსა (ავტორს) და ლოთს შორის (პოემა „ლოთში“), დიალოგები ლექსისი და კულაკ გიორგის შორის (პოემა „ლექსო ირაჯულში“) და სხვა.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ისეთი მხატვრული სიჯანსაღით, სიცოცხლით აღსავსე დიდაქტიკა, როგორიც გვხვდება დოლიაშვილის ნაწერებში, უშუალოდ შედის პოლიტიკური პოეზიის იარაღთა კატეგორიაში. ასევე შედის ეს მოქალაქობრივი დიალოგი, რომელზედაც აქ შევჩერდით. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ასეთი მოქალაქობრივი დიალოგი დოლიაშვილის შემოქმედებაში ხშირად იქცევა პოეტის მოქალაქობრივ მონოლოგად, რომელიც არ არის ხოლმე ისე მოსაწყენი და არა მხატვრული, როგორც ეს ყველა დროის და ყველა დიდი მწერლების მონოლოგებსაც კი ემართებათ ხოლმე. ეს მონოლოგები არის პოეტის მკითხველისადმი პოლიტიკური მიმართვა, მწერლის მხატვრული პროპაგანდა.



თევობით შედგენილ სიცრუეს  
 ქრთამებით ის ველარ გაყიდის!

მეორე მხრივ ასეთა პოლიტიკური პირდაპირობის პოეტური სტილისთვის ე. ი. საგნის სახელის პირდაპირ თქმის „ტეხნიკისთვის“ დამახასიათებელია ეს ადგილიც:

ვინც ქვეყნის გულს ღრღნის დღეს კისიავით  
 და ხელობად აქვს მხოლოდ ზიანი,  
 ერთი შეხედვით მიწის თხუნელას  
 თავი ჰგონია ადამიანი...

როგორც ვხედავთ ასეთ პოლიტიკურ პოეზიას და კერძოთ მიმართვების ამ „მანერას“, სჭირია თავისებური ვაჟკაცური სტილი და ლექსიკონიც. ამ მხრივ დოლიაშვილი განსაკუთრებით დამახასიათებელია, მასში მართლაც არის ბევრი რამ სპეციფიური მთელი ულური. ზოგიერთი მისი ლექსების ადგილები ვაჟკაცის მიერ გრანდიოზული ძალით ნასროლი კლდის ნატეხის შთაბეჭდილებას ახდენს:

წინ მივალთ და მთა-გორების  
 მკერდი დაგვიტზრია,  
 თუჯი, რკინა და ნახშირი  
 უამრავი ყრია...

დააცირდით ამ მედგარ რიტმს, ამ გამოთქმებს და სიტყვიერ მასალას (შინაარს რომ თავი დავანებოთ, რომელსაც აქ საესეებით შეჰფერის ფორმაც). გაეხსენოთ კიდევ ზემოთ უკვე მაგალითად მონაყვანი ადგილებიც:

- 1) იდგეს ხეების ქუზილი  
 და ცეცხლი შემომართული.
- 2) მთას ჩამოჰგლიჯეთ მადნების კალთა  
 ჩენი ეპოქის ვინც ხართ ერთგული.

როგორც ვხედავთ ამ მეორე მაგალითში ერთადაა ორგანიზულ და ორიგინალურ მთლიანობაში მოცემული: მოწოდება, მიმართვა სტილის და რიტმის ვაჟკაცურობა და პოლიტიკური პირდაპირობაც.

მაგრამ არც მეტაფორები, სახეები, ეპიტეტები, არ არის მოკლებული დოლიაშვილის ლექსებში პოლიტიკურ ელფერს. განსაკუთრებით წყალობს იგი ამ მხრივ ბატალურ მასალას ე. ი. ომების და მათ შორის სამოქალაქო ომების დროებიდან ამოღებულ შედარებებს. აი ასეთი პირდაპირ სანიმუშო შემთხვევაა პოემა „იარაჯულის“ დასაწყისშივე:

ველს გარს ატრყია მთისაგრეხილივით  
 წყლიან ნისლების ღურჯი კედელი,  
 ჰგავს ლეგიონებს ომში მიმავალთ  
 აქ მათი დენა შეუწყვეტელი.

ავტორს ტრაქტორების კოლონის მოძრაობაც კი აგონებს „ჯარის მოძრაობას“ („იჩუყვი ფრონტზე მიდის ჯარი“), მის ლექსებში „მატორები სდგანან გუშაგებივით“. შრომის პროცესიც ომს აგონებს დოლიაშვილს:



მგელივით რომ ყანას ურბენს  
კაცი, ნამგალ-სამაჯურით,  
ომში შესულ გვირს ჰგავს იგი,  
თაფზე ადგას სიციხის ბური...

მეორე გლები „ატრიალებს, როგორც ხმაღს გაქაფულ ნამგალხელში“, მე-  
სამე მოუწოდებს კოლმეურნეებს „ლაშქარივით ველზე გასვლას“ და ბოლოს  
„მთის ჩანჩქერები შეომრებივით მიიმღერებინ“

რატომ არის, რომ პოლიტიკური სახეებიდან სწორედ ეს ლაშქრული  
მასალა უფრო იტაცებს ავტორს? აქ ჩვენი აზრით ორი მიზეზია, უკეთ ერთი  
მიზეზი და მეორე მიზეზი: მთიულური კოლორიტის (მთა მუდამ  
იარაღში იყო!) კარგი ცოდნა, მთისშვილობა—აი მიზეზი (ლიტერატურუ-  
ლი ხერხის გენეზისი) და ამ მთიულური კოლორიტის თანამედროვე გამ-  
აფრებულ კლასობრივი ომის მხატვრული დახასიათებისათვის გამოყენების სურ-  
ვილი—აი მიზეზი (ლიტერატურული ხერხის ფუნქცია). ამიტომ  
მთის ყოფითი მასალის ასე ქალაქურად, პროლეტარულად გა-  
მოყენების მაგალითი მეტად სერიოზული პრინციპიული მნიშვნელო-  
ბისაა და ეს გარემოება კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ დებულებას, რომ ავტო-  
რი ორგანიზულად, არა მარტო შინაარსის მხრივ, არამედ ფორმის სფეროშიაც  
ავრთიანებს ქალაქის და სოფლის მასალას.

დოლიაშვილის შემოქმედებაში პოლიტიკური პოეზიის ელემენტების დახა-  
სიათებასთან დაკავშირებით ჩვენ აღვნიშნეთ თავიებური ვაქეაქური სტილის  
შექმნის მაგალითები. ამასთან დაკავშირებულია ეს ომის, ბატალურ-ლაშქრულ  
მასალის არა თვითმიზნობრივი, არამედ მკვეთრი პოლიტიკურ-უტილიტარული  
გამოყენება და დაბოლოს ამავე ვაქეაქურ სტილთანაა დაკავშირებული მხატვ-  
რული გაზვიადებების, გიპერბოლების ხშირი მაგალითები, როცა  
დოლიაშვილი „ჩვეულებრივ“ მოვლენებსაც კი გრანდიოზულ ასპექტში იძლევა  
ხოლმე:

- 1) როდის იქნება მოვედვით ყანებს  
დავდვით მთებშივით შეკრული ძნები,
- 2) მასში იღვიძებს ზიზლი და შუღლი  
მეხის და სეტყვის მსროლელ ცას გავდა  
მისი მრისხანედ ნაკეცი შუბლი

აქ ჩვენ გვგონია გასაგებია ყოველივე: რა, როგორ არის და რატომ.  
მეხის და სეტყვის მსროლელ ცას გავს მრისხანედ ნაკეცი შუბლი და ძნები კი  
მთებივითაა დადგმული! ეს გიპერბოლის, ვაქეაქური გაზვიადების და გრან-  
დიოზული ხაზების გამონახვის ტიპიური შემთხვევებია.

ავლნიშნავთ რა ამას, ჩვენ არ მოუწოდებთ ავტორს მხატვრული უბრალოე-  
ბის და კერძოთ სასაუბრო ენის განდევნას. დიდი პათოსის გმირული და  
მკვეთრი პოლიტიკური პოეზია არ ეწინააღმდეგება მწერლის მკითხველისადმი  
ამხანაგური მიდგომის სტილს და ამ მხრივაც აქვს დოლიაშვილს გან-  
ვითარების ნიშნები, თუმცა ნაკლები:



მოეტყუედი, მალევე ეს რა ვიფიქრე—

მანდ შენი სწორი თქმისა არ იყოს. ერეკინული

ასეთია დოლიაშვილის მხატვრული საშუალებანი. ეს საშუალებანი თავისი ხასიათის მიხედვით უმთავრესად პოლიტიკური პოეზიის კერქვეშ იყრიან თავს, თუმცა დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ დიდი პათოსის ლექსის პატარა რიტორიულ ხოტბაში გადავარდნის საშიშროებაც აქვს დოლიაშვილს და ეს გამომვლავნდა მის მიერ „მნათობში“ დაბეჭდილ „მოდიან ლეგიონებში“, სადაც ავტორი იმეორებს ზოგიერთი ძველი მუშა მწერლების და კერძოდ ეურნალ „ჩვენი მიზანი“-სათვის დამახასიათებელ სახოტბო პოეზიის მანერებს:

გულიდან ამოტანილი  
მუშა-მგოსანის კალამით,  
მშრომელთა მილიონებო!  
პროლეტარული სალამი!

ეს რა თქმა უნდა არ ვარჯა, აქ საერთო ფრაზებია, ხოტბაა, თავის მუშურ გულმკერდზე ზელების ამპარტაუნულად დარტყმაა, ისე, როგორც ეს ჩვევია ზოგიერთ საეჭვო „მუშა“ მელექსეებს, რომლებსაც დოლიაშვილი კარგად იცნობს და რომელთა მაგალითს მან არ უნდა მიბაძოს.

\* \* \*

ასეთი საინტერესო და დამახასიათებელია დღეს დოლიაშვილის შემოქმედება, მასში ბევრი შესაძლებლობებია და ვასრულებთ რა ამ წერილს, ჩვენ გვინდა იმითვე გავათავოთ, რითაც დავიწყეთ: რომ მისი შემდეგი ზრდა და სერიოზულ პოლიტიკურ პოეტად გახდომის საკითხი საცხებით დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებს იგი შექმდგომ კულტურულ განვითანებას, იდეურ-ფილოსოფიურ წინსვლას და პორიზონტის გაფართოებას.

ქუთაისი  
1934 წლის  
იანვარი

## ტიციან ტაბიძე

### ისტორიული ნოველა „მამელუკი“

1912 წელს სალიტერატურო კრებულ „გრდემლი“-ს მეორე ნომერში დაიბეჭდა უიარაღოს — მოთხრობა „მამელუკი“. არ შეიძლება ითქვას, რომ თავის დროზე ქართულ მწერლობაში შეუმჩნეველი დარჩენილიყოს ეს მშვენიერი ნაწარმოები, მაგრამ აქამდე ის ცალკე წიგნათ არ გამოსულა და ფართე მკითხველი მასეხები მას ნაკლებათ იცნობენ, მაშინ როდესაც „მამელუკი“ რევოლუციის წინანდელი პროზის პატარა შედეგია.

ამავე „გრდემლში“ დაბეჭდილია ნიკო ლორთქიფანიძის „მრისხანე ბატონი“, აგრეთვე მშვენიერი მოთხრობა, რომელიც აქამდე ითვლება ქართული პროზის თვალსაჩინო მიღწევათ; მაგრამ ბედმა შემდეგში გათიშა ეს ბედნიერი ტყუპები და დღეს „მამელუკი“-ს შესახებ მხოლოდ ბიბლიოფილი მწერლები თუ ლაპარაკობენ. საბჭოთა მწერლების გამომცემლობა „ფედერაცია“-მ მოინდომა ამ დაუწყებელი შედეგის გამოქვეყნება, რომ ხელმეორეთ დაუბრუნოს ის ცხოვრებას და მწერლობის ახალ კადრებს მისცეს ძველი ოსტატის სანიმუშო წიგნი. 1912 წელი, როდესაც პირველად დაიბეჭდა „მამელუკი“, ის პერიოდი, როდესაც ლექსი საგრძნობლათ სჩაგრავს პროზას, ეს მაშინ საყოველთაო მოვლენა იყო საქართველოში, რუსეთშიც და ევროპაშიც...

ეს არის, დამწიფებული სიმბოლიზმის ეპოქა, რომელსაც ყველა ლიტერატურულ სკოლაზე ნაკლებათ ახასიათებს მძლავრი პროზა, თვით საუკეთესო ლექსის ოსტატებიც კმაყოფილებიან ლირიკით და ამ სკოლას არ შეუქმნია ერთი მაინც დიდი პოემა.

ბურჟუაზიული კულტურის აგონია ეპოსისთვის ვერ იცლიდა — და ლექსიც უფრო სასიკვდილო ამოძახილს აგავდა, ეს კოსმიური „სივ“ — მაშინ ერთნაირად მოდებული ჰქონდა კაპიტალისტურ მსოფლიოს. ამ დროს ტონის მიმცემ მწერლებათ ითვლებიან: ლორთქიფანიძე, ოსკარ უალდი, სტანისლავ პშიბიშევსკი, კნუტ ჰამსუნი, ლეონიდ ანდრეევი, პეტერ ალტერბერგი და სხვ.

ამ მწერლებმა შექმნეს ლირიკული ნოველის ახალი ჟანრი. ოსკარ უალდის ზღაპრები და „დორიან გრეის პორტრეტი“, სტანისლავ პშიბიშევსკის არაბესებები და „სატანის სინაგოგა“ ანიშნებენ ამ გზას.

ლეონიდ ანდრეევი აღრინდელ ძლიერ რეალისტურ მოთხრობებიდან გადადის მისტიურ ბოდვაში, და ექცევა ედგარ პოს გავლენის ქვეშ და რთაცა ვერ იუფლებს მის ოსტატობას, საზუდამოთ იზღართება აბსტრაქციებში და სექსემბში.

ყველაზე უფრო ძლიერი წარმომადგენელი ამ დაცემის ეპოქის რჩენა ფრანგი ლოტრეამონი, რომელმაც თავის გომბეზოს მონოლოგებში შექმნა ქრუანტილის მომგვრელი პროზა, სადაც ქიმიურად დახსნილია მორალიც და ბუნებაც.

შემდეგ არც ერთი ოსტატი არ ამალეებულა ლოტრეამონის კონცეპციამდე, ამ შავმა დემონმა სამუდამოთ დაძალა თავისი ეპოქის ფრანგული პროზა და მისი გავლენა ახალ სკოლაზე უფრო წარღვნას აგავდა, ვიდრე გავლენას.

შედარებით რეალისტური იერით წერდნენ არ. შნიცლერი და პ. ალტენბერგი — ეს არის დიდი ქალაქის ბოქმის ვიზიონერობა.

მხოლოდ კნუტ ჰამსუნი ასცდა ამ გადაგვარების გზას და შექმნა სინთეტიური რომანი.

ამ უეჭველ გენიათა სასაფლაოზე არა მარტო ცხოვრებით, შემოქმედებითაც გადარჩენილია კნუტ ჰამსუნი — პროზის უდიდესი ოსტატი ყველა ოსტატებში, რომელნიც დღეს სკოცხლობენ ქვეყანაზე.

პირველი პერიოდია „ჰანი“ „ვიქტორია“ „მისტერიები“, — მეორე „მინის სინედლე“ „მოხეტიალენი“. და „ავგუსტი“. ეს ტრილოგია არის მონუმენტალური ძეგლი, რომელიც დადგა 72 წლის ოსტატმა — როდესაც შეაჯამა მთელი თავისი ცხოვრების გამოცდილება.

საქართველოში ყოველთვის საგრძნობი იყო დისტანციის სიშორე და ლიტერატურულ სკოლებზე ჩამორჩენა, დღეს ნათელია, რომ ეკონომიური საწარმოვო ძალთა განვითარება განსაზღვრავდა ამ ჩამორჩენას. ლოტრეამონი უთუოდ ამერიკაში უნდა დაბადებულიყო, (ის იყო შვილი საფრანგეთის ელჩისა მონტევიდეოში და პარიზის მაკადამებში ეგრძნო მ. როლინა. მართალია აკაკი და ილიაც შეესწრნენ პარიზის კომუნას, როგორც ბოდლერი და ვერლენი — მაგრამ რამდენი დაშორებაა მათ ლექსებში!..

ასევე დაუჯერებელია, რომ ვაჟა-ფშაველა და არტურ რემბო თითქმის თანამედროვენი იყვნენ.

ხოლო რევოლუციის წინა წლებში უფრო საგრძნობი შეიქნა ლიტერატურულ სკოლათა თანამიმდევრო ცვლა ევროპის ანალოგიებით.

ჟოლა ლომთათიძეზე დიდი გავლენა მოახდინა სკანდინავიის სკოლამ; უფრო კნუტ ჰამსუნმა და ა. სტრინბერგმა ნიკო ლორთქიფანიძეზე ვენის სკოლამ; შნიცლერმა და ალტერბერგმა — მაგრამ ორთავე დასძლიეს ეს გავლენა და შეიქმნენ დამოუკიდებელი ოსტატები. თუ ნ. ლორთქიფანიძეს კიდევ ჰქონდა და აქვს დრო საკუთარი ოსტატობის დამწიფებისთვის, უფრო ასანიშნავია, რომ ჟოლა ლომთათიძემ შეუბოვრად და მკვეთრად მოახდინა გადატეხა. ჯერ ნაწილობრივადაც არ არის შესწავლილი ჟოლა ლომთათიძის ოსტატობის გამოცდილება, და იმათ ვისაც თავიანთ აღმოჩენათ მიაჩნიათ ჟოლას პროზა, არც კი იციან საიდან არის ის ქრუანტიელი, რომელიც მას ახლავს და რა ძალა ტეხავდა და იმავ დროს კვებავდა მის ოსტატობას. ამ მხრივ ჟოლა ლომთათიძე ყველაზე უფრო საინტერესო ფიგურა არის ახალ ქართულ პროზაში.

სწორედ ამ დროს იწყება საქართველოში კამათი ქართული პროზის კრიზისის შესახებ.

უნდა ვიფიქროთ, რომ დისკუსიის მონაწილენი ალბათ თანამედროვე ქართულ პროზის კრიზისზე ბეჭობდნენ, თორემ.

საბა სულხან ორბელიანისა და „კალმასობის“ მონუმენტისა, ილია ქავჭავაძისა, ალ. ყაზბეგის, ე. ნინოშვილის პატრონ მწერლობას პროზის კრიზისის საკმთხი არ დაუდგებოდა.

მაგრამ მაშინდელი კრიტიკა სწორედ იმან შეიყვანა შეცდომაში, რომ არ იყო მოვლენათა დიალექტიკური გაგება — ამის ახსნა ჩვენ შორს წავიყვანდა და აქ მოცემული თეზისებიც, გაუხსნელ ფორმულებათ არიან წარმოდგენილი. მხოლოდ ეს არის ფაქტი, რომ ამ დროს დაიბეჭდა უიარაღოს „მამელუკი“.

თვითონ უიარაღოც საინტერესო პიროვნებას წარმოადგენს ქართულ მწერლობაში.

უიარაღო — კ. თათარიშვილი — სოფლის მღვდელი ჯერ კიდევ რევოლუციამდე იხდის ანათორას და მიემგზავრება ბელგიაში, იქ ის ათავებს გეოლოგიურ ინსტიტუტს და ინჟინერი ბრუნდება უკვე რევოლუციის დროს საქართველოში. სანამ განხილული არ არის მისი ხელნაწერები და აღდგენილი მისი სრული ბიოგრაფია, ძნელია იმის თქმა — როგორი გადატეხა მოახდინა მაზე ევროპამ — მეცნიერებამ დაჩაგრა მხატვარი ოსტატი — თუ ბურჟუაზიულმა კულტურამ ამოსწურა მისი ძველი ოდიშის სინდლე?

ახლა ამ ნარკვევის მიზანია მხოლოდ „მამელუკი“ს ახსნა.

„მამელუკი“ — მღვდელ გამოქვეყნებულ უიარაღოს ნაწერები უმთავრესად ეხებოდა ბიბლიურ თემებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაწერებიც განირჩეოდნენ დიდი ოსტატობით და თავის დროზე ანიშნულ იქნა მთავარ კრიტიკისაკენაც.

ცხადია ბიბლიური თემები — უკვე ნიშნავდნენ ცხოვრებისაგან მოწყვეტას და არა აქტუალურ საკითხების დაყენებას, ამიტომ ამ პროზას თუ აქვს თავისი შინაგანი ოსტატობის გამართლება — შინაც ბალასტად რჩება თანამედროვეობისთვის.

მხოლოდ ამ ბიბლიურ ჰანგების ქონზე უფრო მკაფიოთ ჩნდება „მამელუკი“, — „მამელუკი“ს თემად აღებულია მონებით ვაჭრობა სამეგრელოში, მოთხრობა ისტორიულ ფონზეა გაშლილი.

მაგრამ ბიბლიურ მოტივებთან შედარებით ეს უფრო ახლო ეპოქას ეკუთვნის, აწერილია მე-17 და 18 საუკუნის უღელტეხილი და სამეგრელოს ყოფა-ცხოვრება, თანაც თემა სოციალური შინაარსით არის გაქვითილი და ავტორს ნებას აძლევს გზადაგზა გაარკვიოს თავისი მსოფლმხედველობა.

ბატონყმობისა და ფეოდალური წყობილების ყველაზე საზიზღარი ჩვეულება ადამიანებით ვაჭრობა გავრცელებული იყო სხვადასხვა დროს მთელ საქარველოში, მხოლოდ იმ ეპოქაში, რომელსაც ავტორი ასწერს. მონებით ვაჭრობას ებრძოდნენ აღმოსავლეთ საქართველოში — უფრო ძლიერად ჰქონდა მას ფესვი მოდგმული სამეგრელოში, რასაც ხელს უწყობდა ზღვის სიახლოვე და ანატოლიისა და სტამბოლის მონებით ვაჭრობის ბაზრები. ფრანგი მოგზაური კავალერი შარდენი, რომელსაც სპარსეთში უმოგზაურია და გზაში დიდი გაჭირვება გამოუვლია, იგონებს ასეთ ამბავს:

სამეგრელოს ერთმა თავადმა გადაწყვიტა ცოლი შეერთებული კორწილისთვის მზადება. უეჭველია კორწილი ჩინებული უნდა გადატანდეს ამისთვის მიუხედავად ნატურალურ მეურნეობისა, მაინც ფულები დასჭირდება.

ამ დროს თურმე ანაკლიას პორტს მოადგა უცხოელთა ხომალდი და თავადი რის თავადი იქნებოდა, თუ ხომალდის მოსვლას არ გამოიყენებდა და გადაუწყვეტია თავისი ყმების გაყიდვა.

მაგრამ გლეხებსაც კარგათ სცოდნიათ თავიანთი საზიზღარი პატრონის ბინძური ჩვეულება და დედაწულიანათ მთებში გაიხიზნულან.

ფეოდალის გულისწყრომას საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ მთებში გასულ ხალხს, რას დააკლებდა! მაშინ თურმე თავადმა გადაწყვიტა ასეთი ოინის გაკეთება.

მოიმიზეზა ახლად გარდაცვლილი მამის სულის ხსენება და გადაწყვიტა წირვის გამართვა.

დაუძაბა თორმეტამდე მღვდელს, მაგრამ წირვა ჯერ შუამდე არ მისულიყო, რომ სტაცეს ხელი, სათითაოდ გაპარეს და გაყიდეს „წმიდა“ მამები ოსმალეთში მონებათ, ადვილი წარმოსადგენია, თუ სამღვდელოებას ასე ეტყეოდა, რა ხელს დააყრიდა თავის ყმებს, ეს გულზვიადი მებატონე.

ქართულ კლასიკურ მწერლობაში ჩვენ უკეთესი ადგილიც მოგვეპოვება ამ სამარცხვინო ადამიანის ვაჭრობის შესახებ, ეს არის „კალმასობა“, უდიდესი ეპოპეა 18 საუკუნის ფეოდალურ საქართველოსი, სადაც პირველად გაისმა ბატონყმობის წინააღმდეგ ხმა ქართულ მწერლობაში. „კალმასობა“-ს იმ ადგილას, სადაც მოთხრობილია ბერი იოანე ხელაშვილის მოგზაურობა იმერეთში, ჩვენ ასეთი ეპიზოდი გვხვდება:

გურიის მთავარს, გურიელს საუბარი აქვს იოანე ბერთან ალებ-მიცემობისა და ვაჭრობის შესახებ მთავარს სამარცხვინოთ მიაჩნდა ვაჭრობის ხელობა. გურიელს უზარმაზარი ჯოჯი ჰყავს ჯიშისანი ცხენებისა, მაგრამ სცხენია მათი გაყიდვა, ეს არ შეშვენის კეთილშობილ გვარსო.

მაშინ ბერი იოანე მიმართავს მრისხანე თავადს და პირში მიახლის — როგორ არის, რომ თავადებს ცხენების გაყიდვა სამარცხვინოთ მიაჩნიათ და თავიანთ ყმებს ადამიანის შვილებს ასობით ჰყიდიან ურჯულოებზე, განა ადამიანები ცხენებზე უფრო ვასამეტებელია?

ეუბნება უკმები ბერი მონებით მოვაჭრე თავადს. კიდევ უფრო დამახასიათებელია შემდეგი ეპიზოდი იმავე „კალმასობა“-დან.

ბერი იოანე თავისი განუყრელი ოხუნჯი ზურაბით მიდის აბაშიძეებთან. იოანე იგებს აგრეთვე თავისი თვისტომი ქიზიყის მოურავის ქალის ანნას იქ ყოფნას და ზურაბს ვაგზავენის ამბის მისატანათ:

— წარსული ზურაბ მუნით მივიდა თავადინასთან, აცნობა იოანეს ვითარება, და მან მყისვე მოუწოდა იოანეს; — მუნ მდგომსა ამა კოშკიდან ესმა ხმა რაიმე მწუხარებისა, განკვირებული იოანე მიმოიხედებოდა და უკანასკნელ იხილა კაცი ვინმე წინაშე კოშკის კარისა მდგომარე და ჰრქვა:

— ძმაო! რაი არს ხმა ესე მწუხარებისა?

ხოლო მან ჰრქვა: მამაო, ტყვეები არიანო.



იოანემ — სადაურნიო?

— მან — ოსთავანი.

იოანემ — რაისა შეცოდებისათვისაო.

მან ჰრქვა — გასაყიდათ.

იოანემ, — ჰეი ღმერთო! და ამ ეამში ზურაბმან მიუწოდა სახლსა აბაში-ძისასა. ოდეს მივიდა იოანე და იხილა ანნაი, რქვა: მშვიდობა შენდა ჩვენის მოურავის ასულო, დდეს ვრაცხ თავსა ჩემსა ბედნიერად, რომ ბრწყინვალეებასა თქვენსა ვიახელ, გარნა რომელიმე მწუხარებაი მიილო გულმან შენმან.

**ანნამ.** ვინ შეგცოდა?

**იოანემ.** საბრალო ტყვეებმან.

**ანნამ.** ნუ იზრუნებ; მაგის საქმეს ლ. აბაშიძე განაგებს.

**იოანემ.** თუ დიდი ლ. აბაშიძე განაგებს, ღმერთმა შენ მტერს მისცეს.

ამ გაბაასების შემდეგ მოვიდა ლ. აბაშიძე თავის აზნაურებით. თავის რძალი მიიწვიეს და მათ გააცნეს იოანე.

ლ. პატივით მოიკითხა და დახსდენ. მაშინ ანნამ ზუმრობით იოანეს აჩვენა პაბუნა ორჯონიკიძე და უთხრა: აპა. ჩვენი მოძღვარი. იოანე ზე ადგა და ეამბორა; მან ხელი გადასწერა, გარნა არ მისცა სამთხვევლად; მაშინ ყოველთა გაიცინეს; რა იოანემ გამოსცნო მისი ერის კაცობა, ჰსთქვა: როგორც ერი, იმ გვარი ბერიო. მაშინ მიიღეს ვახშამი და კარგა ლხინს გაერთვენ, ჰსთქვა:

**იოანემ.** ჰეი ჩვენს თავს, ჩვენ ამ განცხრომაში ვართ და ის ტყვეები მწუხარებაშია.

**ორჯონიკიძემ.** იმათ მწუხარებას ბოლოს მხიარულება შეუდგება.

**იოანემ.** ვითარ?

**ორჯონიკიძემ.** მისირში (ეგვიპტეში) მთლად ბეგებად ქართველნი არიან.

**იოანემ.** იგინი ლეკთავან მოტაცებულთა და გაყიდული და არა ქართველთავან.

**ორჯონიკიძემ.** სულ ერთია. კაცი ვისგანაც ბედნიერებას მოიპოვებს

**იოანემ.** მაგაზე მეტი უბედურება რა იქნება, რომ სულით უნდა წაუწყმდეს და ხორციით თავის მშობელის მამულითგან დაიკარგნენ.

**ორჯონიკიძემ.** რომ არ გაათათრდენ, ხომ ცხონდებიან, ხოლო თავისი მამულის მოშორებება ერთი არა არის რა. ყველგან ადგილია კაცისთვის.

**იოანემ.** მაგ საბრალოებს სათუოში რათ აძლევთ, ეგება ვერ მოითმინონ სატანჯველი.

**ორჯონიკიძემ.** თუ ვერ მიიღებენ ფაშობას მზად მიიღებენ.

**იოანემ.** და რაღა ვსთქვა; სახელიც დაგინიშნავს.

**ორჯონიკიძემ.** თუ გნებავს შენც მალე გიშოვი სახელოსა, მაინც მეთე გეიკლია, რომ ხალვრათ შესრულდეს.

**იოანემ.** ჰეი, თქვენ სვინდისს! კოდს არ სჯერდებით და ხალვრათ უნდა გახადოთ.

**ლე.** იმ ტყვეებს ერთი დიაკვანიც ეჭირვებათ და მეტადრე შენისთანა მოქადაგე, რომ არღა გაათათრდენ.

**იოანემ.** ეგ თქვენი ჰაზრი ყოველითური რჯულის წინააღმდეგია.

**ლე.** რომლისა?

და აქ ბერი იოანე უმტკიცებს დესპოტსა და ყაჩაღ თაყაიდს, რომ იდამიანებით ვაჭრობა ეწინააღმდეგება საღმრთო სჯულსაც, სახელმწიფო პოლიტიკასაც და სამოქალაქო სჯულ-დებასაც. ამაზე ბრძენი თაყაიდი აბაშიძე უპასუხებს:

**ლე.** ამ გვარი შური პირუტყვითაცა აქვს, და კაცთაც იჭიბამ აქეთ მიღებული, რადგან პირუტყვის მსგავსებაცა გვაქვს და რასათვის მათ არა აქვს კანონი?

**იოანემ.** უი ჩემს თავს! კაცი თუმცა სმითა, ქამითა და ძილითა და სხვებს მსგავსობენ პირუტყვითა, გარნა სიტყვიერებითა და უკვდავითა სულითა მსგავს არიან ანგელოზთა და ვითარ უსწორებ კაცსა პირუტყვითა?

**ლე.** და რაი არს კაცი? ჰსწორედ მაკნობე.

. . . და ამ უხნეო თაყაიდის პილატეს კითხვავ:

— რა არის კაცი?.. ბერი იოანე განმარტავს კაცის ბუნებას, მაგრამ განა ასეთი პირუტყვი თაყაიდისთვის რამე აზრი ექნებოდა მის ჰუმანიურ ქადაგებას. ამიტომაც ბერი იოანე გაიპარა ღამით, რადგან ადვილი შესაძლებელი იყო მართლა მისრითში, ეგვიპტეს ტყვეობაში ამოეყო თავი. ეს გრძელი ამონაწერი „კალმასობა“-დან ჩვენ იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ამ ფონზეა გაშლილი „მამელუკი“, ამის გარდა „კალმასობა“ ჯერ კიდევ ფართო ქართულ მკითხველისთვის უცნობი შედეგურია — საჭიროა მისი ადგილზე გამოყენება და მოქმედებაში შესადაგება. სწორედ ამ მისრითელ, ეგვიპტელ ფაშის თავგადასავალს მოგვითხრობს უიარაღოს „მამელუკი“...

მამელუკების ჯარი ეგვიპტეში შედგებოდა გაიღულ მონებისაგან, ამ ჯარს ნაპოლეონთანაც ჰქონია შეხვედრა, ეგვიპტეს დაპყრობის დროს, ეს ეპიზოდი აქვს ნაამბობი უიარაღოს თავის მოთხრობაში.

ისტორიაში ცნობილია ნაპოლეონის დაახლოებული მამელუკის როსტომის ამბავი. დიდი ოსტატობით და ისტორიული სიმართლის დაცვით აქვს გადმოცემული მონობით ვაჭრობა უიარაღოს, ამ მხრივ მას ტოლი არა ყავს ქართულ მწერლობაში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში „კალმასობა“-ს, მაგრამ აქ მონობით ვაჭრობა გვერდის თემაა და არა მთელი ნაწარმოების, როგორც ვთქვით უიარაღოს „მამელუკი“-სთვის აღებული აქვს სამეგრელოს გარემოცვა.

ანაკლიის პორტის ზევით, ენგურის შავი ზღვის შესართავთან, აქამდე სჩანს ციხე „სატანჯიო“.

ეს იყო უმთავრესი სტრატეგიული პუნქტი გლეხებზე სანადიროთ და მონებითა დატვირთულ გემების რეზერვუარი.

აქამდე თითქო ისმის შავი ზღვის სანაპიროზე ანაკლიასთან ოსმალეთში და ეგვიპტეში გასაყიდათ გამზადებულ ქალაქთა ქვეთინი და გულ წასული დაფოფრილი დედების შეცხადება და ზარი.

უიარაღო სწორედ ამ ყელს აწერს, მხოლოდ ენგურის მაგიერათ ტებურა აქვს აწერილი და ანაკლიას მაგიერ ფოთი.

მდინარე ტებურას პირად ს. უშაფათის ბოლოს ველზე გლეხები ყანას თოხნიან.

შუაში დგას ტაგუია, გვერდით ამოდგომიან შვილები, თოხნიან ყანას და თაყიანთ კირვარაში ბჭობენ. გასაგებია რაზე ილაპარაკებს ამ პაპანაქებაში ყანის

მუშა — მოყოთმესლათ მოელიან ყანაში სადილს; სადილი დედაკაცებს მოაქვთ, მათ თან ახლავს შეიარაღებული ყარაული, რადგან თათრები და შინაური ყაჩაღებიც ადამიანებზე ნადირობენ და უიარაღოთ მიმოსვლა სოფლებში შეუძლებელია. ჩვენ ყანის მუშებსაც მოდიოთ სადილი, დედაკაცს თან მოჰყვება ჯეკროსი ვაჭრ-ხეიჩა, რომელიც მამის განსაკუთრებული აღერსის საგანია.

შესანიშნავათ გაკეთებულია ყანაში სადილობის სცენა, გლეხის წვილების აღერსი, შემოსწრებული სტუმრის მიპატივება, როცა ტაგუიას მურზაყანი ესტუმრება.

მომენტალურ დიალოგებში მოცემულია გლეხის და აზნაურის დამოკიდებულება, ზნე და თვისება. პოლიტიკურ საუბარში, იმავე ადამიანებით ვაჭრობის საზიზღარ ჩვეულებაზე. სამეგრელომდე ხიჩა ჩამოსულა, რომ მეფე ერეკლე აღმოსავლეთ საქართველოში სდევნის მონებით ვაჭრებს. ტაგუია ასე ათაუებს თავი ვედრება:

— ღმერთო, შენ გაუმარჯვე ყველა ურჯულოთა მებრძოლს, ქვეყანაზე მშვიდობის დამამყარებელს, საწყალი კაცის გამკითხველს, ქვრივ-ობოლთა შემწესს, ყველას ერთობ, წონა-სამართლის მექონს, ის დღე მაჩვენე, იქ საფლავში ნუ ჩამიყვან რომ ყანაზე უთოფოდ მივდიოდე, დედაკაცს სადილი მარტოდ-მარტო მოქონდეს და არაფრის შიში და რიდი არ ჰქონდეს!..

ჯერ გათავებული არ ჰქონდა ტაგუიას ვედრება, რომ მოისმა სოფლიდან წივილ-კივილი.

ხეიჩა ბიებს წყესაედა და მოიტაცეს.

ცამ ჩაქულაბა თუ მიწამ ვერ მიაგნეს კვალს.

ასე ხეიჩა ჩაუვარდება ხელში აბრაგებს და მიიყვანენ ნიგოთში თავად გიორგი ჭორიშვილის სასახლეში, სადაც მისი შვილი ალექსანდრე ეწევა მონებით ვაჭრობას.

მაგრამ უკვე კანონი სდევნის მონებით ვაჭრობას, და ამიტომ ეს თავადიც მალულად ეწევა საზიზღარ ხელობას.

ამ ჯალათის ხელიდან ხეიჩას იხსნის მღვდელი მარკოზ დაძაძე — რომელიც მთელი თავისი გავლენით ებრძვის მონებით ვაჭრობას, ეს ალათ, „კალმასობას“ ბერი იოანეს ანარეკლი ტიპია, ყოველ შემთხვევაში ეს მღვდელი გამოყვანილია დადებით ტიპათ, მას დიდი გავლენა აქვს თავად ალექსანდრეს დედაზე, ეს ბებერი კნენაც გამოყვანილია მოთხოვნაში, როგორც ლეთისნიერი ადამიანი, რომელიც თავის ოჯახში ებრძვის ადამიანით ვაჭრობის საშინელ სენს.

მღვდელი მარკოზი აგრეთვე დაწერილია ი. კავკაჟაძის „გლახის ნაამბობის“ მღვდლის გავლენით. ახალი მკითხველი იოლად გაარკვევს, რომ სამღვდლოებას, რომელიც ყურმოჭრილი მონა იყო თავად-აზნაურობისა, არ შეეძლო პროტესტანტის როლი ეთამაშა, და წოდებრივად გამოქომაგე ოდა გლეხ-კაცობას, ამიტომ მარკოზი მთელ მოთხოვნაში რჩება შედარებით ტენდენტურ ტიპათ, თუმცა იმდენი ბუნებრივი ძალა აქვს, რომ მკითხველს იმორჩილებს და დიდ სიმპატიას იწვევს, უფრო ბუნებრივია მოხუცი კნენას გამოქომაგება — აქ ნას მართლაც შეიძლება ვთქვათ შეშინებოდა მეორეთ მოსვლის ამბებისა და საშინელი სამსჯავროს განაჩენისა, რომლითაც მღვდელი მარკოზი მარჯვეთ სარგებლობდა.

ხეიჩა მიყავს თავის სახლში მღვდელ მარკოზს, ასწავლის წერა-კითხვას და პირდება სამშობლოში წაყვანას, მაგრამ წყეული ყარამანი და ანდრეას მონაწილეობა თავის მსხვერპლს და თავის საწადელსაც აისრულებენ.

ლამე ჩაუსაფრდებიან მღვდელს და მოკლავენ, ხეიჩასაც გაყიდიან ოსმალეთში.

და აქ შეუძლებელია მოთხოვნიების გაგრძელება, რადგან მაშინ საქირო იქნება მთლად გადაწევა — რაც უნდა ლაქინიური იყოს მოყოლა, თვითონ ავტორის საკვირველი სხარტულობით გაშლილი აქვს ფაბულა და კინოს მონტაჟით აქვს შეკრული, განსაკუთრებით ასანოშნავეთა გემით მოგზაურობა ფოთიდან სტამბულამდე, ოსმალთა ვაჭრების პორტრეტები, ნარდის თამაში, ტყვეების აჯანყება, და შემდეგ მანქანების ჯარი...

და ბოლოს ეპიზოდი, როდესაც ერთმანეთს შეხედებიან მამულეი მახმუტბეი და ვენეციელი ასისტავი. მახმუტბეი იღვამებს ზველი სისხლი და ბავშვობიდან ატავისტურად ჩარჩენილი გრძნობა ნიაღვარივით მოვარდება.

ამის საბაბია, როცა მომაკვდევ ვენეციელი ასისტავი სიკვდილის წინ წამოიძახებს.

— ვაი ნანას!

და მახმუტბეის — სამკვრელოდან მოტაცებულ ხეიჩას დამპირებებელი ასისწორით მოაგონდება თავისა კარმიდამო და დევიწყებული სამშობლო. და ვენეციელ ასისტავში იცნობს მასავით ოსმალეთში გაყიდულ სალომესა და ახლციხელ რეზოს შვილს, იმ რეზოსი და სალომესი, რომელიც მან გემზე ეიცნო და სამუდამოთ შეიყვარა და გულში ჩაინერგა. უიარაღოს „მამულეი“ წერის მხრივ სანიმუშოა რეალისტური სკოლისთვის, მოქნილი დიალოგი, მომენტალური დახასიათება, პეიზაჟის გაცოცხლება, ლოკალის დამორჩილება და შეუდარებელი სისადავე, რომელიც დღეს გამოცხადებულია პროზის უძველეს სამკაულად.

მკითხველი „მამულეში“ სუნთქავს სამკვრელო პეიზაჟს, ყანით და გვიმრით, ტეხურას ნაპირებით, თხის მწყემსებით, ცხენით და ყველაფერი დანარჩენი ინვენტარით.

აქ პირველად არის მოცემული ოდიშის ბუნება და სურნელება, რომელსაც შემდეგ ოსტატობით აგრძელებენ ლეო ქიჩელი, შალვა დადიანი, კონსტ. გამსახურდია, დემნა შენგელაია და სხვები.

როგორც ისტორიული მოთხოვნა „მამულეში“ ატარებს ამ ქანრის ყველა საუკეთესო თვისებებს.

აქ აღებულია ისტორიული ფონი სოციალური განხრით და განსჯით, არ არის შეღამაზებული ისტორიული უკუღმართობა, ლახვარით გაწონილია ფეოდალური არისტოკრატის მუხანათობა, გაუტანლობა და ადამიანის სულით ხორციანათ ექპლოატაცია, აქ თავადებს გვერდს უმშვენებენ წერილი აზნაურებიც, რომელნიც აფთარივით ღრღნიან საწყალი და დაჩაგრული ხალხის საცხოვრებელს და იქამდისაც ვათამამებული არიან, რომ შეილებსაც სტაცებენ და სათათრეთში ჰყიდიან.

ამ ზედმეტ წოდებას დაპირდაპირებული ჰყავს მშრომელი გლეხობა, რომელიც ოფლითა და სისხლით რწყავს ქვეყანას, მაგრამ მაინც განიცდის საშინელ

დაჩაგვრას, და ძალადობას! ამისთვის გამოყვანილია მოთხრობაში ყველაზე უფრო საშინელი სიტუაცია — მონობით ვაქრობისა, როცა ყველა უზველდრებდა მშრომელ გლეხობას ისიც დამატებია, რომ მას ჭაღლებზე სცვლინდა და ამასოლის ბაზრებზე ჰყიდინა.

ეს არის ყველაზე უფრო მწვავე გრძობა, ადამიანში კაცურ კაცობის ჩაყლისა და დამცირებისა. შედარებით ლმობიერად ეპყრობა ავტორი სამღვდლოებას, რაც ნაწილობრივ იმიტაც უნდა აიხსნას, რომ თვითონ ამ წოდებიდან არის, როგორც ვთქვით წინათ შეუძლებელია მარკოზ ხუცესის სახით ჩვენ წარმოვიდგინოთ სამღვდლოების წოდება, რაც ეწინააღმდეგება ისტორიულ სიმართლეს.

არ ვიცი თუ ვისი სახელით ლაპარაკობს მარკოზ ხუცესი, როცა აშინებს ბატონიშვილს:

— იცოდე, თავადიშვილო, ჩვენ აღვსდგებით და აღვიმართებით. სძლევეს სიკეთე სიბოროტეს, მაგრამ შურს არ იძიებს.

...ყოლად მოწყალეს ვსთხოვოთ შენდობა და დავადგეთ ახალ გზას. მაშინ ნახავ, რომ ცაც დროზე მოგვეცემს წვიმას... მოსავალიც კარგი იქნება და სიმართლეს ხალხში სანატრელი“-ო.

უეჭველად ეს არ არის მაღალი სამღვდლოების ხმა როგორც ჭკონდიდელთა და სხვათა, რომელნიც მთავრისა და დიდ თავადების გვარიდან გამოდიოდნენ და ყმებიც ბლომად ჰყავდათ და ექსპლოატაციასაც არ ერიდებოდნენ. რაც თვითონ „მამელუკ“-შიც არის აღნიშნული. ყოველ შემთხვევაში ეს არ არის ხალხის ხმა.

მიუხედავად მოთხრობაში გატარებულ სოციალურ დაკვეთისა, ამბილოს ფეოდალური წესწყობილების სისასტიკე, აქ არ არის ხელოვნურად შექმნილი სიტუაცია, როცა ხასიათების მაგიერ გამოყვანილია აბსტრაქტული სქემები და ყველა საღებავი ერთად არის შეგროვილი, რომ გმირი გაადიდოს და მისი მტერი გააწაილოს, როცა ზოგ შემთხვევაში მარტო შავი ლაქები რჩება გამართლებულ მხატვრულ პორტრეტის მაგიერ. „მამელუკ“-ში მიუხედავად იმისა, რომ აწერილია დიდი ისტორიული ამბავი, ნაპოლეონისა და მამელუკის როსტომისა მაინც დაწერილია ლაკონიურად. მხატვარი არ გამოდევნებია სენსაციურ ვადახევას და არ დაუტვირთავს მოთხრობა ზედმეტი ბალასტით.

საქართველოში არ არის აქამდე დაწერილი ისტორიული რომანი.

მაშინ, როდესაც ქართული ისტორიული წარსული მოელის ისეთ ოსტატს, როგორც სტენდალია. იტალიური ქრონიკების ქართულ ორეულებს ჯერ კიდევ საღათას ძილით სძინავთ ქართულ ქრონიკებში. მხატვარისა და ოსტატის ხელი არ მიჰკარებია. როგორც მოღონიერდება ქართული პროზა ის უეჭველად დაეწაფება ამ გაუთხრელ მადნებს. „მამელუკი“ ერთი თვალის მომჭრელი ისტორიული ოფორტია, მაგრამ ვაკედილია აღორძინების მხატვრის ხელით — და ნაკვთებით აჩენს უდიდეს შესაძლებლობას. ამ მხრივ ის გასაღებია გამართული ისტორიული პროზის და მას უეჭველად უნდა გაუჩნდეს მემკვიდრე.

გ. ბრანდესს აქვს შესანიშნავი მონოგრაფია გამორჩენილ და დავიწყებულ ავტორების შესახებ — ეს ხალხია, რომელსაც ჰქონდა დიდი შესაძლებლობა ემხილა თავისი მხატვრული სახე — მაგრამ გარდაუვალ მიზეზების გამო ვერ გამა-

რთეს კუნთები, მათგან დარჩა მხოლოდ მკრთალი ნათელი, რუკა-შეფუთვით ყოფილიყვნენ ნამდვილი მნათობები — ეს გარდუვალი მიზეზები, სხვადასხვა ვეარია გვიან გამოსვლა, ან უდროვოდ დაწყება, ადრე სიკვდილი, შიმშილი და გაჭირვება, ხასიათის სიმტკიცის უქონლობა და სხვა მრავალი.

საქართველოში ძალიან იშვიათია ასეთი დაეიწყებული და გამორჩენილი ავტორები, რადგან სამწუხაროთ დასაეიწყებელი და გამოსარჩენი მწერლები იძლეოდენ ტონს. ამიტომ უფრო სასიხარულოა ასეთი უსახელო და უიარალო მწერალის გამოყვანა, როგორც „მამელუკის“ ავტორია, რომელსაც ჰქონდა ყველა ღირსება ყოფილიყო ძალიან თვალსაჩინო მწერალი, მაგრამ ვერ გააღრმავა თავისი ნიჭი და ცდომილ ვარსკვლავივით გაანათა ქართულ პროზაში.



ზოგადი მიმოხილვა

ნიკო მარი, როგორც მეცნიერი

(მისი იუბილეის გამო)

თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც სამეცნიერო სარბიელზე მოღვაწეობს დაუშრომელი ენერჯით აღსავსე და გენიალური ინტუიციით აღჭურვილი მეცნიერი, აკადემიკოსი პროფესორი ნიკო მარი. მის ხვაიან კალამს ხუთასამდე მეცნიერული გამოკვლევა ეკუთვნის და ამ მრავალრიცხოვან ნამუშავეთ ავტორმა საკაცობრიო კულტურის ისტორიაში მეტად საინტერესო ახალი ფურცელი გადაშალა. ყველაზე უფრო მაღალი და მდიდარი კოლექტიური შემოქმედება, რაც კი ეკუთვნის კაცობრიობას თავის განვითარების ხანგრძლივ პროცესში, ეს ენობრივი, მეტყველებითი შემოქმედებაა, თუ გნებავთ — ყველაზე დიდი მხატვრული ქმნილება, და ნიკო მარი ამის ტიტანიურ ოსტატია. ხოლო ენის არსებით ბუნებას შუქი მასში მოეფინა, როდესაც გამომუშავებულ იქნა ახალი მეთოდოლოგიური ბაზა, მატერიალისტური დიალექტიკის პრინციპების საფუძვლებზე. ეს ახალი საკვლევადიებო მეთოდი, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი და ნაწილობრივი მარმა მარქსიზმისაგან დამოუკიდებლად, მის პარალელურად შექმნა, როდესაც ავტორი არც კი იცნობდა მარქსიზმის ფუძემდებელთა ნაშრომებს. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგი დროიდან იწყება მარქსისტული მეთოდის ცნობიერი გამოყენების ხანა მის ნაშრომებში და სრულყოფა. მასთან დაბეჭდვით დაკავშირებული ყოფილა მარქსისტული ენათმეცნიერების გამომუშავება. მის მიერ შექმნილი თეორია, რომელსაც იაფეთიკოლოგიის სახელით იცნობენ, სხვა არაფერია, თუ არ მარქსიზმის კონკრეტიზაცია და ახალი დეტალებითა და გაშუქებებით შემავრება ადამიანური მეტყველების თვალწევდენელ მასალაზე. იგი დაიწყო ქართული ენის შესწავლით, მაგრამ ამჟამად რომელიმე ენობრივი ჯგუფით კი არ განისაზღვრება, არამედ საკვლევადიებო ობიექტაში ჩათრეულია მთელი მსოფლიოს ენები.


ამ მოკლე ხანში ჩვენი კავშირის მთავარ ცენტრებში დიდი ამბით აღინიშნება ნ. მარის სამეცნიერო მოღვაწეობის 45-ისა და აკადემიკოსად არჩევის 25 წლის თავი.

ნიკო მარი დაიბადა 1864 წ. 25 დეკემბერს ქუთაისში. მისი დედა-ენა ქართულია, ანდა უფრო სწორედ, როგორც თვითონ ამბობს, გურული კილო. მამა მისი იაკობი (წარმოშობით შოტლანდიელი) მებაღეობით იყო დაინტერესებული და კავკასიაში ბირველად მან მოაშენა ჩაი გურიაში. იგი მოხუცი იყო, როდესაც შეეუღლა ახალგაზრდა გურულ ქალს (ნიკოს დედა). ნიკოს დედ-მამის შო-

რის არ იყო საერთო სასაუბრო ენა: შოტლანდიელმა გვარიანად იყოდა ევროპული ენები, ოღონდ ქართული სრულებით არ ესმოდა; ვაჭირვებით აპერებდა რუსულს. გურული ქალი კი უარეს მიმართებაში იყო რუსულთან: ვაჭირად მათ შორის საუბრითიეროდ გამოყენებული იყო „ნეიტრალური საშუალება“ — დამტვრეული რუსული, რომელიც შეკოწიწებული იყო ქართულ-ინგლისური ლექსიკითაც. მთელი ოჯახი ადრევე გადავიდა საცხოვრებლად ოზურგეთში. აქ ყრმა ნიკოზე წარუბოცელ შთაბეჭდილებას ახდენს ქართული მრავალფეროვანი ზღაპრები, რასაც იგი რეგულარულად ისმენს გურულ ქალებისაგან. 8 წლის ნიკო დაობლდა მამით და დარჩა ლარიბი დედის ამარა. „არაფერი ხეირიანი შენი ხელიდან არ გამოვა,“ — ეს-ლა ახსოვს ნიკოს თავის მამისგან. დედას კი, პირიქით, დიდი იმედი ჰქონდა ერთადერთი შვილის; იგი მასში ხედავდა რაც კი იდეალურია და შესანიშნავი ქვეყანაზე. პირველ დაწყებითი სწავლა ნიკომ მიიღო შინ, შემდეგ იგი მიაბარეს ოზურგეთის სამაზრო სასწავლებელში. აქ იგი თავს იჩენს მოუსვენრობით და ცელქობით. მამის დამსახურების კვალობაზე, ნიკო მიიღეს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სტიპენდიანტად. მიუხედავად იმისა, რომ იგი პირველხანად სუსტობს რუსულში, მალე იმსახურებს პირველი მოწაფის სახელს. თავი ისახელა ლათინურ ენაში წარჩინებით. გიმნაზიაშივე ეწაფება ბერძნულს, ფრანგულს, იტალიურს, გერმანულს და ინგლისურს. აქვე ეწევა ლიტერატურულ მოღვაწეობასაც: წერს ლექსებს, რედაქტორობს მოწაფეთა სალიტერატურო გაზეთს და სხ. ამავე დროს ათავსებს შენიშვნას გაზეთში წინა-ისტორიულ ტოპონიმიკიდან — ქ. ბათუმის სახელწოდების წარმოშობის შესახებ. დაინტერესებული სიტყვაკაზმული მწერლობით, ახალგაზრდა ნიკო გატაცებით კითხულობს გერმანულ და ფრანგულ კლასიკოსებს. ამ დროს იგი გარბის გიმნაზიიდან ტფილისში, იმ მიზნით, რომ იმუშაოს ბოტანიკურ ბაღში, ბოტანიკაში განსწავლის სურვილით. რამდენიმე ხნის შემდეგ ბრუნდება უკანვე და როცა დადგა დრო სიმწიფის მოწიბობის მიღებისა, იგი უარს აცხადებს მის მიღებაზე და დაყენებით მოითხოვს, რომ კიდევ ერთ წელიწადს დატოვონ გიმნაზიაში, რათა ზედმიწევნით შეისწავლოს ბერძნული, რის შემდეგაც მისთვის აზრი აქვს შევიდეს უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე. ეს მოთხოვნილება გაგებულ იქნა, როგორც ფსიქიკურად საეჭვო ადამიანის დაყენება, რის შედეგადაც ნიკოს ითხოვენ გიმნაზიიდან. მალე აღადგენენ და ამთავრებს კიდევაც მას ოქროს მედალზე. მაგრამ გიმნაზისტმა უკვე შეიცვალა მიმართულება: ხელს იღებს მედიცინაზე და ისტორიის მასწავლებლის სტოიანოვისა და ფრანგულის მასწავლ. ნარბუტის გავლენით, გეზს იღებს აღმოსავლურ ფილოლოგიაზე. ამ არჩევანის გამო ასეთ რჩევებს ლებულობს იგი: „ნუ მიდიხარ ამ მიმართულებით, ნუ ლუპავ ტალანტს, რა გამოვა შენგან, უკეთეს შემთხვევაში სოფლის მასწავლებელი ქართული ენისა“. ჯერ კიდევ აი ამ დროს ჩაესახა ნიკოს ქართული ენის წარმოშობის პრობლემის გადაწყვეტის დიდი ინტერესი. თითქოს ნახევარი საუკუნე სრულდება მას შემდეგ და ამავე საკითხს დასტრიალებს ეს ტიტანური ადამიანი, როგორც ძლევა მოსილი არწივი თავის საჭილოს! ნიკო შედის პეტერბურგის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე. ამ დროს ფეოდალურ-ბურჟუაზიული რუსული აღმოსავლეთ მკოდნეობა თავის აყვავების უმაღლეს ფაზისშია. ნიკოს უხდება მუშაობა სამი



ქართული  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა



აკაკი შანიანი

მიმართულებით: კავკასურ (ქართულ-სომხური), არაბულ-სამხრეთ-აღმოსავლურ და სემიტურ ენათმეცნიერებაში. სტუდენტობის ხანაშივე ამუშავებდა რეფორმატებს ქართული სასულიერო და საერო სიტყვა-კაზმული მწერლობის მასალებიდან.<sup>1</sup> კრებულში მეცადინობის პროცესში, ახალგაზრდა ნიკომ დაინახა ქართულისა და არაბულის მსგავსება. ეს მან გაუზიარა ცნობილ არაბისტს აკად. როზენს, რომელმაც ამ გაბედულ აზრს სრული ფიასკო უწინასწარმეტყველა. თანაგრძნობა ნიკომ მარტოოდენ თავის თანამემამულე ქართველ სტუდენტებში მოიპოვა. «ქართველებთან მე მაერთებდა კიდევ საზოგადოებრივი აზრი — ამბობს იგი ავტობიოგრაფიაში. — ჩვენ ეოცნებობდით საქართველოს განთავისუფლებაზე ერთგულნი მოძრაობის გზით. მახსოვს, სტუდენტობის დროს, როგორ შევეციეთ ერთმანეთს მე და გიმნაზიის ერთმა ამხანაგმა: არ დაეყაროთ ფარ-ხმალი, ვიდრე არ გაენათავისუფლებთ საქართველოს, შემდეგ იგი შეიქნა ბანკის დირექტორი, მე კი აკადემიკოსი». ქართულ-არაბულის პარალელების შესახებ მარმა 1888 წ. დაბეჭდა პატარა წერილი გაზ. „იერია“-ში სათაურით: „ბუნება და თვისება ქართულის ენისა“. ეს გახლავთ მისი სამეცნიერო მოღვაწეობის დასაბამი. ამ პირველ წერილში წამოყენებულია მართლაც დიდი პრინციპული შეხედულება, რომ ქართული, იზოლირებული ენა კი არ არის, არამედ მას ნათესაობა ეძებნება სემიტური ოჯახის ენებთან. „არაბულ ენის გაცნობის შემდეგ სრულებით დავემყარე იმ აზრს, — ამბობს მარი ამპატარა წერილში, — რომ ჩვენს ენას დიდი მსგავსება აქვს სემიტურ ენებისა. რაკი ეს აზრი მივიკვლიე, მაშინვე ებრაულისა და სირიულ ენის შესწავლას მოვკვიდე ხელი. მას უკან დღითი დღე მიგრავდება მასალა და შემატება საბუთები ამ აზრის დასამტკიცებლად და გასამართლებლად“. ავტორი აქვე გვიპირდება, რომ ამ ჰიპოთეზის დეტალურ დასაბუთებას შემდეგ წარმოადგენს. და მართლაც, 20 წლის შემდეგ, 1908 წ. ქვეყნდება ავტორის Основные таблицы к грамматике древне-грузинского языка с предварит. сообщением о родстве грузинского языка с семитическими, სადაც მოცემულია სემიტურ-ქართულ შესატყვისობათა ანალიზი: სახელგანთქმულ სემიტოლოგს აკად. როზენს, რომელმაც ჯვარი დაუსვა ახალგაზრდა მარის განცხადებას ჯერ კიდევ 1886 წ. ამ საკითხის ირგვლივ, „ტაბულების“ გაცნობამ აღფრთოვანებით წამოაძახებინა: да, у вас все продумано и прарботано, да у вас все ясно и доказано! ცნობილი არაბისტის რებუტაციას აკადემიურ წრეებში უტყველად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა არაბულ-ქართულის მონათესაობის იდეისათვის, სიკვდილს რომ არ მოესწრო და მესამე დღესვე არ გარდაცვლილიყო რუსეთის ორიენტალისტიკის ეს უდიდესი წარმომადგენელი და ორგანიზატორი. მარ-

<sup>1</sup> ამ ნაშრომებს დაბეჭდვა არ პოირსებია. აი რას ენება ეს რეფორატები: 1. ქართული საკუთარი სახელების საკითხი, 2. სიტყვები და გამოთქმები, რომელნიც ან სულ გამოტოვებულია, ან ეტიმოლოგიურად ეკლბადაა ახსნილი ქართ. ენის ლექსიკონებში. ეს ფილოლოგიური ეტრუდები შემუშავებულია დილარაიანის, რუსუდანიანის, ვისრამიანისა და ამირანდარეჯანიანის მასალის მიხედვით. მხედველობაში უნდა ექიანითო, რომ არცერთი ამ ძველთავანი, ვისრამიანის გარ და, მაშინ გამოცემული არ იყო!

თლაც: აკადემიურ წრეებში უნდობლობით ეკიდებოდნენ ამ ახალ მხრს. ეს რომ ქეშმარიტება იყოს, მეცნიერება არ დაუცდიდა ვილაც ქართველის ჩამოარძანებას კავკასიიდანო, — ასე სჯიდნენ ველიკოდერჟავინიკული იდეოლოგიის მეცნიერებთ: უნივერსიტეტის კურსი ბრწყინვალედ დაასრულა ახალგაზრდა ნ. მარმა. სადიპლომო თემას შეადგენდა: *Историко-литературный обзор грузинских повестей писанных в прозе в XI и XII веках*. მას სურვილი ჰქონდა ემუშავა ქართულ ფილოლოგიაში, მაგრამ ქართული ენის კათედრის ვამგე პროფ. ალ. ცაგარელი ვერ ვგუებოდა ახალგაზრდა მარის ლინგვისტურ-ლიტერატურულ შეხედულებებს და ამიტომ იგი არ იქნა დატოვებული ამ კათედრასთან. იმედგაცრუებული ნიკო იძულებული შეიქნა დასთანხმებოდა პროფ. პატკანოვის წინადადებას, რომ მასთან ემუშავა სომხურ ფილოლოგიის მიმართულებით. ასე, ამგვარად, ხელი მიჰყო მარმა არმენისტიკაში მუშაობას. მოკლე ხანში იგი ცნობილი არმენისტი ხდება (დღემდე ყველაზე დიდი ავტორიტეტი), ხოლო მალევე უბრუნდება იგი ქართველთმეტყველებას, რაც მის თავდაპირველ მიზანს შეადგენდა. 1891 წ. იგი ინიშნება პრიატ-დოცენტად და შეუდგა კიდევაც სომხურ სიტყვიერებაში ლექციების კითხვას. 1892 წ. საიმპერატორო არქეოლოგიურ კომისიის მიერ იგზავნება რუსეთის სომხეთში, სადაც მან სათავე დაუდო ქალაქ ანის გათხრას. 1894 წ. იგი მიემგზავრება დასავლეთ ევროპაში, რათა საფუძვლიანად გაეცნოს აღმოსავლურ ფილოლოგიის მდგომარეობას. სტრასბურგის უნივერსიტეტში უსმენს მსოფლიოში სახელგათქმულ მეცნიერებს. ისმენს სემესტრებს, როგორცაა: სირიული, მანდიური სპარსული — ფირდოუსის ენა (ნოლდეკე), ძველი ფილოსოფია (ვინდელბანდი). ამავე წლიდან იგი იწყებს პეტერბ. უნივერსიტეტში ქართველთმეტყველების კურსის კითხვას. 1896 წ. მან მუდელი ზაფხული გაატარა ვენასა, რომსა, ვენეციასა და ინსბრუკში, სადაც მუშაობდა სხვადასხვა ხელნაწერებზე და ლიტერატურულ ძეგლებზე (საშ. საუკ. არაკები და ზღაპრები). 1898 წ. მიიღო მონაწილეობა ნ. კონდაკოვის ექსპედიციაში ათონის მთებში, სადაც დაამუშავა ქართულ ენაზე დაცული ბიბლიური და ჰაგიოგრაფიული ძველი ტექსტები. 1899 წ. მიიღო სომხური სიტყვიერების მაგისტრის ხარისხი. ამავე ზაფხულში მან აწარმოვა მუშაობა ტფილისში ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელ. საზ.-ის ხელნაწერებზე. ამავე წლიდან კითხულობს კურსს ქართულ-სემიტურ შედარებით გრამატიკაში (აქ მას უსმენს ჯერ კიდევ სტუდენტი ივანე ჯავახიშვილი). 1900 წ. იგი დაინიშნა ექსტრაორდინალურ პროფესორად ქართულ-სომხურ ფილოლოგიის კათედრაზე. 1901 წ. იცავს დისერტაციას სომხურ ქრისტიანულ ლიტერატურულ ძეგლის შესახებ, რომელიც დაკარგულად ითვლებოდა და მან აღადგინა ქართული თარგმანის მიხედვით, რის გამოც მას ენიჭება სომხური სიტყვიერების დოქტორის ხარისხი. 1902 წ. თავის მოწაფესთან — ივანე ჯავახიშვილთან ერთად მარმა მოაწყო ექსპედიცია სინას მთაზე, სადაც დაწვრილებით იქნა აღნუსხული იქ დაცული ძველის-ძველი ქართული ხელნაწერები. აქვე იგი ამუშავებს არაბულ, ქართულ და სირიულ ქრისტ. ლიტერატურულ ძეგლებს. აქვე აღმოაჩინა მან წმ. გრიგოლის მისიონერული მოღვაწეობის ქალკი-

დონორი ვერსია არაბულ ენაზე.<sup>1</sup> სამი თვის ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ მარი მიემგზავრება იერუსალიმში, სადაც ამუშაებს ბიბლიურ სტანდარტიზაციულ ხასიათის ქართულ და არაბულ ხელნაწერებს. აქ ხელმეორედ აღმოაჩინა მან ქართული ჰაგიოგრაფ. ლიტერატურული ძეგლი, რაც დაკარგულად ითვლებოდა და რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართველთმეტყველებისათვის. ამავ წელსვე იგი დაინიშნა ორდინარულ პროფესორად ქართულ-სომხურ ფილოლოგიის კათედრაზე. 1904 წ. ზაფხულში მარი ანახლებს ანის არქეოლოგიურ გათხრებს. ამავე ზაფხულში მიემგზავრება სამხრეთ საქართველოში ლინგვისტური მიზნებით (შავშეთსა და კლარჯეთში). 1908 წ. გამოდის მისი ცნობილი „ძვ. ქართულის ტაბულები“. 1909 წ. ამ შრომის საფუძველზე მას ირჩევენ მეცნიერებათა საიმპერატორო აკადემიის (აწ საბჭოთა კავშირის აკადემია) ადიუნქტად. ამავე წელს ჩაატარა ანის VIII კამპანია. ზაფხულში მიემგზავრება ვარში რუსეთის საარქეოლოგიო საზოგადოების კლასიკური განყოფილების დავალებით, სადაც მან საფუძველი ჩაუყარა რომაული სტილის წარმართული ტაძრის გათხრას და მიემგზავრება პროფ. სმირნოვთან ერთად გელამის მთებში, სადაც აღმოჩენილ იქნა შატერიალური კულტურის მონუმენტალური ძეგლები, უზარმაზარი ლოდები-თევზები, „ვეშაპები“ ამ დროს მარმა მოამზადა ნიადაგი, რათა აგვისტოში ტფილისში მოწვეულიყო ქართულ-სომხური ფილოლოგიის ყრილობა, მაგრამ ობიექტურ პირობათა ხელის შეშლით, ეს საქმე არ განხორციელდა. ამავე წლის შემოდგომაზე მარი მიემგზავრება თურქეთის ქანეთში (ლაზისტანში) ლინგვისტური მიზნებით. ამ ენის შესანიშნავი „გრამატიკა“ მან გამოცა იმავე წელსვე. 1911 წ. ორჯერ მიემგზავრება სვანეთში და აფხაზეთში ლინგვისტური მუშაობის ჩასატარებლად. ამ დროს იგი ინიშნება პეტერბ. უნივ.-ის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დეკანად და 1912 წ. მეცნიერებათა აკადემიის ექსტრაორდინარულ და ორდინარულ აკადემიკოსად. 1913 წ. მან ჩაატარა ქ. ანის გათხრის XII კამპანია. ანის გათხრამ და მასთან დაკავშირებულ ხანგრძლივ ისტორიულ-ფილოლოგიურ მუშაობის წარმოებამ, ნ. მარს მოუხვეჭა სახელოვანი არქეოლოგის სახელიც. უდიდესი ორიენტალისტის აკად. ვ. ბარტოლდის და პროფ. სმირნოვის ამ თაობაზე რეცენზიის კვალობაზე, მარს რუს. საარქეოლ. საზოგადოებამ მიართვა ოქროს მედალი. უკანასკნელი დროის მარქსის-

<sup>1</sup> გადმოწერილი ქართ. ტექსტების ნაწილი ინახება ივ. ჯავახიშვილთან, რომლიდანაც ერთი თავი უცვლელად მოხლეჩა ს. ჯანაშიას მიერ („ცხოვრ. საბა ასურისა, იმ. არილი — ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრებული“, 1925). ზოლო მეორე ნახევარი ნ. მარის ხელშია, რაც ბეჭდვის პროცესშია და მალე გამოვა“ სამეცნ. აკადემიის გამოცემით. მარისა და ჯავახიშვილის გვსაუბრ. მოკლე ანგარიში დაიბეჭდა 1903 წელსვე. თუ რაოდენი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის ქართველთმეტყველების ამ ძვირფას ძეგლებს, ამას პოწომოს ის გამოხატავს, რაიცა მოიპოვა მან ვეროპელ მეცნიეგებში. ასე მაგალითად ბერლინის უნივ. პროფესორი ცნობილი ჰარნაკი ამბობს: „ამ ანგარიშიდან ნათლად ჩანს, რომ უძველეს ხალხთა უდიდეს ბერძნულ-ქრისტიანულ ოჯახს ეკუთვნიან ქართველებიც. გამოჩნდებიან განა ჩვენში, გერმანიაში ახალგაზრდა მეცნიერები, რომლებიც შეძლებენ შესწავლონ ენა, მწერლობა და ისტორია იმ ხალხისა, რომელსაც თავისი ძველი კულტურით მშური ნათესაობა ჰქონია ჩვენთან, და გაგვაცნონ ახლო მისი საუზრეთა? (დაბეჭდილია მეცნიერებათა პრუსიის აკადემიის ორგანოში). დღეს კი ვეროპის უნივერსიტეტებში ქართველოლოგიის კათედრები არსებობს“



მეცნიერული შრომებისათვის ეძლევა ლენინის პრემია. 1930 წ. შედის/კომპარტიიაში. 1932 წ. თურქეთის პრეზიდენტის მიწვევით შემგზავნულმა თურქეთში ლინგვისტურ და ისტორიულ მეცნიერულ დაწესებულებებში ორგანიზატორებისათვის და იაფეთილოლოგიაში საკონსულტაციო მუშაობის საწარმოებლად. იქედან იგი მიემგზავრება საბერძნეთის კუნძულებზე არქეოლოგიური გათხრების გასაცნობად და ზოგიერთი კამპანიისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად. ამჟამად მარი ითვლება მატერიალური კულტურის სახელმწიფო. აკადემიის (ლენინგრადი) პრეზიდენტად, საკავშ. სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად, ამავე აკადემიისა და აზროვნების ინსტ. დირექტორად, ამავე აკად. ამ.-კავ ფილიალის თავმჯდომარედ, კომაკადემიის წევრად, ეროვნებათა მოსკოვის ინსტ. დირექტორად, პროფესორობს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, და მრ. სხ.

სამეცნ. მოღვაწეობის 45 წლის თავზე, საკ. ცაქმა მარს შიანიჭა ლენინის ორდენი და მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის სახელი.

\* \*

კავკასია არა მარტოაღდენ ბუნებრივი საწარმოო ძალებით არის მდიდარი, არამედ მის მთებში საკაცობრიო მეტყველების ძვირფასი მადანიც არის ჩამარხული და შემონახული. კავკასური ენობრივი სინამდვილე თვალწინ გვიშლის მეტყველებითი შემოქმედების ძველის-ძველ ტიპებს. მდიდარია და მრავალფეროვანი ენების ეს კავკასური მუხუმი თავისი შემადგენლობით. არ არის დედამიწაზე სხვა ისეთი მცირე ტერიტორია, რომლის კალთებშიაც ენათა ასეთ ნაირ-ნაირობასა და სიმრავლეს ჰქონდეს ადგილი, როგორც ეს კავკასიაშია. და როდესაც ამ ენობრივ მრავალფეროვან ქანებში მეცნიერული შუქი სათანადოდ გააწვეს, მაშინ უფრო იქნება ხელშესახები, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა კავკასური ენებისა მეცნიერებისათვის. განსაკუთრებით დიდი წვლილი შეაქვს ენათმეცნიერებაში ქართული ენის შესწავლას. „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რა გინდ რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთს ენაზე რუსეთის ან დასავლეთ ევროპისა, რომ არა თუ ქართულმა სავსებით ვერ გამოითქვას, არამედ მხატვრობით ყალიბში ვერ ჩამოასხას. ქართული ენა, მეტადრე ცოცხალი ენა, უფრო მხატვრულად ხორცს ასხამს ყოველ აზრს და არა დახსნილ-დაქსაქსულად აგვიწერს და არა ზოგად ცნობებზე მხოლოდ გადაიღებს საჭირო აზრს.... ასე მდიდარია ქართული ენა, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით მსოფლიურია.“ — ამბობს ქართული ენის ყველაზე ავტორიტეტული სპეციალისტი ნ. მარი (იხ. მისი Пособие для изучения живого грузинского языка, выпуск I, Труды яфетического семинария, ლენინგრადი, 1926. გვ. 57).

კავკასიისადმი ლინგვისტური ინტერესი ენათმეცნიერული დიკციპლინის ჩამოყალიბების პირველ დღეებშივე დაიბადა (მე-19 საუკ. პირვ. ნახევარი). ასე მაგალითად, ამ მეცნიერების ფუძემდებელთაგანი, ფრ. ბოპი, ქართულს ენათა ინდო-ევროპულ ოჯახს მიაკუთვნებს. აუარება ევროპელი მეცნიერებისა შეეხნენ შემდეგში ქართ. ენას. ზოგი რას ამბობდა მის შესახებ და ზოგი რას, იყო ცდები, ეს ენა მოენათლათ თურანულად. უფრო გაბატონებული იყო შეხედულება,

რომლის მიხედვითაც ქართული, სხვა კავკასურ ენებთან ერთად არც ერთ ცნობილ ენათა ოჯახს არ მიეკუთვნება, იგი ობლად, ცალკე დგას, იზოლირებულია. აღსანიშნავია: არცერთი ამ მეცნიერთაგანი არ იცნობდა ქართულს (და სხვ კავკ. ენ.) იმდენად, რომ მის „ლინგვისტურ მონათვლას“ დამაჯერებლობა ჰქონოდა. გვიან, 1895 წ. გაისმა სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთი ხმა: „ვიდრე ქართ. ენის მონათესაობის პრობლემას დავაყენებდეთ, ენა რიგინად უნდა ვიცოდეთო“. ამას წერდა ინდო-ევროპული ენათმეცნიერების კორიფე პ. შუხართი, შემდეგში ცნობილ სპეციალისტი ქართული ენისა.

ქართულის საფუძვლიან ფილოლოგიურ შესწავლას აკად. მარი ბროსემ ჩაუყარა საფუძველი. იგი ქართველოლოგიურ მოღვაწეობას იწყებს პარიზში 1827 წ. და აგრძელებს შემდეგ პეტერბურგში. ბროსე გახლავთ ქართველთმეტყველების მამამთავარი. სცემს ფრანგულად ქართულ გრამატიკას, აურაცხელ ისტორიულ-ლიტერატურულ გამოკვლევებს, ტექსტებს და სხ. იგია პეტერბურგის ქართველთმეტყველების სკოლის უშუალო ხელმძღვანელი და გზის მაჩვენებელი. მასთან მუშაობდა პროფ. დ. ჩუბინაშვილი (ჩუბინოვად ცნობილი), ლექსიკოგრაფი. ხოლო პროფ. ალ. უაგარლის სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლამ (70-იანი წლ.) ერთი-ორად გაამდიდრა და წინ წაწია ქართველოლოგია. პეტერბურგის პარალელურად ამ ხანად ტფილისშიაც წარმოებდა ნაყოფიერი მუშაობა. ქართველთმეტყველების ამ პიონერებმა დიდი საქმე გააკეთეს უმთავრესად ხელნაწერების, ტექსტების, „შავი მასალის“ კატალოგიზაცია-რეგისტრაციის სახით, მრავალი უძველესი წერილობითი ძეგლის თავმოყრის მიმართულებით. ამ მხრივ მომავალში კიდევ მეტი და მეტი უნდა გაკეთებულიყო, რათა მომზადებულიყო ნიადაგი ჭეშმარიტ მეცნიერული კვლევა-ძიების საწარმოებლად. განსაკუთრებით მწვავედ იდგა ბირველწყაროების საკითხი. ჯერ კიდევ შორეული პერსპექტივის საქმე იყო ფილოლოგიური დისციპლინების დიფერენციაცია.

კავკასიის მკვიდრ მრავალ ეროვნულ ერთეულთა შორის, მარტოოდენ ქართველებსა და სომხებსა აქვთ მდიდარი მწიგნობრული კულტურულ-ისტორიული წარსული. ამ ორ ხალხს გააჩნია წარსულში მაღალი ფეოდალური კულტურა, მდიდარი ქრისტიანული მწერლობა. ამ კულტურული ცხოვრების მრავალზე მრავალი დოკუმენტი ისტორიულ ქარიშხალს გადაარჩენია და ჩვენამდის მოღწეულა, რამდენი კიდევ სრულიად დაკარგულა დროთა ვითარებაში, და ან სულ აღგვილა, ან აღმოჩენას ელის. ასე მაგალითად, ქართულ ისტორიულ წყაროებში მრავალი მითითება მოიპოვება წერილობით ძეგლებზე, რომელიც ჩვენ თვალთაც არ გვინახავს. განსაკუთრებით განადგურებულია ე. წ. „ოქროს ხანის“ ლიტერატურულ-ისტორიული მემკვიდრეობა. ასე გასინჯეთ, ვეფხის-ტყაოსანი შემთხვევით გადაარჩა ისტორიის ბოზოქრობას. და რამდენი ასეთივე განძი იმავე ეპოქიდან იმსხვერპლა ფეოდალურ-სარწმუნოებრივ იდეებით აღზავებულთა სამკვდროსასიცოცხლო შეტაკებებმა და ნგრევამ! ამასთანავე, მთელივე კულტურულ-ისტორიული ნიშნების მიხედვით, საეარაუდებელია, რომ „შუშანიკის“ ავტორს უძველად წინ უძღოდა გარკვეული ლიტერატურული ტრადიცია, რაიც, სხვადასხვა პირობათა გამო ვაჩანავდა. ქართული და სომხური უძველესი წერილობითი ძეგლების შესწავლა არა მარტოდენ საქართველო-სომხეთის, ანდა კავკა-

სიის წარსულ სახელმწიფოებრივ-კულტურულ სურათს ჰფენს შუქს, არა მხოლოდ მთელი წინააზიის მრავალი ისტორიული მომენტიც თვალნათლივობით წარმოგვიდგება ამ მასალების საფუძველზე. კერძოდ, ენათმეცნიერებისათვის ეს ძველი ძეგლები ძირითადი დასაყრდენია რამდენიმე საუკუნის წინათ არსებული მეტყველების გასათვალისწინებლად. საშუალება გვძლევს გავეცნოთ ენის იმ დონეს, რომელზედაც იდგა გაბატონებული სოციალური წრის მეტყველება წარსულში. მაშასადამე, ამ ხელსაყრელ პირობებში მირტოოდენ ქართულისა და სომხურის მკვლევარი იმყოფება. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ როგორც ქარი.ული, ისე სომხური ისტორიული წარსული, არამცდარაამც არ არის გამოთიშული კავკასიის სხვა ეთნიურ ერთეულთა ისტორიულ ვითარებასთან. ამ ისტორიულ ერთობლიობის, საერთო საკავკასიო პერსპექტივის ფონზე უნდა იქნას წარმოებული კავკასოლოგიური საქმიანობა. ეს ლოგიკური აუცილებლობა კარგადაა აქვს შეგნებული იმ მეცნიერს, რომელიც გასული საუკ. ოთხმოციან წლებში გამოდის სამეცნიერო-საკავკასოლოგიო სარბიელზე და მთელ ეპოქას ქმნის არა მარტოდენ კავკასურ სინამდვილის ფილოლოგიური შესწავლის დარგში, არამედ ფილოლოგიაში საზოგადოდ—ეს გახლავთ ნ. მარ. მან პირველად ყოვლისა ხელი მიჰყო კავკასიაში მოქცეულ იმ ენათა შესწავლას, რომელთაც მწერლობა გააჩნია რამდენიმე საუკუნეთა მანძილზე. ამგვარად, თავდაპირველი ყურადღება წარიმართა ქართულ და სომხურ კულტურულ წარსულისადმი. „ნაყოფიერი და წმინდა მეცნიერული ხანა ქართული მწერლობის ისტორიის შესწავლისა დაიწყო ე. წ. პეტროგრადის სამეცნიერო სკოლამ აკადემიკოსის ნ. მარ.ის მეთაურობით და ხელმძღვანელობით.—ამბობს პროფ. კ. კეკელიძე.—ნ. მარ.მა და მისმა შეგირდებმა, უმთავრესად ფილოლოგიურ-ლინგვისტურ მოსაზრებითა და მიზნებით, ხელი მოჰკიდეს თვით პირველწყაროების, ე. ი. ლიტერატურული ძეგლების შესწავლასა და გამოცემას. ამ მხრივ განსაკუთრებულ ნიჭს და ენერგიას იჩენდა თვით ნ. მარ.ი... ქართული მწერლობის ისტორიის კვლევა-ძიება ნ. მარ.მა დაამყარა წმინდა მეცნიერულ ნიადაგზე, მან გაუკვლია მას გზა, აღუნუსხა მეთოდები, გაუთვალისწინა მიზნები. თავის ზრიცხვსა და უამრავ შრომებში, როგორც მსხვილ გამოკვლევებში, ისე მოკლე სტატიებსა და შენიშვნებში, მან გაარკვია ბევრი საცილობელი და საკამათო საკითხი, წამოაყენა სრულიად ახალი საკითხები და სულ სხვანაირად გააშუქა უკვე მიღებული და დამყარებული დებულებანი. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი ქართულ ხელნაწერთა კატალოგიზაციისა და ცნობაში მოყვანის საქმეში. პეტროგრადის სამეცნიერო სკოლის მუშაობამ დასავლეთ ევროპის მეცნიერთა შორისაც გააღვიძა ინტერესი ქართ. მწერლობის შესწავლისა“ (იხ. კეკელიძე „ქართ. ლიტერატ. ისტორია“, ტ. I გვ. 15—16).

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მარის პირველ წერილში („ბუნება და თვისება ქართულის ენისა“, გაზ. „ივერია“, 1888) წამოყენებულია საკითხი ქართული ენის სემიტურ ენებთან მონათესაობის შესახებ.<sup>1</sup> ეს ნათესაობა სიტყვების გარეგან მსგავსებაზე კი არ არის დამყარებული, როგორც იცოდენ ხოლმე

<sup>1</sup> სემიტურ თჯაბში შედის: არაბული, ძვ. ებრაული, ეთიოპური ანუ ამხინინური და სხ.

და როგორც უმეტეს შემთხვევაში ტრომბეტიც<sup>1</sup> იქცეოდა, არამედ ქართულ — სემიტურ ბგერათა ცვლილების კანონებზე... ამგვარად ქართულენოვანი სემიტურ ჯგუფის ენათა ნათესაობა საფუძვლიანად დამტკიცებულია“ (ფილ. მუზეუმი, 1908 წ. I, 1908). ეს დამტკიცდა პირველი წერილის (1888 წ.) გამოქვეყნებიდან 20 წლის თავულებელი მუშაობის შემდეგ (H. Mapp, Основные таблицы к грамматике древне-грузинского языка с предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими, 1908, პეტერბ.). ამისთავანავე, ქართულთან ერთად ერთ ლინგვისტურ ჯგუფში მოთავსდა სუზის ენა, ენის ლურსმული წარწერების ენა და ძვ. სომხური, კლასიკურ ნაშრომში, ძვ. სომხური გრამატ. „წამოყენებულია ენის კლასობრიობის თეზისი (1903), რომ გვაქვს ფეოდალური და ხალხური ენა ერთმანეთისაგან განსხვავებული. ენათა ამ ოჯახს იაფეტური<sup>2</sup> ეწოდა. კვლევის გზად გამოყენებულია გაბატონებული ენათმეცნიერული სკოლის — ინდოევროპეისტიკის მიერ გამოშვებული კომპარატივიზმის (შედარებით-ისტორიული) მეთოდი. ამავე პერიოდში მარი ენერგიულად ჰკიდებს ხელს ქართულ-სომხურ ენებზე შემონახული უამრავი ლიტერატურული ძეგლების ფილოლოგიურად დამუშავებას. მეცნიერული მუშაობის ნაყოფიერად წარმოებას დიდად აბრკოლებდა ძველი ტექსტების გამოუცემლობა. უძველესი ეპოქების შემოქმედებითი ნიმუშები არქივების მტვრიან თაროებზე ეწყო და ელოდა მზის სინათლეს. ამ ძეგლების გამოქვეყნების მიზნით, დაულალავი მკვლევარი აარსებს მთელი კრებულებს, ჟურნალებს, სერიებს, სადაც სისტემატურად თავსდება კრიტიკულად შესწავლილი სამწერლობო ძეგლები. ეყრება საფუძველი ქართული კლასიკური ლიტერატურული ნიმუშების გამოცემას. აი ეს სერიები და კრებულები: 1 Monumenta hagiographica Georgica, 2. Bibliotheca Arm.—Georgica, 3. Тексты и разискания по арм.-грузинской филологии. 4. Материалы по яфетическому языкознанию, 5. Христианский Восток და სხ.<sup>3</sup>

განსაკუთრებით აღსანიშნავია სერიის („Тексты и разискания“) — გამოცემა, რომელიც დაიბეჭდა სულ 12 ტომად და აქედან 8 ტომი მარტოოდენ ქართველთმეტყველებას შეეხება<sup>4</sup> ამავე დროს, ტექსტუალური ხასიათის კვლევა-ძიების

<sup>1</sup> აღფ. ტრომბეტი იტალიელი ენათმეცნიერია, რომელიც ქართულს უმთავრესად ქამიტურ ენებს ადარებდა (1902) შ. ძ.

<sup>2</sup> ტერმინი პირობითია. ბიბლიურ გადმოცემით, ნოეს შვილებს ერქვათ: სემი, ქამი და იაფეტი. აქედან გამომდინარეობს სახელწოდება „სემიტური“ და „ქამიტური“ ენები. და რადგანაც მარი სემიტურ-ქამიტურ ოჯახებთან ქართულია და სხ. კავკასური ენებია მშრ დამოკიდებულია-ნათესაობას ამტკიცებდა, ამიტომ ამ ახალ ჯგუფს ენებისას „იაფეტური“ ეწოდა. ხოლო მოძღვრების ამ „იაფეტური ენათა“ შესახებ, „იაფეტოლოგია“ ანუ „იაფეტური თეორია“ ეწოდება. იაფეტურ თეორიის შესახებ აკადემიურ წიგნებს მხოლოდ 1911 წელს მოხსენდა გამოკვლევაში: Кавказ и памятники духовной культуры.

<sup>3</sup> ეს სერიები ყველა ერთდროულად არ დაარსებულა.

<sup>4</sup> მარის რედაქციით გამოდის: 1) X—XI საუკ. ქართ. ტექსტი (II ტომი), 2) იპოლიტეს „ქებათა-ქება“, X საუკ. (III ტ.), 3) XII საუკ. ქართ. ხობითი პოეზიის ნიმუშები, (IV ტ.), 4) „სახისმეტყველი“ (VI ტ.), 5) გრ. მერჩელის ცნობილი ტექსტი „გრ. ხანძელი“. ამ ძეგლს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მერჩელის ენა ქართ. კლასიკური მეტყველების ისეთივე მონუმენტალური დოკუმენტია, როგორც რუსთაველისა (VII ტ.), 6) ა. სტრატის ძე ქართ. ტექსტი

პარალელურად, მარი ამუშავებს კულტურულ-ლიტერატურულ პრობლემებს, 1895 წ. წყვეტს „ამირან-დარეჯანიანის“ საკითხს; პირველად მან დააყენა ეს საკითხი ნამდვილ მეცნიერულ საფუძველზე (იხ. მისი *Персидская национальная тенденция в грузинском романе: Амирандареджаниани*). მანვე განსაზღვრა ქართული საერო მწერლობის დასაბამი და მოგვცა საერო პოეზიის მკვეთრი დახასიათება (იხ. ავტორის *Возникновение и расцвет др.—грузинской светской литературы, 1899*)<sup>1</sup>. ამ შესანიშნავად შესრულებულ ნარკვევში, ავტორი ქართ. საერო ლიტერატურის აღმოცენების მთავარ ფაქტორად სპარსულ კულტურა-მიჩნევდა. ქართული ლიტერატურათმეტყველების, განსაკუთრებით, ფოლკლოს რისტიკის მაშინდელი დაბალი დონე, სხვანაირი დასკვნის გამოტანის უფლებას არ იძლეოდა. იაფეტური მსოფლიოს შესწავლის წინსვლასთან ერთად, თანდათან უკუგდებულ იქნა, მარისავე მიერ, ეს შეხედულება ე. ი. ირანიზმი ქართული ფეოდალური კულტურისა იმ მოკვლობით, როგორცაა წარმოდგინა მას, პირველად არ მართლდებოდა. 1928 წ. გერმანულად გამოქვეყნებულ გამოკვლევაში ქართული ენის შესახებ, მარი ამბობს, რომ ქართ. საერო მწერლობის პრობლემა ქართული ხალხური-სიტყვიერების საფუძველზე უნდა გადაიჭრასო. აქვე წამოყენებულია შეხედულება, რომ ქართ. საერო პოეზია უშუალოდ მომდინარეობს ძველი ქართული წარმართული შემოქმედებიდან. სპარსულ-არაბულმა კულტურამ მხოლოდ გამოაცოცხლა, ხელი შეუწყო იმ მადნის გამოვლინებას, რაიცა ჩამარხული იყო ქართულ წარმართულ პოეზიაშიო, დაასკვნის ავტორი (იხ. ნ. მარი, *Die Georgische Sprache, 1928*). წარმოდგენილი ანარქია არსებობდა მკვლევართა შორის „ვისრამიანის“ ირგვლივ. მარმა პირველმა დაადგინა მეცნიერულად ტექსტი და სრულის ექვმიუტანლობით გადაჭრა მასთან დაკავშირებული სხვა ფილოლოგიური საკითხები. ამ ბოლო დროს, მარი „ვისრამიანისა“ და „ტრისტანის და იზოლდას“ პარალელებზე ლაპარაკობს და აღნიშნავს, რომ ფაჰლურ პირვანდელ ტექსტს „ვისრამიანისას“, საფუძველად დასდებია ქართველურ-იაფეტურ სამყაროში აღმოცენებული და გავრცელებული სიუჟეტი (იხ. ნ. მარი „ქართველ ერის კულტურული შუბლი ეხათმეცნიერების მიხედვით“, *ჟურნ. „მნათობი“*, № 5—6, 1925). დიდი ამაგი მიუძღვის, აგრეთვე, მარს „ვეფხისტყაოსნის“ საკითხის მეცნიერულ ნიადაგზე დაყენების საქმეში.

იაფეტური თეორიის განვითარების პირველი საფეხური შეიცავს მანძილს 1888 წლიდან—1910 წლამდის. ქართულ-სემიტური მიმართების კვლევა-ძიება და სომხურ-ქართ. ფილოლოგიური შესწავლა დროებით უნდა გადადებულიყო. ამის საჭიროება ქართულის მოძმე და სხვა კავკასური ენების პირველ რიგში შესწავლის აუცილებლობამ დაბადა. ამგვარად აღებულ იქნა გეზი კავკასიის უმწერლობო ენებზე აქედან იწყება იაფეტიდოლოგიის მეორე საფეხური.

(IX ტ.), 7) XII ტომში დაბეჭდილია ავტორის ცნობილი *Вступит. и заключит. строфи Витязя в барсовой коже шоты из Рустава, გტიუდის თანდართვით Культ женщины и рицарство в поеме*. 8) VIII ტ-ში გამოქვეყნებულია ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი დ ი ს: *Госуд. строй др. грузин и Армении*.

<sup>1</sup> საერო პოეზიის და გულგისიური მწერლობის მიჯნა ზედმიწევნით განსაზღვრულია ამჟამად (კ. დონდუა. *Литерат. Энциклопедия, ტომი 3*).

ცოცხალი მეტყველებისადმი განსაკუთრებული გულსისყრის მიპყრობას დიდი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს. ნ. მარი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ წერილობით ძეგლებში გადაშლილი ენობრივი სინამდვილე მასობრივად სინამდვილურ პერსპექტივის გასათვალისწინებლად არ არის საკმარისი. მასობრივი, ცოცხალი მეტყველება ხშირად მეტ არქაულობის ნიშნებს შეიცავს, ვიდრე რამდენიმე საუკუნის წინათ ფიქსირებული ენა. გარდა ამისა, ცოცხალი ხალხური მეტყველება შეუდარებელია მრავალფეროვანია და მოძრავი, ვიდრე სტანდარტული ენობრივი მასალა, გაქვავებული სამწერლობო ძეგლებში. მესამე მხრივ, ე. წ. „მდამიური ენა“ თვისობრივად განსხვავებული ნიშნების მატარებელია იმ გაბატონებული სოციალური წრის ენასთან შედარებით, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში მიუღია ლიტერატურული გამოხატულება. ასე მაგალითად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ 1903 წ. ეკვიპოტანობით დადასტურდა მარის მიერ, რომ სომხებს ორი ენა მოეპოვებათ: ერთი ძველი, ფეოდალური ენა, რომელიც ლიტერატურულ ძეგლებში შემონახულია და მეორეა ხალხური. ამ ორ ენათა შორის დიდი განსხვავებაა! ამ სამი არსებითი ნიშნის მიხედვით, ხალხური მეტყველების ლინგვისტური ყურადღების ცენტრში მოქცევა იაფეტიდოლოგიის ამ მეორე ეტაპის მონაპოვარია. მაშასადამე, დღის წესრიგში დადგა კავკასური ენების შესწავლა და მათი შიგნით ურთიერთდამოკიდებულების გამოკვლევა. მარის „ქანური (ლაზური) ენის გრამატიკის“ გამოქვეყნებამ სათავე დაუდო უმწერლობო ენების შესწავლას. ამას მოჰყვება სახელოვანი იაფეტიდოლოგის პროფ. ი. ო. ს. ყიფშიძის „მეგრული ენის გრამატიკა“, ონიანის „სვანური ტექსტები“, ვუკოლ ბერიძის ქართ. დიალექტოლოგიური ლექსიკონი (იმერულ-რაჭული კილოების), და სხვა მრავალრიცხოვანი გამოკვლევები თვით მარისა. აქვე აღსანიშნავია დიდი ოსტატობით დაწერილი იაფეტიდოლოგიური მიმოხილვა „ქართული ენის ისტორიიდან“ ივ. ჯავახიშვილის მიერ, ქართული წარმართული პანთეონის შესახებ. ამავე პერიოდში მუშავდებოდა მარის მიერ „ქართული გრამატიკა“, რაც მხოლოდ 1905 წ. დაიბეჭდა<sup>1</sup>. იაფეტური ენები დაკლასიფი-

<sup>1</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ენის ეს გრამატიკა (Грамм. древнолитерат. грузинского языка, Ленинград, изд. Академии Наук СССР) საკმაოდ დაძველებულია და ვერ არის მეთოდოლოგიურად გამართული. მასში შესულია ის პრინციპები (მაგალ., ძირითადად სამთაწმომიწინაობის დებულება), რომელნიც იაფეტიდოლოგიის განვლილ საფეხურს წარმოადგენენ. ავტორი ცდილა შეესწორებია მის მიერვე დაწერილი ძველი ტექსტი გრამატიკისა, მაგრამ ეს მან ვერ მოასწრო, პირველადი აღნაგობა მაინც ვერ იქნა შეცვლილი და ასე ამგვარად გამოქვეყნდა ეს წიგნი, მიუხედავად მისი „იდეური სიკვდილისა“, როგორც წინასიტყვაობაში ნათქვამი ავტორის მიერ. მაგრამ მისი მნიშვნელობა მაინც დიდია. ეს პირველი გრამატიკა ქართული ენის, არა მხოლოდ ძვ. სამწერლობოსი, არამედ საერთოდ ქართულის... ეს პირველი ნაშრომია, რომელშიც პირველად წარმოგვიდგა ძველი ქართულის ენობრივი სახეობა. ამდენად „ძვ.—სამწერლ. ენის გრამატიკის“ მოვლენა ისტორიული ფაქტია (ა. ჩიქობავა). ამისდამიუხედავად მაინც ამ დაძველებულმა გრამატიკამ — „აქილესის ქუსლის“ ფუნქცია გასწია: იგი შეიქმნა კრიტიკის საგანად ქართულ სამეცნიერო პრესაში. ეს არის ვალდებულ კარგზე იფრის მიტანა, ხოლო, მეორე მხრივ, რეცენზენტს ვიწყდებდა, რომ იგივე ავტორია „ძვ.—ქართულის ტაბულების“ შემოქმედნი, როდესაც სამეცნიერო ლიტერატურაში გამუფებული ბურჟუა ქართული ზნის შესახებ — პირველად გაიფანტა... არსებითად სხვა არის ამავე ავტორის La langue géorgienne, პარიზი, 1931).


ცირდა ორ ჯგუფად: სიბილანტურად და სპირანტურად. სვანური ენა აღმოჩნდა პიბრიდულ ენად. ასევე სომხური. აქედან გამომდინარეობს დადგენილება მნიშვნელობის თეზისი — ენათა შეჯვარდინებისა, რაიც ძირითადი პრინციპისაგანის ინსტრუქციულ-ლოგიკისა. მარის კონცეპციით, ენაში მრავლად მოიპოვება სხვადასხვა ენის ფენები. მაგალ., სვანური ნარევი ენაა, რომელშიაც შეერთებულია აფხაზეთის, მეგრულ-ქანურის, ქართლის, სომხურის ელემენტები. სერიის „Яфет. элементы в яз. Армении“ გამოქვეყნებით მტკიცდება, რომ სომხური წმინდა ინდოევრ. ენა არ არის, არამედ ნახევარ-იაფეტ.

იაფეტოლოგიის მესამე საფეხური იწყება მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა მარის ფუნდამენტური გამოკვლევა: *Определение языка второй категории Ахеменидских клинообразных надписей по данным яфетического языкознания* (1913). ავტორს საფუძვლიანად შეუსწავლია უკვე გადაშენებული ენები როგორცაა ძველი ელამური, ქალდური, სუმერული — ლურსმულ წარწერებში დაცული და ჩაუთვლია იაფეტურ აღნაგობისად.

შეოთხე საფეხურს დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს. თუ აქამდის იაფეტოლოგია კავკასოლოგიური მეცნიერება იყო, ამიერიდან, კვლევის არის გაფართოებასთან დაკავშირებით. მის ფარგალში შედის არა-კავკასური ენებიც, იზრდება იაფეტურ ენათა „ოჯახი“, ირკვევა, რომ ამავე იაფეტური ბუნებისაა პამირის არემპირის ევრშიკული ენა, პირინეის ბასკური და მკედარი, გადაშენებული ეტროსკული აპენინის ნახევარ-კუნძულზე. ამგვარად, იაფეტურ ენათა ჯგუფში შედის კავკასური ენები<sup>1</sup>, ვანისა და მესოპოტამიის გადაშენებული ენები, შუა-აზიის ერთი ენა (ევრშიკ.) და ენები ევროპელ იაფეტიდებისა (ბასკ., ეტრ.). მარის კონცეპციით, ხმელთაშუაზღვა დასახლებული ყოფილა არა ინდოევროპული და სემიტური ხალხით, არამედ იაფეტიდებით. ეს არის კაცობრიობის „მესამე ეთნოური ერთეული“. იმ იაფეტიდების ბედი, რომელნიც დედა-მიწის სხვადასხვა კუთხეშია გაბნეული, ახსნილ-გადაწყვეტილ იქნა მიგრაციის ვარაუდობით. ყველა ეს შეხედულებები, რომელთაც დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ, გატარებულია ნაშრომში — *Яфетический Кавказ и третий этнический элемент в создании Средиземноморской культуры*, რომელიც დაიბეჭდა 1920 წ. ლაიპციგში, ხოლო გერმანულად ნათარგმნი, პროფ. ბრაუნის მიერ, 1923 წელს ლაიპციგშივე გამოვიდა. იაფეტური ელემენტები აღმოჩნდა ბერძნულსა, რომანულსა, სლავიანურსა და სხ. ენებში.

იაფეტური ენების შესწავლის პროცესში, თანდათანობით იზადება ენის ზოგად-ფილოსოფიური ბუნების შესწავლის აუცილებლობა. ფაქტური მასალების ლოგიკა არ ემორჩილება გაბატონებული სკოლის (ინდოევროპული ენათმეცნ.) მიერ გამოშუშავებულ პრინციპებს. ახალმა ენობრივმა სინამდვილემ ახალი გაშუქებები და ძველის საფუძვლიანი გადასინჯვის საჭიროება მოითხოვა. შრომაში — *Индо-европейские языки Средиземноморья* (1924) მოცემულია იაფეტოლო-

<sup>1</sup> კავკასურია, რომ ეამბობ, რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება კავკასიის ტერიტორიაზე არსებული ყველა ენა. მაგალ., ჭრათული, აზერბაიჯანულთა ენა და სხვა აქ არ შეიძლება. ოსური „ნახევარ-იაფეტური“ ენა (როგორც ამტკიცებენ ნ. მარო და ვ. აბავეცი), სომხურიც — ასეთივე.



გვის ახალი საფეხურის საფუძვლები. ამერიიდან იაფეტური ენათმეცნიერება მარტოოდენ იაფეტური ენების შესწავლით კი არ ისაზღვრება, არამედ მის ფარგალში შედის ენის ზოგადი ბუნების კვლევა-ძიება: ტრადიციული ინტენსიური სისტემის სათანადო შეფასება ცხადი ხდება, რომ გაბატონებული ენათმეცნიერული მეთოდოლოგია საეჭვო ღირებულებისაა. მართალია, ძალიან დიდი დამსახურება მიუძღვის მის წარმომადგენელთ ენათმეცნიერული აზროვნების განვითარების საქმეში, ლინგვისტური ტექნიკის გამომუშავების მიმართულებით, მრავალი პრობლემის უცილობლად გადაწყვეტის მხრივ, მაგრამ მათი მეთოდი უვარგისია და მიუღებელი; ეს ავტორიტეტული მოძღვრება უკვე მოექცა კრიზისის გამოუვალ ჩიხში, იგი უნდა ჩაბარდეს ისტორიის არქივს ისევე, როგორც საზოგადოებრივი კლასი, რომლის იდეოლოგიურ კუთვნილებასაც იგი შეადგენს. ინდოევროპეისტიკა წმინდა წყლის იდეალისტური მოძღვრებაა. ამ მეცნიერების იდეური გაკოტრება ყველაზე მძაფრად იქნა გაგებული საბჭოთა მეცნიერის მიერ, რომელმაც, გადაუჭარბებელივ ვამბობთ, სასიკვდილო ლაზვარი ჩასცა ენათმეცნიერული მეთოდოლოგიის ძველ ორგანიზმს. აკად. მარმა ამ კრიტიკულ კვლევასთან ერთად, ჩამოაყალიბა პოზიტიური ახალი ენათმეცნიერული სისტემის საფუძვლები. <sup>1</sup> ეს არის იაფეტური თეორიის უკანასკნელი პერიოდი თუ საფეხური. იაფეტოლოგია უკვე აღარ არის მარტოოდენ იაფეტური ენების შესახებ მოძღვრება, არამედ იგი, პარალელურად, ზოგადი ენათმეცნიერებაცაა. „იაფეტოლოგია“ უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ამ ტერმინის ქვეშ დღემდის იგულისხმებოდა. ტერმინოლოგიური გარკვეულობისათვის, „იაფეტოლოგია“ დარჩა იმავე მნიშვნელობით როგორც იყო იგი (მოძღვრება იაფეტური ენების შესახებ), ხოლო ამის საფუძველზე აღმოცენებულ ზოგად-ფილოსოფიურ მოძღვრებას, განსახვავებლად ძველი ენათმეცნიერული სისტემისაგან, „ახალი ენათმეცნიერება“ ეწოდა.

მარის მტკიცებით, იაფეტური ენები თავისი აგებულობით ყველაზე ახლო დგანან ენობრივი შემოკმედების უძველეს ვითარებასთან. თავდაპირველად არსებობდა უმარავი ენები (და არა ერთი ენიდან მომდინარეობს ყველა ენები, როგორც წარმოუდგენია ინდოევროპეისტიკას) საბოლოო ჯამში მივიღებთ ერთ ენას, რომელიც შერწყმული იქნება ყველა ენათაგან. პირამიდა, რომელიც თავდაყირა იდგა ინდოევროპეისტიკის წარმოდგენით, გადმობრუნებულ იქნა. ინდოევროპული ენები (ვ. აბავეის ტერმინოლოგიით „პრომეთეული“ ენათა უძველესი იაფეტური მდგომარეობის განვითარებული, უმაღლესი საფეხურია. აქედან

<sup>1</sup> ზოგიერთი ინდოევროპეისტი ფიქრობს, რომ მარის კონცეპციის ძირითადი უბედურებები შეხართიდან მომდინარეობს. რა თქმა უნდა, ეს გულუბრყვილო აზრია. უზნართი მართალია, განსხვავდება სხვა ინდოევროპეისტიკათაგან იმით, რომ იგი დიაქრონიკულ თვალსაზრისს იმარჯვებს, ენის ვერტიკალურ შესწავლას უჭერს მხარს (ინდოევრო. სინქრონიზმის მოძღვრებაა. ეს ტერმინოლოგია სოსიურეს შემდეგ დამკვიდრდა) და ამით აქვს ფორმალურად მართან შეხვედრის წერტილი, მაგრამ ვინც თანასწორობის ნიშნს სვამს, მას ვარება მხედველობიდან არსებითი გარემოება: უზნართის ენის ჰორიზონტალური და ვერტიკალური შესწავლა კვლევის პროცესში გათიშული აქვს, ისინი დამოუკიდებელ მეთოდებად წარმოუდგენია, ხოლო მარი დიაქრონიზმ-სინქრონიზმს ერთმანეთთან აუღლვებს. მეორის მხრივ, მარის დიაქრონიზმი თავის მხრივ — სხვა და უზნართისა სხვა! აი ესაა მთავარი.

გამომდინარეობს ახალი ენათმეცნიერების ალფა და ომეგა: ენათა მტადიულობის კონცეპცია, საზოგადოების სამეურნეო ცხოვრების ფორმაციებისა და კავშირებით მსოფლიოს ენები ენთიურ სუბსტრატის საფუძველზე, კი არ განიხილება, არამედ იგი ვაგებულა, როგორც მთლიანი მასივი, რომელიც განვითარების ერთ მთლიან პროცესს ექვემდებარება. სხვადასხვა ენები ერთი დიდი ხის შტოებია; მათი ობიექტური შემადგენლობა არამცდაარამც არ არის იზოლირებული ერთურობისაგან, მათი განვითარების ლოგიკა ერთი სახისაა ყველგან და ყოველთვის: ენა ზედნაშენია და ამდენად იგი სასტიკადაა განსაზღვრული საზოგადოების ეკონომიურ საფუძველით. სტადიური განვითარება დიალექტიკურ ნახტომის სახით ხდება. ენათა ტიპოლოგია-სინთეტური, აგლუტინატური და ფლექსიური — ენის სტადიური განვითარების სხვადასხვა საფეხურებია. ენა სხვადასხვა ფენას შეიცავს. ამის შესწავლა უნდა ხდებოდეს ვერტიკალურად. აქედან გამომდინარეობს პალეონტოლოგიური მეთოდი. ენის პალეონტოლოგიური შესწავლა ახალი ენათმეცნიერების სული და გულია. „ოთხი ელემენტის“ თეორია გვესმის, როგორც სამუშაო ჰიპოთეზი. პოზიტიური, რაც ვაკეთდა ინდოევროპეისტიკაში, მიეწერება პრე-ენის ძიებაში გამომუშავებულ გზებს და კლავი-აპარატურას, რასაც ჰქონდა სამუშაო ჰიპოთეზის ხასიათი და მნიშვნელობა, მაშინ როდესაც პრე-ენის იდეა თავისთავად ფიქცია გახლავთ, ისევე როგორც პრე-სამშობლოს ძიებაც სრულიად უნუგეშო საქმეა. ხოლო როდესაც ვახუნდა პრე-ენის კონცეპცია, ეს „სამუშაო ჰიპოთეზი“ უნდა გამოცვლილიყო,<sup>1</sup> ამის საჭიროება ინდოევროპეისტიკაში არ იქნა ვაგებული. ახალი ენათმეცნიერული მოძღვრების „ფონეტიკური კანონები“ (ბგერობლივი სისტემა, რომელსაც იგი ემყარება), სხვა არაფერია, თუ არ სისტემაში მოყვანა და განზოგადება იმ შესატყვისობათა მანიპულაციებისა, რაც ცნობილი იყო უკვე, ან ახალი დემატა აქამდის უცნობი ენობრივი სამყაროს საფუძველზე. ხოლო ერთ ენობრივ ზონაში არსებული ფონეტიკური შესატყვისობის განზოგადების უფლება ვაქვს, ერთიანი გლოტოგონური პროცესის პოსტულატის ძალით (აქ „ინდივიდუალური კანონზომიერება“ მთლიანად არ უგულვებელიყოფა), ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ამ მხრივ ყველაფერი საბოლოო სახემდის არ არის მიყვანილი; ბევრ რასმე მეტი დაზუსტება და გარკვეულობა ესაჭიროება.

ინდოევროპული ენათმეცნიერება ფორმალისტური მოძღვრებაა. ტიპური ფორმალისტისათვის, ენის ფორმალურ მხარეს განვითარების საკუთარი, იმანენტური ლოგიკა აქვს; შინაარსობლივ მომენტი დამორჩილებულია ფორმაზე. აქედან გამომდინარეობს ენისა და აზროვნების გათიშვა: ინდოევროპეისტიკისათვის ენათმეცნიერებას არაფერი საქმე არა აქვს აზროვნებასთან, იგი ენის ფორმას

<sup>1</sup> მარის სიტყვით: „Праязык индоевропейских языков есть научная фикция, одна время полезная, даже когда перестали верить в нее, полезная, как рабочая гипотеза, теперь же вредная фикция извращающая всю историю развития и возникновения человеческой речи, прямо—таки мешающая правильной постановке исслед. работы по ней. „იბ. по этапам разв. яфет. т., გვ. 272.

უნდა იკვლევდეს მარტოოდენ ამას ამბობს „იმანენტისმი“. მეორე მხრივ, ახ. ენათმეცნიერებას უხდება თავის დაღწევა ლოგიკისა და ფსიქოლოგიის შემოტევისაგან ენათმეცნიერებაში. ლოგიკის-ფსიქოლოგიის განვითარებას უწევს ენობრივ აზროვნებას, მეტყველების სპეციფიკურ ბუნებას და მშრალი ლოგიკური კატეგორიების ცნობიერების აბსტრაქციის სიმალეებიდან დაწყურებს ენას; მისი მძლე იარაღი ფორმალური ლოგიკა გახლავთ. ეს იწვევს ცნობათა უმაგალითო აღრევას, იჩქმალება ენობრივი ფსიქოლოგიის თავისებურება, ენათმეცნიერულ დისციპლინის თვისთავადობის ლოგიკური უფლება ერთმევა. „იმანენტისმის“ მეთოდოლოგია მოწოდებულია ლინგვისტური მეცნიერების (ტრანსცენდენტისტული მიმართულებით მიერ) შელახული უფლებები აღადგინოს, გაწმინდოს ფსიქოლოგისტურ-ლოგიცისტურ ბალასტისაგან, აღმოფხვრას ამ „ლინგვისტური მემარჯვენობის“ გავლენები საზოგადოდ ენათმეცნიერებაში. მაგრამ ენის სპეციფიკისა და, აქედან, ენათმეცნიერების თავისთავადობის მიმართ თანაბარ მიმართულებაში იმყოფება როგორც, ერთი მხრივ, „იმანენტისმის“ მეთოდოლოგია (ლინგვისტური „მემარცხენობა“), ისევე, მეორე მხრივ, მისგანვე სამართლიანად ათვალისწინებულ-დაწუნებული ტრანსცენდენტისმი ენათმეცნიერებაში (ლინგვისტური მემარჯვენობა). ორივე ეს უკიდურესი მიმართულება მეთოდოლოგიურად უარსაყოფელ-დასაძლევია. ენისა და აზროვნების დიალექტიურ ურთიერთობაში კვალიფიკაცია კვლევა-ძიების აუცილებელი გამოსავალი წერტილი — უნდა იყოს. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ენის განვითარების პროცესში „წამყვანი როლი“ შინაარსობლივ მომენტს ეკუთვნის. ეს განყენებულ-თეორეტიული დებულება კი არ გახლავთ, არამედ მრავალფეროვან პოზიტიურ მასალიდან მიღებული დასკვნა. ენა სოციალური მოვლენაა, იგი იდეოლოგიური კატეგორიაა — და ეს ძლევაგამოსილი დებულება არ ეგუება იმ სკოლის კონცეპციას, რომლის მიხედვითაც ენათმეცნიერი ენის მარტოოდენ ფორმის შესწავლით უნდა ისაზღვრებოდეს. ასეთი ენათმეცნიერი ენის სპეციფიკისათვის (sic!) იბრძვის და თავის საჭმინაობას „იმანენტისმის“ სახელით ნათლავს (თითქოს სწვდება ენის იმანენტურ ბუნებას!); ეს კი გაუგებრობაა. ზემოთქმულიდან გასაგებია, რომ ნ. მარმა სიმძიმის ცენტრი სემანტიკაზე გადაიტანა და მკვეთრად ჩამოაყალიბა „სემანტიკის კანონები“. აქედან გამომდინარეობს, რომ ყურადღების ცენტრში დადგა ლექსიკა. ენა რეალური აზროვნებაა, ამბობს მარკსი და ეს გენიალური განსაზღვრება კონკრეტობიერებულია მარის მიერ თვით ენობრივ მასალაზე.

ჯერ კიდევ ადრინდელ შრომებში ახ. ენათმეცნიერების მამამთავარ სიტყვათშემოქმედების მთავარ ლერძად შეჯვარედინების (скрещивание языков, Sprachmischung, mélange des langues) პრინციპი მიაჩნია; ე. ი. ენის განვითარების ფორმალური პროცესი, შეჯვარედინების (ანდა შეუღლების) ასპექტშია განხილული. სიტყვა უმთავრესად არ არის თავისი შემადგენლობით მონოპოლიტური: მასში შერწყმულია ორი ელემენტი მაინც, რომლებიც შეჯვარედინებამდის ცალ-ცალკე არსებობდენ და სემანტიკურად იდენტური არიან; ხოლო კომუნიკაციური საჭიროებისათვის ისინი შეუღლდენ, გაერთიანდენ. დროთა ვითარებაში „ილესება“ ეს „გაორმაგებული“ სიტყვა, მონოლიტური ხდება. აი სულ უბ-

რადიო მაგალითი: უდმურდულ ენაში „მიწას“ ჰქვია მუ ზე მუ, რადიო მაგალითი ორი ელემენტისაგან შედგება: მუ + ზემ. ოდესღაც ცალკე შექმნილია „მიწას“ და ასევე ზემ. რომ ეს უეჭველია, ეს იქიდან ჩანს, რომ თვით უდმურდულსავე ენაში, პარალელურად, „მიწის“ აღსანიშნავად იხმარება მუ, ხოლო ზემ შედის რუსულ სიტყვაში зем-ля. მეორე მაგალითი. ქართული კურცხალი (უდრის ძველ ქართულში და დიალექტებში ცრემლს) შემდგარია ორი ელემენტისაგან: კურ + ცხალ-ი. პირველი ელემენტი იგივეა რაც ყურ-ი, ხოლო მეორე წყალ-ი (კ და ყ ს მონაცვლეობა ერთი მხრივ და მეორე მხრივ ცხ-წყ სი სრულიად ნორმალურია ლინგვისტურად). მაშასადამე: ყურის წყალი. „ყური“ ოდესღაც თვალს ეწოდებოდა, შემდეგ ფუნქციონალურად მიიღო ის მნიშვნელობა, როგორც ჩვენ გვესმის დღეს. ხელის ენის დროს მთავარი აღსაქმელი იარაღი თვალი იყო. როდესაც ბგერითი მეტყველება გამოშვავდა, თვალის ფუნქცია ყურზე გადავიდა. ჩვენ ახლაც ვამბობთ: „უყურეო“ რაც ნიშნავს შეხედვას, მზერას („ცრემლი კურ-კურ-ით ჩამოსდისო“, იტყვიან კიდეც). მაშასადამე, კურცხალი—თვალის წყალი. ამჟამად არაეინ აღიქვამს ამ ფორმას ორ სიტყვად, მაგრამ ოდესღაც ასე იყო. ეს ცოტა სხვა ტიპის შეჯვარედინებაა, მაგრამ ამის გარჩევაში აქ არ შევალთ. ძველ შრომებში შეჯვარედინების გაგებას „ეთნიური სარჩული“ ედგა: ერთმანეთისათვის გაგებინების მიზნით (სხვადასხვა ეთნიურ ერთეულთა საწარმოო ნიადაგზე ურთიერთობის დროს), ერთი და იმავე მნიშვნელობის, მაგრამ სხვადასხვა გაფორმების სიტყვა გადაეხმოდა ერთმანეთს. ასე მაგალითად, თეორეტიკულად რომ ვიმსჯელოთ, იგივე უდმურდულის მაგალითზე: „მუ“ უდმურდულის კუთვნილებაა ცნება „მიწის“ აღსანიშნავად, ხოლო სლავიანურ ტომებთან ურთიერთობის პროცესში, „მუ“ გადაეხმის ამ უკანასკნელთა „ზემ“-ს (რომელსაც იგბვე მნიშვნელობა აქვს) და მივიღეთ „მუ-ზემ“, რაც ორივე ეთნიური მხარისათვის გასაგებია. შეჯვარედინების იდეას მარი მარტოოდენ ეთნიურ თვალსაზრისით ხსნიდა. მაგრამ ფაქტიური მასალის თანდათან დაგროვებამ, სხვა სურათი გადაგვიშალა: შეჯვარედინება ერთი და იმავე ენის ფარგლებშიაც ხდება. ორი საპირისპირო ენობრივი გაფორმება ერთი და იგივე ცნებისა, დიალექტიკურად ერთიანდება. ეს შინაგანი შეჯვარედინება უფრო მკვეთრია სხვადასხვა სოციალურ ფენათა ენობრივ სხვადასხვაობათა შორის. დადგა საკითხი შეჯვარედინების კლასობრივი საფუძვლის შესახებ. ამგვარად, შეჯვარედინება გარეშე, მექანიკური ფაქტორი კი არ არის, არამედ შინაგანი პროცესი. ასეთია ამ საყურადღებო მოვლენის ახალი მატერიალისტურ-დიალექტიკური გაგება.

როგორც ვხედავთ, ენის წარმოშობის პრობლემა სიმწვევით დგას ახ. ენათმეცნიერებაში. ძველმა სკოლამ ეს საკითხი არამეცნიერულად გამოაცხადა და ხელი აიღო მის კვლევაზე. ასე მაგალითად, პარიზის საენათმეცნიერო საზოგადოების წესდებით, პირდაპირ აიკრძალა ენის წარმოშობის შესახებ მოხსენებით გამოსვლა საზოგადოების სხდომებზე. ვინც კი შეეხო საზოგადოდ ენათმეცნიერებაში ამ პრობლემას, არცერთი მათგანი არ არის ძირითადად ლინგვისტი. მაგალითად, ამ საკითხზე თავი შესტკიოდა ძველ ფილოსოფოსებს (არისტოტელე, პლატონი, პროტაგორას დროში), ახალი დროის ფსიქოლოგ-ფილოსოფებს და

სხვადასხვა. ეს არ არის გასაკვირველი, რამდენადაც ინდოევროპული ლინგვისტიკის მეთოდოლოგიურს საფუძვლებზე ამ საყურადღებო საკითხზე მსჯელობა მართლაც შეუძლებელია. პირველად ენათმეცნიერებაში ნ. მარშის „დსსსსს“ ეს საკითხი, როგორც კვლევის გენერალური მიზანი, რამდენადაც შესასწავლი ობიექტის (ენის) საზოგადო ბუნება, განვითარების კანონები და სხ. შეუძლებელია გაგებულ იქნას მისი გენეტური ვითარების გაუთვალისწინებლად. ენის ისტორია ხშიერი მეტყველების წარმოშობიდან კი არ იწყება, არამედ მას წინ უსწრებდა თვისობრივად სხვა სისტემის ენა—ხელის ენა, რომელიც რამდენიმე ათასწლეული წლის განმავლობაში იყო კაცობრიობის მიერ გამოყენებული და რომელსაც ისეთივე რთული და საინტერესო ისტორია გააჩნია, როგორც მის დიალექტიკურად შემცველ მეტყველებას.

ახ. ენათმეცნიერების დიდი მონაპოვარია ენათმეცნიერული დისციპლინის გადაჯაჭვა მატერიალური კულტურის ისტორიასთან. ენა და მატერიალური კულტურის ძეგლები იძლევიან გასაღებს იმ ეპოქის შესასწავლად, რომელიც ტრადიციული ტერმინოლოგიით იწოდება „პრე-ისტორიად“, ენისა და მატერ. კულტურის დოკუმენტების ერთობლიობა კვლევა-ძიების პროცესში, აუცილებელი პირობაა.

მარს დიდი დამსახურება მიუძღვის აგრეთვე არქეოლოგიის დარგში, რა მეცნიერებასაც „მატერიალური კულტურის ისტორია“ ეწოდა. მარქსი და ენგელსი არქეოლოგიისაგან მოითხოვდნენ, რომ ყურადღების ცენტრში დამდგარიყო იარაღის, არქეოლოგ ძეგლის ფუნქციონალური მხარე, ნაცვლად მართოდენ ფორმალური კვალიფიკაციისა. ნ. მარმა თავიდანვე მიაქცია ყურადღება მატერ. კულტ. ძეგლის იდეოლოგიურ მოცემულობას, თითოეულ დოკუმენტს იგი სწავლობდა საზოგადოებრივ ფორმაციებთან დაკავშირებით, როგორც ისტორიულ წყაროს. ამგვარად, მარი შეიქნა მარქსისტული არქეოლოგიის მამამთავარი.

ასეთივე დიდი ღვაწლი მარისა ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში. პირველად მეცნიერებაში მან დააყენა საკითხი ეთნოგონიის პროცესის შესახებ. პირველად მეცნიერებაში მან დაამტკიცა, კონკრეტული ენათმეცნიერული მასალის საფუძველზე, რასული თეორიის სიყალბე. მანვე გამოუთხარა ძირი მიგრაციის ცნობის თეორიას (ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, აგრეთვე მისი მოწაფის, აკადემიკოს ი. მეშჩანინოვის დამსახურება).

რა მიმართებაში იმყოფება იაფეტიდოლოგია სხვა მეზობელ დისციპლინებთან? ახ. ენათმეც. სინამდვილეში გამომუშავებული პალეონტოლოგიური ხერხი კვლევა-ძიებისა, მძლე იარაღს წარმოადგენს ლიტერატურათმეტყველებისათვის, პოეტის კატეგორიათა გენეზისის კვლევის პროცესში, კერძოდ სუჟეტების ისტორიის დადგენისას.<sup>1</sup> ფილოსოფოსისათვის, რომელიც მო-

<sup>1</sup> დაინტერესებულს შეუძლია მიმართოს მარის სამეცნიერო ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელთა კრებულს, რომელშიაც მოცემულია ცდა „ტრისტან და იზოლდას“ სუჟეტის პრობლემა გადაწყვეტისა ენათმეცნიერულ-პალეონტოლოგიური გზებით: Тристан и Изаolda от героини любви феодальной Европы, до богини матриархальной Афревразии), Труды Инст. языка и мышления Академии Наук СССР“, I, 1932, Ленинград.

წოდებულია შეისწავლოს აზროვნების გენეზისი, აუცილებელია ის დასკვნები, რაცა მიღებულია ენათმეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად. ისტორიული წყარო, ენა და მატერ. კულტურის ძეგლები, აგრეთვე მძლე დასაწერდნია ისტორიისათვის და სხ.

ახალი ენათმეცნიერების გამომუშავებას შემდეგი წყაროები კვებავენ: პირველყოვლისა, 90-იანი წლების რუსული ორიენტალისტიკის მაღალი დონე,<sup>1</sup> მეორე მხრივ, ახალი ენობრივი მასალა (კავკასური ენ.), მესამე მხრივ, ფაქტი, რომ მოძღვრების მამამთავარი უშუალოდ ფლობს სხვა და სხვა სისტემის (ანუ „ოჯახის“) ენებს,<sup>2</sup> ხოლო დანასრულ, რაც მთავარია, ოქტომბრის რევოლუციის ხანა, რა დროიდანაც სტიქიური მატერიალისტური კვალიფიკაცია ენობრივი სინამდვილისა, თანდათან ცნობიერ, მარქსისტულ ნიადაგზე დგება.

თავს ნებას მივსცემ აქ მოვიყვანო აკად. შ. პოკროვსკის მიერ გამოთქმული აზრები ნ. მარის დამსახურების შესახებ: Если бы Энгельс еще жил между нами, теорией Марра занимался бы теперь каждый комвузовец, потому что она вошла бы в железный инвентар Марксистского понимания истории. . . . Теория Марра еще далека от господства, но уже известна всюду. Уже всюду ее ненавидят. Это очень хороший признак. Марксизм всюду не навидят уже три четверти столетия, и под знаком этой ненависти он все более и более завоевывает мир. Новая лингвистическая теория идет под этим почетным знаком, и это обещает ей на ее месте, и в ее научном кругу такое же славное будущее... Конечно, не мелочными нападками на детали Марровского учения можно „опровергнуть“ диалектико-материалистическую теорию языкознания. Чрезвычайно характерно, что „критика“ яфетидологии идет шаг в шаг по пути „критики“ истории, материализма тридцать лет назад. Как тогда от историков-марксистов требовали, чтобы они немедленно об'яснили „все“ и жадно ловили чуть не опечатки, чтобы дискредитировать новое и „легкомысленное“ учение, так теперь то же самое повторяется с учением Марра. Отпор, встреченный „критиками“ последнего, показывает, однако, что времена переменялись и что теперь такими простенькими приемами ничего не достигнешь“. (Труды первой Всесоюзной конфер. историков - Марксистов, ტ. I. გვ. XII).

„ისტორიული ეპოქების“ ენობრივი მონაცემების საფუძველზე, ნ. მარი პირისპირ წაადგა შესასწავლი ობიექტის ზოგადი ბუნების შეცნობის საჭიროებას,

<sup>1</sup> განსაკუთრებით აღსანიშნავია უდაფსი მეცნიერის აკად. ა. ვესელოვსკის მეთოდოლოგიური არის დიდი მასტაბი, ფილოლოგიური მოვლენის არა ვიწრო ფარგალში განხილვა, არამედ მსოფლიო მასტაბით წარმოდგენა.

<sup>2</sup> თითქოს ყველა ენათმეცნიერი შემოხდებულა ენათა იმ სისტემის ფაქტიური ცოდნით და კვლევა-ძიებაში იზოლაციით, რომლის სპეციალისტადაც ის ითვლება. ბედნიერ გამოწადისს ჰ. შუხართი წარმოადგენს ძველ სკოლიდან, რომელმაც იცოდა სხვადასხვა სისტემს ენები, ამიტომ ზომ არ არის იგი ყველზე პროგრესული ინფორმაციის მორისმ ენათა ერთიანი გლოტოგონური პროცესის დასაწახავად, ერთი ენობრივი ზონა ვიწრო ფარგალია.



რამაც გამოიწვია მიზან-ამოცანების გაფართოება. მან გაბეჭდულ მანკარღვრულ ფილოლოგიურ კარჩაქტილობა, ვიწრო ფარგალი, შემოსაღობილი ტრადიციული მეცნიერების მიერ და ფაქტიური მონაცემების კარნახით მკვლევარი გადატყორცნილ იქნა პრობლემებისა და კაცობრიობის ისტორიის იმ შორეულ სამყაროში, რომელსაც ჩვეულებრივი „ისტორიული თვალი“ ვერ სწვდება. სხვანაირად რომ ვთქვათ, ენობრივი მასალის ნიადაგზე დაიბადა ლოგიკური აუცილებლობა—მეცნიერულ მხედველობა ისტორიული ეპოქების სარბიელიდან გადასწვდენოდა პროტოისტორიულ სინამდვილეს, ე. წ. პრე-ისტორიულ ადამიანის ცნობიერებაში და ენაში სიმძიმის ცენტრის გადატანით. გენეტიზმისა და ისტორიზმის პრინციპი ამ „რთული ოპერაციის“ მოხდენას მოითხოვდა. უკეთუ ამ გზით მოპოვებული დასკვნები გამოადგება სხვა სამეცნიერო დარგებს, მით უკეთესი ენათმეცნიერებისათვის, სრულებითაც არ ერთმევა მას თავისთავადი დისციპლინის სახელი, იგი არ იქნება ისტორიის ან სხვა მეცნიერების ancilla. მხოლოდ ემპირიკოსსა და ფაქტების მარტოოდენ რეგისტრატორს თუ შეუძლია მოსთხოვოს ენათმეცნიერებას „ისტორიულ ეპოქებით“ განისაზღვროს და ჩაიხშოს. შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მეტი უფლება პროტოისტორიული სინამდვილით დაინტერესებისა, სხვა მომიჯნავე დისციპლინათა შორის, ენათმეცნიერებას აქვს, ვინაიდან მისი შესწავლის ობიექტი ყველაზე რეალური და უტყუარი საბუთია ამ საკითხების გადასაჭრელად. ხოლო თუ ამ გზაზე მსჯელობას ხშირად ჰიპოთეტური ხასიათი ექნება, ეს არაფერს ცუდს არ ნიშნავს, რამდენადაც ჩვენ ვიცით, თუ რა მიტყილებელია ზოგჯერ ჰიპოთეზი მეცნიერებისათვის, განსაკუთრებით „სამუშაო ჰიპოთეზი. ვინც მწყურალად ეკიდება „კოსმიურ ჰიპოთეზებს“, მისთვის აუცილებელი როდია არ დაინახოს და ანგარიში არ გაუწიოს იმ ნაყოფიერ საქმიანობას, რაც ამ „კოსმიური პრობლემების“ პარალელურად უწარმოებია აკადემიკოს მარს, რომლის ნასუფრალით არა ერთი და ორი მეცნიერი, უშუალოდ თუ შუალობით, დაპურებულა და განა რამდენიმე მეცნიერული თაობა, რომელიც ახლა გვერდს უბევს და ქვა-გუნდას აყრის ამ „კოსმიურ ჰიპოთეზების“ ავტორს, ამ ადამიანის მაღალი შუბლის შემოქმედება არ არის? ეს იცის ისტორიამ.

საკავშირო სამეცნიერო აკადემია,  
 ლენინგრადი. 1933. XI.



## 1933 წლის „მნათობში“ მოთავსებული ნაწარმოებები.

### I კოეფიციენტი და ლექსები

- აღ. აბაშელი—ლირიკოსი და მებაღე (ლექსი) № 5.  
 გრ. აბაშიძე—ჟიჟანასკნელი ხატისკაცი (ნაწყ. პოემიდან) № 11.  
 კ. ბობოხიძე—ერთი სიმღერა (ლექსი) № 1—2.  
 ლორდ. ბაირონი—სენნაქერიბის დამარცხება (ლექსი) № 11.  
 „ „ ბედნიერი ხარ (ლექსი) № 11.  
 ვალ. გაფრინდაშვილი—სამი ლექსი (ლექსი) № 1—2.  
 „ „ კარლ მარკსი (ლექსი) № 3.  
 „ „ უცნობი ქუჩა (ლექსი) № 12.  
 აღ. გომიაშვილი—ისევ ეძახიან გერმანიას (ლექსი) № 3.  
 ვ. გაბესკირია—17 აპრილი თეატრში (ლექსი) № 4.  
 ვ. გორგაძე—მწვანე წნორებთან (ლექსი) № 8—9.  
 ზ. დოლიაშვილი—მოდინ ლეგიონები (ლექსი) № 10  
 ალიგპიერი დანტე—„ლეოებრივი კომედია“  
 (თარგ. კ. გამსახურდიას და კ. კიკინაძისა) № 1—2.  
 ნოე ზომლეთელი—ნასაკირალი პოემა № 12.  
 პაოლო იაშვილი—წიგნიდან „ლირიკული გაზაფხული საქართველოში“  
 (ლექსი) № 1—2.  
 გ. კაჭახიძე—მგზავრობა ორის (ლექსი) № 6—7.  
 გ. ლეონიძე—ლექსები № 8—9.  
 „ „ მთაწმინდიდან ქარს მოჰქონდა (ლექსი) № 10.  
 „ „ მყვირალობა (ლექსი) № 11.  
 ი. მოსაშვილი—ნაწყვეტები ფოთლების, გუ-  
 ლის და ლექსების შესახებ (ლექსი) № 4.  
 ედგარ პოე—„ულალუმი“ თარგ. ვ. გაფრინდა-  
 შვილის № 12.  
 ვარ. ქურული—მარჯანიშვილის ფერფლი (ლექსი) № 4.  
 „ „ წიკლაურის ბილიკი (ლექსი) № 5.  
 ვარ. რუხაძე—ეს მაშინ მოხდა (ლექსი) № 6—7.  
 „ „ ჩვენს ეპოქა სულ სხვაგვარია (ლექსი) № 10.  
 პ. სამსონიძე—მათა გმირები (ლექსი) № 4.  
 მ. სვეტლოვი—გრენადა (თარგ. მ. პატარიძის) (ლექსი) № 12.  
 ვალ. ტაბიძე—პირველი მაისი (ლექსი) № 5.  
 „ „ იდეა (ლექსი) № 5.  
 ტიკ. ტაბიძე—ლექსებიდან „აპრილი ორპირში“ (ლექსი) № 5.  
 ნიკ. ტიხონოვი—სამი (თარგ. პატარიძის) (პოემა) № 12.

- გ. ქუჩიშვილი — ძლევა მოსილ წითელ არმიას (ლექსი) № 1—2.  
 „ „ კარლ მარქსი — (ლექსი) № 3.
- გ. ქუჩიშვილის მიერ თარგ.— დეკაბრისტების ლექსები: რილევი პუშკინი, ოლოფსკი № 6—7.
- გ. შატბერაშვილ — ამილახვრიანთ მუხის ქვეშ (თავები პოემიდან) № 3.
- შელლი — ოზიმანდის (თარგ. გაჩეჩილაძის) (ლექსი) № 11.
- ს. ჩიქოვანი — უჩანვი ჩხვიძეს (ლექსი) № 1—2.  
 „ „ გაზაფხულის და ყოფის აღწერა (ლექსი) № 6—7.
- კონსტ. ქიქინაძე — ახალგაზრდა დიასახლისი მთაში (ლექსი) № 1—2.

## II რომანები და მოთხრობები

- გერცელ ბააზოვი — ფეთხანი (რომანი) № 1—2, 4, 5, 8—9, 10, 11, 12
- ბანოვანი — ლების ბატნი (რაჭული ვადმოცემა) № 4.
- ვასილ ბარნოვი — დედის ხელი (მოთხრობა) № 5.
- კონსტ. გამსახურდია — გოეტეს ცხოვრების (რომანი) № 3, 5, 6—7, 8—9.  
 „ „ მთვარის მოტაცება (რომანი) № 12.
- მარ. გარიყული — ანარეკლი — (მოთხრობა) № 10, 11, 12.
- შალვა დადიანი — ფერისცვალემა (მოთხრობა) № 12.
- სერგო კლდიაშვილი — ორი მოთხრობა — № 1—2.  
 „ „ უშგული (წიგნიდან სვანური მოთ.) № 4.
- კონსტ. ლორთქიფანიძე — ძირს სიმინდის რესპუბლიკა (რომანი) № 1—2.
- ი. ლისაშვილი — კადონა — (მოთხრობა) № 10.
- საფო მგელაძე — გზა და გზა — (რომანი) № 5, 6—7, 8—9.
- ირ. სონღულაშვილი — ნანდერძევი — (მოთხრობა) № 6—7.
- ალ. ქუთათელი — მუშტაიდი — (მოთხრობა) № 1—2.  
 „ „ ჩარირამა — (მოთხრობა) № 8—9.
- როდიონ ქორქია — შხვერავე — (მოთხრობა) № 3.
- ლ. ქიაჩელი — დახურული წარმოდგენა (მოთხრობა) № 8—9.  
 „ „ ჰაკი აძმა — (მოთხრობა) № 11.
- ს. თალაკვაძე — გადასასვლელი (თავები რომანიდან) № 4, 8—9.
- პანტ. ჩხიკვაძე — ნაბიჯები (რომანი) № 1—2, 3, 4, 5, 6—7.  
 „ „ აღმასხან (მოთხრობა) № 8—9.
- ბ. ჩხეიძე — სისხლიანი ბარი (მოთხრობა) № 8—9.
- არ. ჯაჯანაშვილი — ნაგერალი (რომანი) № 8—9 10, 11.

## III ნაკვეთები

- ლევ. მარუაშვილი — სამი თვე ზეავების ქვეყანაში № 8—9.
- დ. სულიაშვილი — ორი ძალა № 10.

## IV ლიტერატურის ისტორია, თეორია, კრიტიკა

- გ. ნატროშვილი — გ. ტაბიძე. წერილი № 5.
- დავ. კლდიაშვილი — ვ. ბარნოვი, გ. ქუჩიშვილი. <sup>წარმართული</sup> <sup>დასაქმების</sup> შესახებ. № 5.
- აღ. სულავა — ფილიპე მახარაძე როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი № 1—2.
- აღ. სულავა — ენტუზიაზმის პოეტი № 11.
- შალვა რადიანი — ქართული პოეზია, 12 წლის თავზე № 1—2.
- „ „ „ მარქსი, ჰაინე, ფრეილიგრადი № 3,
- „ „ „ „არაენა მარაბდელი“ № 5.
- „ „ „ თანამედროვე პოეტები (სიმონ ჩიქოვანი) № 8—9.
- „ „ „ რომანი კლასობრივი ბრძოლის შესახებ. (კ. ლორთქიფანიძის „ძირს სიმინდის რესპ.“) № 12.
- აღ. ჩავლეიშვილი — ხელოვნების ორიგინალური ეკლექტიური თეორიის შესახებ. № 6—7.
- კ. შელადე — გაკვრით კლასიკოსებზე № 10, 11.
- ჭეიშვილი — პ. ჰაუბტმანი № 10.
- ტიც. ტაბიძე — „მამულეკი“ — უიარაღოსი. ისტორიული პროზის პრობლემა № 12.
- ს. ხუნდაძე — ივანე მაჩაბელი № 11.
- კ. მარქსი — ლიტ. და ხელოვნების შესახებ № 3.
- კ. გ. — სიმონ ჩიქოვანის შესახებ (რეცენზია) № 1—2.
- ერ. ასტვაციატუროვი — დავ. კლდიაშვილი „მემუარები“ № 3.
- „ „ „ „უჩარდიონი“ № 5.
- გ. ნატროშვილი — პ. ჩხიკვაძის „რომანტიული ამბავი“ № 10.
- კ. მარქსი — ქართულ ენაზე (ბიბლიოგრაფია) № 3.
- პ. ქიქიძე — სიტყვა ეძლევა აშხ. დოლიაშვილს № 12.
- გ. აბზიანიძე — ია ეკალაძე № 11.
- ა. ნიკოლაძე — ი. ტურგენევი № 11.

## V სალიტერატურო აპრივი

- სიმონ ხუნდაძე — ილია ჭავჭავაძის წერილები № 8—9.
- ლ. მელიქსეთ-ბეგი — იონათანი № 5.
- იონათან ნაყაში — ხობა საქართველოს კველუცებს. (ლექსი თარგ. ი. გრიშაშვილისა) № 5.
- ივ. ენიკოლოფაშვილი — ახალი მასალები აღ. ჭავჭავაძის შესახებ № 6—7.

## VI მემუარები და დოკუმენტები

- ბ. ბიბინეიშვილი — კაპო № 1—2, 4, 5, 6—7.
- რაქდენ კალაძე — ეგნატე ნინოშვილის ცხოვრებიდან. № 4, 6—7.
- კოკი აბაშიძე — აკაკი წერეთელი (ნაწყვეტი მოგონებიდან) № 6—7.
- თ. სახოკია — კლარა ცეტიანი (მოგონება) № 6—7.
- „ „ „ ალექსანდრე ჯაბადარი № 6—7.

VII ლიტერატურის აბსტრუქტული საკითხები

- საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის ლეოპოლდის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ—საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1933 წ. 2 ოქტ. დადგენილება. № 8—9.  
 ისტორიული დადგენილების წლისათვის № 4.  
 საქ. კომ. პარტ. (ბ) ცეკას 1933 წ. 2 ოქტ. დადგენილება. № 8—9.

VIII მაცნეობა, ფილოსოფია, კულტურისტიკა

- ბ. ელენტი—ენტუზიასტი მეცნიერის ხსოვნა № 8—9.  
 გ. გოზალიშვილი—იყალბო № 5, № 8—9.  
 კ. გაწერელია პლატონ იოსელიანი 6—7.  
 ს. იორდანიშვილი—რუსულ-ქართულ ლექსკონის შესახებ № 6—7.  
 ს. ელენტი—აქად. ნ. მარი № 10.  
 პ. ტოროშელიძე—კ. მარქსის სოციალისტური მოქმედება № 3.  
 კ. გორდელიძე—კ. მარქსი და თანადროულობა № 3.  
 ნ. კრუპსკაია—როგორ შეშაობდა ლენინი მარქსს № 3.  
 ბ. ბიბინეიშვილი—მარქსიზმის გავრცელება მსოფლიოში № 3.  
 ი. მეგრელიძე—იაფეტური სიახლეები № 8—9.  
 დ. კარბელაშვილი—ნაბიჯი უკან ლექსიკოგრაფიაში № 1—2.  
 კ. მარქსის ცხოვრება და მოღვაწეობა № 3.  
 გ. გამსახურდია—ქართველი ხალხის ისტორია. ინგლისურ ენაზე № 5.  
 შოთა ძიძიგური—„აკადემიკოსი ნიკო მარი“ № 12

IX თეატრი, კინო, მხატვრობა

- გ. ნატროშვილი—შესაძლებელია თუ არა სოციალისტური ტრაგედია № 6—7.  
 ს. ჩიქოვანი—ქართული მხატვრობა № 8—9.  
 კ. მარჯანიშვილ ფს ბიოგრაფიიდან № 4.  
 ს. ჩიქოვანი—კოტე მარჯანიშვილი № 4.  
 უმანგი ჩხეიძე—ათი წელი კ. მარჯანიშვილთან № 4.  
 ტ. ტაბიძე—ზ. ფალიაშვილი № 8—9.  
 ირ. სონღულაშვილი—ქართული ბელსაქმის ნიმუშების გამოფენა №

## მნათობი № 12-ის შინაარსი

### მხატვრული ლიტერატურა

|   |       |
|---|-------|
| კონსტანტინე გამსახურდია—მთვარის მოტაცება (რომანი) . . . . . | 3 გვ. |
| შალვა დადიანი—ფერსცვალება (მოთხრობა) . . . . .              | 29 "  |
| ვ. გაფრინდაშვილი—ეცნობი ქუჩა (ლექსი) . . . . .              | 52 "  |
| მარიამ გარიყული—ნარეკლი (დასასრული) . . . . .               | 53 "  |
| გერცელ ბააწოვი—ფეთხაინი (დასასრული) . . . . .               | 78 "  |
| ნოე ზომლეთელი—ახალი ნასაკირალი (პოემა) . . . . .            | 132 " |
| ნ. ტიხონოვი—სი (ლექსი) თარგმ. მ. პატარაძის . . . . .        | 163 " |
| მ. სვეტლოვი—რენადა (ლექსი) თარგ. მ. პატარაძის . . . . .     | 165 " |

### უცხოეთის კლასიკოსები

|   |       |
|---|-------|
| ედგარ პოე—ულალუმი—თარგ. ვ. გაფრინდაშვილის . . . . . | 168 " |
|---|-------|

### ქრიტიკა

|  |       |
|--|-------|
| შ. რადიო—რომანი კლასთა ბრძოლის შესახებ . . . . .           | 171 " |
| პლატონ ქიქოძე—სიტყვა ეკუთვნის ამხანაგ დოლიაშვილს . . . . . | 178 " |
| ტიც. ბიძე—ისტორიული ნოველა „მამელუკი“ . . . . .            | 193 " |

### მეცნიერება

|  |       |
|--|-------|
| ფ. იძიგური—ნიკო მარი, როგორც მეცნიერი— . . . . . | 203 " |
|--|-------|

